644
1986/4

ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდნა

9

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

350
გამოცემის ოცდამეათე წელი

9

სექტემბერი
1986
თბილისი
სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურ ბეჟანიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
თეიმურ გიორგაძე
გიორგი გუგლია
თვიმფარაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კახიძე
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ შანგუნიძე
ბორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატბერაძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერავთელი
ტარიელ ქანტარია
პაპრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. გივი ალხაზიშვილი — დაიმახსოვრე, დაიმახსოვრე! ლექსი
6. ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები
11. მერაბ აბაშიძე — მოთხრობები
28. რამაზ გიორგობიანი — მოთხრობები
33. პაატანგ ხარჩილავა — მარად, ყოველთვის და განუწყვეტლივ... პოემა
37. დავით მგელური — ლექსები
39. ზოთა ასანიშვილი — მოთხრობები
49. ნუნუ ქაფანიძე — ჯაჰეური რეპაქცია „ბროლი“ მოთხრობა
57. ლია ასათიანი — ლექსები
58. ირაკლი არაგული — ლექსები
60. ჯემალ მეფნიშვილი — ვინჩესტერი. მოთხრობა
72. აკაკა დევდარიანი — ნოველები
79. დავით ნავროზაშვილი — ფერილი შვილებს. ლექსი
80. მაია დოლაბაია — ლექსები

დრო, დრო აღნიშნე!..

82. მზია ხეთაგური — სიცოცხლე. პოემა
86. ავთანდილ ხარაიშვილი — სამყოფნა გარათეში. ნაწყვეტი პოემიდან
88. ლეონა სანიეიძე — გიორგი ათონელი. რომანი დასასრული

ახალი თარგმანები

130. ტარას შევჩენკო — კავკასია, უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ

წერილები

133. ესმა ონიანი — „ცა მნიშნავს“
139. მარინე ბულეიშვილი — ალექსანდრე ამილახვარის „ქართლის აღწერილობა“

შთაგონებულებები

146. გიორგი ჩარკვიანი — „ვისთვის რას იტყვი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

/8 ᲥᲗᲚ

გივი ალხაზიშვილი

ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔ, ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔ!

წადი...
გაზაფხულს ვინ შეაჩერებს...
მე ვიცი, შენს გზას ისე იპოვნი,
ჭუჭრუტანას რომ პოულობს სხივი,
როგორც ნიავი პოულობს ფოთოლს,
როგორც სინათლე მინის ნამცეცებს.

შენ ხარ მცენარე,
ყვავილობის მოლოდინით
გარინდებული,
მზერა ისეთი შუქით გევსება,
თითქოს ახალი სიცოცხლის წყარო
ჩუხჩუხებს შენში
და თვალებში გიკრთის მისი
ათინათები.

წადი...
შეყვარებულს შეეგებე...
საითაც გული გეწევა შენ,
თვალიც იქით გაგირბის მუდამ.

წადი...
შენს მკლავებს
ნაკადულებად გარდასახვა
მონატრებიათ,
მზის ნაფერები ბალახების სითბო
სწყურიათ.

წადი...
ამაღამ შენს თვალებში
ვარსკვლავები ჩაითესება,
შენ ხარ წიაღი მარადიულ
აღმოცენების.

წადი...
ოღონდაც დაიხსომე სამარადისოდ:
ქვეყანას
უგულოდ ნათქვამი სიტყვები ანგრევენ,
უგულო სიტყვა
მთქმელს და გამგონეს
კლავს განურჩევლად, თანდათანობით.

შენ გული სიტყვას უნდა მისცე,
სიტყვას უნდა ამოაყოლო.

მაგრამ ცინიკოსს ურყეევად სჯერა,
რომ სიყვარული გარდაიცვალა,
რომ ეს სიტყვა უზენაესი
იმდენჯერ ითქვა და ისე გაცვდა,
რომ დაკარგა უპირველესი
მნიშვნელობა.

სიყვარული კი, —
ბაგეებიდან ბაგეებზე მფრინავი
სიტყვა,
ისე სუნთქავს და ისე ფეთქავს,
თითქოს ამ სიტყვის ყოველი ბგერა
ნაზია და სურნელოვანი,
ვით ახლადგაშლილ ვარდის
ფურცლები.

არა, სიტყვები არ ცვდებიან,
თქვენ, გულგრილობის მონები
ცვდებით,
ცვდებით,
როგორც ძველი კიბის საფეხურები,

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმხართ,
როგორც ჩავარდნილი კლავიშები,
ეგუებით გულგრილობის ხავსს, —
გულს რომ გიჭამთ თანდათანობით.

შენიღბული მოღალატე,
გადასხვაფერებული,
თუ წინათ ზურგში გვესროდა ტყვიას
და მტერს შიგნიდან უღებდა ციხეს,
დღეს ნარკოტიკებს ჰყიდის, ბარიგობს
და გასამრჯელოდ საქართველოს
მომავალს იღებს.

მახსოვს გოგონა განწირული, —
იგი ვენაში შეპარულმა ჰაერმა მოკლა,
ის ცახცახებდა, როგორც პეპელა
თეთრ ქაღალდზე ქინძისთავით
დამაგრებული.
რად გიყვები კოშმარულ ამბავს?!

შენ ხომ მიდიხარ, გაგვიანდება,
მაგრამ მისმინე,
გევედრები დაიმახსოვრე:
შენიღბულან მოღალატენი,
გადასხვაფერებულან,
გვიღიმიან და-ჩვენს სიკვდილს
ნატრობენ.

საბრალო ავადმყოფები,
უსამშობლოო მონები,
ვენებდაჩხვლეტილი ფიტულები...

განა სტამბულში გაჰყიდიან
მოტაცებულ ტყვეებივით?!
მათ მამლუქების მწარე ხვედრიც
მოენატრებათ!

თუმცა ცინიკოსს ჰგონია რომ
სიყვარული გარდაიცვალა,
რომ არ არსებობს ერთგულება,
რწმენა და ფიცი,
შემართულია უხსენებლის თავივით
შპრიცი
და ნემსის წვერი, ვით გველის ენა,
უეცარ ჩხვლეტით პოულობს ვენას.
წადი, შენ მათკენ ნუ გაიხედავ,

სიცოცხლე განა მხოლოდ
დღე-ღამის მონაცვლეობაა?!
არც მარადი მწუხარებაა
და არც მარადი ბედნიერება.

გაიხსენე —
რვაასი წლის წინ
თამარ მეფე
ფეხშიშველი,
ჯვრით ხელში
წინ მიუძღოდა ქართველთა ლაშქარს,
გაიხსენე, გაიხსენე,
გემუდარები.

ნუ მიენდობი მოღალატეს,
ნუ დაუჯერებ მის მზაკვრულ ნიღაბს,
ის ნარკოტიკებს ჰყიდის მალულად
და გასამრჯელოდ
საქართველოს მომავალს იღებს.

ლანდების, აჩრდილების, ფიტულების,
ჩონჩხების ბორიალი,
თვალების ფსკერზე
გულგრილობის ყინული,
უძლური ტყვეების ცახცახი,
დაკორტნილი ვენები
და დედის ცრემლი —
სიტყვით უთქმელი მწუხარება
თვალებიდან გამოყონილი.

გაცრუებული იმედი —
შვილის მაგიერ შვილის ნანგრევი,
შვილის მაგიერ შვილის საფლავი,
შვილის მაგიერ შვილის ჩონჩხი,
შვილის მაგიერ
შვილის ბავშვობის გახსენება
და მწარე კითხვა:
როდის წავიდა, როდის დამშორდა,
სამუდამოდ როდის დავკარგე?

არ ვიცი რატომ,
მაგრამ ზოგჯერ მინდა ვიყვირო:
ნუთუ ვერ ხედავთ,
ღალატია, ღალატია!
ნუ დაუჯერებთ!
საითაც გული გეწევა ახლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცი, რომ თვალიც იქით გაგირბის.
წადი...
შენს მკლავებს
ნაკადულებად გარდასახვა
მონატრებიათ,
მზის ნაფერები ველ-მინდვრების სითბო
სწყურიათ.

წადი...
ბაღამ შენს თვალებში
ვარსკვლავები ჩაითესება,
შენ ხარ წიაღი მარადიულ
აღმოცენების.

ვინ შეაჩერებს გაზაფხულის
ვნებათაღელვას,
ფერთა უნაზეს შეხამებას
და უჩინარ ფესვების სურვილს —
რომ ყვავილებით გამოიხედოს
და ცას და მიწას
კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი.

გაიხსენე, გაიხსენე, გემუდარები!
შენი თვალებით
წინაპრები იყურებიან,
ნუ დაუნისლავ წინაპარს მზერას,
ნუ დაუბნელებ საქართველოს მზეს!

ემზარ კვიტაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

> დღევანდელი რუსთავის ტერიტორიაზე, იქ, სადაც მეთვრამეტე საუკუნემდე ციხე-ქალაქი ნაგები იყო (ნაგები რუსთავის ანუ ბოსტანქალაქის გვიანდელი სახელწოდებაა), ძირითადად სვანეთის ჯარმ მოსახლეთაგან, ორი წელია შეიქმნა ახალი ქართული სოფელი და ადრე არსებული, მტრისგან განადგურებული ციხე-ქალაქის უკვდავსაყოფად ნაგები ეწოდა. გარდაბნის რაიონში შემავალი ეს აღორძინებული სოფელი საკმაოდ მოზრდილია; უმთავრესად მისდევენ მესაქონლეობას. აქ არის მძლავრი საბეჭითა მეურნეობა, რომელსაც სოფლის მოამაგე თაკაცი, ახალგაზრდა ინჟინერი ავთანდილ მარგიანი ხელმძღვანელობს. უპირველეს ყოვლისა, ის გახლავთ ლექსად დაწერილი ამ ბარათის ადრესატი.

მოწატრეგის წერილი

დღიურ წვრილმანებს ვერ ავეთავდი,
მომბეზრდა ფუჭი გაწამაწია...
შენ ერთს მოგმართავ, ნამდვილ
ავთანდილს, —
თქმულა: სოფელი ერთი კაცია.
კვლავ შენ გიგონებ და აღარ ვშიშობ,
წინ მიდგას ის დღე, ზღაპრის სადარი, —
ახალი დროის ღვიძლი და პირმშო —
ნაგები — ფეხით რომ დაგვატარე.
ორი წლისაა, სოფლის ხნის არი,
გალიაში რომ ცანას დათვია;
მორგვივით დააქეს მხრები, კისერი,
სვანური მოდგმა, ჯიში ატყვია.
ჯაჭვს ეჭიდება და ეფერება,
დარაჯად მდგარი ნაგების კართან,
მერე დაყვება ვიწრო დერეფანს,
ამდვრეულ არხში მოადენს ზღართანს.
უფრო იმითი სოფლობს სოფელი
და საამაყოც უფრო იგია,
დამფრთხალ ღრუბლებში თავგაყოფილი
სვანური კოშკი რომ აგიგიათ.
უბზინავს მუქი ფიქალის ფერდი,
ღია სარკმელში იჭრება სხივი,
ეცემა ბუდეს, ბარტყებზე მკერდით
გადაფფფრინო ბედურა ყლივის...
გმირის კოშკია, მისი სახეა
(სიკეთევ, ხალხის გულში ნათესო);
ვუმზერთ კედელზე ბორის კახიანს,
თითქოს წყვდიადი გაანათესო.
უცვებ იკვრება წრე ჩოხოსნების,
წამიც და ფარდებს აწყდება „რიჰა“,—
გადაიხსნება თაღი ოცნების,
გუგუნებს ჰიმნი, რკინას რომ გრიხავს.
ისევ მოგყვებით — მხიარულს, ნაჯაფს...
იხარა, რასაც ხელი შეახე,
ორივე გიჭრის — ჭკუა და მაჯა,
გულადი ხარ და ხარ გამჭრიახი.
რა ჯობს — ტოლებიც მხარს
გიმშვენებენ,
შენებრ ჩადგმულნი და ტანმაღლები;
რა დაგიდგებათ ახლის მშენებლებს,
გინდოდეთ — ქვაზე დაესახლებით.
აქ არის, რაშიც წილი გდებია,
უყურებ ნერგებს, ხარ ნაამები;
ღიმილით ყვები, რომ მრავლდებიან
ხუთი და ექვსი ბიჭის მამები.
და გადამდებათ ცხვარ-ძროხის თვლაში
და გათენდებათ აკვნების თლაში;
ჩარიგებულან ფიქვები ლურჯი
და უკან იხევს უდაბნო მლაშე.
გადუვლის ოდებს მამლის ყივილი,
ქერის ყანები მზეზე ყვავიან...
ამ ცხელი მიწის გოჯი ყოველი
სულ თქვენი ოფლით მონარწყავია...
გიგონებთ, ძმებო, ხმაც მესმის თქვენი
და გწერთ უბრალოდ, უბრალო ბარათს,
გულს უხარია, არ ითქმის ენით, —
რა ლამაზნი ხართ სვანები ბარად.
თქვენიც ერია მუდამ მარჯვენა,
მამულის მტერი თუ აილაგმა;
ბევრს აწყველინეთ, მომხვდურს, გაჩენა,
იმრავლოს თქვენმა გვარმა, ჯილაგმა.
როგორ დაგხატოთ, ახლა მჭირია
სიტყვა — ვარსკვლავი ციდან მოცლილი,
მე გლოცოთ, ეს რა გასაკვირია,
საქართველოსგან ხართ დალოცვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუკიის აღმართი

(ჯონი თევზაძის გაცილება)

რაგინდ ხერხიანი იყო,
რაგინდ შემტევი და მარდი,
სულს დატოვებ. სულერთია,
არ აგცდება ეს აღმართი.

დაჭიმული ოთხი ბეჭი
მიაცურებს მუხის კანჯოს;
წევს მეხუთე, აბრეშუმში,
უხმოდ, თითქოს არც ეტანჯოს.

ოთხი უღვთოდ გახვითქული,
მას არ აზის ოფლის ცვარი,
მხოლოდ შუბლი ბზინავს მზეზე,
წევს შიგნიდან გამომწვარი.

რა ვასმინო სანთლის ყურებს,
მივდევ, მიჭირს ხმის მიწვდენა, —
რომ ყოფილა ეს სიცოცხლე
ოფლის ღვრა და სისხლის დენა.

ცოტა ხანს რომ შეგვიქციოს,
სატყუარა, მიწის ძღვენი, —
ტერასებზე, შეკეცილზე,
მღვრიე ქარვა — მწიფს ყურძენი...

ძილს ეღირსა. ფიფქზე თხელი,
ტანს სუდარა აფარია,
დაზნექილი, ძირსტოტები
მისთვის აღარაფერია.

რა გაკავებს, შენც წაიქცე,
იქცე — მიწად, ფერფლად, ნავლად,
ვეღარც ითვლი, მერამდენედ
გიწევს ამ აღმართის ავლა.

შეისვენეს გალავანთან
და ზარებიც დაარისხეს;
ორი მობუზული ბარტყი,
დავინახე, ესხა მის ხეს...

დახურავენ, ჯერ კი ელავს
გაყინული სახე მზეზე, —
ზოგი გვიან, ზოგი ადრე
მიდის, როგორც დააწესე.

ამოშხამდი, წაიმწარე
გაჩენის დღევ, დედის ხსენო;
ახლა სახლში მიბრუნდები,
წასულს სული რომ უხსენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტრინიდან

შენი ეშხი აფთიაქის
მინებს მიღმა ქრება...
დღე — წამლები, რეცეპტები,
იმ დღის ბოლოს კრება.

მადლიანის, შუქიანის,
რამდენ საპყარს, სალოსს,
იმედი აქვს მაგ თითების,
ვერვინ დაითვალოს.

გიყვარს ხალათის და ჩაჩის
თეთრად გახამება;
დილას უძრავს, ბურუსიანს,
მოსდევს დაღამება,

არ გახსენებს ტოლი შენი,
არ გიგზავნის ბარათს,

ღიმილს შენსას — რძისფერ ყვავილს—
ჭკნობა შეეპარა.

უიღბლოვ და მოუღლელო,
თვალებნაღვლიანო,
სურვილები შენი, მითხრეს,
ცაში აღვლიანო.

შობას დაგვიბრუნდებიან
ფაფუკ ფანტელებად,
ეგებ შესძლონ გაბზარული
გულის გამრთელება.

ვინ დაგზაფრა, ბედს უნდობარს
ვერსად წაუხვალო;
ეაგლახ, გაუშლელად ჭკნები,
საქართველოს ქალო...

არ გაგიკვირდეს...

დამესხა ხელი მსახვრალი, დამემსხვრა ბედის ეტლი...
მიზეზი შენ ხარ, მზის თვალო, მეტს მე აღარას გეტყვი.

ვერავინ მოგწვდეს, ასიდან ერთიც ვერ დაგედაროს,
ჰოი, რას დაშვენდებოდი — ცას, ვარსკვლავების თაროს.

ნახონ, რა გასაძლებია გულში ტარება ხანჯლის,
მეყო, რაც მძიძგნე, მატირე, ახლა სხვამ ინეტაროს.

არ გაგიკვირდეს, შენ, ღმერთის რისხვავ და იარაღო,
თუ შენი სახლის კიბესთან ყელგატეხილი მნახო.

ბედნიერებას არყოფილს ხელი მე თავად ვკარი,
ვახსენე დამბადებელი, ცოდვის გავხსენი კარი.

რომელ გალავანს მივადგე, რა კედელს ვეჯაჯგურო,
ცხენი ვარ დაურვებული, კეფაში მირტყამს ურო.

ერთს კი დამხედავ დამხობილს; ჩააგებ მახვილს, წახვალ;
არ გეამება ჩავლილის ანუ წარსულის ნახვა.

დილეგს ვარ ხელებგაკრული, ჩატოვებული მძევლად,
გამეხდა ზენა მოწყალე, ამიხდა შენი წყევლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ რას ფიქრობს...

ათ კაცს მაინც ჰგონია —
ჩემზე ათჯერ მეტია.
ასე რომ არ ეგონოთ,
განვცვიფრდები მე დია.

ხელაობენ, ხელს უწყობთ
მონდომება ათკეცი,
ეჭვი არ ეკარება
იმ ათ სიახეს, ატკეცილს.

ჩემი მხრიდან, მეც ვფიქრობ —
ათივეზე მეტი ვარ;
მართლა ასე რომ იყოს,
ნიჭი სად დამეტევა.

ბევრი შფოთავს — საუკუნე
უნდა დარჩეს ჩემადო...

ვისაც მოჭარბებია,
საქართველოს ემატოს.

არ გამოჩნდა მწონავი —
ვინ რამდენით მეტია,
რამ გადამატანინოს
ცოცხალს ეს ტრაგედია.

მწვერვალისკენ ათითებს
ათი, თუ მეტი არა,
ზოგს დაფნა ელანდება,
ზოგსაც — მეფის ტიარა.

წვიმა აწვიმთ პატივის,
შეშურდება მათი ვის...
ტკბილად იყონ, ღმერთმა ხელი
მოუმართოს ათივეს.

მეათე წელი

ზმანება, ლურჯად ამოქსოვილი.
ქარი. შენს მკერდზე დარბის ზიზილა.
ნამტირალევი, ნამით სოველი,
თვალები შენი ამოისილა.

ის დღეა თითქოს... ისევ ინათა...
გულ-ღვიძლი იმავ შხამში იწება;
აღარ მასვენებს, ათი წლის წინათ,
შენგან ნათქვამი — ნუ მაღვიძებო.

მწვავს სხვა მდუღარე, სხვა ცეცხლი
მდაღავს,
ვეღარც კი მიცნობ, სულ სხვად ვიქეცი,
არ ხარობს ჩემი ნარგავი, აღარ
ვარგივარ კაცად და მოვიკეცე.

არ მობრუნდება წამი დიადი...
მეყო, რაც ბედმა მძიძგნა, მაყეფა...
ცოდვილ მიწაზე რომ დადიოდი,
სუნთქავდი, ესეც მეამყება.

უგრძნობი კედლის გეძინა ძირში.
(დამწვარი გული ისევ მკერდშია)...
დაბლა იწევდა საათის გირჩი, —
შენ გაღვიძებას ძილი გერჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რით შევიცნო სული შენი,
გაუხსნელო შიფრო;
ეს იმას გავს, სიშორეში,
ვარსკვლავს გავეჯიბრო.

ჭკნობაშეპარული ვარდის
სურნელზედაც მძაფრო,
ვით შევიძლო — შენ გიცქერდე
და არ დავიზაფრო.

ზარდამცემი, გულსაკლავი
რა იქნება უფრო,
ვის ნათელში ვეხვეოდი,
იმ ხატს დავეუბრო.

აბრეშუმის საბურავი,
დილის ნამისებრო,
მეც მაღირსო ეგებ ძილი —
მშვიდი და უებრო.

●

ღმერთო, გზა მითავდება
ბედის ნებით ნახლართი,
მივალ, სად გაგონილა
უდაღმართო აღმართი.

ცხელი ქვიშა ჩხრიალებს,
რის ნაყოფი, რა ხილი...
მალე შემოგესმებათ
განწირულის ძახილი.

მზეს ხელი ვინ დარია...
(შენც გათავდი, აღმართო),
ახლა აღარც დარია,
აღარც წვიმს და აღარც თოვს,
დაღლილ-დაღონებული
ვეღარავინ გაგართოს.

მოთხრობები

ვოლტერის საღღეგრძელო

ამბავი რომელიც ახლა უნდა მოგიყვეთ, იმდენად უმნიშვნელოა, რომ ჩემი აზრით, სისულელეა ამაზე თქვენი მოცდენა, პატივცემულო ბატონო მკითხველო! ამიტომ, ძალიან გთხოვთ გადადოთ ეს ნაჯღაბნი და სხვა რამეთი გაირთოთ თავი. თუმცა... გასართობიც არაფერია, მგონი? კეთილი... მაშ, მოთმინებით აღიჭურვეთ და ზიდეთ თქვენი ტვირთი. სანამ ეს პაწაწინა მოთხრობა დამთავრდებოდეს..

თუმცა... სანამ რაიმე დამთავრდებოდეს, ჯერ უნდა დაიწყოს, არა? დიახ, მეტყვით თქვენ! ამაზე შეგდავებოდით. მაგრამ ახლა ამის თავი არა მაქვს. ან ღირს კი სხვასთან დავა და მისი გადარწმუნება ისეთ ბანალურ ჭეშმარიტებაში, როგორც, მაგალითად, ზემოთ წამოყენებული პრობლემა იყო — რაცა რაიმე დამთავრდეს, ამიტომ საჭიროა ჯერ დაიწყოს, არა? რა თქმა უნდა, არა! ეს ხელშეუვალი დოგმაა ობივატელისათვის და... ბოლოს და ბოლოს მეც ობივატელი ვარ... (რამეთუ ყველაფერი შედარებითია).

დიახ... სიცოცხლე ჯერ უნდა დაიწყოს, რათა შემდეგ დამთავრდეს. სიყვარულიც ჯერ უნდა, დაიწყოს, რათა დამთავრდეს. მშვენიერების ჭვრეტას დასაწყისი უნდა ჰქონდეს. რომ დასრულდეს და ა. შ.

მაგრამ, ჩემი აზრით. არის ისეთი მოვლენებიც, რომლებიც ისე მთავრდება, რომ არც არასოდეს იწყება. მაგალითად, არაფრიდან არაფერში გადასვლა... უგონობიდან უგონობაში. სიკვდილიდან სიკვდილში...

მკითხველს არ ეგონოს, რომ მე კაზუისტი ვარ და დემაგოგიის გზით მის თავბრუსდახვევას ვაპირებ. აბა, ამას როგორ განვიზრახავ, როცა ვიცი, რა განათლებულ ადამიანთან მაქვს საქმე. იმ ადამიანთან, რომელიც ხვდება, რომ ახლა მე თვითონ ვარ გახლართული ლაბირინთში და ჩემი შველა მხოლოდ ერთი რამით შეიძლება: დადოს ეს წიგნი ისე, ვითომც პაწაწინა ვარცლი იყოს. ჩახტეს შიგ (თუმცა მე საკმარისად ზორბა ვარ და, ალბათ, გაუკვირდება, როგორ ვეტევი ამ პაწაწინა წიგნში!..) ვერცხლისფერ ტბაში მოტივტივეს ქეჩოში მტაცოს ხელი. ამომთბარიოს და თავის გვერდით დამსვას.

ო, რა სასიამოვნო იქნებოდა ჩვენი შეხვედრა! მით უმეტეს, თუ იგი — მანდილოსანი ბრძანდება. ჩვენ ვისაუბრებდით ღმერთზე. მშვენიერებაზე, სიყვარულზე... მე აღარ ვიქნებოდი ცინიკოსი... ნამდვილად მეყვარებოდა ჩემი მხსნელი და თუ იგი ბარხვს იცავს, მისი ხათრით, მეც ლუკმა ხორცს არ ჩავიდებდი პირში!!!

სწორედ ასეც მოხდა, ბატონებო! აი, ვგრძნობ. ვიღაცამ თავისი გრძელი, ღონიერი თითები ჩამავლო თმაში და... წიგნიდან ამომპარია! ალბათ, ქალია, არა? არა, შემშლია! გამხდარი მაღალი, სათვალიანი კაცია... ტიპიური ინტელიგენტი იგი მძიმედ სუნთქავს და მეკითხება: „ვინ არის შენი მახსრად ასაგდები?“ რა ვქნა ახლა? თუმცა, იმედია, ეს კაცი მაინც არ იცავს ბარხვას.

— მომეცით, ბატონო, ერთი ნაუე-

რი შემწვარი ხორცი! — ვეუბნები მე.

იგი არისტოკრატიულად იცინის, მერე სამზარეულოში გადის, ხორცი და პური გამოაქვს (თეფშით, რა თქმა უნდა) და მაწვდის.

(ეჰ, როგორც ეტყობა, დავას მაინც ვერ ავცდები).

—როგორ მოხდა, ბატონო, რომ ისე ამომიყვანეთ წყლიდან, თვითონ არც დასველებულხართ?

— ხელები მაქვს გძელი! ყველგან მიმიწვდება... — ამბობს ის და იღიმება.

— ღმერთი გწამთ, ბატონო? — ვეკითხები მე.

— მწამს, — მოკლედ მპასუხობს.

—მომიყევით რამე მის შესახებ.

— ღმერთი! იგი თითს მაღლა სწევს. — არ უნდა შეწუხდეს ადამიანის საუბრით მასზე.

— რატომ?

კაცი დაბნეულად მიყურებს. მაგრამ, ეჰ, განა ბოლოდან უნდა დაეწყო მას საუბარი? ეს ფრაზა კი, ალბათ, შემაჯამებელია მისი აზროვნებისა. ჰოდა... მეც აქა ვარ! მან ისე დაამთავრა, რომ არც დაუწყია!

— მადლობთ, ბატონო! — ვამბობ მე. ხელებს წინ ვიშვერ და ისევ წიგნში ვყურყუმელავდები.

ასე და ამგვარად, შენ ისე დაამთავრე ჩემთან საუბარი. ჩემო მკითხველო, რომ არც კი დაგიწყია. თუ ისევ კაზუისტად მთვლი, გეტყვი, რომ ეს ასეცაა! დიახ, კაზუისტი ვარ! მერე რა? განა ეს დასაგმობია? განა კაზუიზმს არ გააჩნია ლოგიკა? (მტკიცე, შეუვალი და თავისთავადი — პიროვნებიდან გამომდინარე?)

ჰოი, ცივი ბრწყინვალე ინტელექტის მქონე ბაბაჩვენო, დიდებულო ვოლტერ! განა კაზუისტი არ იყავი შენ? მაგრამ ხომ შესძელი შენი მაგიური კაზუიზმით და შეუმუსვრელი პიროვნული ლოგიკით ცივილიზებული ევროპის მოჯადოება? „ყველაფერი უკეთესია — ბისკენ მიდის“, — ამბობს შენი გმირი, როცა იგი ლაპა და იხრწნება... და მაშინ, ალბათ, შენც შენი გმირის პოზიციაზე იდექი, ბაბაჩვენო!

მაგრამ, ეს, მგონი რიტორიზმია! მაშ, აქეთ მოიწით. ოქროს ვიოლინოებო და ცეროდენა ანგელოზებო! დავუკრათ ჩვენს პაწაწინა საკრავებზე, ვერცხლისფერ ტბაში განფენილ მწვანე ფოთლებზე მუხლმორთხმულებმა და ქარვისფერი პუნშით შევსვათ ბატონ ვოლტერისა და ჩვენი მკითხველის საღღეგრძელო! იმ მკითხველისა, რომელსაც ჩვენი გადარჩენა სურს! მაგრამ... განწირულნი ვართ ვითომ ჩვენ? ჰაჰ? მაშ, რატომ ისწრაფვით ასე ჩვენს გადასარჩენად?

თუმცა... ისწრაფეთ, ბატონებო, ისწრაფეთ!

და თუ აქ, ვერცხლისფერ ტბაში ყოფნა უფრო მოგეწონათ, ვიდრე იქ, ზევით, ერთ ნაჭერ შემწვარ ხორცსა და ერთ ჭიქა ღვინოს ჩვენც მოგაწვდით...

დავსხდეთ და მოვილხინოთ!

ოღონდ... ყველა საღღეგრძელო ისე უნდა დაამთავროთ რომ... არ დაიწყოთ. ასე უფრო სახალისოა!

მაშ ასე... ვამთავრებთ... ვამთავრებთ, ბატონებო... ამბავს, რომელიც არასოდეს არც დაგვიწყია! თუ აბდაუბდად მოგეჩვენოთ ყველაფერი ეს, ნუ დაგვძრახავთ, რადგან ბოლოს და ბოლოს ჩვენ თქვენი გართობა გვინდოდა და... თუ ეს გართობა არ გამოგვივიდა, მაშინ მეც, ჩემი ცეროდენა ანგელოზებიც და ვიოლინოებიც კიდევ უფრო ღრმად წაგალთ თქვენგან... იქ, ვერცხლისფერი ტბის ფსკერზე დავიდებთ ბინას და იქ დავამთავრებთ ჩვენს ჯადოსნურ ლხინს, რომელიც, ამ ამბის მსგავსად, არც არასოდეს დაწყებულა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეპოქაში, ალბათ, თავისებურად აღიქვამდნენ მიხაკს. არ ვიცი ძველ დროს მისი აღქმის ესთეტიკა, მაგრამ ერთი ცხადია: ჩემთვის იგი იმ ყოფის გამომხატველია, როცა სული გაბლეჩილია და უხილავი ხელული ხდება ხოლმე...

ეს მხოლოდ მისი შეუცნობი სინატიფიდან არ უნდა გამომდინარეობდეს, ეს მისი სურნელითაცაა, ალბათ, გამოწვეული. სურნელი იგი თითქოს უკვდავების სურნელია, იმ სამყაროდან გადმოფენილი, რომელსაც ვერასოდეს შეიცნობს ადამიანი.

ხშირად წერის ჟამს, როცა ფურცელს ჩაგზერებივარ, და უცებ მიხაკის სურნელებასაც ვიგრძნობ, ეს ორმაგი ტკივრი იმდენად აუტანელი ხდება ჩემთვის, რომ კაცს, რომელსაც საშინლად მძულს სანტიმენტალიზმი, ძალმიძს ბავშვივით ვიქვითინო. ასეთი რამ რომ სხვისთვის შემეჩნია, ზიზღით ჩავიცინებდი, მაგრამ რას იზამ, საკუთარ თავს ბევრ რამეს ვაპატიებთ. ისე კი, მე აღარ განვიცდი ჩემს ამგვარ ბუნებას. ვიცი, ეს ის ტკივრთია, რომელიც ისე უნდა ვზიდო, რომ არ წავბორძიკდე და ტალახში არ დავეცე. იმ ტალახში კი ბევრჯერ ჩავცემულვარ და ვიცი — ეს ის ტალახია, რომლის ზხეფებიც სიგიჟის ტალღებად იჭრებიან ისედაც ნორმიდან გადახრილ ცნობიერებაში.

რა თქმა უნდა, დაცემის შემდეგაც შეიძლება წამოდგომა, მაგრამ ახლა უფრო გაჭირდება წონასწორობის შენარჩუნება. წონასწორობა კი მთავარია ცხოვრებაში.

თუმცა ჩვენ მიხაკზე ვსაუბრობდით. ვთქვით, რომ მისი მშვენიერება მეტად დამთრგუნველია ჩემთვის. ამიტომ, თუ შენზე ადრე მოვკვდი, ნუ მომიტან მიხაკებს, ძვირფასო! უბრალო, ყვითელი ვარდები მომიტანე. ვიცი, ეს სასაცილოა, მაგრამ მე ფიქრადაც არ გამივლია, თავი შეგაბარალო. უბრალოდ, შეიძლება მკვდარმაც ვერ ავიტანო მათი სურნელი, კუბო გამოვანგრიო, დავავლო ხელი იმ მიხაკებს და სულ ცემა-ტყეპინი გავყაროო ჩემს პანაშვიდზე მოსული ხალხი. ასე რომ თუ ჩემი პატივისცემა გინდა, ყვითელი ვარდები მომიტანე. ისინი მე შემოდგომის პირას მიმდგარ ჩემს პირველ შეყვარებულ ქალს გამახსენებს.

მაგრამ, შეიძლება შეცდომასაც ვუშვებ, როცა მიხაკებზე უარს ვამბობ... მომიტანე, მომიტანე ისინი, ძვირფასო, მე არ წამოვხტები და არ დავიწყებ აქეთ-იქეთ შეშლილივით სირბილს... ხალხი ისედაც დაღალა ჩემმა უცნაურობამ.

მაგრამ, ეს, ალბათ, სასაცილოცაა. მე კი სულაც არ მინდა. ამ თემაზე იცინოს ვინმემ. ხომ არის თემები. რომელზეც არ ხუმრობენ? მე კი, ჩემდა უნებურად ცინიკურად განგაწყვეს ჩემი დასაფლავების მიმართ. განა აქედან არ ჩანს, რომ მწერლური ანალიზის უნარი მთლიანად შეიწირა პიეტურმა პატივმოყვარეობამ? ახლა რომ ხვდები, როგორ მიჭირს იმ ტკივრთის ზიდვა, ზემოთ რომ ვახსენებდით? სჯობია ყვითელ ვარდებზე ვისაუბროთ. ეს ფერი კიდევ იმიტომ მომწონს, რომ გაურკვევლობის ფერია. გაურკვევლობა კი... თუმცა საშიშია, მაგრამ ამავე დროს საინტერესოცაა. თუმცა ამ გაურკვევლობის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ეჭვი გეპარება: მართლა ლამაზია ეს ფერი? ან, ვითომ მართლა ლამაზი იყო ჩემი პირველი შეყვარებული, მისტიკით რომ იყო გარემოცული თვით სასიყვარულო სარეცელზე? სადაც თითქოს ყველაფერი ნათელი ხდება? მაშ, რატომ მეჩვენებოდა ეს ბრწყინვალე გარეგნობის ქალბატონი ხანდახან უშნოდ? რა იყო ამ ფერიცვალების მიზეზი? ისევ მისტიკა, ყვითელი ვარდის სურნელება რომ ასდის? თუ რა? ერთი კი ცხადია; მე ის ძალიან მალე გადავიყვარე... უფრო სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, გავცვალე. გავცვალე პატარა, გოგონაზე, რომელიც სრულიად მოკლებული იყო გარეგნულ სილამაზეს. ნოპერაციეები ცხვირი სიცივეში ულურჯდებოდა ხოლმე. მაგრამ იგი სრულიაფიასკენ ლიტვიდა და სწორედ ეს მხიბლავდა მასში. იმდენჯერ ვუთხარი, ლამაზი ხარმეთქი, რომ ბოლოს მეც დავიჯერე მისი სილამაზე. ისე კი... რა იყო ის? ერთი გაქცეული მინდვრის ყვავილი, ფუტკარიც რომ არ ინებებს ზედ დასკუპებას.

მაგრამ, ამაზე შემდეგ, როგორც ხედავ, მე და შენ ძალიან გავშინაურდით, ჩემო მკითხველო! მიხაკიდან დავიწყეთ და ფუტკრებამდე მოვედით. ახლა კი, ერთი შეკითხვა უნდა მოგცე და ნუ გაგიკვირდება, ბუზოსთვის თუ დაგიგლეჯია ოდესმე ფრთები? თუმცა, ალბათ, შენც ფსიქოლოგი ხარ და მიხვედი, რომ ბუზის ცნება აქ სიტყვა ფუტკარმა წარმოშვა. ფუტკარს, ცხადია, ფრთებს ვერ დაგლეჯ, რადგან ნესტარი აქვს და გიკბენს... აი, ბუზი კი! ჰოდა, სწორედ ამ ბუზზე გეკითხები.

„მომიკლავს — იტყვი შენ ღიმილით — ფრთები კი რატომ უნდა დამეგლეჯა. ეს ხომ სისაძაგლეა“.

სწორია, მეც ასე ვფიქრობ. გართობის მიზნით ბუზისთვის ფრთების დაგლეჯა საძაგლობაა. ჩვენ ბუზს ვკლავთ არა გართობის, არამედ საჭიროების მიზნით, მართალია, მერე ვამაყობთ ამგვარი კეთილშობილებით, მაგრამ, აბა, ეს რა აქ მოსატანია.

რაც მთავარია, ჩვენ ბუზს ფრთებს არ ვაგლეჯთ. არც ცეცხლზე ვტრუსავთ და არც ქინძისთავს ვუჩჯობთ. ჩვენ მას უბრალოდ, წამივეპარებით და... ტკაც! ვაბრტყელებთ ხოლმე, არადა... ეეჰ! რომ იცოდეთ, რამხელა ცოდვას ჩავდივართ ამით. იცით თუ არა, რომ მე ბუზებს დიდებულ მისიას ვასრულებინებდი სკოლაში?

მაგალითად როგორ? იკითხავთ თქვენ. ეს მისია — ჩემთვის საძულველი გაკვეთილის ჩაშლა იყო, როცა პირველ კლასში ვსწავლობდი და მასწავლებელს რუ-რუ-რუ მომწყინდებოდა. დავიჭერდი ბუზს, ჩემს წინ მჯდომ გოგონას გამოვაძრობდი თმის ბეწვს, დავამაგრებდი ზედ საშრობის ნახეგს. მერე თმის ბეწვს ბუზს გამოვაბამდი ფეხზე და ფრი... გავუშვებდი ჩემს შავტუხას.

აფრინდებოდა ჰაერში საშრობის ნახეგი...

აღრიალდებოდნენ ბავშვები და იშლებოდა კაკვეთილი.

მაგრამ ჩუ! ამაზე შემდეგ. ახლა კი ისევ დავდინჯდეთ და პოეზიას მივხედოთ. არადა... როგორ გარბის კალამი დიდაქტიკიდან ირონიაში. გრძნობ, ჩემო მკითხველო? თუმცა, ჩემმა დიდაქტიკამ შენ სრულიად არ მოგხიბლა. შეწში მაშინ გაფაჩუნდა ჩემდამი ინტერესი, როცა საკუთარ პანაშვიდზე. კუბოდან წამომხტარი, მიხაკებით ხელში დავერიე მოსულ ხალხს. რას იზამ. რიტორიკა ვერასოდეს გახდება ხელოვნება. არადა, მე სწორედ რიტორის როლი მხიბლავდა ამ წერილის (თუ არ ვიცი, რა დავარქვა) დასაწყისში. მაგრამ... კმარა სინანული. ნუღარ ვიფიქრებთ ამაზე, მიმი! იცნობ, მკითხველო, ჩემს მიმის? იგი, როგორც დარვინი ამტკიცებს, ჩვენი წინაპარია, ერთი წლის წინ მაჩუქა ერთმა მეგობარმა, მიმი ახლა ოთხი წლისაა. ერთი ციცქნა და დალეული ვინმე, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტად გონებამახვილი და მოხერხებული.

მე მას წვრილ-წვრილ დავალებებს ვაძლევ ხოლმე. ხან სიგარეტს ვაყიდინებ, ხანაც გაზეთებს ამოვატანინებ. მე კმაყოფილი ვარ მიმით, სწორედ მისმა შემხედვარემ გადაეწყვიტე ახლაც დიდაქტიკას შევშვებოდი და იუმორისათვის გამეხსნა გზა, მაგრამ, საუბედურო, ჩემი იუმორი ხანდახან არ ესმით და ეს ძალიან მწყინს. მიმი კი თვით იუმორია. ვზივართ და ვაბოლებთ სურნელოვან სიგარეტებს. სმით

არა სვამს, რადგან ისედაც მთვრალია წუთისოფლის ამაოების ჭვრეტით. ახლა კი ის იმიტომ შემოვიდა ჩვენს ურთიერთობაში, რომ საჭირო გახდა, ვინმემ ხომ უნდა გაგვარკვიოს, რა ხდება ამ წერილში თუ ნოველაში?

არადა, ისიც ისევე განიცდის მიხაკის მშვენიერებას (თითქმის ისევე), როგორც მე. საერთოდ კი, მტადდ თვენიერი და დამჭერე არსება გახლავთ. მხოლოდ ერთხელ ამიჯანყდა, როცა საყელოს გაკეთება მოვუნდომე. რა არ ვუთხარი, რით არ დავუპირე მოხიბლვა. მაინც არაფერმა გასჭრა. „სულელო, ეს ხომ იგივე ჰალსტუხია“, — ვუთხარი ბოლოს. ახლა კი შეყოყმანდა, მაგრამ მაინც... თავისი გაიტანა.

მაშ ასე, მიმიც გავიცანით, ისე კი, სჯობდა არ გაგვეცნო, მიმის სანტიმენტალიზმი საშინლად გადამდებია, მართალია, ზემოთ ვწერდით რომ იგი თვით იუმორია, მაგრამ ის... სანტიმენტალური იუმორი გახლავთ... რჩეულთათვის განკუთ[illegible]ული იუმორი.

დიახ, მიმისა[illegible]ელურ სამყაროსაკენ უხსნის გზას მიხაკის სურნელება. მაგრამ მის ამ აღმაში ინსტინქტი უფრო სჭარბობს, ალბათ, და არა განცდა. რომელიც მე მეუფლება ამ ყვავილის მაცქერალს. განსხვავება, როგორც ხედავთ, დიდია, მაგრამ, მაიმუნისთვის, დამეთანხმეთ, ეს ბევრ რამეს ნიშნავს.

მე არ მომწონს მისი კარჩაკეტილობა, ამიტომ, გადავწყვიტე, დავაკორწინო. საცოლეც შევურჩიე. არის ზოოპარკში ერთი მისი შესაფერი დედალი მაიმუნი — კიკი. ხელის მოწერისგან ჯერ თავს იკავებენ. უნდათ კარგად გაიცნონ ერთმანეთი, (ეს მე ვურჩიე მიმის, რადგან ასეთი შეცდომა ხადახან საბედისწერო ხდება).ისე, ხშირად ვახვედრებ ერთმანეთს და ორივენი კმაყოფილნი არიან. მიმი გრძნობს თავის უპირატესობას და ცდილობს ღირსეულად ეჭიროს თავი.

საბრალო კიკი! შენ ჯერ არ შეგიცვლია ირრეალიზმის მთელი სინატფე და მხოლოდ ესაა შენი დანაშაული. მაგრამ არა უშავს... მიმი აღგზრდის შენ და შენს წინ გადაიშლება შენი მაიმუნური სული მთელი თავისი ჯურღმულებითა და უფსკრულებით. შენ ჩახვალ შიგ ანთებული ჩირაღდნით და იქნები პირველი დედალი მაიმუნი. ვინც კი ფეხი შედგა ამ უხილავ სამყაროში. მართალია, ის ისეთი ღრმა და რთული არ არის, როგორც ჩვენი, მაგრამ მაინც წარმტაცი იქნება შენთვის. კიკი! აღიჭურვე მოთმინებით და ღირსეულად ზიდე შენი ტვირთი. ისე, ვითარცა მე და მიმი ვზიდავთ მას. და თუ გაგიჭირდა შენს რთულ გზაზე, ხანდახან ჩამოიღე ხოლმე ეგ ტვირთი და დაისვენე... რადგან, მართალია, შრომამ შექმნა ადამიანი, მაგრამ დაუჯერებელია, რომ მუშაობის ქამს იგი ხანდახან არ ისვენებდა, ასე რომ, კიკი, შენ გაადამიანების გზაზე ხარ ახლა. და იქნებ შენმა შთამომავლობამ ისევ განიცადოს ევოლუცია და ადამიანად იქცეს. მას, ალბათ, ისეთი იერი ექნება მეათასე საუკუნეში, როგორიც ჩვენ, ადამიანებს გვაქვს ახლა, მაგრამ, სანტერესოა, ჩვენ როგორებიღა ვიქნებით მაშინ? ამის ამოცნობა ძნელია. ამიტომ თავს ნუ შევიწუხებთ. ისე კი, ალბათ, მკითხველიც შევაწუხეთ უკვე ამდენი აბდაუბდით. მაშ, დავეშვიდოთ ბოთ მას და ქორწილზეც მოვიპატიჟოთ (ჩვენ ვთქვით, რომ მიმი და კიკი ჯერ მხოლოდ ეცნობიან ერთმანეთს, მაგრამ, მე ვგრძნობ, რომ ყოველივე კარგად დამთავრდება). ამიტომ ვბედავ თქვენს მოპატიჟებას. ალბათ, ზეიმი გვექნება. ალა-ფურშეტ. გთხოვთ დაგვაფასოთ და გვეწვიოთ. ვიცი, იმდენად შეგნებული ადამიანი ბრძანდებით, რომ მიხაკებს არ მოგვიტანთ ქორწილზე. ზეიმს არ ჩაგვიშხამებთ... არ გვაიძულებთ მედიტაციურ ჭვრეტაში ჩავიძიროთ მე და მიმი. ასე რომ მოხდეს, მერე ჩვენს თავზე პასუხს არ ვაგებთ. ამიტომ, ნუ მოგვიტანთ ქორ-

წილზე მიხაკებს, ჩემო მკითხველო! ახლა კი მშვიდობით. მომი, კიკი, ჩემს გვერდით დადექით და ხელები გამოუწოდეთ ფურცლიდან მკითხველს. მშვიდობით, ძმაო! გწყალობდეს ღმერთი! შემოდგომაზე ვნახავთ ერთმანეთს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლის პოეზია

დიდხანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამ მოთხრობის დაწერა. საშინლად გამოფიტულად ვგრძნობდი თავს. არ ვიცი, რისი ბრალი იყო ეს. იქნებ იმის, რომ გადავიღალე. მაგრამ მიზეზების ძებნას ნუ დავიწყებთ. ჩემი მიზანი ახლა მხოლოდ ერთია — დაღლილობის ჟამს რიტორიკის ჩრდილში თავის შეფარება და არამედიტაციური ჭვრეტა. ხომ არ გეხმაფუში, ჩემო მკითხველო, ეს „არამედიტაციური“? ალბათ, მეტყვი, რომ ასეთი რამ არც კი არსებობს, მაგრამ მე გიპასუხებ, რომ თუ არსებობს რიტორიკა, უნდა იარსებოს არამედიტაციურმა ჭვრეტამაც, რადგან იგი უფრო რეალური და ხელშესახებია, ვიდრე ზესთასოფლური სინანდიფე, რომლის აღქმაც მხოლოდ გაუცხოების ჟამს ხდება.

ახლა კი, ნება მომეცოთ, თავი გაგაცნოთ.... ვამეყ ა...!

პროფესიით ვინა ვარ? არც კი ვიცი, რამდენი პროფესია მაქვს გამოცვლილი! ვიყავი მეზღვაური, ვიყავი უბრალო მუშა, ვმუშაობდი საწყობის გამგედაც, ისე კი, ისე, ალბათ, უფრო პოეტ ვარ... იქნებ წაკითხულიცა გაქვთ ჩემი ლექსები სადმე? ვამეყ ა... მაგრამ არა, სახეზე გეტყობათ, რომ არ წაგიკითხავთ! რამდენი წლისა ვარ? ოცდათოთხმეტის, ბევრია, არა? დიახ, გადავცდი ასაკს მეუფისა ჩვენისა... ახლა რას წარმოვადგენ? აბა დავფიქრდე, რა ვარ ამდენ პროფესიაგამოცვლილი კაცი ახლა? არამედიტაციური მჭვრეტელი მტკრისა მიწიერი ყოფისა? ახლა კი! მაგრამ ეჰ, რომ იცოდეთ, რა ქარიშხლების მოწმე ვართ მე და რუხი. რუხი ვინ არის? ნუთუ რუხს არ იცნობთ? რუხი მგელია, მგელი, რომელიც ამ შვიდი წლის წინ დავიჭირე ხაფანგით ტყეში. ის მაშინ ნახეკარი წლისაც არ იქნებოდა. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მე მოვახერხე მისი მოთვინიერება. იმდენად მაინც, რომ მე არ მერჩოდეს.

ჰო, მხოლოდ მე არ მერჩის რუხი, ჩემი ამაყი მეამბოხე, პოეტი და მოაზროვნე. პირველი ბიძგიც მან მომცა პოეზიაში.

იმ დღეს ჩვენ ეზოში ვისხედით. ჰოდა, იამ ჩაგვიარა წინ, ჩვენმა მეზობელმა, უცებ რუხი წამოიმართა, ჯერ მე შემხედა გაკვირვებული თვალებით, მერე კი იას ზურგს მიაჩერდა და ჰოი, საოცრებავ! ია მონუსხულივით შედგა. შედგა და დაბნევით მოიხედა ჩვენსკენ. რუხი ცეცხლოვანი თვალებით უმზერდა. ამ დროს მთვარეც ამოცურდა და თავისი ვერცხლისფერი სხივებით გაანათა არე-მიდამო. იამ კი უნებლიედ მკერდზე დაისვა ხელი, კიდევ ერთხელ გაიღიმა დაბნეულად და... წავიდა.

იმ დღეს არც მე და არც რუხს არ გვეძინა. ორივე ვშფოთავდით ძილში. დილით კი რუხმა მკლავზე მიკბინა...

ესეც პოეზია იყო... ამიტომ არ დამიტუქსავს იგი... არც პირი ამიკრავს.

საერთოდ, როცა რუხი ჩემთან იმყოფება. ვგრძნობ, რომ ჩემი აზროვნება უფრო აბსტრაქტული ხდება... მაშინ ჩემი სული მღვრიეა და თან... წმინდაც!

(იქნებ მართალი იყო ერთი აწ განსვენებული კრიტიკოსი, როცა ქართულ სულისკვეთებას უკიდურესი მატერიალიზმისა უკიდურეს იდეალიზმთან შერწყმით ხსნიდა?) მაშ როგორ უნდა იყოს სული მღვრიეც და წმინდაც? არადა, მართლა ასე იყო ხოლმე.

ია კი სპილოსძვლისფერი გახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

1853

დათ... მუქი სპილოსძვლისფერი... ცისფერი რომ დაჯკრავდა ოდნავ. თვალები... თვალები მშვიდი ჰქონდა, გაყინული ცეცხლივით

მეორე ღამეს, როცა ჩამეძინა, ლოყაზე მხურვალე ბაგის შეხება ვიგრძენი.

გავიზმორე და რუხს დაწოლა ვუბრძანე.

არ დამემორჩილა.

მაშინ ავდექი, ჩავიცვი და ეზოში ჩავედით.

გათენებამდე ვიჯურჩულებდით მე და რუხი.

„გაგიშვა“ — ვეჩურჩულებოდი მე... „გინდა ტყეში“ „მოგბეზრდა ქალაქში“, „თავისუფლება გინდა“, „სიყვარული გინდა?“, „რა გინდა, რა?“.

იგი ჩუმად იყო.

„შენ იტანჯები?“ — ვკითხე ბოლოს.

მას არაფერი უთქვამს.

მე კი იმ ღამეს ასეთი სტრიქონები დავწერე:

„საკუთარ სულში გამოკეტილი მგელი.

გიცდის, ძვირფასო, როდის გაუღებ კარებს!“

თუმცა ია ამას რას გაიგებდა... ია პროზა იყო, ნამდვილი პროზა, მაგრამ რამ მონუსხა იმ დღეს? მგლის მაგიურმა პოეზიამ? თუ რამ? არ ვიცი! ერთი კი ცხადია... იმ დღის შემდეგ გაცოფდა რუხი. ასე ცოფდებიან ხოლმე პოეტები და შეყვარებულნი... — ეს მარადიული რომანტიკოსები....

მისი შეშლა ნელა დაიწყო

მე და ია ეზოში ვიდექით.

ია მაღალი იყო... ჯიშიანი ფეხები ჰქონდა და მკვრივი მკერდი. როცა გიმზერდა, წარბებს ოდნავ ასწევდა ხოლმე. ახლაც ასეთ პოზაში იყო გარინდებული.

— ვერ გავიგე! — უკვე მეათედ მეუბნებოდა.

მე ჩემი ლექსის ერთ სტრიქონს ვუმეორებდი გახელებით: „სანთლებია ჩემი თითები!!!“ ის კი ნაწყენი მიყურებდა.

ამ დროს რუხი გამეხახუნა მუხლებზე.

დავხედე.

სისხლივით წითელი ენა ოდნავ მოუჩანდა ლამაზი დრუნჩიდან.

— ამის გაგებას სწავლა უნდა, — თქვა იამ.

— გასწავლი! — უმალ დავეთანხმე.

— ჰოო? — ცალუბად გაიღიმა.

რუხსაც გაეღიმა.

— ამაღამ გასწავლი!

იამ ისევ აზიდა წარბები.

— თავს გავივიდა, — თქვა ბოლოს — ისე კი... გოეთე მესმის და... შენი ლექსები რა გახდა ასეთი?

— გოეთე, — ვთქვი ჩაფიქრებით,

— რუხი, შენ მოგწონს გოეთე?

— შენ მალე ააფრენ! — თქვა იამ.

იგი მიბრუნდა და ჯიშიანი ტანის რხევით წავიდა სახლისკენ.

— სანთლებია ჩემი თითები!!! — ვთქვი მე.

რუხი ნაღვლიანად მისჩერებოდა იას ზურგს.

— წავიდეთ! — ჩახლეჩილი ხმით ვთქვი.

უხალისოდ გამომყვა რუხი.

— ჰო, რუხო, — ვამბობდი მე. — ია ცხოველია... ჯიშიანი, ლამაზი ცხოველი, მართალია, არ არის ჩვენი სიყვარულის ღირსი, მაგრამ... მაინც შევიყვარეთ! ასეთია თვით ცხოვრება, რუხო... იას არ ესმის და არ მოსწონს ჩვენი პოეზია, ჩვენ კი მაინც მიველტვით მას.

უცებ რუხი შედგა... თვალები გაუშტერდა.

წინ აყვავებული იასამნის ბუჩქი იდგა. უცნაური სურნელება იღვრებოდა ირგვლივ.

ბუჩქთან მივედი, ერთი ტოტი მოვტეხე და კიდევ ერთხელ შევახსენე ჩემს მეგობარს!... —

— წავიდეთ!

ვერა პაპაშვილი
მოთხრობები

სახ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ-ბ.

შინ მისვლისას რუხმა პირი არაფერს არ დააკარა. უკვე მესამე დღე იყო, რაც არაფერს ჭამდა. მაგრამ ახლა მისი თავი არ მჭონდა. თვალწინ ია მედგა... რაღაც დაუძლეველ სურვილს ვყავდი შეპყრობილი. ან დღესვე ჩემი უნდა გამხდარიყო ეს ქალი, ან რაღაცას ავუტეხავდი თავს. ყურმილი ავიღე და ისს ნომერი ავკრიფე. არ ვიცი, რას ვლაპარაკობდი, მაგრამ ცხადი ის არის, რომ ნახევარი საათის შემდეგ კარზე ჩუმი კაკუნი გაისმა. რუხმა ოდნავ შეყმუვლა. კარი გავაღე, ჩემს წინ ია იდგა. ამღვრეული თვალებით მიმზერდა. „შემოდი!" — ყრუდ ვთქვი, მაჯაში ხელი ჩავავლე და თითქმის ძალით შემოვიყვანე შინ.

ჰო... მოხდა, ყველაფერი მოხდა ჩემო მკითხველო... მოხდა ქალაქის გაპაჰისას, შედარებით ყრუ ადგილას, მეშვიდე სართულზე. გახელება იყო ეს... გაადფრება და სიშმაგე, მაგრამ... პოეზია კი იყო. თურმე ვცდებოდი ის შეფასებისას. ჭეშმარიტი პოეზია სარეცელშიც შეიძლება იშვას... მერე კი მძლავრი ფრთებითა და კლანჭებით ჩამოგლიჯოს კლიტენი ზესთასოფლისა და მეშვიდე ცაზე აგიყვანოს. სიყვარულო! ჩვენ არ ძალგვიძს ჩაეწვდეთ შენს არსს და ამოვხსნათ ყოველივე, რასაც თავს გვახვევ ხოლმე, არადა, გვახვევ და გვაიძულებ, ვირწმუნოთ იგი, ვითარცა დოგმა, რომელიც, ვიცით რომ მცდარია, მაგრამ სამაგიეროდ ლამაზია და სწორედ ამ სილამაზით მთვრალნი ვამტკიცებთ მის ურყეობას.

მაგრამ რა ვუყოთ რუხს? რუხს, რომლის ხმაც მაშინვე შეწყდა, როცა მე და ია საწოლ ოთახში ჩავიკეტეთ...

და როცა დამთავრდა მთელი ჩვენი სიგიჟე, როცა ბედნიერებით აღვსილნი გარეთ გამოვედით, როცა რუხმა ნახევრად შიშველი ია იხილა, იატაკიდან წელა წამოიმართა, ჩამქრალი თვალები ძველებური ცეცხლით აენთო, საზარლად შეპყმუვლა, ფანჯარას ეცა, გაამსხვრია და გადაეშვა მოუსაღეთში...

რას ფიქრობდა, ნეტა, ჩემი რუხი, ჩემი მეამბოხე პოეტი, როცა განწირული მიქროდა მიწისკენ, რათა შემსხვრეოდა ქვასა და ასფალტს? რას უგრძნობდა მგლური გუმანი? ან როგორი ტანჯვა იგრძნო მაშინ, როცა ვნებადამცხრალი ია იხილა? არ ვიცი! ერთი კი ცხადია: სიყვარულით წარმოშობილ ტანჯვას სიკვდილი თუ უწამლებს მხოლოდ. მაშ, განსაკუთრებულ მარადიულ განსასვენებელში ამიერიდან, ჩემო მეგობარო... შენ კი, მკითხველო, მოძღვარო და მოყვასო ჩემო... — შეუნდე რუხს ეს ცოდვილი განცდა და, თუ შეგიძლია, მიკურთხე ჩემი სიყვარულით შეშლილი მგელი!

ᲒᲘᲣᲜᲐᲠᲓᲘ, ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲩᲔᲠᲐᲚᲛᲘ

არ ვიცი, დაჯერებთ თუ არა ამ ამბავს... თუმცა, რა არის აქ დაუჯერებელი... მაგრამ, მოდი, შენ თვითონ გადაწყვიტე, ჩემო მკითხველო, მართლა მოხდა თუ არა ეს.

მე რა მქვია? იესე... ჰო, იესე. ახლა თორმეტი წლის ვარ. ვწყევლი, ვწყევლი ჩემს სახელს, რადგან ბავშვობაში ჩემი სახელის ბოლო ხმოვანს —ე—ს, ო—თი ცვლიდნენ ბავშვები, როცა ჩემი გაბრაზება სურდათ... ნაადგომეულ ხომ ნუღარ მკითხავთ, როგორც კი ჩავიდოდი ეზოში, ყველანი მომცვივდებოდნენ, კვერცხები გვიკურთხეო.

ყველაზე მეტად №... მაბრაზებდა (სახელს არ ვიტყვი, მეტად პროზაული სახელია). ჰოდა, ამ N მა, (ჩემი ხნის ბიჭი იყო, მაგრამ, ჰეიჰ, ერთი გენახათ რა დაგვალული, ჭორფლიანი, მახინჯი და მუწუკიანი), ერთხელ, როცა ჯერ კიდევ ათი წლისა ვიყავი, თვალებანთებულმა გამიყვანა ეზოს კუთხეში და ჩურჩულით მითხრა — ნუ გრცხვენია, რომ ღმერთი ხარ, შეუნდე მოყვას-

სო, მე ერთხანს ვუყურე, მერე კი ერთი მაგარი პანღური ამოვკარი, იგი ტალახში ჩაეცა. ერთხანს ასე იყო... ბოლოს თავი ასწია და რაღაც უცნაურად გამიღიმა, ამ დროს მზია მოვარდა... და მოხდა საოცარი რამ: ერთ დროს ჩემზე შეუკვარებულმა გოგონამ (რამეთუ ამ ასაკშიც უყვარით ერთმანეთი), მომუეა თავის თლილი გრძელი თითებით ტალახი და სახეში მესროლა.

— რატომ მესვრი? — ვკითხე ბრაზით და რისხვით გაოგნებულმა.

— აბა, რატომ სცემ — დაიწივლა მან.

— იუდას სცემს, გოგო, იუდას, — ჩამესმა თოდა-ბიძიას ხმა (თოდა ჩვენი მეზობელია, ეშმაკურთვალება, გრძელცხვირა კაცი).

— იუდას მოხდა, იუდას! — იხუვლეს ბავშვებმა, წრე შეკრეს ჩვენს გარშემო და ფერხული გაანაღეს.

„იუდა“ კი იყო ტალახში ჩაცემული, დასვრილი და ობობასავით ჩამძვრალი საკუთარ სხეულში.

ამის შემდეგ №— ს იუდა შეარქვეს

გავიდა ორი წელი.

იუდა (მოდი, ამირიდან ასე ვუწოდოთ მას) საოცრად გარდაიქმნა. გაიზარდა, წითელი თმა ოქროსფერში გადაუვიდა, სახე დაეწმინდა, გალამაზდა, ამაღლდა.... მე კი... მე... თუმცა ნურაფერს ვიტყვით, მაგრამ სახელი — იესო შემრჩა. ის ზიზღი და მძულვარება კი, რომელიც ჩემდამი იყო მომართული, გადაიზარდა შემზარავი ძალის სიძულვილში! რომლის ქვეშაც ისრისება ყველა, ვისაც თავს ატეხს მას განგება.

ღმერთო ჩემო, რა ლამაზი გახდა ეს ოდესღაც მახინჯი იუდა... მის სიტყვას მასწავლებლებიც აფასებდნენ... იუდამ ეს თქვა... იუდამ ის გააკეთა...

როცა თორმეტი წელი შემისრულდა, ჩემს დაბადების დღეზე მთელი ეზო დავპატიჟე; დავპატიჟე იუდაც. აბა რა მექნა, მან ერთი საიდუმლო იცოდა, კერძოდ ის, რომ მე ახლაც მიყვარდა მზია.

... და როცა სუფრას ვუსხედით, უცებ გამახსენდა ბიბლიური ტრაპეზი იესო მაცხოვრისა და ვთქვი:

— ერთი თქვენთაგანი გამცემს მე!

სიტყვის დამთავრება არ დამცალდა, რომ იუდა წამოვარდა და იყვირა:

— იესოს მზია უყვარს, მზია!

თითქოს მეხი გავარდაო...

მზია კი იჯდა თვალდახრილი.

მე შევხედე მას და ვთქვი:

— იუდა მართალია!

და უცებ — მზის სხივთა ჩქერალი ჩამოეშვა ციდან, თავის წიაღში ამომავალო, განმბანა და მოკრძალებით მანიშნა ცისკენ.

ეს იყო და ეს.

როცა გამოვფხიზლდი, ექიმი მადგა თავზე. იგი ნაღვლიანად იღიმებოდა.

— რა მოხდა? — ძლივს ამოვთქვი მე.

— არაფერი, შვილო, — თქვა ექიმმა, — ცუდად გახდი, ახლა კარგად ხარ.

ორი კვირა არ მივლია სკოლაში, ბოლოს, როცა ისევ დავუბრუნდი ტოლსწორთა, შემზარავი ამბავი გავიგე: იუდა ფეხბურთს თამაშობდა სკოლის ეზოში, ბურთი ქუჩაში გავარდნილა... იუდა გაჰკიდებია და მანქანას შევარდნია ბორბლებქვეშ.

მზიამ ჩურჩულით მითხრა მის საფლავზე მდუმარედ მდგომს: — ხომ უნდა დაემტკიცებინა, რომ მართალი იყო ყველაფერიო.

მე ვერ გავიგე, რა უნდოდა ამით მზიას ეთქვა. ისევ იმ მზის ჩქერალზე ვფიქრობდი, მაშინ რომ მანიშნა, ცისკენ გავყოლოდი. ვფიქრობდი და ვგრძნობდი, რომ ზურგზე რაღაც მაწვებოდა. წინ აღმართი იყო. აღმართზე თავდებოდა სასაფლაო. იქ, სადაც დიდი, შავი ჯვარი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მოგახსენეთ (არ ვიცი როდის), რომ მიხაკები სასწაულებრივი ყვავილებია. ეს რომ ასეა, შემიძლია მუდამდღე ვიმეორო... მაგრამ შენ ისეთი ურწმუნო თომა ხარ, ჩემო მკითხველო, რომ თუ ფაქტი არ მოგიყვანე, ბოლომდე მაინც არ მენდობი. ჰოდა, ახლა მოგიყვები, როგორ იცეკვა ერთხელ შვიდმა მიხაკმა.

საღამო იყო. ნელი იყო ჩემთან. აი, ის პატარა, კოხტა გოგონა, მინიატურული გოშაის ლეკვს რომ ჰგავს. იმან მომიტანა სწორედ ის ყვავილები, თვითონ იჯდა ტახტზე და მოუჩანდა თავისი პატარა, მაგრამ ლამაზი და ჯიშიანი ფეხები.

მეძინებოდა, ვერც ვბედავდი მეთქვა, წადი მეთქი, რადგან ვიცოდი, რომ მეორე დღეს ისევ მომინდებოდა მისი ნახვა. არადა, რა უცნაურია, არა, ეს გრძნობა? შენთვისაც ნაცნობია იგი, ჩემო მკითხველო? ზიხარ მშვენიერი მანდილოსნის წინ და გულში ლოცულობ: „რა მოხდება, დროზე წაეთრეს შინ!“ ნელი კი იჯდა არხეინად და ამთქნარებდა. ისეთი ლამაზი იყო; კინაღამ ვუთხარი — ტუგრი, ტუგრი შინ წადი-მეთქი. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლებოდა.

ამიტომ მზერა ლარნაკისკენ მივმართე, სადაც ყვავილები ჩავდგი, სულ სხვადასხვა ფერის ყვავილები იყო. ერთი — მთლად კოკორი, მწვანე, მეორე — ვარდისფერი, მესამე — წითელი, მეოთხე — თეთრი, მეხუთე — მტრედისფერი, მეექვსე — შავწინწკლებიანი და მეშვიდე — ცისფერი, გადატეხილი...

უცებ, შავწინწკლებიანი მიხაკი გადაიხარა წითლისკენ, შეეხო მის კენარ ტანს თავისი მთრთოლვარე ხელებით და ნაზად მიიხუტა. ასევე მიეკრო თეთრი მტრედისფერს, მთლად გაუშლელი კოკორი — ვარდისფერს... მხოლოდ ცისფერი დარჩა კენტად.

ჰოდა, აცეკვდნენ ჩემი მიხაკები... ლარნაკიდან გადმოვიდნენ და ფერხული გაეჩაღეს. ნელი თვალდაჭყეტილი უმზერდა ამ შვენიერ ორგიას.

„მუსიკა, მუსიკა არის საჭირო!“ — იყვირა უცებ და პიანინოს მიუჯდა, ძველებური ვალსი დაიგუგუნა ხელად.

წამოვხტი, ხელი მოვხვიე სკამს და მეც ვალსის ცეკვა დავიწყე. „ცისფერი ხარ, ცისფერი!“ — კისკისებდა ნელი, ალბათ, კენტად დარჩენილ ცისფერ მიხაკს თუ გულისხმობდა. მე უცებად მთლად გამოვფხიზლდი... ჩავები ამ უცნაურ ფერხულში და გათენებამდე ვცეკვავდი.

როცა ცა მტრედისფრად შეიფეთქა, ნელიმ დაკვრა შეწყვიტა.

მიხაკები ისევ ლარნაკში ჩადგნენ და გაირინდნენ... მე კი საშინლად აღგზნებული გავხლდით და ისევ მიყვარდა ნელი... მაგრამ არ მინდოდა თავს გამოვტყდომოდი, რომ სიფაქიზე ეროსს აღვიძებს სხეულში...

ნელი კი უმწეო ბავშვივით იდგა ოთახის შუაში და კვლავ ფინიასავით შემომყურებდა.

უცებ საშინლად გავიზიანდი. ხელი დავავლე ცისფერ, გადატეხილ მიხაკს ფეხქვეშ გავიგდე და გავთელე!

ნელიმ დაბნეულად შემომხედა.

„რა იყო?“ — ეკითხე თვალებით.

„არაფერი!“ — მიპასუხა მან.

„იცი რა მოხდა გუშინ?“

„ჰო! ყვავილებმა იცეკვეს!“

„მერე? განა ეს ცოტაა შენთვის? რას მომჩერებიხარ?“

„წავიდეთ, ხაში ვჭამოთ!“ თქვა ნელიმ.

(„რა შეუსაბამო რამ თქვა არა ნელიმ, ჩემო მკითხველო?“)

მაგრამ ხაშზე უარს მეც არ ვიტყოდი. ამიტომ წავედით კიდეც. როცა მოვბრუნდით; მიხაკები ისევ ლარნაკში დაგვიხვდა.

„დედაო ღვთისავ, ჩვენი მუცელი მოაოჭროვე პურით და ხაშით“, —

ვთქვი ბელა ახმადულინას ლექსის სტრიქონი.

მიხაკები კი ოქროსფრად მაინც არ გადაიქცნენ.

ექვსი მიხაკიღა დარჩენილიყო... მეშვიდე, გასრესილი, ძირს ეგდო და სულს ღაფავდა.

ნელი ისევ პიანინოს მიუჯდა.

მე კი ვიღებდი სათითაოდ ყველა მიხაკს, საალერსო სიტყვებს ვეუბნებოდი და მერე ფეხით ვთელავდი.

ნელი ყვიროდა, მაგრამ მაინც განაგრძნობდა დაკვრას.

მან არ იცოდა, რომ მე მინდოდა მეტნახა, გათელილი მიხაკები როგორ აღდგებოდნენ, მწვანე ხორცს კვლავ შეიახამდნენ, დაღვრილ სიტკბოებას აღიდგენდნენ, ფრთებს შეისწორებდნენ, მაგიდაზე შეფრინდებოდნენ, ლარნაკს მიეხლებოდნენ, გაიწკრიალებდნენ და ისევ გაიჩაღებდნენ ფერხულს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამჭვირვალე მზე

ვისაც ერთხელ მაინც უცდია წერა, მიხვდებოდა, რა რთულია ეს საქმე. ბევრჯერ უთქვამთ და რა საჭიროა გავიმეორო, რომ ამას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება... ნიჭი — ხელოვანისა და პოეტისა, თუმცა არიან ადამიანები, რომელთაც ერთი სტრიქონიც არა აქვთ დაწერილი, მაგრამ პოეტები კი არიან. ეს ძველი ჭეშმარიტებაა და მეც, ამის განმეორებით, თითქოს ახლა ვიგონებდე ბობრბალს, მაგრამ ეს იმის გამო ხდება, რომ ერთ-ერთ ასეთ ადამიანზე მინდა მოგიყვეთ.

მე იგი ჩემი ამხანაგის დაბადების დღეზე გავიცანი. მაღალი, გამხდარი, სათვალებიანი გოგონა იყო. არ ვიცი, რაზე ვსაუბრობდით თავიდან, ბაგრამ თანდათან შევატყვე, რომ უჩვეულო არსება უნდა ყოფილიყო. სიტყვა „უჩვეულო“ ცოტა სანტიმენტალურად ჟღერს, მაგრამ შენ რომ ნინო გაგაცნო, ჩემო მკითხველო, ამას აღარ იტყოდი.

როცა სუფრა აიშალა, მე მას შინ გაცილება შევთავაზე, რაზეც ის ნაღვლიანი, ოდნავ დამცინავი ღიმილით დამთანხმდა.

მშვენიერი საღამო იყო.

წვიმწკლვადა...

ნელა მოვუყვებოდით აღმართს.

— წერა არასოდეს გიცდიათ? — ვკითხე მე.

— კი; ბავშვობაში, — ღიმილით თქვა ნინომ, — მაგრამ მერე, მოხდა ისეთი რამ, რამაც მაიძულა ხელი ამეღო წერაზე:

— კერძოდ, რა?

მას ხმა არ ამოუღია.

სავალდებულოდ არ ჩავთვალე ჩავძიებოდი.

— აი, მაგალითად თქვენ! — თქვა მან.

— ჰო, რა მე, ნინო?

— როგორც თვითონ ამბობთ, წერთ და იბეჭდებით კიდეც... განა ეს კარგია?

— არ ვიცი! — ოდნავ დავიბენი, — მაინც რა არის ამაში ცუდი?

— რა ვიცი — თქვა, — სულის გაშიშვლება, — იგი შედგა და ჯიქურ შემომხედა, — ნუთუ ამაზე არ გიფიქრიათ?

— ჰმ, არა, არ ვიცი, — ავლუღლუდდი მე, — თქვენ ისეთ კითხვებს სვამთ, რომ საოცარიც კია...

საოცარი კი არა, მართალია... იგონებთ ათასგვარ არ არსებულ ამბავს, სიტუაციებს... და ბოლოს, რითი თავდება ყველაფერი? რომ ვიღაცამ შეიძლება არც წაიკითხოს თქვენი მოთხრობა თუ ნოველა.

— არ ვიცი, — ვთქვი მე, — თუმცა მაინც ვერ დაგეთანხმებით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენზე ხომ არც არის დამოკიდებული, დავწერთ თუ არა!

— აბა ვიზე?

თითი მაღლა ავწიე.

ერთხანს მიყურა.

მერე გაიცინა.

— კარგით ერთი! — თქვა და ხელი ჩაიქნია.

თავს შეურაცხყოფილად ვთვლიდი.

ეტყობა, იგრძნო ეს და შეჩერდა.

— ცუდს ნურაფერს იფიქრებთ, უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვთქვი ამ საკითხზე.

— ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, — ვთქვი მე, — მე ახლა ის უფრო მაინტერესებს, რას აკეთებთ ხვალ.

— ხვალ... ჰო, ხვალ, — ჩაფიქრებით თქვა მან. — მე მგონი თავისუფალი ვარ.

— მაშინ... თავხედობად ხომ არ ჩამითვლიდით, ყავაზე რომ დაგპატიჟოთ.

— არა, არ ჩაგითვლიდით, — და გაიღიმა, — აი, ჩემს სახლამდეც მოვედით! იგი შედგა და ხელი გამომიწოდა.

შეხვედრის დრო და ადგილი დავუთქვი და გამოვეთხოვე.

●

მეორე დღეს ნინო დროზე მოვიდა.

ოცი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე მაგიდას მივუსხედით.

ნინოს შავი, ყელამდე შეკრული ვრძელი კაბა ეცვა.

ერთხანს ჩუმად ვისხედით.

— რაზე ფიქრობთ? — მკითხა უცებ.

— არც კი ვიცი... ალბათ, უფრო თქვენზე.

— მერე, რას ფიქრობთ ჩემზე?

— წარმოიდგინეთ, იმდენად ნაკლებად გიცნობთ, რომ არც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

— ჰოო... — თქვა მან.

— მე გუშინდელი საუბარი მახსენდება, — ვთქვი მე.

— ჰო... გუშინ... რა მოხდა გუშინ?

— გუშინ თქვენ მწერლობის, და, საერთოდ, ხელოვნების წინააღმდეგ ილაშქრებდით.

— ნუთუ მართლა? — გაუკვირდა,

— მერე გაიღიმა და თქვა: — თუმცა, ჰო, მახსოვს მერე, მოხდა რამე?

— რაღაც დათრგუნვილად ვგრძნობ თავს.

— არ უნდა შეგეშინდეთ, — მითხრა, მან. — თქვენი პოზიცია არ უნდა დათმოთ.

— არა, პოზიცია არაფერ შუაშია. პოზიციამდე არც კი მივსულვართ.

— საბრალო, — ოდნავი დაცინვით გაიღიმა. — რაღა გეშველებათ ახლა?!

მე ხელი ხელზე დავადე.

გაკვირვებით შემომხედა. ხელი აიღო.

უცებ უჩვეულო კითხვა მომცა:

— მოგწონვართ?

— ძალიან! — მივუგე.

გაიღიმა, ყავა მოსვა და თქვა:

— მეც მომწონხარო, მაგრამ...

— რა მაგრამ, ნინო?

— არაფერი, — ეტყობა გადაიფიქრა, — წავიდეთ აქედან.

გარეთ გამოვედით.

ქუჩაში ძველებური კონკა იდგა.

— ჩავსხდეთ? — ვკითხე.

მხრები აიჩეჩა.

კონკაში ჩავსხედით.

სიგარეტი გავაბოლე.

ნინოს გაღიზიანება შევნიშნე.

— რა მოხდა, ნინო?

— არაფერი... სჯობია წავიდეთ.

სანაპიროს გავყევით.

ნინო ვიღაც გამვლელს დააკვირდა.

მაღალი, ლამაზი ჭაბუკი იყო.

მანაც შენიშნა ნინო.

ორივენი შედგნენ.

მერე ნინომ თავი დაღუნა, ხელმკლავი გამიკეთა და სწრაფად გაიგრძელა გზა ჩემთან ერთად.

როცა საკმაო მანძილი გავიარე, მე მას შევხედე.

ერთიანად გადაფითრებულიყო.

თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

— რა მოხდა? — ვკითხე შეშფოთებით.

— არაფერი, — თქვა და შედგა. — ა-რა-ფე-რი, — გაიმეორა დამარცვლით.

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, — თქვა და რაღაც ბოროტად გადმომხედა, — მე უნდა დაგტოვოთ.

— მიგაცილებთ, ნინო!

— არა, არა! — სწრაფად მითხრა მან, მერე დაფიქრდა, საფულე მოჩხრიკა, ქაღალდი ამოიღო და მომაწოდა — აქ ჩემი ტელეფონის ნომერი წერია: დამირეკეთ!

ამ სიტყვებზე მიტრიალდა და უკან წავიდა.

●

მეორე დღეს, როცა ნინოს ველაპარაკე, უკვე დამშვიდებული ხმა ჰქონდა.

ისევ იმ ადგილას დავთქვით შეხვედრა.

იგი ღიმილით შემხვდა.

— ნინო, რა მოხდა გუშინ? — ვკითხე, როცა საკმაო მანძილი გავიარეთ.

— ძველი ამბავია, — მომიგო მან. — ოდესმე მოგიყვებით... თუმცა... — იგი შედგა. — რატომ ოდესმე?

არაფერი მითქვამს.

— ალბათ, თქვენც შეამჩნიეთ ის ყმაწვილი კაცი?

თავი დავუკარი.

— ჩვენ ერთ დროს ვმეგობრობდით... უფრო სწორად, ბავშვობიდან ვმეგობრობდით... უცნაური ხასიათის კაცია. — ნინოს ხმა აუკანკალდა, — ეს მან შთამაგონა, რომ ლექსების წერა სისულელეა და რაც ნაკლებ შრომობს ადამიანი შემოქმედებითად, მით უფრო იმუტტება ღვთაებრივი ნაპერწკლით... დიახ, ეს შეიძლება ანეცაა, მაგრამ... — იგი შედგა — ის მაინც საშინელი პიროვნებაა! ჩვენ აღარაფერი გვაკავშირებს!

— მაინც, რაში გამოიხატება ეს? — ვკითხე მე.

— რა? — დაბნევით შემომხედა ნინომ.

— მისი უარყოფითობა?

— ჰმ... ის... ის... — თქვა და ენა დაება.

ორივე შევდექით.

— ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, — ნაძალადევად გაიღიმა — სჯობია, ყველანი ხანში წავიდეთ.

და ჩვენ იმ დღეს მართლაც არ გვისაუბრია ამ თემაზე.

●

ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. რა უნდა გითხრათ ნინოზე? მართლაც უჩვეულო გოგონა გამოდგა, როგორც ზემოთ მოგახსენებდით. პოეზიის მონაზონი ვუწოდე მე მას და, ალბათ, ამაზე შესაფერის სახელს ვერავინ მონახავდა. დიახ, იგი მთლად დატკივრთული იყო პოეზიით, მაგრამ ეს ის პოეზიაა, რომელიც არასოდეს გამოვა გარეთ, ვერ იხილავს დღის სინათლეს და თვითონაც სინათლედ ქცეული, ვერასოდეს გაანათებს მზისქვეშეთში. მაგრამ იგი არსებობს და მის არსებობას ცხადყოფს დიდი, სხივიანი თვალები, დაბინდული მზერა, მშვენიერი სახე და ნატიფი ბაგეები. ძალიან მიკვირს, საიდან უნდა გასჩენოდა ეს გრძნობა თითქმის სკოლის ასაკში, ან როგორ უნდა ეტვირთა პოეზიის მონაზვნობის მთელი სიმძიმე? ამაზე ახლაც ვერ გიპასუხებთ. ერთი კი ცხადია: ნინო მართლაც უცოდველი გახლდათ... ერთი წვეთიც კი არ დაღვრილა მისი პოეზიის თასიდან იმ დღის შემდეგ, რაც თვითვე ჩაიცვა პოეზიის მონაზვნის სამოსელი.

●

ჩემთან ვიყავით ასულნი.

ტახტზე ვიხხუდით.

მე მისი ხელი მეჭირა და ვეფერებოდი.

ნინო ფანჯარაში იყურებოდა.

— პირველად ვხედავ ქალს, სათვალე რომ ასე უხდებოდეს, — ვთქვი მე.

ნინოს გაეცინა, სათვალე მოიხსნა და შემომხედა.

— ასე არ სჯობია? — მკითხა.

მხრები ავიჩეჩე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— რაი არს მონაზენობაი შენი? — ვკითხე უეცრად.

მან თავისი შუქიანი თვალები შემომანათა და —

— საიდუმლოი შვიდი ბეჭდით დაბეჭდულიო, — მომიგო.

— მაინც, საოცარია! — ვთქვი მე.

— რა?

— წერა გინდოდეს და არ წერდე!

— ჰოო... — გაჭიანურებით თქვა. — მოდი, ნუ ვილაპარაკეთ ამაზე.

თავი დავუქნიე.

— რა საოცარი მზეა, — თქვა უცებ ნინომ, — გამჭვირვალე მზე.

ფანჯარაში გავიხედე.

გამჭვირვალე მზე, — ჩაფიქრებით ვთქვი.

უცებ ტირილი აუვარდა.

მე გული გადამიქანდა...

მაგრამ დიდხანს არ უტირია... მალე ისევ ამოძხედა თავისი შუქიანი თვალებით...

— წამიყვანე დღეს სადმე, — მთხოვა ჩემს მკლავებში მომწყვდეულმა.

— მაინც სად?

— თუნდაც თეატრში... მგონი დღეს კარგი სპექტაკლია...

— კეთილი, — დავეთანხმე მე.

●

საღამოს თეატრში წავედით.

კარგი სპექტაკლი იყო.

მსახიობებიც კარგად თამაშობდნენ.

პარტერში ვისხედით...

როცა წარმოდგენა დამთავრდა და მსახიობები „ბის“-ზე გამოიძახეს, ჩვენს წინ ის ჭაბუკი აისვეტა, სანაპიროზე რომ შეგვხვდა.

— ყველაზე ნიჭიერ მსახიობს, — თქვა მან და ნინოს აკანკალებულ ხელებში ყვავილები შეაჩეჩა.

ისინი ერთხანს ჯიქურ უყურებდნენ ერთმანეთს თვალებში... და უცებ... ნინომ მოიქნია ყვავილები და სახეში სთხლიშა ჭაბუკს.

ირგვლივ მყოფნი შეკრთნენ... ჭაბუკმა კი რაღაც მეფური სიზვიადით გაიღიმა.

ნინომ ხელები სახეზე აიფარა და დარბაზიდან გავარდა.

ფეხდაფეხ მივყევი...

●

გარეთ საშინლად წვიმდა...

ნინო სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა...

ერთიორჯერ შედგა, მომხედა, მერე ხელი ჩამჭიდა და ბოლომდე არ მომცილებია.

— რა საშინელია ასეთი ხვედრი, — ამბობდა ის გაყინული ხმით, — ღმერთო ჩემო! მან ახლაც მე დამადანაშაულა! მსახიობი მიწოდა! იცი კი თვითონ ვინ არის? — იგი შედგა და გიჟივით დამაკვირდა, — ის სატანაა, სატანა, რომელიც მე ღვთის მოციქული მეგონა.

ნინო ერთხანს დადუმდა, მერე ისევ ალაპარაკდა.

— ბავშვობიდანვე ასეთი იყო... მაინც, რატომ ამირჩია თავის საექსპერიმენტო ობიექტად? ეს ჭკუიდან მშლის. იცი თუ არა, რომ ერთხელ ხელიც მთხოვა?!

მე დაბნეულად გავიქნიე თავი.

— ჰო, არ იცი... ისიც არ გეცოდინება, რომ მე დავთანხმდი... მაგრამ საოცარი ის არის, რომ ხელის თხოვნის მეორე დღესვე გაქრა ქალაქიდან! შემდეგ ისევ გამოჩნდა... ერთი წლის შემდეგ... გამოჩნდა და უკვე თვითონ დასცინოდა თავის იდეას, რომელიც ბავშვობიდან თავს მომახვია... სტაყვა — „პოეზიის მონაზონი“ შენგან როდი გავიგონე პირველად... ეს მან შემარქვა, როცა ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ვიყავი, როცა ლექსების წერაზე ხელი ამაღებინა... მერე იმის პირობაც გამომთხოვა, რომ არავის გავყვებოდი ცოლად... მაგრამ, აი, შენთან მნახა... რა დავუშავე? ღმერთო, რა დავუშავე?

ვუყურებდი ნინოს სახეს და მიკვირდა... მთლიანად შეცვლილიყო

იგი... თითქოს უნატიფეს, უცისფრეს დიდ ყვავილად ქცეულიყო, აქეთ-იქით რომ ირწეოდა და ამ სამყაროს მარწუხებიდან დასხლტომას ლამობდა. ერთი ორჯერ ისიც მომეჩვენა, რომ ყვავილის ღეროს ვუჭერდი ხელს წერწეტა ტანზე...

ნინო შეჩერდა, უცნაურმა გარინდებამ შეიპყრო მრისხანების შემდეგ.

უ, რა მოხდა? — კკითხე მე.

— ის... ის საოცრად ამაყია, — თქვა შიშით, ის მე არასოდეს მაპატიებს.

— ჩემზე არ ფიქრობ, ნინო? — კკითხე და ხელი დავუჭირე.

— მე უნდა წავიდე მასთან, — თქვა და ხელი გამომტაცა. — უნდა წავიდე.

— შენ ამას არ იზამ, ნინო!

— ვიზამ, — თქვა ჩურჩულით, — მერე იყვირა: — ვიზამ! წავალ, მუხლებში ჩავუვარდები, სულ თითო-თითოდ აკკრიფავ იმ ყვავილებს! — იგი ძალიან ბრუნდა და გაიქცა.

უცებ მანქანის ბორბლების ღრჭიალი და კივილი მომესმა.

გიჟივით გავვარდი.

მძღოლი მანქანიდან გადმოსულიყო და გაოცებული შლიდა ხელებს.

— რა მოხდა? — კკითხე მე.

— არ ვიცი, — დაბნევით თქვა მან, — აშკარად დავინახე, ვიღაც ქალი ჩამივარდა ბორბლებქვეშ... დავამუხრუჭე; გადმოვედი!.. ბორბლებქვეშ კი გასრესილი ყვავილები ყრია!

ტირილი ამივარდა.

მძღოლი ერთხანს გაოცებული მიმზერდა, მერე მანქანაში ჩაჯდა და დაიძრა.

მე კი ვკრეფდი გაყვითლებულ, გაცრეცილ, მანქანის ბორბლებით გადასრესილ ყვავილებს და ვიცოდი, რომ ამიერიდან ვეღარასოდეს ვნახავდი ნინოს!

რჟავარდიანი ირემი

მოხუცმა მონადირემ მითხრა საიდუმლოდ: ერთხელ, ნადირობისას, რჟავარდიანი ირემი ვნახეო. ბავშვობაში მითხრა ეს... ჰოდა, მეც სიყმაწვილიდან დავეძებდი იმ ირემს.

რჟავარდიანი ირემი მშვენიერება იყო თავად და, ალბათ, ეს თუ მიმღვრევდა სისხლს:

არ დავმალავ და, უკვე უნახავად მიყვარდა იგი...

ისიც ვიცოდი, ჩემს ტრფობას რომ იუკადრისებდა და ეს უფრო მაცოფებდა.

ხშირად მომჩვენებია სიზმრად — მაღალი, ამაყი, რჟანზე შემოწნული პაწაწინა, წითელი ვარდებით.

ჰო, სასწაული იყო იგი, — ცით გადმოვლენილი, ნისლოვან ტყეებში ოქროსფერ ზმანებად მოარული, ნაზი და სევდიანი.

ერთხელ, მის ძებნაში ტყეში გზა ამებნა.

ბინდდებოდა

ხეზე ავძვერი და ტოტებ შორის მოვიკალთე.

იმედი მქონდა, დილით გზას რაღორმე გავიგებდი.

უეცრად სიმღერის ხმა შემომესმა.

დაბლა ჩავიხედე.

პატარა, ლამაზი გოგონა დავინახე, კალათით ხელში...

— ჩამოდი! — თქვა უბრალოდ და მის თვალებში უცნაური სხივი გაკრთა.

ძირს ჩავედი.

იდგა და მიღიმოდა.

— ვინა ხარ? — კკითხე.

— მე ამ ტყის სული გაბლაკარ, — მომიგო მან. — ვიცი, რომ გშია და გწყურია, ჰოდა, აი! — მან ამ სიტყვებზე კალათიდან საუზმე და დოქით წყალი ამოიღო.

გაოცებული უხმოდ შევექეცი საჭმელს.

— მაშ, რქავარდიან ირემს ეძებ? — მკითხა უცებ.

თავი დავუქნიე.

— ძალიან გსურს მისი ნახვა?

— ჰო! — ვთქვი და ვიგრძენი, სახეზე როგორ მომაწვა სისხლი.

— მომეცი შენი თოფი!

შევყოყმანდი. ბოლოს მაინც მივაწოდე.

— ახლა დანა!

ისიც მივეცი...

იარაღი თხრილში ჩაყარა.

— ახლა კი, ელოდე! — გაიღიმა მან და... გაქრა.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია.

მწვანე ტევრი გადაიპო და ჩემს წინ რქავარდიანი ირემი აისვეტა!

როგორ გადმოვცე მისი მშვენიერება!

ენახავარდნილი დიდხანს ვუმზერდი.

მალე ის ჰაერში გამკრთალდა და გოგონას წკრიალა ხმა შემომესმა.

გამოვფხიზლდი.

ტყის სული თავზე მადგა და იარაღს მაწვდიდა.

— მეც უნდა წავიდე. — თქვა მან.

ცრემლები წამსკდა... ვემუდარებოდი კიდევ ერთხელ ენახვებინა ჩემთვის რქავარდიანი ირემი... ვიმუქრებოდი, ვიწყევლებოდი, ერთი ორჯერ თოფსაც კი წამოვავლე ხელი, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

— თუ ბედი გაქვს, კიდევ ნახავ! — თქვა მშვენიერმა არსებამ და გაუჩინარდა.

თანდათან რისხვა დამიცხრა და სინანულმა შემიპყრო.

ამ ყოფაში ჩამეძინა კიდეც...

გათენებისას გამეღვიძა.

ძალიან სუსტად ვგრძნობდი თავს.

წამოვდექი და ბილიკის საძებნელად წავლასლასდი.

უცებ... რქავარდიან ირემს მოვკარი თვალი!

არ ვიცი, რა დამემართა... იაღრეკ უაზრო გააფთრებამ შემიპყრო... თოფი ავწიე, დავუმიზნე და... ვესროლე!

ირემი არც განძრეულა...

მომეჩვენა, თითქოს გაეღიმა კიდეც...

მერე, ნელი ნაბიჯით გამოემართა ჩემკენ.

მთლად აკანკალებულს, სიმწრის ოფლმა დამასხა.

იგი სულ ახლოს მოვიდა ჩემთან, თავი დახარა და ჩემს წინ სისხლის წვეთივით დაეცა წითელი ვარდის კოკორი.

დავიხარე და ავიღე.

— შენი ტყვია ამცდა, — ღიმილით თქვა რქავარდიანმა ირემმა.

მე ხელის ჩამოსმა დავუპირე პირზე, მაგრამ იუკადრისა, განზე გადგა და დამცინავად გადმომხედა.

— ნუ შეხვალ ჩემგან! — შეევედრე და თავი ჩაქენილი.

— ეს შეუძლებელია! — თქვა მან, — სამაგიეროდ, როცა ჩემი ნახვა მოგინდება, დახედე მაგ ყვავილს და, რაც უნდა შორს ვიყო, მაინც დამინახავ!

ამ სიტყვებზე ის გაქრა.

ეს იყო და ეს...

იმ დღის შემდეგ სანადიროდ აღარ წავსულვარ.

ცხოვრება ისევ თავისი გზით მიდიოდა.

მე, როგორც ყოველთვის, განზე ვრჩებოდი.

მაგრამ ახლა ჩემთან იყო რქავარდიანი ირმის სახება; რომელიც მაძლებინებდა ამ ცრუ წუთისოფელში

ჰო, ამიერიდან რქავარდიან ირემს ეკუთვნოდა ჩემი სული...

ჩემი სულიც და მეც!

ხოლო რქავარდიანი ირემი კი... რქავარდიანი ირემი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა, ალბათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ საწუთრომან დამამხოს...

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოვლისა დამამხობელმან...“ — გალობდა გოგონა. ნაღვლიანად ჟღერდა ეს ხმა, მტრედივით აფრთხიალებული და მოწყრიალე. მე ტახტზე ვიჯექი და თვალებმოჭუტული შევცქეროდი სევდიან ქალწულს. გოგონა კი მშვენიერი იყო... სანთლისგან ჩამოსხმულს ჰგავდა. რა უნდა მეთქვა მისთვის? მისი იერი ყოველგვარ ბიწიერ ზრახვას უკუაგდებდა და იჯდა ასე... მოწიწებული და ღვთაებრივი...

„თუ საწუთრომან დამამხოს, — ვფიქრობდი. — მაშინ მოდი, დაიხარე ჩემკენ, გაშალე ეგ გრძელი დალალები და დამიტირე, ძვირფასო!..“ მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ვეტყოდი... გაცვეთილ, სადღაც განაგონ ფრაზად გაიჟღერებდა.

ის კი იჯდა თვალებგაბრწყინებული, რაღაცის მომლოდინე და გალობდა.

„წავალ“, — ვთქვი ბოლოს და წამოვიმართე.

ამომხედა, თავი დამიქნია და თვითონაც წამოდგა.

როცა კარს ხურავდა, მომეჩვენა, თითქოს უცნაურ ნათელში იყო გახვეული.

მოვდიოდი და ვიმეორებდი:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოვლისა დამამხობელმან...“

გზაში ჩემი ყოფილი თანაკლასელი შემხვდა.

„რა მოგვიდა, რა დაბნეული სახე გაქვს?“ — მკითხა.

„ასე მეტყობა?“ — გავიღიმე.

„ რა ვიცი!“ — თავი გაიქნია მან.

საშინლად მომინდა მარტობა.

„კარგად იყავი“, — გამოვეთხოვე გაოცებულ მეგობარს და გზა განვაგრძე.

ქალაქში სულის შემხუთავი სიცხე იდგა.

სახლში მისვლისთანავე მაგიდას მივუჯექი...

არ ვიცოდი, რა დამეწერა...

ბოლოს, წერა რომ დავიწყე, პირველად ეს წინადადება ამოქარგა კალამმა ფურცელზე:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოვლისა დამამხობელმან...“

სტრიქონების მიღმა კი ქალწულის სხივიანი თვალები ჩანდა...

რამაზ გიორგობიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობები

ფუნეთი

ადრე დილით ეზოები უამრავი ფრინველით არის სავსე. აქ მათ არავინ ერჩის, შეუფერხებლად მრავლდებიან, ყივყივებენ, ჭიკჭიკებენ, ჯახჯახებენ. სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა სიდიდისანი არიან, ადამიანს არ უშინდებიან.

ვინმე ოჯახის მამა, რომელსაც სამუშაო ქალაქიდან აგარაკზე ამოუტანია, და რომელსაც ნესტისა და სიცივისგან ნაადრევად გაღვიძებია, ტროესის ამარა, ძველ ქუსლჩაჰყლეტილ, ტალახიან ფეხსაცმელებში, სველ ბალახზე გაშტერებული დგას და სუნთქვაშეკრული ტკბება ამ სილამაზით. თან უკვირს, რომ ამ პაწაწკინტელა ადგილზე თავი მოუყრია ჯიშის და ულამაზესი ნაირსახეობის ფრინველს.

ქალები და ბავშვები გამთენიიდან, კორომად წოდებულ დაბალ ნაძვნარში გასულან აქ მთელი დღე შეიძლება ყოფნა. შუადღის სიცხე ხშირ წიწვებში ვერ ატანს. კალთაებში ჩაწყობილი სანოვაგე, სადილის დროს, პირდაპირ გრილ მიწაზე დაფენილ გადასაფარებელზე ლაგდება. მადიანად ილუკმებიან, აქეთ-იქით სხვა ოჯახებს ინტერესით უცქერენ, უმიზეზოდ იღიმებიან და თავებს აკანტურებენ. მერე დედები იმავე გადასაფარებელზე ნებივრად წვანან, მზის ლაქები სახეზე ეთბილებათ და სძინავთ ფილტვების ჯანმრთელი ქშუილით და ამობურცული მკერდის ენებიანი რხევით... ღმერთმა უწყის, რა ესიზმრებათ... ბავშვები კი, წვრილ კისრებზე უკან გადაგდებული თავებით, პირდაღებულნი გაფაციცებით (თვალთვალებენ ნაძვებზე (მოხტუნავე ციყვებს. ზოგი ამ ცხოველს პირველად ხედავს და გულნატკენი ფიქრობს, რომ წიგნებში მათ უფრო დიდი, ფაფუკი და მიმზიდველი კუდები აბიათ. პატარა ბიჭი, რომელსაც მოკლე შარვალი ჩაუხდია და ნაძვთან ჩაცუცქულა, გაფართოებული თვალებით უყურებს ყავისფერ, ზარმაცად მცოხნავ ძროხას და ვერ განძრეულა. ძროხა ბუზებს კუდით ზანტად იგერიებს და დიდ, წყლიან, მიბნედილ თვალებს ბიჭს გულგრილად უნაბავს. ხანდახან, კუდთან ერთად, თავსაც ზურგისკენ იქნევს და კვლავ ბალახისკენ იხრება. მისი რქები ხანჯლებივით ბასრია, მაგრამ ბიჭმა ხოხვით უკვე უვნებელ თავშესაფარს მიაღწია და თავის გარშემო „ტანკსაწინააღმდეგო“ გირჩები მოიმარაგა.

ტყეში, გრძლად გაჭრილ მდელოზე, ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. დაბერილი ბურთი დოლივით ყრუ ხმას გამოსცემს. ბიჭების ყიჟინის პიონერთა ბანაკიდან გამოვარდნილი საყვირის ხმა ერევა. ჩუმად ღუღუნებს მაღალი ძაბვის რკინა-ბეტონის ბოძი.

წყანარი, გრილი საღამოა. შეწყდა ნაძვნარში ბავშვების ყრიამული და ახლა განათებული აგარაკების ეზოებიდან ისმის მათი მხიარული ხმები.

ვიღაც სახეზე აჭარხლებულო, ოფლში გახვითქულო, თმააბურძგნული ბიჭისთვის დედას პერანგის საყელოში ხელი ჩაუვლია და შინისკენ მიათრევს.

— მომკლა ამ მტარვალმა, სისხლი გამიშრო, სახლი აღარ უნდა იცოდე, ბიჭო, შენ?!

შაბათია. ჩახუთული თბილისიდან ქმრები ამოვიდნენ. ამოიტანეს საზამთროები, ნესვები, ახალი თხილი, კიტრი და პამიდორი. მოდიან სასმელით დატვირთული ძმაკაცები, ჭორების გაბერილი ფაქალები. იშლება სუფრები. ნიძლავზე თამაშობენ ნარდს, კარტს, დომინოს, პინგ-პონგს — ხვალინდელ ხაშს, ღვეანდელ შამპანურზე.

ახალგაზრდობა კინოსკენ მიემართება. ყიდულობენ დიდი როდენობით მზესუმზირას და საზაფხულო კინოდარბაზის მიწის იატაკს ჩენჩოთი შავად მოფენენ. ვარსკვლავებით მოკუდილი ცის ქვეშ ოდრი ჰეპბერნის და გრეგორი პეკის სიყვარული განსაკუთრებულ ნაღვლიან ელფერს იძენს. ახლომდებარე სახლების აივნებიდან შეზლონგში გართხმული ღიპიანი მშობლებიც ხედავენ კინოს. მართალია, ღობე ეკრანს ქვედა ნაწილს აჭრის, მაგრამ კოცნა და სხვა მნიშვნელოვანი მომენტები კარგად მოჩანს. ღინამიკებიდან გამოსული ხმა ამ ირემარეში მშვენივრად ისმის.

სულ პატარებისთვის კი ძილის დრო მოსულა. მიშიკოს ბაღში მხოლოდ უფროსები ირევიან — ბავშვები მეორე სართულზე დააწვინეს, ფეხების ბრაგაბრუები და განწირული ყვირილი ბალიშებით ჩხუბზე მეტყველებს.

— დათო, ნინო, გია, დაიძინეთ ახლავე, თორემ ამოვალ და ყურებს დაგაჭრით, თქვე მიიმუნებო, — ბრაზობს დაბლიდან მიშიკო და დომინოს ქვას მაგიდაზე გააფთრებით ახეთქებს.

ბავშვები არ ცხრებიან. თამრიკო ქალებთან საინტერესო საუბარს წყვეტს და გაწიწმატებული კიბეზე არბის.

— მაგათ ვაჩვენებ სეირს!

ცოტა ხანში მისი კივილით (ეტყობა, ბხლიშები თამრიკოსაც უთავაზეს) დამფრთხალი მიშიკო დომინოს ქვებს აქეთ-იქით ისვრის.

— რა არის, კაცო, დღე და ღამე ასეთი ღრიანცელი გაგიგია?!

— ბიჭო, ყოველ წაგებაზე თუ ქვეყანა აყარე... — ეუბნება თედო.

— რა წაგება? ეს ხელი ჩემი მოგებული იყო.

— მამა გიცხონდა!..

ბაღში შეზლონგები და დასაკეცი სკამებია გაშლილი. ზოგიერთი ჰამაკში ქანაობს. სიგარეტს ეწევიან და ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ აგარაკების დამპალ საძირკვლებზე, რომ დრენაჟი არც ერთს არა აქვს გაკეთებული და სახლები სასწრაფოდ გასარემონტებელია, თორემ ეს აუტანელი ნესტი ყველას რევმატიზმით დააავადებს.

— გუშინ ჰაერის გადასახადი მომიტანეს, თქვენთან ხშირად სტუმრები მოდიან და აგარაკის ჰაერით სარგებლობენო. სუნთქვაშიც ფული ვიხადო, კაცო?!

— ჰო, ვიცი ეგ ქვითარი, რაღაც, არასაგადასახადო გადასახადი აწერია. წელიწადში სამი მანეთია.

— არასაგადასახადო გადასახადი, რაღა უტედურესაა?

— ყოველ ზაფხულს ახალი უნიტაზის ყიდვა მიხდება, — ამბობს ერთ-ერთი აგარაკის მფლობელი, — ჩემი აფერისტი დარაჯი მეუბნება, ზამთარში შიგ წყალი იყინება და ხეთქავსო. თან ახალი უნიტაზი თვითონ მოაქვს და ზედმეტ ფასად მაძლევს. კარგი, ბატონო, უნიტაზი ჯანდაბას, ზამთარს დავაბრალოთ, მაგრამ ბაღი? აგერ, მიშიკოს ეზოს შეხედეთ, ჩემი უარეს დღეშია. ამის მოვლის მეტი რა აბარია იმ უპატრონოს? ქურდს მაგი არ გამოეკიდება და იმას...

— ქართველი გლეხი ყოველთვის ზარმაცი იყო, გენაცვალე, — ელისომ გრძელმუნდმტაკიანი სიგარეტი ელეგანტურად გააბოლა და ვაშლის ხეს მიეყუდა.

პირველ რიგში ყველამ მის ბარძაყამდე გაშიშვლებულ ფეხს შეხედა კაბის გრძელ ჭრილში.

— რას ლაპარაკობ, ქალო, რას? — საოცარი გაღიზიანებით, უხეშად შეუტევია ნოდარმა. — ქართველი გლეხი რომ არა, იმდენ შემოსევებს ვინ გაუძ-

ლებდა? გლეხს რომ არ აღედგინა ყველაფერი გაოხრებული და დანგრეული, სადღა დარჩებოდა საქართველო?!

— წინათ არ ვიცი, მაგრამ ახლა გლეხები ძალიან გაზარმაცებული არიან, — დაბეჯითებით თქვა ელისომ.

— შენ თვითონ ხარ გლეხი და ზარმაცი და იმიტომ ლაპარაკობ ასე.

— ვერ მოგართვეს, გე-ნაც-ვა-ლე, — დაუმარცვლა ელისომ, — წმინდა წყლის თავადები ვართ.

ნოდარმა ნაძალადევად გადაიხარხარა.

— გოგო, რაჭაში შენი გვარის თავადი ვის გაუგია.

— ბაბუაჩემი გლეხებმა ჩაქოლეს, იცი შენ, თუ არა?!

— კულაკი იყო ბაბუაშენი, კუ-ლა-კი!

— კულაკი შენ ხარ. ვინც ჩაქოლა, იმის შვილიშვილი ჩემი სახლის წინ, მაღაზიაში, გამყიდველად მუშაობს. ჰო, მიყურე, მიყურე, ვერ მიცანი? წავიდეთ და ეკითხოთ იმას.

— გოგო, შენ და თავადიშვილობა ისევე შორს ხართ ერთმანეთისგან, როგორც შენ და ჭკუა!

მეორე სართულის კიბეზე გაჩერდნენ და ნაჭიდავები თამრიკო გამოჩნდა.

— რიმასნაირი ცოლი ეძებოს ახლა, — გადმოსძახა მან ეზოში მეგობრებს, — რიმა არ გიყვარბოდა, თუ რა? რომ გარბიხარ ვიღაც ოხერთან ერთად, სად გარბიხარ? ოჯახს ტოვებ... თან ასეთი სკანდალი.

ქალებმა ადრე წამოწყებული საუბარი იოლად განაახლეს. კაცებს თბილისის „დინამო“ გაახსენდათ.

ბაღის ბნელ კუთხეში დასაკეც სკამზე, მანანა ჩუმად მოკუნტულა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებს. ადრე ეგონა, თამბაქო სიმსუქნეს გადამარჩენსო, ახლა მისთვის ყველაფერი სულ ერთია — თუ სადმე დაპატიჟეს, წავა, არა და — სახლში დარჩება. მხოლოდ ერთი მყუდრო ადგილია საჭირო, რომ თავისთვის ჩუმად იჯდეს და სიგარეტი მოსწოოს. ეს მისი ოცდამეათე ზაფხულია. ამ კამპანიაში იგი ერთადერთი შინაბერაა. ყველა უყვარს და ყველა უყვარს. ბოლო დროს ღვინოს მიეჩვია. მალე ითვრება და ტირილს იწყებს. ეფერებიან, ამშვიდებენ, მაგრამ მის გულს ტკივილს სერიოზულად არავინ იღებს. ხანდახან ფიქრობს, იქნებ სულელი ვარ და ამ ცხოვრების არაფერი მესმისო. უეცრად გამხიარულდება ხოლმე და ასევე უცებ ნაღვლიან სიმარტოვეს ეძებს.

— ყველგან ბოლი გამდის, — მიამბეს სახით გამოაცხადა მან.

— გაიკეთე რეზერვუარი და კოსმოსში გაფრინდები. — ურჩია ნოდარმა.

ამ დროს დომინოში წაგებული თედო პინგ-პონგის მაგიდაზე შეხტა და მთელ წყნეთზე დაიძახა:

— ვირი ვარ და ვყვირივარ, ვირი ვარ და ვყვირივარ.

დეიდა მარო და ოთარ ბიძია სამზარეულოში ფუსფუსებენ. იწვება კარტოფილი, ხახვში ხორცი იხრაკება, სალათისთვის კიტრი და პამიდორი იჭრება, მაცივარში ნესვი და საზამთრო ცივდება. მერე სუფრას შემოუსხდებიან და ნაძლევში მოგებულ ერთ ყუთ შამპანურს დალევენ. თერთმეტის ნახევარზე ტელევიზორში ესტრადაზეა გადაცემა და, როგორც დანამდვილებით იციან (მათი მეგობარი ტელესტუდიაში რეჟისორად მუშაობს), ლაპარაკი „როკზე“ იქნება.

მოკლედ, ერთობიან, ისვენებენ და რაღაც უპირატესობას გრძნობენ იმ ხალხზე, ვინც, ახლა, თბილისში, აუტანელ სიცხეს რომ გაექცეს, ვენტილატორებს, კონდიციონერებს და ცივ აბაზანებს იშვილიებს.

კინოსეანსი დიდი ხანია დამთავრდა. ქუჩები დაცარიელდა. ისეთი ღამეა, გეჩვენება, აქ, სადმე, ახლოს, ზღვა უნდა იყოსო. გარეშო მისი სურნელებით არის გაღეღნილი.

მეცხრეკლასელთა ერთი ჯგუფი მთავარ ქუჩას თავიდან ბოლომდე მესამედ ზომავს. ყველა მოუთმენლად ელის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წინ მიმავალი წყვილი ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდება და ის ერთგვირიანი მაჭანკლობა, რომელიც ხუმრობით წამოიწყეს, რაღაც გასართობ შედეგს გამოიღებს. მათ მეგობრობა უფრო მტაცედ აკავშირებთ, ვიდრე დამოკიდებულება მშობლებთან, ნათესავებთან, ახლობლებთან. თვითონაც უკლებივ ყველა შეყვარებულია. ყოველდღე იტანჯებიან, ფიქრობენ თვითმკვლელობაზე, ცხოვრების ამაოებაზე, წერენ ლექსებს, მთელი გულწრფელობით ტირიან და იცინიან. მერე, რა კარგია, როცა ასე წმინდად, ამაღლებულად გიყვარს და შენი სიყვარული უპასუხოა — საოცარი, გულის სპაზმებამდე სევდა და დარდის კაეშანი. მე მარტოხელა ვარ, არავის ესმის ჩემი, მე და ღამე — ეს ეგოიზმის სიტკბობა... ფოთლების და ბალახის იდუმალი ჩურჩული, ვარსკვლავებით დაწინწკლული შავი უსასრულობა და... ჭრიჭინა — ეს მდუმარების ნაღვლიანი ექო.

ნატო და ზურიკო ხანდახან თავის მეგობრებს მოხედავენ და გზას კვლავ ჩუმად აგრძელებენ. სიჩუმე ორივესთვის უკვე აუტანელია: ნატოს მოლოდინისგან მთელი შიგნეულობა უკანკალებს. ეს ლამაზი ბიჭი, რომელიც თავისი გარეგნობით, პლასტიკით, ცეკვით ყველას თვალებს უბნელებს, ახლა მისთვის სიყვარულის ახსნას აპირებს. ნატო ფრთხილად მიაბიჯებს მის გვერდით, გრძნობს, რომ ზურიკოს მხრებამდე ძლივს სწვდება და მთელი სხეულით ამ მხრების ქვეშ შეფარებას ეძიალრსს ითხოვს.

ზურიკო გოგნებულია, ვინაიდან უადგილოდ წამოწყებულმა ხუმრობამ სულელურ მდგომარეობაში ჩაყენა. სრულებით არ არის დარწმუნებული, რომ ეს შეუხედავი გოგო რამეთი აინტერესებს, მაგრამ რაღაც იდეოტურ ვალდებულებას გრძნობს... ბოლოს და ბოლოს ერთხელ აკოცებს, ცოლად ხომ არ მოიყვანს?.. მაგრამ როგორ აკოცოს? მეოცე საუკუნეში რაღა დროს, „მე შენ მიყვარხარ“, არის... ეტყვის, მომწონხარო, და... აკოცებს, ზურიკომ ნატოს გადახედა და ხმა ვერ ამოიღო.

— ჰა, მორჩით, გეყოფათ. გვეძინება, კაცო, — გასძახეს მათ მეგობრებმა.

— ჰო, კარგი, მოიცათ, — ჩაიბურტყუნა ზურიკომ.

ნატო თავისი სახლის ჭიშკარში შევიდა და დაბალ ხის ღობეს მიეყრდნო. ზურიკო მიუახლოვდა.

— ნატო...

— რა?

ზურიკო ნატოს ხელზე გაუბედავად მოეფერა, ჩაახველა.

— ნატო... პასუხს როდის მეტყვი? სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— ხვალ! — უთხრა ნაზად ნატომ და ღობეს მთელი ტანით მიეწდო.

ღობე გადაინგრა, ნატო მიწაზე გაგორდა, ფეხები უშნოდ აიშვირა და ქვედა საცვალი გამოუჩნდა. ამით მათ მომავალ ბედნიერებას წერტილი დაესვა.

ლიკა

— წაიკითხე თავიდან, — გაღიზიანებით უთხრა ბავშვს კოტემ.

— „ქასრში ოთხი ლიტრი ზეთი ასხია, ერთი ლიტრი გადავაქციეთ, დასვით კითხვა, ამოხსენით ამოცანა“.

— მერე? — კოტემ ლიკას თვალებში შეხედა, — დასვი კითხვა.

ლიკამ ტუჩი მოიკვნიტა.

— შვილო, მომისმინე, ოთხი ლიტრი ასხია, ერთი გადავაქციეთ, რა უნდა ვიკითხოთ?

ლიკა დუმს.

— ამოცანა რომ ამოხსნა, რა კითხვა უნდა დასვა?

ლიკა დუმს.

— ვერ გიგე, შვილო?

— ვერა, — წაიჩურჩულა ლიკამ.

— თავიდან წაიკითხე და დაუფიქრდი.

ლიკამ წაიკითხა.

— მერე? — შეეკითხა მამა.

— სამი.

— რა, სამი, ლიკა, გენაცვალე? კითხვა დასვითო, გესმის შენ, თუ არა? კითხვა, კითხვა. აი, აქ რა წერია?

— „დასვით კითხვა. ამოხსენით ამოცანა“, — ლიკა ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე მამას იმედით შეხედა, — სამი.

კოტე სავარძელზე სასოწარკვეთით გადაწვა.

— სამია, მართალი ხარ, კასრში სამი ლიტრი ზეთი დარჩა, მაგრამ აქ გეუბნებიან, კითხვა დასვითო, გაიგე?

— ჰო.

— აბა, როგორ იქნება?

— კასრში ოთხი ლიტრი ზეთი ასხია, ერთი გადავაქციეთ, დასვით კითხვა. ამოხსენით ამოცანა... სამი.

კოტე ფეხზე წამოიჭრა.

— კაცო, დასვით კითხვა, ამოხსენით ამოცანა, წასაკითხად კი არ გაქვს. კითხვა დასვი, კითხვა, გესმის შენ, თუ არა? — უყვირა მან ბავშვს, აი, მკითხე მე რამე.

— რა გკითხო?

ლიკას შიშისგან თვალები დაუმრგვალდა.

„არა, ასე არ შეიძლება. ბავშვს არ უნდა დაუყვირო, თორემ სულ იბნევა. სიყვარულით, სიყვარულით“. კოტემ ლიკას დასანახად გაიცინა.

— ლიკუნი, მოდი ჩემთან, — კოტემ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, — აბა, შენ თუ მოიგონებ რამე ამოცანას და მე თუ გამოვიცნობ.

ლიკამ მამას გაუბედავად გაუღიმა და დაფიქრდა.

— აბა, აბა, — გაამხნევა კოტემ.

— ოთხი იხვი ბანაობს, ერთი გაფრინდა, რამდენი დარჩა? — თქვა ლიკამ.

— ჰო, ჰო, — გახალისდა კოტე, — აი, რამდენი დარჩა? აი, ეს არის კითხვა, სამი იხვი დარჩა, მაგრამ შეკითხვაა, რამდენი დარჩა? აი, ახლა, ოთხი ლიტრი ზეთიდან ერთი გადავაქციეთ დასვი კითხვა, რამდენი დარჩა?

— სამი.

კოტეს სახე გაეყინა.

— არა, სამი კი დარჩა, მაგრამ კითხვა არ დაგისვამს, გაიგე?

— ვერა.

„ამ ბავშვს ნამდვილად ზეთი აბნევს. წყალზე უნდა გადავიყვანო“. კოტემ ლიკას ხელი მოჰკიდა.

— წამოდი, ერთი, ჩემთან.

სამზარეულოში გავიდნენ. კოტემ ქვაბში ოთხი ჭიქა წყალი ჩაასხა.

— ახლა ავიღოთ და ერთი ჭიქა გადავღვაროთ. რა უნდა შემეკითხო?

ლიკას სახეზე შიშნარევმა წუხილმა დაისადგურა.

— ჰო, აბა, — დაუყვავა მამამ, — აი, ამ ქვაბში ოთხი ჭიქა წყალი ესხა, ერთი ჭიქა გადავაქციეთ. მერე?

— სამი, — წაილუღლუღა ლიკამ.

კოტეს ელდა ეცა.

— რა, სამი, გოგო, რა უნდა თქვა?

— ზეთი, — ხმა ჩაუწყდა ლიკას.

„ჩემი ხელით მოვკლავ ამ უტვინოს, ეს სულ დედამისის გენებია“.

კოტემ ბავშვი ხელში აიტაცა. ლიკა კისერზე თბილად შემოეხვია და დამფრთხალი კურდღელივით მიეკარა. კოტეს გული აუჩქროლდა. შვილის რბილ თმაში სახე ჩარგო. „ამ წიწილას წყენინება როგორ შეიძლება, ვენაცვალე ამ პატარა ხელებს. ჩემი გემრიელი ლიკუნა, რად უნდა ამ ცუნცულას მათემატიკა, ზრდილობიანი, მშვენიერი, კარგი გოგო გაიზრდებაო მშვიდად, წყნარად, ძალდატანება არ არის საჭირო. ისწავლის საჭმლის კეთებას, ნამცხვრების გამოცხობას, მერე გათხოვდება, შვილები... ჰო, აი, მაშინ კი პედაგოგიკა, აი, მაშინ კი, ნამდვილად, პედაგოგიკა იქნება საჭირო!“

ვახტანგ სარჩილავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარად, ყოველთვის და განუწყვეტლივ...

„სახლ გვიდგა საგონებელი“

ხალხური

ცაში, მზის ახლოს სახლი ავაგე,
ჯავრი რომ აკრავს ირგვლივ გალავნად.
მაგრამ მოფრინავს უცხო ფრინველი,
და ბასრი კლანჭით უნგრევს ბალავარს.

ირღვევა ხვინჭა, ლიბო-ქვითკირი,
დაშლილ-დაღრღნილი ცვივა კენჭები.
ნისლი ეზრდება კედლებს ფითრივით
და მტვრით დაფარულ სივრცეს
გასწივის
მარადიული ქარი,
გალავანს
შემოგრაგნილი გარს უნასივით.

მზის ჩავატანე ამ სახლს სარკმელი,
ვარსკვლავები კი ჩავდგი ნიშებად.
როცა თენდება, ჯანღი იშლება
და დედამიწა მოჩანს გარკვევით.

კოსმიურ მტვერში, მღვრიე ქაოსში,
მნათობთა ფერფლში და ნამსხვრევებში,
მიცურავს სახლი ცეცხლის ბურთივით
და სურს წამართვას ქარის გველეშაპს
ჩემი ხვედრი და ჩემი კუთვნილი.

დარდის ყოფილა თურმე სოფელი,
ცხოვრება თურმე დარდის ყოფილა.
ჩემი მტერი და უარმყოფელი
ვერ მოვიშორე შავი ფრინველი,
გავაგდებ, ისევ უკან მოფრინავს

ირგვლივ ზოზინით დიან ღრუბლები,
მთელი ცხოვრება გესაუბრები,
ვეძახი, გიხმობ, მაინც არ გესმის
ჩემი მუდარის, ჩემი ვედრების.
და ცაში ადგმულ ღრუბლის გუბეებს
ცვივა და ცვივა წვიმის წვეთები.

მარადის მწყიფე შენ ხარ ვენახი,
რატომ არ გესმის რასაც ვეძახი.
შენ ოღონდ სიმზე ხელი შემახე
და ავმღერდები ათას მოტივად
და მე, სიმღერის შენის შემნახველს,
გეტყვი, რაც მიყო ამ მოლოდინმა.

არა, მე ამ გზით შენ ვერ მოგივალ,
ცას ვერ მივეწვდენ ამ გზას ბოგირად.
იმდენი მტანჯა და მაბოგინა
მნათე გამექცა, ჩემი ზარების
დამრისხებელი და დამრეკავი.
მეც უძილობის მიდგას ლოგინი
და მიფენია შიგ ნარ-ეკალი.

ხე რამ ამოდის დედამიწიდან,
ფოთლის პეშვებით საზრდოს მიზიდავს.
მზის გზით მოიწევს,
მზის გზით ამოდის
ჩემს უკაცრიელ კარმიდამომდის.

ფესვი იქა აქვს, მშობელ ძელქვებთან,
სული კი ცაში უდგას უკვდავი.
უუშორესი, ვითარც ლეგენდა,
ტოტები მისი, დაღლილ ჩიტების
და მოგზაურთა დაღლილ სულების
მყუდრო ყურე და ნავსაყუდარი.

შრიალებს, კენესის იგი სარკმელთან,
სხივის ბილიკი, ზოლი სინათლის,
ჩემს მოწყენას და სასოწარკვეთას
ეხმიანება და სივრცეებში
შორეულ შუქის კრთის ათინათი.

აქ სიყვარულმა ამომიყვანა
და სიყვარულმა შემაძლებინა
ამ სიმაღლემდე შენთან ამოსვლა.
მშვიდი სინათლე და საამო ცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მახილვინა, მან მაპოვნინა,
მან დამარწმუნა ცად რომ მოვფრინავ
და სამუდამოდ აქ რომ ვყოფილვარ.
ვზი მზესთან ახლოს,
მშვიდს და ბედნიერს
თავს დამფარფატებს ნისლი ფოფინა.

უნეტარესი სიზმრის სადარი
ცა რა უბრალო და რა სადაა.
ჰოი, უფალო, მითხარ სადაა
ჩემი ძირი და ჩემი სათავე,
ბედისწერასთან რაც მაქვს სადაო
გადამიწყვიტე და მოამთავრე.

ეს ამაღლება მიკვირს გუმბათთა,
სურვილი მიკვირს ცად ამაღლების.
როცა უყვარდათ, რისთვის უყვარდათ,
ვისი ნებით და ვისი სახელით.
ვისთან რა მქონდა მარადიული
საიდუმლო და ვერგასამხელი.

მინდორზე კრავი მიდის ობოლი,
ამბიონიდან კვნესის ჯობოი.
რისთვის ვაშენებ, თუ საბოლოოდ
დაილეწება ჩემგან ხელქმნილი.
თუკი გაჰყვება ლეთას მდინარეს
შლამად ქცეული და დალექილი.

ნისლში დეკემბრის ღამე მოცურავს
თოვლის უბიწო თეთრი სამოსით.
ბინდით მოცულმა და მარტოსულმა
მე ჯერ არ ვიცი, რისთვის მოვსულვარ,
რა ვარ ამ დილის და საღამოსი.

ო, როგორ მწამდი, მაინც უარგუაკ,
დიდხანს კვალდაკვალ მომდევდი
ცამდის.
დღეს სინანულის ცრემლები დამდის,
ზღუდეს მივადექ გადაულახავს.
როგორ მიყვარდი, იმ გულის წადილს
საუნჯესავით მერმისს ვუნახავ.

მინდორზე კრავი მიდის ობოლი,
ის დილით თავის უცოდველობას
შეეწირება და უნდობლობით
გაწამებული სოფლის დღეობა
უნდა შეიებოს იმისმა სისხლმა,
რომ ცოდვილები ცოდვისგან იხსნას.

აქაც ასეა: კაცთა ყოფაშიც,
ზნეკეთილნი და პატიოსანნი,
წინ მიუძღვიან შესაწირავით
ცოდვილ მოძმეებს.
ისმის „ოსანა“,
თანდათან ქრება მზე სხივოსანი
და გვირგვინები ჭკნება გვირილის.

და შეწირულნი თავის სიმართლეს
გოლგოთის გზებით ვლიან მორჩილად
და მოღაღადე სისხლი იმათი,
გაბრწყინებული უკვდავ სინათლით,
შადრევანივით ცად ამოჭრილა.

მათი სულია წინ რომ მიმიძღვის,
ბნელს რომ მიაპობს, ვითარც მნათობი.
ბლანტ, მღვრიე წყვდიადს შლის და
მიაპობს.
შეუპოვარი როგორც იაკობ,
ჩემს ბრძოლებზე და ომზე გიამბობ.
ამ ტკივილის და ამ სიხარულის
მე არავისთვის არ ვარ დამთმობი.

ერთხელ მოვდივარ, ერთხელ
ვყვავილობ
და მერე ვკვდები, როგორც აგავა.
მაინც შენთან ვარ, მაინც აქა ვარ,
დრო ვერ აღმგვის და დრო ვერ
დამავსებს.
ამ საწვიმიეთს და ამ საქარეთს
ხსოვნად დარჩება ეს სილამაზე.

თუ ავყვავდები, ვიცი, მოვკვდები,
მაინც ვყვავილობ, სიკვდილის ფასად.
მაინც ჯიუტად გიახლოვდები
სიმშვენიერის ჩემის ზვარაკი.
გადაიწევენ ღრუბლის ბლნდები
და განათდება წამით ქალაქი.

ვით მარადიულ ცეცხლს ვესტალები
ისე გდარაჯობთ და გიფრთხილდებით,
მშვენიერების სულო დიადო,
მოღებულია ზეცის კარები,
რტოებზე სკდება ნორჩი კვირტები.
ცა ემზადება საგანთიადოდ.

ირგვლივ ისეთი სინამდვილეა
ვერა, ვერ ახსნი მას სინამდვილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა მოდის შორი და საკვირველი,
ამ გზაზე როდის შეგხვდი პირველად
და აგედევნე უკან ლანდივით,
ისე მივალ და ისე ვილევი
ვერ გავარკვიე, რა იყო სიზმრის,
რა იყო ცხადი და რა ნამდვილი.

რა ვიცი ახლა ჩემზე, რა ვიცი,
დაბადებული ერთი წამისთვის
საუკუნეებს მინდა გადავწვდე.
მე აქ დავრჩები,
მე აქ დაგიცდი,
დაგელოდები კიდევ ათასწელს.

ოღონდ მართალი აზრი გავიგო
ჩემი ტანჯვის და ჩემი კრთების.
ვინ არის ჩემი ბედის გამრიგე,
საითკენ თავო ჩემო, საითკენ,
საითკენ, გზაო ჩემო, საითკენ,
ამ ხალხს საითკენ მიეზიდები.

ვივატ! ჩვენ ვცოცხლობთ!
ცის სამრეკლოდან
უნეტარესი ჰანგი მოისმის.
გაზაფხულდება, მე დავბრუნდები
და გავცოცხლდები, ვით ადონისი.

მე უკვდავება მუქთად არ მინდა,
ვწვალობ, მოვფორთხავ ბნელი ღამიდან.
თვით უნდა შევქმნა ჩემი საყდრები,
ჩემივ ფერფლიდან კვლავ ავყვავდები,
თვით მოვკვდები და თვით
გავცოცხლდები,
კვალში მისდევენ ლანდებს ლანდები,
ფიქრო, არასდროს დამიმშვიდდები,
სულო, არასდროს დამიამდები.

მკლავები ჩემი, როგორც ხუნდები,
მკლავები ჩემი, როგორც ბორკილი,
დამყრიალებენ მხრებზე მოწყენით,
მე თვით ვარ ჩემი საკნის ამგები.
ქვის ტანსაცმელი და ქვის სამოსი,
ადევნებული სიზმრებს და ქარებს,
მივდივარ ფერფლში და მხარნაკლები
მშობლიურ მიწას ისევ გამოვცდი.

მას, ძეს ყოვლისა და სინათლისა,
ამ ეარსკვლავთა და მნათთა ნათელსაცა.

მოვყავდი აქეთ, პირქუშ ჰადესთან,
რომ შეეჩვეოდი გზის გამოგნებას
შინისკენ, რადგან ჩემი წილხვედრი
დაბრუნებაა განუწყვეტელი.
მივდივარ მზის და მთვარის მიხედვით,
ქართა, წვიმათა მიმართულებით,
წინ მეღობება ნისლის კედელი.

რაც თავი მახსოვს სულ შინ ვბრუნდები,
არსად წავსულვარ, მაინც ვბრუნდები.
სახლში ვარ, მაინც სახლში ვბრუნდები,
ვბრუნდები მუდამ და გამუდმებით.

გამომიწოდე ხელი, აქა ვარ,
ერებოსიდან ია მოგართვი.
ია კი არა ლურჯი ლაქაა,
ვარვარა ვარსკვლავს ჩამოღვენთილი
და თუ გაქრება, სანამ მოგიძღვნი
შენ ნუ დამრჩები გულდაწყვეტილი.

ბედნიერებას ვერვის არგუნებ,
ბედნიერებას მხოლოდ ვპირდებით.
შენს დაღლილ გულში დავისადგურებ,
ცოტა ხანს მაინც, ცოტა ხანს მაინც
დავწყნარდები და გავირინდები.

რა მშვენიერი მესმის მუსიკა:
„— აფრინდა ტბიდან გუნდი წეროთა,
ლაქაშებიდან ადგნენ ნისლები,
წამოიმართა მინდვრად ბალახი
და დედამიწა ცისკენ დაიძრა.

ამოჩუხჩუხდა მზესთან მდინარე
და ზღვა ღრუბლებთან ამოგუგუნდა.
ქვემოთ ვინ დარჩა,
ქვემოთ ვინ არის,
მარტო ვინ იბრძვის ღამის უკუნთან.

ნუ, ნუ დაგვეძებთ სასაფლაოზე,
გამოვიპარეთ მძიმე ლოდიდან.
ახლა საკუთარ საფლავის ქვებზე
ვზიავართ მოწყენით და მთვარის შუქზე
ვკითხულობთ ჩვენსავ ეპიტაფიას.
ვზიავართ, შორეულ ვალობას ვუსმენთ,
ხოლო ცოცხლები ცისკენ გარბიან“.

ზემოთ და ქვემოთ,
ქვემოთ და ზემოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ადის, ჩადის, ისევ ბრუნდება
და წრეში დადის თითქოს მდინარე,
დადის, წინწასულ ტალღებს ეწევა,
რომ გადალეკოს, რომ გადაშალოს,
ერთხელ გავლილი ძველი გზაშარა,
მე რა ვქნა, წრეში თავბრუდასხმულმა,
ამ გზით დაღლილმა და დამაშვრალმა.

ეს გზა — სიცოცხლის აპოთეოზი,
მე ერთად — ეშმა და ანგელოზი.
ერთად თაფლი და მწარე სამსალა,
ერთად — შუქი და უნდო უკუნი.
ერთად — ორბი და გველის სავსავი,
ერთად — ბრძენი და იქვე უგნურიც.

ორი სახე მაქვს და ერთდროულად
მე ვიხედები ორივე მხარეს,
ერთით წარსულის დღეებს გავცქერი,
მეორე სახით მერმისს ვუცინი.
ვაღმ და ვხურავ, ვწყვეტ და
ვაგრძელებ
ყოველისგამგებელ იანუსივით.

თანასწორი და ჰარმონიული
ცოტაც მიწისა, უფრო ღვთიური,
შეღამებათა ელეგიებით
მოლოდინით და სევდით გართული,
ვერ მეგუები.
ვერ გეგუები.
განშორებათა ცივი სადგური.
ირიბი თოვლის ფიფქთა ფათქუნი,
ის — ამაყი და ელეგანტური.

ვარდი მოგართვი მთელი ურემი
და შენს საფეხურს ვეამბორები,
ქუჩა გაივსო ნიამორებით,
სულ ნაღვლიანი რად გაქვთ თვალები
ქაცსაც და ქალსაც, შველსაც,
ჟირაფსაც,
ამ წუთისოფლის დრტვინვამ — გნიასმა
შეგაკავშირათ რა სადარდელით
და ემატება სანთელს სანთელი,
გულს — საწუხარი, ფიქრს —
ჟრუანტელი.

ყველას წვლილით და ყველას
წყალობით,
იმისი ფუნჯით,
შენი გლობით,
ცაში, მზის ახლოს სახლი ავაგე,
შუქის მდინარე აკრავს გალავნად,
მაგრამ მოფრინავს უცხო ფრინველი,
და სახლს კლანჭებით უთხრის
ბალავარს.

ზანზარებს ოთხივ მხარეს კედელი,
ირღვევა ნელა და იბზარება,
იფშვნება ქარში ზარზე ზარი და
ილეწებიან სამრეკლოები,
დაისი ისე მოჩანს ბზარიდან
სახლს თითქოს სისხლის დასდის
ზოლები.

და რაც აქამდე ამოვიტანე,
რაც ამოვზიდე ტანჯვით, წვალებით,
უკან მოცვივა
და ცის მიდამო
წარღვნით წალეწილ ჭალებს მიაგავს,
რასაც ვეცადე და მოვინდომე
უკან ბრუნდება ცეცხლის ნიაღვრად.

მე მაინც გავძლებ და ხელმეორედ
ამოვუყვები ამ გზას თავიდან.
ჩემი ტაძრით და ჩემი ზარითა,
ჩაუქრობელი ჩემი კელაპტრით,
ამოვუყვები ამ გზას თავიდან
და ხელმეორედ მოვალ შენამდის.

მიწა — საყრდენი, მიწა — პორტალი,
არც საბრალო ვარ,
არც საცოდავი,
რადგან შემომრჩა ვნება უცვეთი,
ვიწყებ ხელახლა,
ვიწყებ თავიდან,
მარად!
ყოველთვის!
და განუწყვეტლივ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვალდაქვალ

ხმიანობს ფიქრის ფხიზელი ზარი
და ღამეც განგებ არ ახელს თვალებს,
მას უნდა ახლა გაგიზიაროთ
ის, რაც აქამდე ტკივილით ვმალე.

რომ მივყვებოდი ძველ ნაგზავარებს
მდინარეთა და. ქართა გამჭოლად,
არვინ გვისაგზლა მცირე საგზალი,
ყველამ თითო ქვა გამოგვაყოლა.

ბოლოს დაგშორდით, წავედ და
წაბელ
იდგა ამინდი ცივი და ლიხი,
მწვანე ბალახზე დარჩა ტალახი
და წვიმის წყალში გახსნილი სისხლი.

რაღაცა ხდება, რაღაცა ხდება,
მაგრამ ვერავინ ვერაფერს ვხვდებით,
ზესკნელს გაჟონეს ქვესკნელის
წყლებმა
და ქვეყნად უცხო გროვდება ხმები.

ფარფატებს თოვლი, ნაადრევ წვიმას
ერევა, ახლა ყველაზე ძნელი
არის უცქერო როგორ გიყურებს
მიწის ათასი საეჭვო ხვრელი.

და კიდევ: იყო მარადი მგზავრი,
გრჩებოდეს გზებზე გულის ნაფლეთი,
მხოლოდ შენ იგრძნო ყველა ხმაური,
სხვები თავისთვის ისხდნენ სახლებში.

ქუჩაში

ახლა იწვიმებს და როგორც წვიმდა
დღეს არ იქნება წვიმა ისეთი,
იწვიმებს, როგორც დიდი ხნის წინათ
წვიმდა ციური რაღაც მიზეზით.

მე კი... მე ვფიქრობ საკუთარ თავზე,
საყვარელ წვიმებს როგორი ვხვდები,
უკვე ამკვრია ქვეყნის ტალახი,
უკვე ქირქილშიც გადადის ხმები.

იკლებს და იკლებს ცხოვრების ჩარხი,
სცვეთს ათასგვარი შეხება მტრების,
უკვე ათასჯერ ვიცვალე სახე
შიშით, იმედით და მონატრებით.

ახლა იწყება წვიმა და სახლში
შერეკავს ქუჩის ათას ბინადარს,
ლოთს და მათხოვარს, პოეტს და მეძავს,
და პურის ფული ვინც მიწილადა.

და წვიმამ იცის, რომ ჩემთან მოდის
სხვა არავისთან არა აქვს საქმე,
ყველა გაურბის, უფარებს ქოლგას,
უკეტავს კარებს, უგმანავს სარკმელს.

მე კი... მე უნდა ქუჩაში დავხვდე
და რომ არ მქონდეს დაცინვის შიში,
ტანთ გავიხდიდი და ასე ძვირფას
წვიმას ვიგრძნობდი მთელი სიშიშვლით.

დღეს კიდევ ერთხელ

უმწეოდ როკავს ხეთა შიშველი
ბრბო, დგება ღამი განცდის, განლევის,
სწვეთავს კაბადონს ფერი გიშერის
და ცას მჭვარტლავენ უცხო კვამლები.

ჩვენ ასე ვცხოვრობთ ოთხივე დროში
და ახლა კართან არის მეოთხე,
მალე შემოვა, აგვიკლებს რისხვით
და ხორშაკებით აგვამეოტებს.

შენ რას მიშველი, ან სად გეძებო,
ანდა ვისა აქვს შველის სურვილი,
ვინ გადამიყვანს გაყინულ წუთზე,
ხელს გამომიწვდის გაზაფხულივით.

მზე დასავლეთის სისხლისფერ გუბეს
როგორც ფრინველი აზის და თვრება,
ჩვენ კი ქარებმა მიწას შეგვრიეს,
ჩვენ გვიღალატა ყინულის ფრთებმა.

ეს ოთხი დროა ჩვენი სამყოფი,
თუმცა ზოგ-ზოგი ელის მეხუთეს,
ვაი, რომ მე კი შევკრთი ანაზდად,
თითქოს უფსკრულზე გადავეყუდე.

და აი, ახლა მეოთხე დროის
ამინდის კვალზე ვიწყებ ცვლილებას,
უკვე ყინულით გამყოფდა სული
ფიქრი ჯერ კიდევ მომორჩილება.

ოთხივე დროში მე სასჯელს ვიხდი
და ვუერთდები ბუნების ძალებს,
აჰა, გადავედ მეოთხე დროში,
დღეს კიდევ ერთხელ სახე ვიცვალე.

მარტიდან თიბათვემდე

თიბათვევ, შენ თუ არ მოგიგონე,
სხვა რაღა დამრჩა მოსაგონარი,
როცა შორს მარტის ზვავი გუგუნებს
და წყლისპირს გდია ყინვის ზონარი.

თიბათვევ, ისევ სხეულს მიკაწრავს
შენი ბრეკა და შენი ეკალი,
შენგან წავედ და შენსკენ ვიჩქარი
და წრე ვერა და ვეღარ შევკარი.

წვიმები ისევ მოთმენას ცვეთენ,
სიტყვა ეძლევა დაუღლელ წვიმებს,

მარტი ასკდება აპრილის კედლებს —
ხვალე ამბობენ აპრილის პირველს.

წამოვალ შენსკენ, გავტოპავ ღამეს,
ავალ, ავყვები აპრილის აღმართს,
მერე დადგება ალბათ მაისიც,
ჯერ ხომ სამყარო ტრიალებს წალმა.

...თიბათვევ, სული მელევა შენთვის,
წვიმები კიდევ მოთმენას ცვეთენ,
მარტი მარტია, მეც გამწარებით
ვაწყდები ჭერს და ოთხივე კედელს.

დავით მეფე ომში მიდის

„...წარმოვიდა მსწრაფულ აფხაზეთით, თოვლთა ხაშინელთა, გარდადათხრეენა მთა ლიხისა, სადა გარდანაკუეთსა თოვლსა აქუნდა სიმაღლე სამი მხარი“.

დავით ალდაშვილიანის ისტორიკოსი

ზამთარია, უშურველად თოვს,
სამშობლოს თოვლი ჰფარავს,
დავით მეფე ომში მიდის,
ლიხის ქედი გარდათხარა.

კახეთს თურქი ჩამომდგარა
ჯოგითა და ჯალაბითა
კვლავ ჰგონია დაიზამთრებს,
დავით მეფეს არა ჰკითხავს.

თურქი დაძრწის, თურქი ეძებს,
დასანგრევს და შესაბღალავს,
მაღლა მიდის საქართველო,
ზიზღით იბანს თურქის ტალახს.

ერკინება თურქის ყიჟინს,
ვეღარ იხდენს თურქის ფარას,

დავით მეფემ მტერი მოსრა,
ოთხივ კუთხით მიმოჰყარა.

განაბნევნა, განუტევნა,
ჰკრავს სამშობლოს თურქის დაშლილს,
აღმოფეთქა ახალნერგმა,
ჰყვავის ქართულ ზნეობაში.

მაგრამ თურქი ვერ ისვენებს,
ისევ იკრებს ძალს და ღონეს,
ივრის პირზე ჩამოდგება,
მეფის მოსვლას არა ჰგონებს.

...ზამთარია, უშურველად თოვს,
სამშობლოს თოვლი ჰფარავს,
დავით მეფე ომში მიდის
ლიხის ქედი გარდასთხარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მაშინ კი, ვაი,
ზამთრის მიწას რომ დაემსგავსები,
მაშინ კი, ვაი,
ყველაფერი რომ მიიძინებს
სადღაც სიღრმეში,
მაშინ კი, ვაი,
სიყვარულიც რომ აღარ შეგძრავს
როგორც მიწას მცენარის ღივი.

●

ათასწლეულთა შესაყარის
მწარე ნაყოფი:
სიყვარულზე ისე ვსაუბრობთ,
თითქოს ხორცის რიგში
მომხდარ ამბავს ვყვებოდეთ.

●

ესეც შენი დილის თოვლი —
შეხედე, როგორ გამცემივით
გეჩურჩულება,
ვისი დედაკაცი ვის კაცს გაჰყვა,
რომელი გზით აუარეს
გვერდი საფრთხეს,
სად შედგნენ და ერთურთს აკოცეს.

მალე გადავა ეს შუაღამეც

მალე გადავა ეს შუაღამეც
და უნახავი სიზმრების ნაცვლად
მოლოდინისგან დაღლილ ქაღალდზე
რჩება სტრიქონი ორიოდ აცმა.

ისმის კრუალი გაბმით და მქისედ
ჭაობის მკვიდრი სწყევლის ჭაობებს
და შავ ვაზაში ვარდები ყალბი
როსკიპებივით კოპწიაობენ.

დუმს ახლა ისიც, რომელიც შიგნით,
გულის მხარეზე ხმაურობს მუდამ,
თავგამოდებით ბორგავს და იბრძვის
და სამზეოზე გამოსვლა უნდა.

და შუაღამემ რა უნდა გითხრას
უქმად ჩავლილი დღეების ნაცვლად,
და მისი მკრთალი ნაფეხურივით
რჩება სტრიქონი ორიოდ აცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობები

წინგაუხედავები

შემოცვივდნენ, შემოწიოკდნენ მოთრიმლული ქურქებით — კანადური გინდოდათ თუ იუგოსლავიური... თან ფრანგული სუნამოს სურნელი, ხმაური, ტანისამოსის გაპრანჭული ზიმზიმი და გვარიანი უზრდელობა მოიყოლეს.

მოსულებს ერთი მოხუცი ქალი ახლდათ, დამდნარი, შუქგაცრეცილი, სულ შავებში ჩაცმული. დაკოტავებულს, ტანსაცმელი მოხალათებოდა, შიგ მიმალულიყო, სახეზე მთლად ვარდისფრად ღუოდაო, არ ეთქმოდა, მაგრამ არც ავადმყოფური ზაფრანისფერი დასცემდა, შემოიყვანეს რაიონის პოლიკლინიკის მოსაცდელში, იქვე, სავარძლში ჩასვეს, შიგ ჩაიკარგა, გახუნებული მოსახვევი ოდნავი მოუჩანდა ზურგიდან.

მოთრიმლულქურქიანები მიდგნენ-მოდგნენ, ერთის გარდა. ის ერთი გვერდით დაუდგა დარაჯივით. თავი არსადა სცვითოსო, თუ...

რეგისტრატურაში ავადმყოფის ისტორია მოიკითხეს. აბა, სად იპოვნიდნენ?! საბრალო მოხუცს ავადმყოფობისთვის სად ეცალა. მთელი ჯან-ღონე და გაუხარელი სიცოცხლე მათ ვაი-შავი დღით დაზრდას მოახმარა. მერე აკი ყველა დააბინავა, კარგადაც დააბინავა! ახლა, როცა სულ ბოლოს, სიცოცხლის დასალიერში ჯავრიან გულს ოდნავ მაინც უნდა ეხარა, მოსცენებული უზრუნველი შუქით უნდა ებაჟუტა...

ავადმყოფის ისტორია ახალი გაახსნევინეს! მერე ეცნენ და ყველა ჯურის ექიმის კაბინეტთან აიტუზნენ. თუმცა, უფრო ზუსტად, ჯიქურ შედიოდნენ. სულ ჯიბისკენ ეჭირათ ხელი, წითელ თუმნიანებს აფრიალებდნენ.

აქუჩებდნენ ცნობებს და უპატრონო მოხუცების თავშესაფრისკენ მიმავალი დედაბრის გზაც გარკვევით იკვეთებოდა! მიუმატებდნენ რომელიმე ცნობას ავადმყოფის ისტორიას და მსუქანი, მწიფე მარწყვისტუჩება, მაღალი ქალი რეგისტრატურის მომცრო სარკმელთან აიტუზებოდა:

— კიდევ რა დაგვრჩა, გენაცვალე?— იკითხავდა ხმაჩამტკბარი.

—ნეიროქირურგი! — ეტყოდა ცივად მკლე, ფერმკრთალი, მზერამოქანცული ახალგაზრდა ქალი.

ქურქიანები მაშინვე ნეიროქირურგთან გარბოდნენ. უავადმყოფოდ სასწრაფოდ მოაგვარებდნენ საქმეს. მარწყვისტუჩება მაშინვე რეგისტრატურის სარკმელს აეკვროდა. ბრძოლაგადატანილივით ამოიოხრებდა:

— ახლა ვის მივმართოთ?

— ყელ-ყურის ექიმიდა დაგრჩათ. — უზუსტებდა მზერამოქანცული.

მოხუცი ქალი მოთმინებით იჯდა ლიდერინგადაკრულ სავარძელში. მომუჭნარი ხელები მუხლებზე ჩამოეწყო. თითქოს ასვენებსო. მზერა ერთ ალაგას გაშტერებოდა. ოდნავშესამჩნევი ღელვით ელოდა განაჩენს.

ყელ-ყურის ექიმიდან დაბრუნებულს სახეზე შუქი მომატებოდათ. მარწყვისტუჩებიანი სულს ძლივს ითქვამდა:

— აღარ მორჩა? — იკითხა დაღლილმა.

— მორჩა! მეორე სართულზე აბრძანდებით, მთავარი ექიმი ხელს მოგიწერთ. იქვე ბეჭედსაც დაგისვამენ და თავისუფლები ხართ, გეშველებათ!

ქურქიანები მეორე სართულისკენ დაიძრნენ. ერთხანს დაყოვნდნენ, მალე გამარჯვებული ირიონ მოუყვებოდნენ მოზაიკის საფეხურებს. მოხუცის გვერდით მდგარ დარაჯსაც მოუშუქიანდა სახე.

მარწყვისტუჩებამ მადლობის სათქმელად რეგისტრატურის სარკმელს მიაშურა.

— რაზე სწუხდებოდით, უმჯობესი იქნებოდა, მაგ ცნობების ასლები გადგეოთ, ანდა განყოფილებების სია ჩამოგეწერათ, თქვენმა ბალღებმა ამდენი რომ ადარ იწვალონ! — ვეღარ მოითმინა მზერამოქანცულმა.

მარწყვისტუჩება ნათქვამის აზრს უცებ ვერ ჩასწვდა. მერე პირკატანაცემივით გამოტრიალდა, თავისიანებს შეერია.

მოთრიმლულქურქიანები მოხუც ქალს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, სავარძლიდან წამოაყენეს, სულ ციმციმ გაიყვანეს პოლიკლინიკის ვესტიბიულიდან. სახეზე ყველას კმაყოფილი ღიმილი ეფინა.

პოლიკლინიკის მოსაცდელში ფრანგული სუნამოს სურნელი და საოცრად მძიმე სიჩუმე დატოვეს!

ᲨᲣᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ძვირფასო დედა, ახლა ღამეა, ჩვენი დედაქალაქი, როგორც იქნა, მიყუჩდა. ჩემი სარკმლის წინ იშვიათად ჩაიქროლებს რომელიმე თვალებამოღამებული შოფრის ავტო. ავადმყოფმა მთელი დღე ძილ-ღვიძილში გავატარე, საღამოს სიცხეს დამიკლო, გულის დაქანცულობას ვგრძნობ, სხვაფრივ არა მიჭირს. ორიოდე დღე ლოგინში გამოვშუშდები; ათასი სატკივარი ერთად გამივლის. ამალამ კი ვიცი, ერთი აზრი არ მომასვენებს, რა ხანია ამეკვიატა, უმჯობესია, შენ მოგწერო, იქნებ ოდნავ მაინც მომეშვას გულზე.

გახსოვს, საგაზრდილოში ბოლოს რომ ჩამოვედი? საღამოს რკინიგზის კლუბში კინოფილმის სანახავად გავეშურე, ძველი, ბმილი პალტოთი გამისტუმრე:

გულჩაშუშხული დავბრუნდი, შენ, აბა, რა გამოგეპარებოდა:

— რა თავ-პირი ჩამოგტირის, შვილო? — მკითხე.

— გეჩვენება.

— ვინმემ ხომ არ გაწყენინა?

— არა, რას ამბობ?!

— ფილმი არ ვარგოდა?

— რა უჭირდა. სიყვარულზე იყო.

— მაშ რა ნაღველმა ამოგიცხო ეგ თვალები?

— ეს ისე, დაღლილობისაა.

— დარდისას უფრო მაგონებს.

ძლივს აგიგდე სიტყვა ბანზე, ძლივს დაგიმალა სთქმელი, ჰოდა, ახლა გაგიტყდები, ახლა მოგიყვები, რა დარდიცა მჭამდა იმ საღამოს:

კლუბის დარბაზში შევედი, ფილმი ჯერ არ დაწყებულიყო. ორად ორი ბრა საცოდავად ბეღუტავდა. კედლები წეგოში დაწნეხილი ნახერხის ფილებით მოეპირკეთებინათ, ოდნავ შორიშორ ჩაერგებინათ მოდაზე, აქაოდა, რაღაცნაირი ჰარმონია თუ რიტმი გამოვაო. აკი გამოსულიყო: დაუმთავრებელი, უბრალო პერანგივით ემოსა დარბაზს. ჭერზე გაჭიმული ნარმა თეთრად შეეფეთქათ. ალმაცერ შუქზე ზედ ათასგვარი ხარვეზი მოჩანდა, მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენ. ზედ სცენის პირზე, ფარდის ადგილას ხის ვეება ჩარჩოზე თეთრი მიტკალი გადაეკრათ კედლიდან-კედლამდე (ვითომ, ფართო ეკრანი რომ გამოსულიყო). კადრები მაინც გადადიოდა კედლებზე, ტყუილი წვალება იყო. ეკრანიდან სანახევროდ ცარიელი სკამებისკენ გამექცა მზერა, ნახევრად რბილი სავარძლები ეთქმოდა, მაყურებლებს, დაკემსილებს, დასერილებს, ჩავარდნილებს, საზოგრგე დაკარგულებს...

რატომღაც გამახსენდა: რა მშვენიერი იყო ეს დარბაზი ჩემ ბავშვობას. კედ-

ლები ჩვეულებრივ შელესილი, მოხატული სადად, სტილის დადგენა, ალბათ, ბაჭრდებოდა. ნახატს ოქროს ვარაყიც აკლდა, ბრინჯაოს ხაზებიც, უბრალო არშიით იყო გაწყობილი, ჭერზე მაინც ცისფერი სპარბობდა, კედლებზე — ნარინჯისა. სცენასა და დარბაზს შორის ფარდა ეკიდა. არც ის გახლდათ მდიდრული, რომ შეირხეოდა, ოქროსფრად ზიმზიმებდა.

ამ დარბაზში ხშირად პროვინციული თეატრები ჩამოდიოდნენ სპექტაკლების გასამართავად. ზოგჯერ სახელოვანი თეატრებიც კადრულობდნენ ჩამობრძანებას. ჩვენთვის, პატარებისთვის სულ ერთი იყო, ვინ ჩამოვიდოდა. მთავარი სადარდებელი სპექტაკლის საიდანმეცალი თვალით ჭვრეტა გახლდათ. დარბაზში მოხვედრაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. ყველაზე ხშირად ჩვენი მეზობლის წყალობით მუსიკოსების ორმოს სტუმარი გახლდით, მივჯდებოდი კუთხეში და ისე ვიყავი განაბული, ბეჭებზე ფონენდოსკოპს თუ არ მომაჯენდით, სუნთქვის გაგონებაც გაგიჭირდებოდათ.

შემოვიდოდნენ მუსიკოსები, ხან ბევრნი, ხან — სამიოდე. პიუპიტრებთან მოხერხებულად მოთავსდებოდნენ; სულ მალე დარბაზის ჭერზე ჩამოკიდებული ღარბიული ჯალი მიინავლებოდა, ჩალის სკამების ჭრაჭუნიც შეწყდებოდა. მუსიკოსების ორმოდან წყნარად ამოვიდოდა რომელიმე მელოდია ან საყვირის მოგუდული სუნთქვით, ან — ფორტეპიანოსი, ან — გიტარის. გულს აუტყდებოდა ბაგაბუგი და ფარდაც შრიალით დაიყენებდა ოქროსფერი ტალღების შუქს. გაქვავებული შევცქერიდი მთელი საღამო სპეტაკლს, ხან სიხარულის ცრემლით მევსებოდა თვალები, ხან — სევდის. ყველაზე უფრო სპექტაკლის ბოლოს, ტრაგიკულად დაზოცილი მსაზიობების გამოჩენა მიჩუყებდა გულს. ოვაციისას ნაღდი სიხარულით ვხარობდი. მეზობელი ხშირად სკამზე შემსვამდა, დარბაზისკენ მიმახედებდა, ტაშის ცემაში შუქიან სახეებსა და ამონსტრირებულ თვალებს ვაწყდებოდი ხოლმე. დარბაზი სავსე იყო სუფთა, უბრალო მატერიისაგან შეკერილი ტანსაცმლის შრიალით და იიფფასიანი სუნამოების სურნელით.

ფიქრიდან გამოვერკვიე, ძალზე მომინდა მუსიკოსების ორმოში გადახედვა. არც დამიყოვნებია. წამოვდექი, ოდნავ დამრეც იატაკზე დავეშვი, ორმოს მივუახლოვდი, გადავიხედე. ნეტავი სკამიდან არ წამოვმდგარიყავ! თუ სადმე, ოდესმე კლუბში სკამი, მაგიდა, პიანინო, ტახტი, კარადა დამტვრეულიყო, ყველა იქ ეყარა. მოკლედ, ავეჯის სასაფლაო გახლდა... „სცენაზე ალბათ, ბოჯის სიხსენ მტვერია, სპეტაკლებს ვიღა ჩივის, ზედ გამელილია სანატრელი“. — გავიფიქრე ჩემთვის.

მაშინვე უკან გამოვბრუნდი, ჩემს ადგილს დავჯექი.

დედი, ყველაზე გულსაკლავს ვეუახლოვდები: ამხელა დარბაზში, ოთხასხუთას კაცს რომ იტევს, პირველ რიგსა და მუსიკოსების ორმოს შორის თუნუქის ციცქნა ღუმელი ჩაუდგამთ, ქანგიანი მკლავი საცოდავად გაუშვერია სარკმელში. ღუმლის ზემოთ ჭერი გვარიანად შემჭვარტლულა. ამაოდ ხრჩოლავს სამრალო, ამაოდ წვალობს დარბაზის გასათბობად, მობუზული მაყურებლებიდან რომელიღაცა ოხუნჯობს:

— ნოდვერდალს ნაცარი წააყარე, ძმისწულო, გვერდები არ დაუდნოს!

— ფხუკ! — აქა-იქ იცინიან.

დარბაზს წინათ თუნუქით მოკვერილი აგურის ღუმლები ჰქონდა დატანებული კედლებში. კარგა ხანია დაანგრიეს. შეცქერი ციცქნა ღუმელს გოიცებული, გთანგული, ცრემლით მევსება თვალი. არც სპექტაკლის მოლოდინით, არც კარგი ფილმის იმედით, უბრალოდ, აქაურობის შემხედვარეს გული მიკვდება!

დედი, კლუბის გაღმა არა ვცხოვრობთ? ჩვენი სახლის გაყოლებაზე ყველას ცენტრალური გათბობა გვაქვს,

ჩვენ ქუჩაზე ხომ რა ხანია ჩაყარეს გაზის მილები. ჰოდა, პატარა საქვაბეების მოწყობას წინ რა დაუდგებოდა. ღუღუნებს წყნარად ანთებული ცისფერი გაზი და ვართ თბილად. სუფთად. არც შეშის შემოსატანად გინდა გარეთ გასვლა, არც მის მომარაგებაზე ზრუნვა და არც ნაცრის გატანის დარდი...

დედი, არა და, მთელი ჩემი მეგობრებიანად რკინიგზის კლუბში არ დავიზარდენით? მერე სხვა თაობებიც, ომის შემდეგ დაბადებულები. ზოგიერთმა ჩემმა ტოლმა ისე ყოჩაღად გამოიყენა კლუბის კედლებში შეძენილი ზრდილობა-კულტურა, კლუბისოდენა სახლი წამოჭიმა. შიგნით არ შეიხედავთ! მოპირკეთება თუ რომელიმე ოთახ-დარბაზმარნისა გადაწყვიტეს, სულ გამორჩეული მასალით: მუხა, თუ წიფელა — ხის მასალად. მარმარილო, თუ გრანეტი — ქვის მასალად. მარტო იმისი ფიქრი და ჯავრი მჭამს, საკუთარი კინოდარბაზები მოაწყვეს შინ, თუ ჯერაც რკინიგზის კლუბში დაუდით ცოლ-შვილი კინოფილმების საყურებლად.

დედაჩემო, ვწევარ ჩემთვის ფიქრით თავგასივებული, აკი მოგახსენე, ღამეამეთქი, ვწევარ და მშვენიერი აზრი მომდის. საქმედ როგორ ვაქციო, გზა ვერ ამირჩევია. აზრი და გეზი გამოკვეთილია — ცენტრალური გათბობა მინდა მოვაწყო რკინიგზის კლუბში, გესმის?!

გადაწყვეტილია! კარგად მოგეხსენება, რამე თუ ავიკვიატე, წინ ვერაფერი დაუდგება! მხოლოდ ისღა დამრჩენია საფიქრ-სადარდებლად, ჩემს მეგობრებთან ერთად ისე წამოვიწყოთ საქმე, რაც შეიძლება ლამაზად გამოვიდეს. არა, კი არ მერიდება. ანდა მათი ეკონომიური სიძლიერის ეჭვი კი არა მკლავს. რომელსაც გინდა, დაადე ხელი, სასაცილოდ არ ეყოფა ამ სამუშაოს შესრულება, მე მხოლოდ საქმის მორალური მხარე მაწუხებს...

ის კაი დედ-მამის შვილები, მთელ ზაფხულს ხომ კლუბის ეზოში ატარებენ ბებერი კვიპაროსების და აკაციების ჩრდილქვეშ. არც ზამთარში ივიწყებენ იქაურობას. ხან დომინოს სათამაშოდ შეიყრებიან, ხან — ჭადრაკის, უფროსი ხშირად — ბანქოსი. კინოფილმებსაც ხშირად უყურებენ. იმნაირად მინდა მოვაწყო, ყველა მათგანს ამ საქმეში პატარა წვლილი ედოს, ყველას ჰქონდეს რაღაც დასაჩემებელი. ერთს რომ მილების შოვნას დავავალე, მეორეს რადიატორებზე დავასაქმებ, მესამე არხების გასათხრელად მუშებს მოიყვანს, ზოგი ოსტატს შეაწუხებს ლითონის შემადუღებელი აპარატით, მეც დამხმარე მუშად გავერევი და წინ რაღა დავგიდგება?! ყველაზე გადარეულები პურ-მარილის თადარიგს დაიჭერენ, ამა, უმაგისოდ რომელი რიგიანი საქმე გამოსულა?!

ბოლოს, ყველაფერს გამართულად რომ დავიგეგულებ, გაზის კანტორას ვეწვევი. იქაც ბლომადა მსახურობენ ჩემი სიყმაწვილის მეგობრები. ვთხოვ და მობრძანდებიან, ახედ-დახედავენ შესრულებულ სამუშაოს, ცოტას გაიფხორებიან, შეიძლება პატარა შენიშვნაც წამოსცდეთ. მალე სახეზე ღიმილი შეეპარებათ და ჩართვის ნებას დაგვრთავენ!

მერე დავსხდებით მამაპაპაურად, დავლოცავთ ჩვენს ნაამაგარს — საქვეყნო საქმედ თამამად რომ შეიძლება მოვნათლოთ, კარგა გვარიანად მივიბრინჯებით და სიხარულით ვისვრით ჭერში ქუდებს!

გვარიანად გავარვარდებიან ლითონის რადიატორები, სითბო ჩადგება კლუბის კედლებში და, რაც მთავარია, აღარ შეიმჭვარტლება თეთრად შეფეთქილი ჭერი. შუქი მოემატება ჩვენი პატარა ქალაქის კულტურის ძველ კერას და ერთი მცირედი საქვეყნო საქმეც სიყვარულით იზეიმებს!

დედი, გითხარი ჩემი სატკივარი! ალბათ, მშვიდად ჩამეძინება. არ დამავიწყდეს, სანამ ამ საქმეს თავს მოვაბამდე, ერთი სათხოვარი მაქვს: საახალწლოდ, ბალღები არდადეგებზე რომ ჩამოვლენ, კლუბში თბილად ჩაცმულები გაუშვი,

ხომ იცი, ეგ გადარეულები კინოფილმების გიჟები არიან და არ მოგასვენებენ.

სხვა რაღა მოგწერო, ჯანმრთელად მეგულებოდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ შენი ნატრული შვილი!

მიპატიჟება

მთავარ ინჟინერს სამუშაო მაგიდაზე ციცქნა ტოპოგეგმა გაეშალა.

„აქეთ მოდექო, კარგად დაუკვირდი: ამ ძველი, მიტოვებული ბანოს ნაცვლად ჰიგიენის სახლი უნდა აშენდესო. ალბათ, ერთსართულიან სპორტდარბაზსაც შეელევიან, დავანგრევთო. ხომ იცი, სიღნაღი ქალაქ-მუზეუმადაა გამოცხადებული. ისეთი პროექტია საჭირო, მას რომ ეკადრებაო. თუმცა, შენ რაღა გესწავლებაო...“ მთავარმა ინჟინერმა ოდნავ იყუჩა, მერე ნახაზიდან თავი მაღლა აიღო, გვერდულად შემომხედა და მკითხა:

— რას იტყვი?

— არ უნდა ამაჩქაროთ, როგორც ყოველთვის.

— არა, რას ამბობ, — შეიცხადა.

— რამდენიმე დღით ადგილზე ჩასვლა დამჭირდება. ადგილმდებარეობას შევისწავლი, განწყობილებისთვის ქალაქს ფეხით დავივლი, ჩანახატებს გავაკეთებ...

— შენ როგორ მოისურვებ!

მომდევნო კვირას მიველინება გავაფორმე. შუადღის ავტობუსს გავყევი, საღამოს შინ ვიყავი. მეორე დილას სალაყბობზე ადრიანად გავედი, ყმაწვილკაცობის მეგობრები მოვინახულე, ჩამოსვლის მიზეზი მოვახსენე. ქერეჭაანთ ნიკომ გამოიდო თავი, იასამნისფერი „ჟიგულით“ ამარბენინა ციხე-ქალაქში.

გაზაფხული იდგა.

მთელი კახეთი კოკორ-ყვავილად ენთო. ნაზ მწვანეს თეთრი ფერი სპარობდა. ჯაგრცხილებით შეფენილ მთას კოკრობოკროდ მივუყვებოდით. ცისკენ გაგექცეოდა თვალი და, ოხვრა ამოგცდებოდა, ალაზნის ველით კავკასიონამდე უწვდენდი მზერას და, სუნთქვა გეკვროდა. თაღიან კარიბჭეს გავცდით, საკარაუდო ადგილს მალე მივაკვლიეთ. ძირის-ძირობამდე დავიარე ძველი ბანო, შემოგარენი. მეზობლად მდგარი ორსართულიანი, ქართული აგურით ნაგები ივან-ჩუქურთმიანი საცხოვრებელი სახლი ალბომში ჩავიხატე. აზომვაში ნიკო მეხმარებოდა. იქაურობას ფოტოები გადავუღე.

— ქალაქს ფეხით შემოვივლი, ჩანახატებს გავაკეთებ, — გავუტყდი ნიკოს.

— ძაან ნუ გაბამ...

— რომელ საათზე ამომაკითხავ?

— ორს არ გადავაცილებ, ხო იცი, ალაზანზე მაგარი პურ-მარილი გველოდება.

— კარგი, მანამდე მოვათავებ.

ქერეჭაანთ ნიკო წავიდა.

კარგა ხანს ვიარე ვიწრო ქუჩაბანდებში. ძველ ქალაქში სიწყნარე სუფევდა. გამვლელი ეშვიათად შეგხვდებოდა. ტყვიისფერი აბრები იუწყებოდნენ: მავან და მავან დროსაა ეს შენობა აგებული, კულტურის ძეგლია და ვინძლო პატივით და რიდით შეხედავ არ დაგავიწყდეთო. დანარჩენი... უფრო იმედით იყურებოდა, ვიდრე — საქმითა!

კარგა რომ მოვიქანცე, ბებერი კაკლის ძირას მივმყუდროვდი. გვარიანად მოვეწყვე. ალბომში ფანქრით ჩანახატი შევასრულე. ის იყო, აკვარელით გაფერადებას ვაპირებდი, ცისფერკაბიანი პატარა გოგონა პეპელასავით დამეხატა.

— ძია, თქვენ ხატვის მასწავლებელი ხართ?

— არა, გენაცვალე.

— აბა?

— ისე, ჩემთვის ვიხატავ თქვენს ლამაზ ქალაქს.

— მოგწონთ?

— ძალიან!

გოგონას დიდრონი თაფლისფერი თვალები სიხარულის შუქით აევსო.

— ძია, სანამ სკოლიდან დაებრუნდები, ხომ არ წახვალთ?

— მე მგონი, არ წავალ.

— მალე დაებრუნდები, ნახატს ხომ მაჩვენებთ?

— უეჭველად!

— ნახვამდის.

— ნახვამდის, — პეპელასავით აიქნია თეთრი, ნაზი მკლავები, მეგონა, ცოტაც და, მიწას ასცილდებოდა.

აკვარელის ფერები ნაზად ედებოდნენ ხორკლიან ქაღალდს. ნახატს საერთო ტონები მოვარგე. აქა-იქ ჩრდილებიც ჩავამუქე. ოდნავი დაღლილობა ვიგრძენი. ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე, მოვუკიდე, სიამოვნებით გავაბოლე. თავს შავოსანი მოხუცი წამომდგომოდა. გულხელდაკრეფილი მისჩერებოდა ნახატს. ოდნავ გაიღიმა თხელი ტუჩებით, მინაცრული მზერით:

— ჩვენ სიღნაღსა სწერ, შვილო? — კითხა მორიდებით.

— დიახ, ბებო.

— მხატვარი ხარ? — დაინტერესდა.

— არა.

— იმიტომაც აგირჩევია უცნაური ადგილი. მხატვრები უფრო ხშირად ეკლესიას ვერ ელევიან თავისი სამრეკლოთი, ქალაქის განაშენერზე რო მოჩანს.

— აქედანაც მშვენიერი ხედია.

— შენი არჩევანი პირველია, არა კაცს არ მოსვლია თვალში ეგ ალაგი. შავთავსაფრიანი დედაკაცი გამერიდა. იქვე ახლოს, კრამიტით დახურულ ერთსართულიან, ხისსაჩეხიან სახლში შევიდა. მალეე გამობრუნდა, თან ყამისფერი ხელადა მოჰქონდა.

— მოგწყურდებოდა, პირი გაისველე. — ხელადა გამომიწოდა.

წყალი მესიამოვნა, რაღაცნაირი ძველი თიხის სიგრილის გემო დაჰკრავდა.

მადლობა მოვუხადე. ბებომ ხელადა ჩამომართვა, პირუფშმრა გატრიალდა.

ხატვა განვაგრძე. კარგა ხანს ვიმუშავე. თითო-ოროლა მუქი კონტურიც და ნახატი დამთავრებულად ჩაითვლებოდა.

— მშვენიერი ხელი გქონია, შვილო, — ისევ წამომადგებოდა თავს ბებო.

— არაფერი მითქვამს, გვერდულად შევხედე, გავუღიმე.

— ალბათ, მალე დაამთავრებ, არა?

— თითქმის მოვრჩი.

— ვისაუზმოთ, შვილო, მოგშივდებოდა.

— რას ბრძანებთ, როგორ შეგაწუხოთ, — ალაგება დავიწყე.

— უარს ნუ მეტყვი, შვილო, ბევრი არაფერი მაქვს: შემწვარი კარტოფილი, მწნილი და ოინის პური.

— დიდი მადლობა, ქალბატონო.

მოხუცი კვლავ შემომხვეწა. დავიბენი. ცალკე მერიდებოდა, ცალკე უარი მკლავდა. ამ გაწამაწიაში ვიყავი, ქერეაანთ ნიკოს იასამნისფერმა „ეიგულმა“ რომ მოაყვირა. „აბაშენა ღმერთმა!“ — გუნებაში გავიცინე. საჭირო ნივთები სასწრაფოდ წამოვკიფიე, ჩანთაში ვუძახე. დედაბერს მოვუბოდიშე და ავტოსკენ ავჩქარდი. მოხუცი შინისაკენ დაიძრა. ოდნავ შემაღლებულ, აგურით მოკირწყლულ ტერასაზე შეჩერდა, ხის სვეტს მიეტმასნა გულხელდაკრეფილი.

ნიკომ „ეიგული“ მოაბრუნა, ნელა დავიძარით. ხელის აწევით დავემშვიდობე. დედაბერს სევდაგარეულ სახეზე უიმედო ღიმილი შერჩენოდა.

სულ მალე გამოვცდით თაღიან კარიბეს, გულნაკლული ვტოვებდი კახეთის ძველ მარგალიტს. თავქვე ვეშვებოდით. ფერმკრთალ ვარდისფრად ლივლივებდა ალაზნის ველი. ვერცხლით მოჭედილი მდინარე ძველი ბილიკებით მიიკვლევდა გზას ნისლჩაკიდებულ უსაზღვრო სივრცისაკენ...

სალაყბოზე ნატვრით გველოდნენ, ორნი ჩვენს ავტოს შემომტატნენ. ბიუებით გავსებული შროშანისფერი „ვოლგა“ ზანტად აგვიდევნა. ალაზნის გადმა, რესტორანში ისურვეს ქეიფი. ოდნავ მოთენთილი, დაღლილი გავიკეროდი მოდიდებულ მდინარეს. თვალსაწიერზე დედაბრის ნაღვლიანი სახე ამოტივტივდებოდა დროდადრო.

რესტორნიდან ორი თეთრხალათიანი

მიმტანი გამოგვეგება ღიმილით. სალამქალამის შემდეგ:

— გარეთ გავშალოთ, თუ შიგნით? — მაშინვე იკითხეს.

— გარეთ, ჭერმის ქვეშ, ყვავილი ბატიბუტივითი რო აყრია! — გასცა განკარგულება მუდლაანთ დათომ. როგორც თქვენ გაგეხარდებათო, — დაიშარჭინენ.

ენით აუწერელი ამინდი იდგა. ჩაწმენდილ-ჩაკრიალებულ ჰაერს ხეხილთა ყვავილის სურნელი ახლდა. უზომოდ ვხარობდი ჩემი საგაზრდილოს ხილვითა და სიყრმის მეგობრების სიახლოვით.

დიდებული სუფრა გაშალეს. საუზმეს მივეჯალეთ. პატარაზე შევნაყრდით, ერთი დავილოცეთ და ნიკომ სოკო მოითხოვა. არა გვაქვსო, — მოიბოდიშეს. დათომ დანახარჯი გადაიხადა, ალაზანგაღმა გამოვედით. გაუჩინარი გააჩინეს! ხონჩით ახლად მოხარშული თევზი შემოიტანეს, ყველა მურწას ეძებდა. შევყურებდი თევზით მოჩითულ ხონჩას, ზედ თავსაფრიანი დედაბრის სახე იხატებოდა.

სმა გაჩაღდა. ღვინო ნელ-ნელა გვეკიდებოდა.

გაზაფხულის დღე ინავლებოდა. იმ ზომაზე დავდექით, სიმღერის ჭია რომ შეგიჩნდება კაცს. ვცადეთ კიდეც, არაფერი გამოგვივიდა. დათომ ახლა ამაზე აიშალა ნერვები. მომტანი იხმო:

— ავთანდილ, დამკვრელების იმედი ვიქონიოთ?

— ქორწილში არიან.

— აბა, ავიშალენით!

— თუ ისურვებთ, ბიჭს გავგზავნი ველისციხეში, გიტარებით ჩამოვლენ.

— არა, ღუდუკებზე უნდა ვიქეიფოთ! — დათომ წითელი აგურივით დადაწოდა ათმანეთიანების შეკვრა მომტანს. — გამოაძვრე რამდენიც გერგება!..

მომტანმა შეკვრა მალევე დაუბრუნა.

— აბა, ძმებო, შუამთაში ვეცეთ!

ფიქრით თავი არავის შეუწუხებია...

ნორჩი მუხნარიდან გაზაფხულის სიგრილე შემოგვეფეთა. სუფრა შიგ ტყეში გაშალეს. დამკვრელები მაშინვე ჩვენთან გაჩნდნენ და ქეიფიც დაიწყო.

ვიჯექი მოწყენილი, საითაც გავიხედავდი, თავსაფრიანი დედაბრის გალეული სახე მეხატებოდა, მუდარაგარეული მოპატიჟე გამოხედვით. სმას მოვუკელი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნათლად მეცხადებოდა შავოსანი მოხუცი, ამოხუნებული, ჩაჯანღული თვალებით. „რა მოარბენინებდა ქერეჩაანთ ბიჭს, ერთი ნახეკარი საათით რომ დაეგვიანა, უეჭველად ვესტუმრებოდი ბებოს...“ ისეთ გუნებაზე ვიყავი — კაცს რაღაცას რომ წაართმევენ და აღარასოდეს დაუბრუნებენ!

გვერდით ოდნავ ელამი, ჯაგარათმიანი ბავშვობის მეგობარი მეჯდა. მხარზე ხელი მოვხვიე, ყურში წაეჩურჩულე:

— ახლა ერთი შემწეარი კარტოფილი, მწწილი და რბილი თონის პური! წარბებაქაჩულმა გადმომხედა:

— რა ინატრე?

— ხელმეორედ ნუ ჩამომათვლეინებ...

— ცალკე შენთვის შევუკვეთო, თუ ყველასათვის? — ოდნავ უკიდებდა ენას.

— არა, გეხუმრე... — ვერც ეს, ვერც სხვები ვერ გამიგებდნენ, რა მჭირდა.

ერთხანს დავაპირე, ავდგები და მოვყვები, ისე დავხატავ ჩემს გასაჭირს, სული შევუძრა გადარეულ მეგობრებს-მეთქი, მალევე მიეხვდი, რომ ამაო წვალება იქნებოდა. მერე თვალები დავხუჭე და შეეცადე ნათლად წარმომედგინა დედაბრის ძველებური დარბაზი: კედლიდან დაწყებული ხის ტახტზე გადმოშვებული შალის გახუნებული ფარდაგი, ზედ დროულად თუ უდროოდ გარდაცვლილთა გადიდებული პორტრეტები. რომელიმე კედელში თაღიანი წალო. ძველმოდური კამოდი, ფართო მაგიდა. ჩალის სკამზე ჩამომჯდარი სევდაფქცეული მოხუცი, კაბის კალთაზე ჩამოწყობილი ნაოჭდაყრილ მი-

მდნარი ხელებით. კარისაკენ მიპყრობილი მოქანცული მზერით...

— ადე, ადე! შენებურად ჩაგრიხე! — ქერეჭაანთ ნიკო მეხვეწებოდა. კინტაურს უკრავდნენ.

უხალისოდ წამოვდექი, მკლავების გრეხით გავიარ-გამოვიარე. ისევ დავჯექი.

— შალვა, რაშია საქმე? — უკვირდა დათოს.

— რა ვიცი, ალბათ, დავიღალე...

— ჰოოო...

დამკვრელები ძალზე ცდილობდნენ.

ჩემი ყმაწვილკაცობის მეგობრები ქეიფობდნენ.

გაზაფხულის გრილი ღამე შემწყვდეულიყო ნორჩ მუხების ტყეში.

ნიკოს „ქიგულის“ გასალები ვთხოვე, ღიმილით გადმომაწოდა. ქეიფი მივატოვე სიღნაღისაკენ დავენთე!

ჩრდილში დაფერფლილი

უთენია გამოვა ხის ჩუქურთმადაყრილ მამა-პაპურ აივანზე, სიგარეტს გაიჩრის პირში, მზერა ვარდის ბუჩქებისაკენ გაექცევა. დგანან ახლად გაფოთლილები, აქა-იქ კოკრებშესივებულები. ღიმილი მოერევა.

მოზაიკის საფეხურებს დაუყვება. მარცხნივ, ბეტონის აივანს გახედა, ჩაიდაბლაურა. ტყრუშულით მომყუდროებულ სატრაპეზოში მთლიანი ხისგან გამოთლილ მაგიდის გარშემო კოხტად შემოეწყოთ წმინდად გადაჭრილი კუნძები. „ზემოთ — ამინდისა ქვემოთ — უამინდობისა!“ — გაიფიქრა კაცმა.

ეზოში ჩამოსული პირველად ვარდების ბაღს ეახლა. სათითაოდ ჩამოუვლის. ზოგს ხმელ ფოთოლს შეაცლის, ზოგს მიწას აუმჩვილებს, ზოგსაც ზედმეტ ტოტს შეაჭრის...

ვარდების ბაღს ცალ მხარეს ღობედ მეზობლის ერთთახიანი სახლის კედელი აკრავს. სახლი ისეა დაწყებული, ალბათ ეზოს მხრიდან მიშენებას აპირებდა პატრონი. ღია ცის ქვეშ დარჩენილი ქვევრები რაღაც უიღლობაზე ღაღადებენ, ბიჭი რომ წამოეზარდა, სახლის პატრონმა იფიქრა, მეშველოო, მაგრამ ბიჭს სულ მალე ომში უკრეს თავი. დავაჟკაცებული დაბრუნდა მოგვიანებით. მამა ცოცხალი აღარ დაუხვედა. ჯანი მოსდევდა და მიწას შეეჭიდა. ცოტა რომ მომაგრდა, იმანაც გაიხსენა მამის გააზრებული. ბალავარი გაჭრა ორსართულად გაფიქრებული სახლისა. საკუჭემდე მოჰყარა, ბეტონის სარტყელი დაარტყა. აგერ, მეორე წელია ძვრა ვეღარ უყო!

კაცს მეზობლის ახალი სახლის შებათქაშებულ კედელზე კბილებჩაცვენილი, ძირდაშაშრული კევრი მიეყუდებინა. მწყობრად მიწყობილ ქოთნებში ია და ენძელა ეხარებინა. ბოსტნის თავში სახნისგალეული, ღირღიტამიცრეხილი გუთანი მიწოლილიყო მფეერდებით. ოდნავ ჩაჟანგებულ სახელურებზე ჩამოკიდებული ქოთნებიდან ყოჩივარდები იჭყიტებოდნენ. პირწატეხილი ქოცო იქვე უდარდელად წამოგორებულიყო. დაბალ ღობედ ჩარიგებულ-ჩაზიზაგებულ კრამიტებში ამოწვერილ კოინდარს მწვანედ გაუდიოდა ხასხასი... კაცი ადრიანად ჩამოუერიგებდა ხოლმე უყვედრებელ ღიმილს; ყვავილსა თუ ქოთანს, ბალახსა თუ რკინას მოეფერებოდა.

ამ დილითაც გული იჯერა მათი მონახულებითი, მეზობლის კედელს იდაყვებით გადაეყუდა და ხმადაბლა დაიძახა:

— ნიკო!

— რა იყო, შვილო? — იქვე, კუთხეში ნიკოს დედა მიმჯდარიყო გალეული, ფერდაკარგული. დამდნარდაკოჭრებულ თითებში რკინის ჩხირები ეკავა. წინდასა ქსოვდა. თეთრად მოელვარე ჩხირები გაწვრთნილები-

ვით ერთნაირ მოძრაობას იმეორებდნენ, ნელა, აუჩქარებლივ.

— ვარო ძალოს სიცოცხლე! — მიესალმა კაცი.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო!

— ნიკო სახლშია?

—შინ არი, პურსა სჭამენ.

— როგორა ხარ, ჯანმრთელობას ხომ არ უჩივი?

— როგორღა ვიქნები, ჯანი აღარ მომდგებს. ბიჭს ვენახში ვეღარა ვშვები. სახლის საქმეს თუ წამოვუკრავ ხელს...

— აღარ გეყო, რაც შენ შრომა გაქვს გაწეული...

— ბიჭი მეცოდება, ამდენი სული სარჩენი, ათასი ჭირ-ვარამი...

კედლებს შუა ნიკოც გამოჩნდა ყბების ცმაცუნით. ცერით ულვაშის ძირებს იწმენდდა.

— სალამი რეზოს!

— ნიკოს გაუმარჯოს!

გაწყალებულ ჩითის პერანგში ნიკოს ფართო მკერდი და კუნთებად ქცეული მკლავები ილანდებოდა. მზედაკრულ სახეს ნაადრევად გათეთრებული ქოჩორი უხდებოდა. ჭროღათუთისფერ თვალებში დაღლილობა და სევდა ჩასწოლოდა.

— ხო მშვიდობაა ქალაქში?

— არა გვიშავს, შენ როგორა ხარ?

— რა ვქნა, ვწვალობ, ვჯახირობ...

— აღარ აპირებ ამ სახლის დამთავრებას?

— ეხ. მე კი ვაპირებ, მაგრამ... — ნიკომ სათქმელს გული თან ამოაყოლა.

— მაინც, რა სატკივარი გაწუხებს?

— ყველა ოჯახური წვრილმანია: ჯერ არის და, სიძის ორმოცი არ გადაგვიხდია, ჩემს დას ხელის გამართვა ხო უნდა?

— უნდა, მაშ!

— შემოდგომაზე ბიჭი ჯარიდან რო მობრუნდება, ჩაცმა-დახურვა დასჭირდება თუ არა?

— დასჭირდება!

— გაიხედ-გამოიხედავს და მოდაზე ჩაცმას ისიც ხო მოითხოვს?

— ალბათ...

— გოგოა და, შეღერებულიგ[illegible] იპრანჭება. იმის ჩაცმაც კარგა ფასი ჯდება.

— ჰოოო... — სანუგეშო ვერაფერი უთხრა რეზომ.

დედაჩემიც დასაბინავებელია, ამასაც ხარჯი დასჭირდება თუ არა?!

კაცმა ვარო ძალოს გადახედა. დედაბერს ჩხირები გაუშუბოდა, სულ მთლად მიმქრალიყო, ოდნავ შესამჩნევად აკანტურებდა თავს თანხმობის ნიშნად. შვილს მუდარის თვალებით შესცქეროდა, თითქოს ჩურჩულით ამბობდა: „ნეტა შეიძლებოდეს ჩიტად ან პეპლად გადამაქცია, ცაში ავიჭრებოდი უხმაუროდ. უკან მოუბრუნებლად გაგვრიდებოდი, შვილო. ანდა, ისე დამწვა-დამნაცრა, ჩემ ბოსტანში უზუმრა ჩამაბნია, მაშინ ხო არც ქელები დაგჭირდება, არც კუბოს ფული, არც — დამკვრელებისა. თუგინდ ისე გამაქრო, ვერც ერთმა სულიერმა ვერ შემასწროს თვალი. ნიადაგ იმას იძახდეთ — ან ეხლა გამოჩნდება, ან ეხლაო. ცოცხლის ტირილი და დამარხვა კი ვის გუგონია?! ჰოდა, ამ გზით გადაგარჩინოს ღმერთმა, შვილო, ჩემ გასასტუმრებელ ვალებს!“

კაცი თავზარდაცემული შესცქეროდა მოხუცის სახეს. თვალები ცრემლით აევსო. თავი ძირს ჩაჰკიდა, ხმის ამოღება უჭირდა. ვერავითარი აზრი ვერ გამოეტანა. ბოლოს ერთი ღრმად ჩაისუნთქა, მთელი ხმით გადაიხარხარა. ნიკომ წარბება ზევით შეჭყარა, გოცებული მიაშტერდა რეზოს.

— ნიკო, თუ რამეში დახმარება დაგჭირდეს, ნუ მომერიდები.

— იცოცხლე, რეზო! შენი იმედი ნუ მომიშალოს ღმერთმა.

დედაბერი ერთხანს გარინდებული იჯდა. მერე დამდნარი თითები თავისით ამოძრავდნენ ცოტა უფრო ცოცხლად, ცოტა უფრო დაშურებით, თითქოს ჩქარობდნენ — მოსაქსოვი არაფერი დაგვრჩესო!

ჯაჭვური რეაქცია „ბრიოლი“

მოთხრობა

ქორფას ქეიფი მოეგუნება. იყიდა ქორფა მწვანე კიტრი, ტარხუნა, მწვანილი... ამისთანები ძალიან უყვარდა; ამა, ამას რაიმე სჯობიაო? იტყოდა ხოლმე და ნება-ნება შეახრამუნებდა გემოზე მარილმოყრილ მწვანე კიტრს და ხავერდოვან, დაცვარულ ტარხუნას. ამ-იტომაც შეარქვეს ძმაკაცებმა მეტსახელად ქორფა. საერთოდ, იმ წრეში, რომელშიც ქორფა ტრიალებდა, არავინ რჩებოდა მეტსახელის გარეშე, რომელსაც ისე ბუნებრივად მოარგებდნენ ხოლმე ერთმანეთს, რომ ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა.

სხვა რადაც რადაცეებიც იყიდა ქორფამ, წყურვილის მომგვრელი ნარინაირი საუზმეული და დაპატიჟა, ვინი ნახვაც მოახერხა, თავისი უახლოესი, სულზე უტკბესი ძმაკაცებიდან: როხოხა ხმის პატრონი მედოლე ჯანთამადა, შალითების მკერავი ნაბადო, დარაჯი პიტნა (პიტნის ნაყენი უყვარდა ნამეტანი), და პაპიჯა, პირველი კლასის მძღოლი, რაღაც საგზაო შემთხვევის გამო ამჟამად დისკვალიფიცირებული.

დანარჩენებმა თითქოს სუნი იკრესო, საღამო ხანს დაბარებულებივით დაერჭვნენ ქორფას ერთ ციცქნა ოთახში. ყველანი უკლებლად აქ იყვნენ: დანების მლესავი ჩაინიკა, მექვაბე მაქექა, სახურავის შემკეთებელი ჩამიჩა, მართლაც ჩამიჩივით „გამომშრალი“, მაღალ-მაღალი კაცი, სულ ჰაერზე ყოფნამ გამოაშროო, გულკეთილად დასცინოდნენ ძმაკაცები, დურგალი ჩაკო, ძმებივით განუყრელი შიმშანგო და ხეგხევა. ამათი ასავალ-დასავალი არც თვითონ ქორფამ იცოდა ხეირიანად, და მხერხავი უმაქნისა, თავისი განუყრელი ხერხით.

უმაქნისამ თან მეგობარი მოიყვანა, კარგად დაუთოებულ კოსტიუმსა და ჭრელ ჰალსტუხში გამოპრანჭული ცეცხლივით თმაწითური კაცი. ქორფამ გუნებაში შეუკურხთა უმაქნისას, რომელსაც საერთოდ ვერ იტანდა. მართლაც დიდი უმაქნისი ვინმეაო, იტყოდა ხოლმე ძმაკაცებში მისი მისამართით, კაცი რომ ზაფხულში არ გაახელ თვალს და ამწვანებულო ხეების დანახვა არ გიხარია, ზამთარში რაღა უნდა დაინახოო? ქორფას მხედველობაში უმაქნისას საშინელი ძილისგუდმა ჰქონდა. მართლაც, მთელ ზაფხულს თითქმის სულ ძილში ატარებდა, მხოლოდ შემოდგომაზე გამოფხიზლდებოდა ძილისგან და ჭუჩა-ჭუჩა დადიოდა შეშის დასახერხად.

„ჰმ, ახლა სწორედ გამოფხიზლების დრო დადგომია...“ უმაქნისას ძმაკაცი ხომ სრულებით არ მოუვიდა თვალში ქორფას. მოკაუჭებული გრძელი ცხვირი და თავაზიანი, შაქარივით დამტკბარი ღიმილი, პირს ყურებამდე რომ უხეკდა, რაღაც უსიამოდ მოხვდა გულზე, ახლა კიდევ მისი ჩაცმულობა... ვერც გამოპრანჭულ ხალხს იტანდა ქორფა. როგორღაც შემთხვევით ყური მოეკრა: მამაკაცის ტანსაცმელს დაუდევრობის ნიშანი უნდა ეტყობოდესო. თვითონ ხომ ამ ნიშნის მიხედვით იცვამდა თავისი დღე და მოსწრება, სხვებსაც ამის მიხედვით აფასებდა. კარგად დაუთოვებული და გაპრიალებული კოსტიუმის დანახვისას ტუჩებს ქედმაღლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად აიბზუებდა ხოლმე, ჰალსტუხის დანახვისას კი სული ეხუთებოდა და ხელს კისერზე ივლებდა, აქოდა არ დავიხრჩოო.

სუფრა გაიშალა მართლაც მეფური. ხელგაშლილობით ცნობილმა ქორფამ თავის თავსაც კი გადააჭარბა: სუფრას არც ქორფას საყვარელი მწვანე კიტრი დაჰკლებია, არც დამწნილებული. შებოლილი თევზი, კუჭმაჯი... ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თეფში, დანა-ჩანგალი, ხელსაწმენდიც კი ყველს სათითაოდ ეერგო, ახლოლად აი, ჭიქები საკმარისი არ აღმოჩნდა. სუფრას ცამეტი კაცი უჯდა, ქორფამ კი თუმცა ბევრი ეძება, თორმეტზე მეტი ჭიქა ვეღარ მოიძია. სხვა დროს ქორფა ამაზე თავს არ მოიკლავდა (თუ გწყურია, ბოთლიდანაც კარგად დალევ) მაგრამ იმ უცხო სტუმრის მოვრიდა. სასწრაფოდ აირბინა კიბეზე და მეზობელს მიუკაკუნა, ჭიქა უნდოდა ენათხოვრებინა.

კარი ბავშვმა გაუღო.

— ერთი ჭიქა გამოიტანე, შენს გაზრდას. — სთხოვა ქორფამ.

ბავშვი გატრიალდა, ორიოდე წამში მშვენიერი ბროლის ჭიქა გამოუტანა და ხელში მიაჩეჩა. ერთი კი დახედა იმ ჭიქას ქორფამ, შეყოყმანდა, ხელში არ შემომატყდეს და ხათაბალაში არ გავებაო. სანამ ყოყმანდება, ბავშვმა კარი მიხურა. ქორფა მორიდებული კაცი გახლდათ და ადამიანის შეწუხება მართლაც რომ არ უყვარდა, ვეღარ გაბედა, ბავშვი ხელმეორედ დაესაქმებინა.

გამოტრიალდა ხელში ბროლის ჭიქით და ის ჭიქა უცხო სტუმარს დაუდგა. გაჩაღდა ქეიფი. თამადად როხროხა ხმის პატრონი ჯანთამადა აირჩიეს, მოკარნახედ — პიტნა. ასე ჭქონდათ როლები განაწილებული. ჯანთამადას ჭკუა არ ჰყოფნიდა სათამადოდ, პიტნას — ხმა, ჯერხნობით ქორფამ გემო ვერ ჩაატანა ქეიფს, ვერ მოიღხინა თავის გუნებაზე. ნერვები დაეწყდა იმ ბროლის ჭიქის თვალთვალში, აცა, არაფერი დაემართოსო. შიშით ფერი-ფერი მისდიოდა, როცა უცხო სტუმარი ჭიქას აიღებდა და ნება-ნება, გემრიელად წრუპავდა ღვინოს. გრძელი, მოკაუჭებული ცხვირი ჭიქაში თითქმის ნახევრამდე ჩაეყო.

მერე კი, შუა ქეიფში, ერთი იმასღა ითხოვდა ქორფა, მაგ ლამაზი ჭიქით მეც დამალევინეთო ღვინო. დიდი მხიარულება იყო, ათასგვაკი გასაართობს იგონებდნენ. უცხო სტუმარი დიდი ენაწყლიანი ვინმე გამოდგა. ისე გაშინაურდა, ყველას ეგონა, ამ კაცს მთელი სიცოცხლე, დაბადებიდანვე ვიცნობთო. სუფრა აიკლო ნაირნაირი სასაცილო ანეგდოტებით, მუცლები სულ ხელით ეჭირათ. ახლა რა ფოკუსებს აღარ იგონებდა, მოქეიფეებს თვალები ლამის ბუდეებიდან გადმოსცვენოდათ.

მერე იმ პატიოსანმა კაცმა ერთი სეირიც უჩვენა თანამეინახეებს. აიღო ბროლის ლამაზი ჭიქა, სპირტი გამოავლო და ცეცხლი წაუკიდა. სინათლე ჩაჰკრეთო ბრძანა. ორივე ხელით მარჯვედ ატრიალებდა ბროლის ჭიქას, მის ხელებში ლურჯი ცეცხლის ალები ცეკვავდნენ და იკლაკნებოდნენ. უცხობი ჩაციებით ჩაშტერებოდა მოცეკვავე ალებს. ხელები, სახე, მოკაუჭებული გრძელი ცხვირი, მელოტი კეფა ლურჯმოიისფრად ულაპლაპებდა. თავზე თითქოს რქებიც დაუნახეს, ისიც ლურჯი ფერის.

ქორფა უეცრად შიშის ზარმა აიტანა. გატრუნულმა გადაავლო თვალი თავის ძმაკაცებს. ძლივს გაარჩია სიბნელეში ჩაძირული, ლურჯი ალით ოდნავ შეფერადებული ცოდვიანი სახეები, დამრგვალებული, მოკიაფე თვალებით და გაოცებისაგან ღიად დარჩენილი პირებით. ყველანი უძრავად ისხდნენ გასუსულნი. უცნობმა თვალი მოაცილა ლურჯ ალს, ამოხედა მათ, გაიღიმა (ქორფას ახლა კი ჟრუანტელმა დაუარა), ხომ მოგწონთ, ხომ ლამაზიაო, იკითხა.

პასუხის გაცემა ვერავინ მოასწრო. ერთი კი გაისმა: ტაკ! და ლურჯი ალი ჩაქრა.

სიბნელეში კარგა ხანს იფათურა ქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რფამ, ხან ვის გადააწყდა და ხან ვის, სანამ ჩამრთველს მიაგნებდა და სინათლეს აანთებდა, ძლივს! უცნო სტუმარი სიმთვრალისაგან გამოთაყვანებული სახით იჯდა, ყელის ფერი თმები რქებივით ადგა მელოტ თავზე, მის წინ შუაზე გადახსნილი ბროლის ჭიქა ეგდო.

გატეხილი ბროლის ჭიქის დანახვაზე ყველა ერთბაშად გამოფხიზლდა, ქორფამ ხომ ერთი სიკვდილი გაათავა. ქეიფის თავი ვიღას ჰქონდა, სასწრაფოდ წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ იმ უცნობ სტუმარს არ დაადგა საშველი, იჯდა ისევ ისე და აღარაფერი ეყურებოდა ამქვეყნად. ვერაფერი რომ ვეღარ მოუხერხეს, მხარზე შეშასავით გაიღო უმაქნისად და ასე თრევა-თრევით წაიყვანეს. ქორფამ გაბრაზებით მიაყოლა „ლოცვა-კურთხევა“. სასმლისაგან ფეხებშეშლილ სტუმარს იგი არასდროს არ გაუშვებდა გარეთ ღამის სიბნელეში, მაგრამ ამ მატარაბაზის თვალით დანახვაც კი აღარ უნდოდა. ახიც იყო, თუ რაიმე ხათაბალაში გაჰყოფდა თავს.

იმ ღამეს ვეღარ მოისვენა ქორფამ. მოხუმავადა თუ არა თვალს, ის გატეხილი ბროლის ჭიქა ელანდებოდა და ძილი გაუფრთხა. თავბედს იწყევლიდა, რაღა ის ბავშვი შემხვდაო კარებში. ვინმე უფროსთაგანი შემხვედროდა, ბროლის ჭიქას როდი გამომიტანდნენო. საწყალს რა დღეს დააყრიან, თუ ეს ამბავი გამოჩხრიკეს: ჯერ ერთს კარგად მიბერტყავენ და კუთხეში დააყენებენ, მერე სასტიკი მუქარებით შეზავებულ გრძელ-გრძელ რჩევა-დარიგებას წაუკითხავენ, რათა ჭკუა ისწავლოს და მომავალში ბროლის ჭიქა აღარავის ათხოვოს, მით უმეტეს, როცა საქმე ქორფასთანა ბედოვლათს ეხება. თავის დროზე ამას ისედაც მიხვდება ის ბავშვი, მიხვდება, როცა გაიზრდება და თავის მამიკოსაგან დაჭკვიანდება. და რატომ უნდა მოხდეს მაინცდამაინც ისე, ფიქრობდა გაწამებული ქორფა, რომ ეს ჭკუის სწავლება საწყალ ბავშვს ფსიქიკური სტრესის საფასურად დაუჯდეს, შეიძლება ეს ტრავმა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვეს და ცხოვრება ტანჯვა-წამებად უქციოს. იქნება შიშით ახლოს ვეღარც გაეკაროს ბროლის ჭურჭელს. ან თუ გაეკარება, ყოველთვის ხელიდან გაუვარდეს და დაემსხვრეს. ახლავე, სანამ ჯერ არავის არაფერი გაუგია, უნდა იშოვოს ზუსტად ისეთივე ბროლის ჭიქა და მიუტანოს იმ ბავშვს.

იმაზე ფიქრს კი, თუ რა დღეს დააყრიდნენ თვითონ მას, „მოტყუებიან“ რომ წაჰგლეჯა საწყალ ბავშვს ბროლის ჭიქა, ქორფა ძრწოლით არიდებდა თავს.

ინათა თუ არა, შავი ფიქრებით შეპყრობილმა ქორფამ ამოხვეტა, თუ რამე დარჩა საქეიფო ხარჯებიდან, ჯიბეში ნამსხვრევები ჩაიდო და ბროლის ჭიქის საშოვნელად გაქანდა.

აქ სიტყვამ მოიტანა და სანამ ქორფა მაღაზიიდან მაღაზიაში დარბის ბროლის ჭიქის საშოვნელად, ორიოდე სიტყვით ნათელს მოვფენთ, თუ რატომ გამოიწვია ერთი ჭიქის, თუნდაც ბროლის ჭიქის გატეხამ ამხელა ალიაქოთი. ქალაქში, სადაც ქორფა დაიბადა და დავაკაცდა, რაღაც განსაკუთრებულად, უღრმესი და უნაზესი გრძნობით, უყვარდათ ბროლი. სახელდაც ბროლიანი ერქვა იმ ქალაქს. ადრე, თურმე, სხვა სახელი რქმევია, მაგრამ ქორფას და მისი ძმაკაცებისა არ იყოს, აღარავის ახსოვდა უკვე. იქაური მეგობრიანეს თქმით, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, დაახლოებით მეთორმეტე თაობის წინაპრებიდან გადმოსცემოდათ მათ ეს სიყვარულის გრძნობა, გადმოსცემოდათ წლობით ნაგროვებ, ნასათუთებ და ნალოლიავებ ბროლის ჭურჭელთან ერთად და ახლა უკვე კარგად გასჯდომოდათ გულღვიძლში. ყოველი ახალი თაობა არათუ რაიმეს აკლებდა, არამედ კიდევ უფრო ამდიდრებდა ნაანდერძეს ბროლეულს ახალ-ახალი ნიმუშებით და კიდევ უფრო აღვივებდა თავის თავში მხურვალე გრძნობას სიყვარულისას. ბროლიანის მკვიდრ-

თა მჭიდროდ კარჩაგმანულ, ყოველგვარი მოულოდნელობისაგან სიმედოდ დაცულ ბინებში ყოველ ნაბიჯზე, სადაც კი რაიმე საყრდენი იყო, ეწყო და ელაგა ნაირნაირი ფერის, ფორმის და მოხატულობის ბროლის ჭურჭელი: ლარნაკები, ფიალები, ჭიქები, ფუჭერები სირჩები, სერები, სანამცხერეები, საკამფეტეები და ასე შემდეგ. რაც უფრო მეტი იყო ეს ყველაფერი დახვავებული, მით უფრო ამაყი, ბედნიერი და თვითკმაყოფილი სახით შეგხვდებოდათ კარებში მასპინძელი, თუ სტუმრად ეწვეოდით. გარდა ამისა, ყოველნაირი დანიშნულების ბროლის ჭურჭელი თორმეტი ცალი უნდა ყოფილიყო უთუოდ, ანდა მისი ჯერადი. მეტი ან ნაკლები არაფრით არ შეიძლებოდა.

ბროლიანის ყველა მკვდრს, თუ თავის თავს ოდნავ მაინც პატივს სცემდა, ამ ჯადოსნური რიცხვისთვის უნდა გაეწია ანგარიში. ისინიც მზრუნველ მოსიყვარულე თვალს ხშირ-ხშირად გადაავლებდნენ ბროლით დაზვინულ თარეებს, ფხიზლად დარაჯობდნენ, არაფერი დაჰკლებოდა მათ წმიდათაწმიდა სამყოფელს და მუდამ სრული შემადგენლობით ებრძეოდნალთ ბროლის ჭაღების შუქზე.

ეს ყველაფერი კარგად მოეხსენებოდა ქორფას, თუმცა თვითონ მას ერთი ბროლის ჭურჭელიც კი არ ჰქონია არასოდეს. თვალგაფაციცებულმა აუარჩაუარა ბროლით დაზვინულ დახლებს, ხელში იმ ბედუკუღმართი ჭიქის ნამტვრევი ეჭირა და იმას ადარებდა, უნდოდა, ზუსტად ისეთივე ეპოვნა.

თითქოს ჯიბრზე, ზუსტად ისეთივე ჭიქა ვერსად აღმოაჩინა. მსგავსი კი იყო, მაგრამ რა შვილი იქნებოდა იმ ბავშვის დედა, განსხვავება რომ ვერ აღმოეჩინა! ხშირად უნახავს ქორფას, როგორ რუდუნებით არჩევდნენ დიასახლისები ბროლის ჭურჭელს: ეს ოდნავ მაღალია, ეს ოდნავ დაბალი, ამას სხვანაირი მოხატულობა აქვსო... უამრავ განსხვავებას პოულობენ იქ, სადაც ქორფა ვერაფერსაც ვერ ამჩნევდა, — რაღა იქნება იქ, სადაც თვით ქორფა ამჩნევს სხვაობას.

— ერთი ამისთანა ჭიქა მომიძებენთო — გამყიდველებს დაელერიჯა ბოლოს.

— არა გვაქვს, კარგა ხანია არ გვქონია... იყო და გათავდა... — ისმოდა პასუხად.

— იქნება იყოს, ასეთი, ზუსტად ასეთი, რამდენსაც მიბრძანებთ, გადავიხდი...

მთელი დღე შეუსვენებლად ირბინა მაღაზიიდან მაღაზიაში და საღამოს დაღლილ-დაქანცული, ფეხზე ძლივსღა იდგა. თვალებიც ისე აუჭრელდა ამდენი ბროლის ჭვრეტაში, ვეღარაფერს ხედავდა უკვე, მხოლოდ წითელ-ყვითელი წრეები უტრიალებდნენ თვალწინ. „რა ვქნა, რითი ვეშველო საქმეს? — ფიქრობდა გულშემოყრილი და ბრინჯივით დაბნეული, — როგორ გადავარჩინო ის ბავშვი ცემა-ტყეპას:

დიდმა დაძაბულობამ აიძულა ქორფას თავი რაც შეიძლება მონდომებით ამუშავებულიყო. გაახსენდა, ერთ მის ნათესავსაც ჰქონდა ზუსტად ასეთი ჭიქები. იყიდა საჩუქარი ნათესავის ბავშვისათვის, რაც იმ ბროლის ჭიქის საფასურს ერთნახევარჯერ აღემატებოდა და იმ საღამოსვე ეწვია.

ტუზი დაეცაო, რომ იტყვიან, ისე მოუვიდა. სუფრა გაშლილი დახვდა. ზუსტად ისეთივე ბროლის თორმეტი ჭიქა დაედგათ მაგიდაზე. თორმე მასპინძლის ბავშვის დაბადების დღე ყოფილიყო. ქორფამ საჩუქარი მიართვა, მოიკითხა. მერე რაღაც წვრილმანების გაკეთება სთხოვეს. პირსაბანი შეაკეთა, აბაზანასაც, მგონი, რაღაც სჭირდა, უნიტაზსაც, დანარჩენს შემდეგისთვის შეჰპირდა, უკვე სტუმრები მოვიდნენ, საამისო დრო აღარ იყო, და სუფრას მიუსხდნენ.

ქორფამ სასმელს პირი არ დააკარა, რითაც მასპინძლების გაკვირვება გამო-

იწვია და ქება-დიდება დაიმსახურა. უფრო მეტიც, საყმელიც კი არ უნახავს გემოთი, ძალიან იყო შეჭირვებული, სირცხვილისაგან თავი მაღლა ვეღარ აეწია, თვალი ვეღარავისათვის გაესორებინა. მართალია, გული ეუბნებოდა: რაღაც-რაღაცები კი გავაკეთე ისეთი, მგონი, ვალში არ დავრჩებიო, მაგრამ ბროლის ჭიქა, თორმეტი ბროლის ჭიქა და ამ წმიდათაწმიდა ციფრის დარღვევა... ამას არავითარი ვალის გადახდა არ უშველიდა.

— ლიმონათი მაინც დალიე, — უთხრა მასპინძელმა და სასმელი თვითონ დაუსხა ბროლის ჭიქაში. ქორფამ მორცხვად გაიღიმა, უარი ვეღარ თქვა, დალია და ჭიქა კარგა ხანს ეჭირა ხელში ჩაბღუჯული.

მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როცა ბროლის ჭიქა ჩაბარა მეზობლის ბავშვს. ისე რომ არავის არაფერი გაუგია. ჩუმად იმის თქმაც მოასწრო, ახლავე თავის ადგილზე დადე და იცოდე, აწი არავის ათხოვო. ბავშვმა კრიალა გულუბრყვილო თვალები მიანათა, თავი გამგონედ დაუქნია და კარი მიუხურა.

ცოტათი კი ეთანაღრებოდა გული ქორფას, დამნაშავედ გრძნობდა თავს იმ ნათესავთან, მაგრამ, როგორც ყველა ცოდვილი ადამიანი, ქორფაც, ცოტა არ იყოს, მშიშარა და ეგოისტი გახლდათ. ოღონდ მისი სახელი არ გარეულიყო მთელ ამ ამბავში და, სხვა რამეზე მაინცდამაინც არ იკლავდა თავს. დამშვიდდა და იმ ღამეს გულის ძილით ეძინა.

ქორფამ კი ამოისუნთქა თავისუფლად, მაგრამ ახლა იმ ოჯახში ატყდა შფოთვა და აურზაური, საიდანაც ჩვენმა ცოდვილმა ბროლის ჭიქა წამოიღო. დიასახლისმა იმავე საღამოს აღმოაჩინა დანაკლისი. მეთორმეტე ჭიქა აკლია, ისეთი ხმით შეიცხადა. ქმარს კინაღამ ხელიდან გაუვარდა ბროლის ლარნაკი.

— თორმეტი, უკლებლად თორმეტი ბროლის ჭიქა დავდე მაგიდაზე. მაგრამ, რომ ვარჩევდი, გამყიდველმა ასეთი ... ბრალი ეტქვა, ქალბატონი, რაღაც ... ეგო ამოარჩევო, ერთი ბეწო ბზარი, ერთი განსხვავებული წერტილიც კი არა ჰქონდა რომელიმეს, სად გაქრა მეთორმეტე, სად? — კვნესოდა აცრემლებული დიასახლისი.

— ნამდვილად რომელიმე სტუმარმა მოიპარა, — დაასკვნა ქმარმა.

იმ საღამოდან მოყოლებული ცოლ-ქმარს სხვა სალაპარაკო აღარ ჰქონია. ყველა სტუმარი ეშვიეშე იქნა დაყენებული, ქორფას გარდა. ცოლ-ქმარი ესე მსჯელობდა: „ბედოვლათ ქორფას ბროლის ჭურჭელი თვითონ არ აქვს და არც სურდება. ჩვენს ჭიქას მხოლოდ ის მოიპარავდა, ვისაც ზუსტად ასეთი ბროლის ჭიქები აქვს და მეთორმეტე ან გაუტყდათ, ან ჩვენსავით დაეკარგათო“.

ამასობაში რაღაც დღესასწაული მოახლოვდა. ცოლ-ქმარი სტუმრად ეწვია ყველა იმ ნაცნობს, რომლებიც იმ საღამოს მათთან იყვნენ სტუმრად და ერთ-ერთ ოჯახში ზუსტად ისეთივე ჭიქა აწაპნეს საზეიმოდ გაწყობილი სუფრიდან. ო, რა მყუდროდ, რა ბედნიერად იგრძნეს თავი, როცა თაროზე ისევ უკლებლად, ყინჩი და ღირსეული იერით გამწკრივდა თორმეტი ბროლის ჭიქა.

— იმისი წაღებული იქნება უთუოდ.

— რა თქმა უნდა.

აქ კი ჩადგა ქარიშხალი, მაგრამ ახლა იქ ამოვარდა, საიდანაც ცოლ-ქმარმა ბროლის ჭიქა წამოიღო. იქ უფრო მძვინვარე სცენა გაიმართა, დიასახლისი ბროლის უფრო დიდი მოყვარული 'იყო:

— თავს არ ვიცოცხლებ, თუ ისევ თორმეტ ბროლის ჭიქას არ ვიხილავ აქ...

ასე დაიწყო მოგზაურობა ოჯახიდან ოჯახში ქორფას მოპარულმა ბროლის ჭიქამ, რომელსაც განუყრელად თან სდევდა ქარიშხალივით ბობოქარი სცე-

ნები. ყველა ეს სცენა თან ჰგავდა და თან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, როგორც ბროლის ორი ჭიქა.

თვითონ ქორფამ არა იცოდა რა! ეჭვიც კი არაფერზე აუღია. არხეინად და უზრუნველად ხვრინავდა თავის მოციცქნილ ოთახებში იმ დროს, როცა მისი გამოისობით ავარდნილი ქარიშხლის ჯაჭვი თოელ ქალაქში ბობოქრობდა და ხან უახლოვდებოდა, ხან ისევ დაშორდებოდა მის სამყოფელს. ვინმეს რომ ეთქვა მისთვის ამის შესახებ, ძალიანაც გაიკვირვებდა და შეიძლება არც კი დაეჯერებინა: როგორ, ერთი ჭიქის გატეხამ ამხელა ალიაქოთი რანაირად გამოიწვიაო. ვერც იმაზე გაგაცემდათ პასუხს, რომ გეკითხათ, რატომ ხდება მაინცდამაინც ისე, რომ ბროლის ჭიქა ერთხელაც არ მოუპარავთ ისევ მომპარავისათვის ყოველთვის ვინმე უდანაშაულოს აიკლინ ხოლმე. ის კი, თავის მხრივ, ისევ უდანაშაულოს პარავს და ასე შემდგომ. ქორფა პასუხს ვერ გაგაცემდა, რადგან ამეებისა არაფერი გაეგებოდა. მის გამგებლობაში მხოლოდ სანიტარული კვანძები იყო და იქ იცოდა კიდეც თავისი საქმე. სხვა, „საკირკიტო“ საკითხების წინაშე ქორფას ჭკუა მოკრძალებით იხევდა უკან.

თუნდაც ყველაზე უბრალო შეკითხვაზე: რამ გაფიქრებინა ბროლის ჭიქის ნათხოვრობა, პირდაპირ ბოთლიდან რატომ არ დალიეო, პასუხის გასაცემად კი არ აიტკივებდა თავს, მხოლოდ მხრებს აიჩეჩავდა და ღვინოს ჩამოგისხამდათ უბრალო ჭიქაში. თვითონ კი, თუ მეტი ჭიქა აღარ იყო, პირდაპირ ბოთლით მოიყუდებდა. იმ ფათერაკის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა, ჭიქა აღარ ენათხოვრებინა, ვინც გინდა სწვეოდა სტუმრად.

ბოლოს, ამ ქარიშხლების ჯაჭვმა ერთ მეტად ენერგიულ ოჯახს უწია.

ენერგიულობა მართლაც მეტად თვალშისაცემი იყო. ბინაში შესვლისას გეგონებოდათ, სტალამიტებიან გამოქვაბულში მოეხვედიო. ჭერზე ეკიდა უზარმაზარი ბროლის ჭაღი, თორმეტი ბროლის დიდი სანთლით. ყოველ დიდ სანთელს ირგვლივ ევლებოდა თორმეტი უფრო მომცირო ბროლის სანთელი, იმათ კიდევ თავის მხრივ, უფრო მომცრონი და ასე შემდეგ. კედლებზე, თაროებზე, ავეჯზე ჩამორიგებული იყო ნაირნაირი ფერის, ფორმის და მოხატულობის ბროლის ჭურჭელი: ლარნაკები, ფიალები, თასები, სირჩები, ფუჟერები, ჭიქები, სურები... და ყველა სახეობა აუცილებლად თორმეტ-თორმეტი. არსად არ ირღვეოდა ამ წმინდა ციფრის მთლიანობა.

როცა ამ ოჯახში მეთორმეტე ჭიქის გაქრობა შენიშნეს, მსჯელობაზე „ვინ წაიღებდაო“ ცოლ-ქმარს დრო არ დაუკარგავს. მაშინვე გაქანდნენ მეთორმეტე ჭიქის საპოვნელად. უფრო დიდი შანსი რომ ჰქონდათ, ორივე სხვადასხვა მხარეს გაემართა. ბინაში ექოდ დარჩა სიტყვა „სასწრაფოდ“ და იგი ნელა წკარუნით გაიმეორა დახვავებულმა ბროლის ჭურჭელმა: სასწრაფოდ, სასწრაფოდ... სასწრარრა... ადოდ...

გვიან საღამოს ორივემ თითქმის ერთდროულად შეაღო ბინის კარები. დიასახლისი აშკარად კმაყოფილი იყო, ქმარს ლაპარაკს არ აცლიდა, სულმოუთქმელად ტიტინებდა თვალებაციმციმებული: „ერთი უბრალო ნივთი არ დებულა სუფრაზე, სულ ბროლი, ბროლი... ბროლი... ბრწყინავდა იქაურობა“.

ამ სიტყვებით ქალმა ხელჩანთა გახსნა და ბროლის ჭიქა ამოიღო, მაგრამ დანარჩენებისთვის გვერდით არ მიუდგამს, არ ჩქარობდა, ჯერ მათი თვალი დაიწყო:

— ერთი — თქვა სიხარულით სავსე, მეღერი ხმით.

— ერთი — ბანი დააწია ქმარმა.

— ერთი... ერთი... ერررრ... თი... — ნაზი, ნარნარი წკარუნით გამოეხმაურა ოთახში დახვავებული ბროლის ჭურჭელი. თანავარსკვლავებივით გაჩ-

აღებულმა დიდმა ბროლის ჭაღმაც გამიმორა მელოდიური რეკვით: ერررრრ... თი...

— ორი — თქვა ქალმა.

— ორი — თქვა თანამეცხედრემ.

— ორი... ორი... ორი... ორررი... — ყოერდნენ, ამდერდნენ და აციალდნენ ბროლის ლარნაკები, ჭიქები, ფიალები, სირჩები, სურები.

— სამი... ოთხი... ხუთი... ექვსი... შვიდი... რვა... ცხრა... ათი... — ისმოდა რიგრიგობით ცოლ-ქმრის ხმა. ბროლის ჭურჭელიც შეუნელებლად ეხმაურებოდა ყოველ ციფრს მელოდიური, მჟღერი წკარუნით.

— თერთმეტი — ქალის ხმა სულ უფრო და უფრო საზეიმოდ ყოერდა.

— თერთმეტი — ხმას აუწია თანამეცხედრემაც.

— თერთმეტი... თერთმეტი... თერთმეტი.. თერررრთ... მეტი... — ბროლის ჭურჭელიც სულ უფრო მეტი მონდომებით, მეტი ეშხით რეკდა.

— თორმეტი — შვებით ამოისუნთქა ქალმა და მეთორმეტე ჭიქა მიუდგა გვერდით დანარჩენებს.

— თორმეტი — ფალცემით თქვა ბედნიერმა და კმაყოფილმა ქმარმა.

— თორმეტი — დაიგრიალა დიდმა ბროლის ჭაღმა და ციბრუტივით დატრიალდა ნარფერ სხივთა კონებში გახვეული. თორმეტი... თორმეტი... თორმეტი... თორრრ... მეტი... — ამღერდნენ, აეკკვდნენ და აციალდნენ სიხარულით ათრთოლებული ბროლის ჭიქები, სირჩები, ლარნაკები, სურები... მიესალმნენ თავიანთ დაკარგულ თანამოძმეს. მაღალფეხიანი წერწეტა ფუჟერები ადგილზე ხტოდნენ და ჰაეროვანი ბალერინების მსგავსად ნაირნაირი ფიგურები გამოჰყავდათ.

და ამ დროს (ო, როგორ უყვართ ქმრებს ცოლებისთვის სიურპრიზების მირთმევა!) ქმარმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ბროლის ჭიქა ამოიღო და თორმეტ ჭიქას გვერდით მიუდგა.

—ცამეტი — თქვა თვალებგაფართოებულმა, სუნთქვაშეკრულმა ქალმა.

— ცამეტი — დაუმოწმა ქმარმა.

— ცამეტი — განგაშის მაუწყებელმა გონგვივით დარეკა დიდმა ბროლის ჭაღმა და მყისვე უძრავად გაიყინა. მხოლოდ ნაირფერ სხივთა კონების ოდნავშესამჩნევი ციმციმი ამყოლებდა მის მღელვარე ორთოლვას, ცამეტი... ცამეტი... ცამეტი... შეშფოთებით აწიოლდნენ ბროლის ლარნაკები, ფიალები, სირჩები, ფუჟერები, სურები და უძრავად გაქვავდნენ ყრეოლაატანილნი. ავის მომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

და უცებ, ქმარს ჯერაც ისევ ჯიბეში არ ჩაეყო უკან წამოღებული ხელი, რომ ცამეტი ბროლის ჭიქა ერთიმეორის მიყოლებით აფეთქდა. ბათქაბუთქით და ტაცატკუცით დაცვივდა მოპრიალებულ იატაკზე. ჭიქებს მიჰყვნენ სასოწარკვეთით აწოვლებული სირჩები, ლარნაკები, ფუჟერები, სურები... უთვალავ მბრწყინავ ნამსხვრევებად მიმოიფანტნენ აქეთ-იქით. ყუმბარასავით იქეცა დიდმა ბროლის ჭაღმა და ვარსკვლავების წვიმად ჩამოეშვა ჭერიდან. ისმხვრეოდა თარიებზე ჩამორიგებული თუ კარადებში მყუდროდ მოკალათებული ბროლეული. გაოგნებული ცოლ-ქმარი ძლივსღა ასწრებდა სახეზე ხელების აფარებას, რათა თვალში ბროლის ნამსხვრევი არ ჩავარდნოდათ.

მიჰყვა მერე და რაც ქალაქ ბროლიანში ბროლი იყო, ყველა აფეთქდა თვალის ერთ დახამხამებაში. დაფეთებულ ადამიანებს თავზე ნიაღვარივით აცვივოდაფ უთვალავი ბროლის ნამსხვრევი. ყველა ბროლის ჭურჭელი აფეთქდა და დაიმსხვრა, ერთიც, კი არ გადარჩენილა.

ისეთი ამბავი ატყდა ქალაქ ბროლიანში, ძველი ზღაპრისა არ იყოს, არც ენით ითქმის და არც კალმით აიწერება. რაღაც ერთ წამში განადგურდა, არარად იქცა ბროლიანის მკვიდრთა სიამაყე, წლობით ნაგროვები, ნალოლიავები და ნასათუთევი ბროლის ჭურჭელი, მთელი ღამე არავის უძინია,

თითქოს მოსისხლე მტრისაგან გადათქერილ, აოხრებულ ქალაქში. ვერ გაეგოთ, რისგან იყო გამოწვეული მთელი ეს უბედურება და ამან კიდევ უფრო შეაჭირვა ისინი. მეტი სიმწრისგან თავში იცემდნენ ხელებს და ღვარივით სდიოდათ ბროლივით გამჭვირვალე კურცხლები.

რაც შეეხება ჩვენს ცოდვილს, გულის ძილით ეძინა მთელი ღამე. ერთი ბროლის ჭურჭელიც კი არ ჰქონდა და არაფერს დაუფრთხია მისთვის ძილი. დილით, როცა გაიღვიძა და მთელი ქალაქი ბროლის ნამსხვრევებით მოფენილი იხილა, ჯერ შეშინდა, ნამთვრალევზე ხომ არ მეჩვენებაო. როცა დარწმუნდა, ყველაფერი ცხადად ხდებოდა, თვითონაც მოიწყინა. მართალია, თავად არაფერი დაუკარგავს, მაგრამ ეს ამდენი ხალხი რომ მოთქვამს და ხელს თავში იცემს, როგორი მოსასმენია და ასატანი! ქორფასაც გადმოსცივდა ბროლივით გამჭვირვალე ცრემლები. გაახსენდა, თვითონაც ჰქონდა სახლში ბროლის ჭიქის ნამსხვრევები, ჯერაც რომ არ გადაეყარა თავისი უთავბოლობის გამო. არც მთლად ასეა საქმეო: დაუწყო კუთხეში მიყრილ ხარახურას ცოცხით და აქანდაზით ჩხრეკა, აბა, ის ნამსხვრევები სად არისო. გაჩხრიკა და უცბად ნაგვის გროვად მთელი ბროლის ჭიქა გადმოგორდა, ყინჩად და ღირსეულად წამოსკუპდა გაოგნებული ქორფას ცხვირწინ. ერთი ბზარი, ერთი ნაკაწრიც კი არსად არ ეტყობოდა. გეგონებოდა, ეს-ესაა ეხლა გამოვიდა მადლიანი ოსტატის ხელიდანაო.

ბარაქა შენს მიწას

ქართულო ბერმუხავ, ვენახო
სინათლის,
ნახნავო გუთნით და კავით,
გიხაროს აწმყო და გიცხონოს წინაპრის
მაგარი მუხლი და მკლავი.
თაყვანი მარადის
დაღვრილ სისხლს, დაღვრილ ოფლს,
სიცოცხლე ძალად რომ ერწყმის,
ძეგლები უკვდავი
დიდგორს და მარაბდას,
იყალთოს, გელათს და ხერთვისს.
თუ სვეტიცხოველი და ჯვარი
მყარად დგას,
ოქროს თმით შეკრული ვაზით,
ექნება შენს მიწას
ულევი ბარაქა,
წყალობა მტკვარსა და ფაზისს.

სიმაღლე

ის დაჯერებით იჯდა მწვერვალზე
და მაინც, კიდევ,
ოცნებაში აგებდა კიბეს,
ისეთ მაღალს, რომ,
მზეს შესწვდენოდა.
სხვა არაფერი არ ადარდებდა;
ეს ერთადერთი საზრუნავი
არ ასვენებდა.
და ერთხელ, როცა,
ოცნების ცეცხლით გაფიცხებული
ის მზესთან თითქმის მისული იყო,
კიბე ჩაუტყდა.
უკანასკნელი მოიკრიბა ძალი და ღონე,
შესაშველებლად
სანატრელ მზეს
ჩაეჭიდა ორივე ხელით
და იქვე,
როგორც, უმაღლესი ძაბვის მავთულზე,
(ისე რომ ფორმა არც კი შესცვლია)
თავის ოცნებას ფერფლადვე შერჩა.

დაიცლება ზეცა ერთხელაც

გურამ ასათიანი ვისაც ეთხოვებოდა
სიცოცხლის ბოლოს

შენ, ჩემი სულის ღაღადისო,
ფიქრო მაღალო!
მინდა დაგდალო
ერთგულების უსაზღვრო ფიცით.
შენთან მაქვს ჩემი
ცა მეცხრე და
მთელი სამყარო,
ოლიმპო,
სადაც ვერ შეუკრავთ
კამარა მერცხლებს.
მე წავალ მალე,
დაიცლება ზეცა ერთხელაც,
ჩამოარიგებს უსუსურად
ცრემლებს ბუნება
და როგორც, ქვაზე
დინოზავრი შერჩა ხერხემლით,
ჩემ სულს აღბეჭდავს
შემოდგომის მზეთა ცდუნება.

ისევ მოვა გაზაფხული

გაზაფხულის პირველ წვიმას
მეჩხერსა და ირიბს,
ქარი ჰკიდებს, როგორც მძივებს,
ამწვანებულ ტირიფს.
ციდან მთამდე, მთიდან ბარად
ბალახების ცელვა
რა უეცრად მოუსწრია
ქუხილსა და ელვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაჟურში, მზე რაგვარად
შემოაღლებს ყველას:
შემონახულს კიდობანში
შვიდფერ ცისარტყელას,
ახალისებს გზაფხული
მიწას თოხნა, ხვნითა,
თან სურნელით თავბრუს ახვევს
იასამნითა.
იები და ენძელები
ხალიჩებად ქსოვენ
მინდვრებს, სანამ ყაყაჩო და
გვირილებიც მოვლენ.

მზით გამთბარი, თვრება ქარი
აყვავებულ ატმით
და ყვავილი გაუშლია
უკვე მარწყვს და ასკილს.
მოპოვებულ მონაგარით
ქარი ჯდება სხვენზე
და ჩიტების ჭიკჭიკს უსმენს
შეყვარებულებზე.
მეორდება გაზაფხული
ასე, წლიდან, წლობით...
ჩვენთვის, მაინც სიხარული
მოაქვს იმის ლოდინს.

მოოჭვილი, მთებით ქალაქი

დგას მედიდურად
მოოჭვილი, მთებით ქალაქი,
ვითარცა კალო,
ამოვსებული მზიური ხვატით.
სამკურნალოა
თუბალეთის თბილი ტალახიც,
და შენი ხატით,
გვსურს უღრმესი და უძლეველი
კაბადონების კალთა მოვხატოთ
მეფეც და ქალო,
როგორც სამყაროს დიდი სამკვიდრო.
აქ, ყოველივე
იმედების ნერგივით ხარობს...
ნატვრისთვალია თვალსაწიერ
თვითეულ ქვაში
და უკვდავების წყაროდ მოსჩქეფს
ყველა ნაკადი,
რამაც გვკვება და დაგვაკვება

ვიდგეთ აქამდი
და მარადისით,
მანამდის, ვიდრე
მოგვდგამს და ძალგვიძს
ქმედითნი ვიყვეთ...
ანდამატი აქვს, თუ მაგია
ლაღად მოდენილ
ლილეოს და მრავალყამიერს
და როგორც გრანიტს
ქვა და კირი აღუღაბებს
ლიხის გადაღმა იმერ და
მოღმით ამიერს...
ძველი ნაჭდევი ჩვენთა ჭირთა
ლამობს ალაგმოს
თითო მტკაველმა
ზღვის და მიწის,
რომ ყველა ნატვრას ასახდენი
ესმოდეს ფიცი.

ირაკლი ბრაბული

მე თეთრი ფლები

ლელას, ზაზას და გიორგის

მე ჩემებურად ხმალი ავლესე,
წელთა მიმინო მხრებზე შევისვი...
ამ უტევარზე იასპარეზეთ,
აბა, ბიჭებო, ახლა თქვენ იცით!..
მე გამოვკვალე ლექსთა ფერხულით

გზა და... თოვლიან კალთებს
ვიბერტყავ...
თქვენ გაასრულეთ ეს საფეხური,
ჩემო ბიჭებო ჩემთა კიბეთა.
ბარად მომქონდა ფიქრი ფოფინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთების სიო და კერის ნაცარი, —
ახლა თქვენ გმართებთ მისი მოპირავ,
მე რაც ჩემს გრდემლზე ვერ
მოვასწარი...
და როს უნებურ ფრთას გამკრავს
სევდა, —
თქვენ შეგხედავთ და — ხელად
იდარებს...
თქვენ უნდა დადგეთ იმავე სვრელთან,
რაც მე ბოლომდის ვერ გავიტანე.

თქვენ რომ იმ მიწის შვილები გერქვათ,
რომელსაც ხმლით და მტაცელით
ზომავდიან!..

ხელი ჩასჭიდეთ ჩემეულ ერქვანს
და გაადგრძელეთ ჩემი ორნატი.
მზემან სხივები წალმა გაფინოთ
(მე თეთრი წლები მხრებზე შევისვი...),
ბუდიდან უნდა წამოგაფრინოთ,
აბა, ბიჭებო, ახლა თქვენ იცით!..

ასე შვილებო...

— ასე შვილებო, ასე გვიყვარდა, —
გვეტყვის მიწა და აღარ გვემდურის...
და ამოსუნთქვას მოაქვს ჩვილ ყრმათა
ეს ახლობელი ხმა ალგეთური.
ეს ხეობები და ეს მთებია
ათას ომსა და ცეცხლში ნატარი,
ვთქვით და... კიდევაც დაეზრდებიან —
წამოსაფრენად ორივ მზად არის...
დედის თვალები ბნელ ღამეს ფატრავს,
შვილებზე ფიქრმა მიასავთა...
ეს ორი ბიჭი, — ვით დიდი ნატვრა,
წამონთებულა ცის დასავალთან.
დედა კი ხელებს სანთლად ჩამოქნილს,
მათ არ აშორებს ერთი წუთითაც...
გგონია, ხელის ერთი ამოკვრით
აფრინდებიან ყრმანი ბუდიდან.
— წადითო, გწვავდეთ ჩვენი ცხელი
მზის
სხივთა მძიგები, თავს რომ გაყრიათ;
აბა, შვილებო, ახლა თქვენ იცით, —
შორს გააყოლებს თვალებს
ნაღვლიანს...

ასე დალოცა დედამ ქეთილმა
გზა მონაპირის, მამაც მედროშის, —
არა, არასდროს ამოწყვეტილან
მისი შვილები საალგეთოში!
და არც ყოფილან შემყურე სხვისა,
არც უჯიშონი, არც უგვარტომო...
ყრმანი შიშველ ფეხს ადგამენ მიწას,
თაყვანი რომ სცენ და უპატრონონ;
აქ დადგნენ მკვიდრნი ამ მიდამოსი,
ალგეთის ველზე გზა გაილამპრეს...
დედის ხელებით ასგზის დალოცვილთ
წინ ალგეთური ქარი მიაფრენს.

ხოშარა

სისხლიც მომშრალა, ცრემლიც
მომშრალა,
გაშლილა ნისლიც ბინდის
მომცველი, —
ისევ ისე დგას ძმები, ხოშარა,
ქართველი კაცის ბედის მლოცველი;
ისევ ისე დგას და გვეუბნება:
—ბედი მიფენდა გზაზე ეკალთა,
ვერ დამაჭანეს თავქვე ღრუბლებმა,
როს განსაცდელის ჟამი რეკავდა.
ვერა და ვერა! იმ წელთა შუქი
მომავლის ნათელ ბილიკებს მიხსნის,
მტერი ნისლივით მხვეოდა თუგინდ,
გინდ შემღებვოდა პერანგი სისხლით, —
მე ჩემი ხალხის სიმტკიცე მწამდა,
ქვეყნის ავ-კარგი ამომიხსნია
და დამდგარს სიკვდილ-სიცოცხლის
ზღვართან,
ნაბიჯი წუთით არ მომიცვლია...
ჩემი ხოშარა ბევრ რამეს იტევს,
ერის ფესვსა და ფუძეს გვანიშნებს...
ფიქრთა ქარავანს, ვით მოღლილ
თითებს,
გადაატარებს წელთა კლავიშებს.
და ხედავს ქალმა კარი მოსჯარა,
ბორგავს სტიქია თავაწყვეტილი...
ხოშარა, ძმები, ჩვენი ხოშარა,
ჩვენი მეობის მრავალწერტილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲘᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ

ხავსით მოჩითულ ვიტრინაში გამოფენილმა ნადირ-ფრინველთა ფიტულებმა ტკბილი ზმანებები ამიშალა.

მაღაზია ხალხით იყო სავსე. დახლისკენ გავძვერი და ხარბად მივაშტერდი გრძელ სტენდზე ქუსლით აყუდებულ თოფებს. ალუმინისა და შოკოლადისფერმა კონდახებმა და შავად მოელვარე ლულებმა სუნთქვა შემიკრა. განსაკუთრებით ვერტიკალურლულებიანმა თოფებმა ამიტაცა გული: როგორც ყველა მოზარდი, თავის დროზე მეც ვგიჟდებოდი კოვბოური ფილმებზე და ახლა ამ თოფებმა ჩემში განთქმული „ვინჩესტერის“ ასოციაციები აღძრეს.

ვთვალიერებდი სტენდს და თვალს არ ვუჯერებდი: ჰორიზონტალურლულებიანი თოფები, მოკაუჭებული ჩახმახებით და სავაზნესთან ოდნავ შესქელებული შუბლით რა ულაზათო და მოდიდან გადავარდნილად გამოიყურებოდნენ ვერტიკალურლულებიანთან შედარებით, რომელთაც ზედმეტი და საჩოთირო არა მოუჩანდათ რა.

გრემთვალებიანი გამყიდველი ქალი მუშტარს მუშტარზე ისტუმრებდა. საფანტს სამო ხრიალი გაჰქონდა პინაზე. ხის დახლზე ბოხი ხმით რაკუნობდა წყვილ-წყვილად გადმოყრილი ტყვიები. საფანტით გაძეკილ ჯვალოს ტომსიკებს ალასკელი ოქროსმაძიებლებივით უკრავდნენ პირს მონადირეები.

გვერდიგვერდ აყუდებულმა ორმა ვერტიკალურლულებიანმა თოფმა განმაცვიფრა: ორივე თითქოს ერთნაირი ჩანდა, ფასი კი განსხვავებული ედოთ — ერთი 164 მანეთი ღირდა, მეორე — 260 მანეთი.

— როგორ თუ რა სხვაობაა, — მიპასუხა გამყიდველმა და ალუმინის აქანდაზით რიგრიგობით შეეხო თოფებს, — ორასსამოციანი კაკლის კონდახზეა, ეს კი წიფელზე!

— მერე რა, სულ ერთი არ არის?

— ჰმმმ!!!

გამყიდველი ისევ მუშტრებს მიუტრიალდა.

— გასაოცარია, — ჩავილაპარაკე ჩემთვის და მზერა ნაპირა, სამსაორმოცმანეთიან თოფზე გადავიტანე. ისიც ვერტიკალურლულებიანი იყო. კაკლის კონდახს კაუჩუკის ამორტიზატორი უმკობდა, — ეგ რატომღაა ასეთი ძვირი?

— ეს, გენაცვალე, საცალო ნაწარმია, თანაც ექექტორებით, — განმიმარტა ქალმა და იარლიყი მზრუნველობით შეუსწორა, — მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე ოქროს მედალი აიღო!

გულმა ბაგბუგი დამიწყო.

— თუ შეიძლება... მაჩვენეთ.

— მონკავშირის წევრი ხართ?

ხალხი ინტერესით მომაჩერდა — მართლა მყიდველი ვეგონე. ერთი შუაღნის კალისფერთვალებიანი მონადირე ღიმილით მომიახლოვდა.

— თოფი თუ გინდა, — შინაურულად დამიწყო და ახლად ნაყიდი პლასტმასის ზუმბით ერთი ჰორიზონტალლულებიანზე მიმითითა, — მაშინ აგერ ის იყიდე — იე-58, თოფი არ შეედრება!

დამცირებისაგან ოფლმა დამასხა, მაგრამ თავი შევიკავე და არამკითხეს ისევ მედალოსან თოფზე ვანიშნე.

— იმას რაღა უჭირს?

მან ისე ჩაიცინა, ეტყობა, ხუთი თითივით იცოდა თოფების ავანჩავანი.

— ჯერ ერთი, ძალზე ძვირია, თანაც

ერთმანეთზე შემხტარი ლულებითაა და სწრაფად დამიზნება ძნელია. მაგასაც თავი დავანებოთ: რაკი ეფექტორებითაა, შენ კარგი ხომ არა გგონია — გაცლილ ვაზნებს გადმოგიყრის ბალახში და ეძებე მერე!

— რათა? — ჩაერია ჩემსავით მაღალი, დაშვებულლულვაშიანი. — ხელს დაიფარებს და არსადაც არ გადაუყრის!

— ეგ არი! — მოუჭრა პირველმა, — ერთდროულად თოფსაც გადახსნის, ხელსაც დაიფარებს — რანაირად?!

— რას უწუნებთ, მაგალითად, იე-27-ს? — ჩაერია მესამე.

რაკი შემატყვეს თოფისა არა გამეგებოდა რა, ჩემს ირგვლივ წრე შეკრეს და ჩიჩინით გამომაშტერეს. ნერვები მეშლებოდა ნაირ-ნაირი სიფათები ჭკუას რომ მასწავლიდნენ დაურიდებლად. თუმცა გუნებაში ვგრძნობდი, თოფის ალალბედზე ყიდვა სისულელე იქნებოდა. მრჩეველებს გავერიდე და აყალყული დათვის ფიტულთან ავიტუზე. ხალხი რომ შეთხელდა, ისევ გამყიდველს მივეახლე.

— რა არის საჭირო თოფის შესაძენად?

— არაფერი, — არხეინად მომიგო, — „მონკავშირში“ ბილეთს აიღებ, მილიციაში — ნებართვას. მერე მოხვალ და იყიდი!

●

ლურჯყდიანი მონადირის ბილეთი და მილიციის ნებართვა ერთ კვირაში ავიღე. ახლა მთავარი იყო, რომელ და რა ყალიბის თოფზე შემეჩერებინა არჩევანი.

რჩევისთვის ნათესავებსა და ნაცნობებს მივმართე, რომელთაც დიდ მონადირეებად მოჰქონდათ თავი. მათი პასუხები ერთმანეთის საწინააღმდეგო გამოდგა.

— უბრალო „ტულკას“ არაფერი სჯობია!

— რაღა დროს „ტულკაა“! იე-26-ე იყიდე — ტყვია შორს მიაქვს!

— იე-58 უბადლოა!!!

— ეეე, ადვილად ვერ იშოვ[illegible] — [illegible] ტოზ-26 თოფი არ შეედრება!

— ყალიბი? რა თქმა უნდა, თორმეტი!

— თორმეტი — მოხუცი ხომ არა ხარ?! თექვსმეტი!

— შე მამაძაღლო, სანადირო აღარაფერია, თოფი რად გინდა... დაჯე, ღვინო დავლიოთ!

— ჩვენი თოფები ხომ არ აიღება ხელში... ერთი ნაცნობი „ჰოლანდ-ჰოლანდს“ ჰყიდის, მაგრამ ძვირია — ცხრასი მანეთია.

— აჰ, აჰ, აჰ! ვიცი, რაც არის ეგ „ჰოლანდ-ჰოლანდი“, „ზიმსონი“, „კოლტი“, „ბრაუნინგი“, „ბანლიხერი“ „ენფილდი“, „კრაუნი“, „კრაუნფილდი“ და ათასი ჯანდაბა და ღოზანა! ვიცი-მეთქი, გეუბნები, ალბომი მაქვს, გაჩვენებ... უცხოური თოფები, მართალია, ცოტა მსუბუქი და უფრო ნატიფია, თორემ ძალა და მიტანა, ჩვენ თოფებს რომ გააჩნია, ტყუილია!.. მე თვითონ იე-58 მიჭირავს და გინდა დაიჯერე, გინდა — არა: ას ნაბიჯზე ორი ნომრით მინდვრის ბატი ჩამოვაგდე!..

— არ გიყიდია? კარგია, ჯერ არც იყიდო! „ოხოტაში“ წავიკითხე, მალე იე-ვსკი ერთსასხლტიან ორლულიანებს გამოუშვებს. ესე იგი, ერთი სასხლტი ორივე ლულას მოემსახურება, თანაც სასურველი თანამიმდევრობით: თუ გინდა ჯერ ზედა, მერე — ქვედა, ანდა, პირიქით: გააჩნია, რომელ ლულაში რა გიდევს და რას უნდა სტკუცო!..

— შენთვის, როგორც დამწყებისთვის, ცალლულიანია ზედგამოჭრილი: მარტივი, მსუბუქი, იაფი და იორღა!..

— სამლულიანი კომბინირებული იყიდე: ორი თექვსმეტიანია, ერთი კარაბინი...

— ოთხლულიანი...

ამ გაუთავებელ კითხვა-რჩევას ერთმა ჩვენმა ნამეზობლარმა, პროფესიით გეოლოგმა და გარეგნობით გამოცხადებულმა ყაჩაღმა, ლომერ შაბურიშვილმა დაუსვა წერტილი.

— ტყუილად გიწვალია — სხვისი რჩევით თოფს ვერ იყიდი! — ძველი მეზობლობის სადღეგრძელო დალია და ცოლსაც არ მოერიდა, სიტყვასიტყვით ასე მითხრა, — თოფი და ქალი ერთმანეთს ჰგვანან და ამიტომ შენ თითონ უნდა ამოირჩიო, ვინაიდან გემოვნების საკითხია! ზოგს მაღალი ქალი მოსწონს, ზოგს — დაბალი, ზოგს — თხელი, ზოგს — სქელი. მე, მაგალითად, რამდენიმე ტიპის ქალზე ვკარგავ ჭკუას და თოფებიც სხვადასხვანაირი მაქვს!

რკინის სეიფი გახსნა და შვიდი თოფი მაჩვენა. ზოგი ჩვენი იყო, ზოგი — უცხოური.

— ამით საიგაკებზე ვნადირობ, ამით — ღორებზე, ეს კი ფრინველისაა — ამა, ასწი, რა მსუბუქია!.. ამ ზარბაზანს დათვებზე ვხმარობ, ისიც ჩასაფრებისას, თორემ ამას რა ათრევს!.. ეს წყალმცურავ ფრინველებზეა ზედგამოჭრილი, ყონდახი ნახე — მონტე-კარლოს ტიპისაა!.. მოკლედ, ყველას რომ მოუსმინო, გაგაგიჟებენ!.. შენ თითონ უნდა ამოირჩიო!..

●

ყველას მოვეშვი და ისევ ძველებურ ხერხს მივმართე: საჯარო ბიბლიოთეკის საგნობრივ კატალოგს ჩავუჯექი და საფუძვლიანად დავამუშავე ი. ჩხიკვაძის „სანადირო თოფები“, ე. შტეინგოლდის „ყველაფერი სანადირო თოფების შესახებ“, „სამამული წარმოების სანადირო თოფები“, „საზღვარგარეთული სანადირო თოფები და კარაბინები,“ „ტყვიის ტრაექტორია და საფანტის გაშლილობა,“ „სანადირო თოფების შერჩევის, შენახვისა და ხმარების ხელოვნება...“ ბოლოს სულ ავიღე ნამუსზე ხელი: რაკი თბილისის არც ერთი ბიბლიოთეკის დახურულ ფონდშიც არ აღმოჩნდა, ავდექი და მოსკოვიდან გამოვაწერინე ფრანგი გენერლის ჟურნეს განთქმული, ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციით ქეიული წიგნი „მემუარები სანადირო თოფებიდან სროლის შესახებ,“ რომელიც პარიზში იყო გამოცემული 1894 წელს, რუსეთში კი 1920 წელს ეთარგმნათ.

ამ წიგნების დამუშავების შემდეგ იმდენი ცოდნა შევიძინე, ყოველი წვრილმანის ისეთ საიდუმლოს გავეცნდე, რომ ჩემი თავი თვითონვე შემეზიზღა. როცა უკანასკნელი წიგნიც დავხურე, ვიგრძენი, რომ ამდენი კრიტიკის შემდეგაც ვერ დავამკვენი — მაინც რომელი სისტემის თოფს ეძლოდა აშკარა უპირატესობა. ყველა თოფს გააჩნდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. გარდა ამისა, ბევრი რამ იყო დამოკიდებული ნადირობის სახეობაზე, რელიეფზე, წელიწადის დროზე, ამინდზე, მონადირის ასაკზე, ფიზიკურ მონაცემებზე, ტემპერამენტზე, გემოვნებაზე, სროლის ნიჭსა და ოსტატობაზე... მოკლედ, იდეალური სისტემის თოფს ვერ მივაგენი წიგნებში.

გზა-კვალი ამებნა. თავ-ბედს ვიწყევლიდი. სჯობდა, ალალედზე მეყოდა რომელიმე თოფი და ვგდებულიყავი ჩემთვის. ახლა კი ჩემივე ცოდნის ტყვე გავხდი და არჩევანს ვეღარ ვაკეთებდი. მაინც არ გავიტეხე იხტიბარი: ხელახლა ჩავუჯექი გამორჩეულ წიგნებს — სტრიქონებშუა იქნება ისეთი რამე ნიუანსი დავიჭირო, რომელიც დამეხმარება სასურველი სისტემის ამორჩევაში-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, სამამული წარმოების სანადირო თოფების უამრავი სახეობიდან ამოვირჩიე სამი სისტემის თოფი და თავს იმაზეღა ვიმტკვრევდი, რომლისთვის მიმეცა უპირატესობა. სადღა მაგონდებოდა მოახლეობული გამოცდები, სიყვარული, გოგოები, ქეიფი, სეირნობა. როგორც კი დროს ვიპპოვიდი, საჯარო ბიბლიოთეკისკენ გავრბოდი. რაკი დრო მქონდა, თან საზღვარგარეთულ სანადირო თოფებსაც ვსწავლობდი. ფერად კატალოგში ვისი ფირმის და რაღანაირი თოფები არ ეხატა! მაგრამ მე მხოლოდ მარლინის ფირმის „ვინჩესტერს“ ეაღმერთებდი! მასზე ოცნებაშ ბევრი

ღამე გამათენებინა თეთრად. მართალია, არც სხვა თოფები ჩანდა „ვინჩესტერზე“ ნაღლები, მაგრამ მაინც რომანებით და კოვბოური ფილმებით ჩამოყალიბებული ყმაწვილკაცობისდროინდელი შთაბეჭდილებების ამბავი ხომ მოგეხსენება!

●

ერთხელ, ლექციების შემდეგ, საჯარო ბიბლიოთეკაში წავედი. გამოვართვი გადანახული წიგნები და აპრილის მზით განთებულ ღია პარკმელთან მოვკალათდი. მეზობელი მაგიდა დაკავებულიყო, პატრონი კი არსად ჩანდა. მაგიდაზე „სკკპ ისტორიის კურსი,“ საერთო რვეული და მიმოზის შემკნარი ტოტი იდო. წალურჯო რვეულის ყდაზე ბიბლიოთეკური ხელით ეწერა:

„ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი თამილა გერონტის ასული მარტოლეკი“.

ღიმილი მომგვარა ერთობ უჩვეულო გვარმა და წარწერის მოწაფურმა სიბეჯითემ. ამოვიღე კალამი და შევუდექი ახალი ქვეთავის — „ლულებში გაპარული დეფექტის აღმოჩენის ხერხების“ — დამუშავებას. ისე გავერთე, მეზობლის მოსვლა არც გამიგია. კითხვით გაბეზრებულმა თავი რომ ავწიე, მაშინღა დავინახე ლამაზი ბიოლოგი: წერისთვის თავი მიენებებინა და კალმისტრისაგან შუა თითზე გაჩენილ კოჟრს შუბლშეჭმუხნილი ისრესდა.

— დაიღალეთ, თამილა? — წავჩურჩულე.

შემკრთალმა გოგომ თითის სრესა შეწყვიტა და გაოცებით შემომანათა ალუჩისფერი თვალები.

— თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი?

— რვეულზე წავიკითხე.

— აააა, — ჩაეცინა და ისევ დამშვიდდა. — დაღლით არ დავღლილვარ, მაგრამ თითი მეტკინა.

— ბიოლოგიურზეც გასწავლიან პარტისტორია? — ისე ვკითხე, ვეფთომ არ ვიცოდი.

— აბა, რა! — ამაყად განაცხადა, — რა, თქვენ... თქვენ სად სწავლობთ?

— უნივერსიტეტში, ისტორიულზე.

— უუ! — შიშით ამოთქვა და ჩემს წიგნებს ქეშად გაუხედა, — თარიღები... დინასტიები... მეფეები... ომე...

— დედოფლებიც!

გაეცინა.

—შეიძლება, ვნახო?

— რა თქმა უნდა.

ხუთივე წიგნი რომ გადაშალა, ცბიერი ღიმილით ამომხედა.

— აკი ისტორიულზე ვსწავლობთ? ციე!

— კი, კი!

— აბა, აქ სულ თოფებზეა?

— ეგ ისე, გასართობად.

— ააა, გიყვართ თოფები?

— უუ!!!

— მეც! — მომიგო და სხვათა შორის შენიშნა, — სახლში „ვინჩესტერი“ გვაქვს.

კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. ყურებს არ დაეუჯერე. გულმა სულ ბაგაბუგი მორთო.

— „ვინ-ჩეს-ტე-რი“ — ამოვიჩურჩულე შეძრწუნებულმა, — საიდან?. როგორ?.. „ვინჩესტერი“ არ იქნება.

— არა, „ვინჩესტერია,“ — უდარდელი ღიმილით მომიგო და განაგრძო, — ძია ასე ამბობდა... ზედაც აწერია.

— შეუძლებელია!.. ის არ იქნება!.. ან... დაგინახიათ? გეჭერიათ ხელში?

თამილას გაეცინა.

— მჭერია კი არა, ძიამ ერთხელ გამასროლინა კიდეც.

აღარ ვიცოდი, რა მექნა.

— კეთილი! — შევძახე ჩურჩულით და წიგნებიდან „საზღვარგარეთული სანადირო თოფების კატალოგი“ გამოვაძვრე, — გადაფურცლეთ და, აბა მიჩვენეთ, რომელს უფრო ჰგავს თქვენი თოფი... ოღონდ წარწერები არ წაიკითხოთ!

— არა, ნუ გეშინიათ, — გაეღიმა და

სქელ, პრიალა ფურცლებს ტკაცატკაცით ფურცვლა დაუწყო, — ეს არა! ეს არა! ეს არა!.. ეს? არა, არც ეს! ესეც არა! არც ეს! ეს არ... აი!!!

ო, როგორ მინდოდა დავხრილიყავი და „ვინჩესტერის“ ფოტოსურათზე დაბჯენილ ლამაზ თითზე მეკოცნა!

— მართალი ხარ, — შვებით ამოვისუნთქე, — ახლა ვისთან ინახება?

— მამასთან, სოფელში.

— აქ სად ცხოვრობ?

— მდგმურად. თქვენ?

— მე თბილისელი ვარ... ნადირობს ხოლმე?

— ვინა, მამა? არა, ომის ინვალიდია.

— ძმები?

— ძმები არა გვყავს, სამნი დანი ვართ.

— აბა, რად გინდათ თოფი?

თამილამ მხრები აიჩეჩა და გაიცინა.

— ჩემი ძია რაიკომის პირველი მდივანი იყო, ნადირობაზე ჭკუას ჰკარგავდა. თვითონ ორი გოგო ჰყავდა და დედაჩემი ჩემზე ფეხმძიმედ რომ ყოფილა, დაუჟინია: მესამე კი უეჭველად ბიჭი გეყოლება და „ვინჩესტერი“ უნდა ვაჩუქოო. მერე მაინც აღარ დაიშალა და მეშვიდე კლასში ვიყავი, დაბადების დღეზე რომ მომიტანა.

ათასნაირი ფიქრი ჭიაყელებივით დაეცა.

— არ გაყიდით?

—ჰმ!

— თუკი არავინ ნადირობს, აბა, რად გინდათ?

თამილამ გამომწვევად და ეშმაკურად ამომხედა, სწორედ ისე, სოფლელმა გოგოებმა რომ იციან ხოლმე.

— იქნებ ჩემი ქმარი იყოს მონადირე... არადა, შვილებს შევუნახავ ძიას სამახსოვროდ.

— მართალი ხარ... მაჩვენებ როდისმე?

— ვნახოთ, — ორაზროვნად მიპასუხა და რვეული მიიცურა, — თუ დაიმსახურებ...

— რა არის მართლა და მართლა! — შემოგვიტრიალდა გაკაპასებული ხალიანი გოგო, — თუ ვეღარ მოგვითმენიათ, ქუჩაში მიბრძანდით და ...

ყველამ ჩვენ დაგვიწყო ყურება. დარბაზის გამგემ მუქარით აკაკუნა ფანქარი. აწითლებული თამილა რვეულზე წაიხარა და მწყრივივით გაინაბა. არც მე გამიღია კრინტი. ერთ ადგილზე ჯდომა აღარ შემეძლო. სუფთა ფურცელზე წავაწერე „ხვალ აქ იქნები?“ — და თამილას მივუცურე. წაიკითხა, ხალიანის ზურგს შეთქმულივით გაეხედა და წაწერა — „კვირას.“

ერთმანეთს თვალებით დავემშვიდობეთ.

„თამილა... „ვინჩესტერი...“ სიყვარული... ნადირობა...“ — ვეღარ ვერეოდი სიხარულისგან აბურდულ ფიქრებს და შინისაკენ მთვრალივით მივბარბაცებდი.

●

მოსახდენი მოხდა — ერთმანეთი შეგვიყვარდა. თამილამ სულ გადამავიწყებინა თოფები და ნადირობაზე ფიქრი. თუმცა ტკბილი ზმანება „ვინჩესტერზე“ არ მასვენებდა.

— როდის მაჩვენებ? — წამომცდებოდა ხოლმე დროდადრო.

— რა მოუთმენელი ყოფილხარ, — მეუბნებოდა თამილა, — როცა შენ იტყვი!..

მაისის ერთ საღამოს ბოტანიკურ ბაღში შემოგვაღამდა. კედრის ძირში ვისხედით და სიყვარულში ვეფიცებოდი და ვეფიცებოდი.

— რაღაც უნდა გითხრა... — წაჩურჩულა უცებ თავჩაქინდრულმა.

—თქვი.

— არ მიწყენ?

— აბა, რას ამბობ!

— არა, გამიბრაზდები...

— ასე მიცნობ?!

— არ მაპატიებ — მომკლავ!

— თა-მი-ლა!

— მოგატყუე, — მორჩილად ჩაიდუდუნა. — არავითარი „ვინჩესტერი“ არა გვაქვს.

ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია ასეთი შეძრწუნება და გაწბილება!

— აბა... რისთვის მითხარი?

— არ ვიცი... იმიტომ... იმიტომ, რომ... როგორც კი დაგინახე.... — სლუკუნი აუვარდა და მომეხუტა, — არ მიწყენ? არ მიმატოვებ? მითხარი!

— არა გრცხვენია?!. ეშმაკსაც წაუღია „ვინჩესტერიცა“ და... შენ თითონა ხარ ჩემი „ვინჩესტერი!..“

მართლა „ვინჩესტერივით“ იყო: მოხდენილი, მიმზიდველი, ნატიფი, სალუქი, შეკრული.

●

„ვინჩესტერის“ დარდი ორიოდე კვირაში მოვიგლოვე, მერე გამოცდებიც დაგვეწყო და რაკი ნაკლებადღა გვეცალა, ერთმანეთი უფრო მაგრად შეგვიყვარდა. ზოგჯერ სახლშიაც შევუვლიდი ხოლმე. ვიღაც მარტოხელა დედაკაცთან ცხოვრობდა მთაწმინდის ძირას. შეწალეულად რომ ვეწვივე, შუშაბანდის მორყეული კარი დედაბერმა გამიღო. შიშნისაგან კინაღამ კიბიდან გადავვარდი: ისეთი ბოროტი და მახვილი მზერა ჰქონდა, რძეს აჭრიდა. შეშუპებულ სახეზე კაკტუსის ეკლებივით ამოსჩროდა მეჩხერი ბალანი. თხელი, გაშავებული ცხვირი ასკილის ეკალივით ამოკაუჭებოდა, ხოლო უსისხლხორცო ნიკაპი ისე ამოკვანტილიყო, თუგინდ ზედ ხელჩანთას ჩამოჰკიდებდით.

— სად მიაგენი?.. ამასთან როგორ ცხოვრობ? — ვკითხე განცვიფრებულმა.

— მშვენივრად!.. იცი, რა კეთილია!

— რაღაც არ ეტყობა!..

გამოცდებს მოვრჩით. გადავწყვიტეთ ზღვაზე წავსულიყავით. მაგრამ მოულოდნელად სოფლიდან ნათესავი გოგო ჩამომიყვანეს, რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე აბარებდა და ცოტაოდენი უნდა წამეკარჯიშებინა.

თამილამ დაიცინა, ვეღარც მე გადავთქმევინე და ჩემი გულისთვის მთელი ზაფხული თბილისში დარჩა. ქალაქი სანახევროდ დაცარიელდა. სიყვარულმა ისე გამაბრუა, თბილისში გატანილ-რებული იმ ზაფხულიდან რაიმე განწყობილებული არაფერი დამახსოვდა. მხოლოდ ის მაგონდება, რომ ქალაქს უცებ მარკოლული ფორთოხალი მოაყარეს. ყველას ფორთოხლით სავსე პარკი და ბადური ეჭირა. მსხვილი, ხორციანი, წვნიანი და საშინლად ტკბილი ფორთოხალი იყო. გავილალებოდით სადმე, მოფარებულში, დავსხდებოდით „ლევიისს“ კურტაკზე და მადიანად შევექცეოდით ფორთოხლებს. თან შორეულ აფრიკაზე ვსაუბრობდით...

●

იანვრის ერთ სუსხიან დღეს, სეირნობისას უცებ წამომკრა რაღაცამ და თამილა სტუმრად წამოვიყვანე. შინ მარტო დედაჩემი დაგვხვდა.

ამაზრზენი სანახავი იყო ეს ორი, ერთმანეთისთვის უცხო ქალი — ერთი ჩამომშკნარი და ბრძენი, მეორე ქორფა და მიამიტი — ერთმანეთს როგორ მიაშტერდნენ და თვალით დაუწყეს ზომვა.

დედაჩემმა სარდაფში ჩამაგზავნა ხილისთვის. უკან რომ დავბრუნდი, სახტად დავრჩი — ისინი უკვე დამეგობრებულიყვნენ. ჩემი ნახევრად მოქსოვილი სვიტერი მუხლებზე დადაშალეთ და ტკბილად ბაასობდნენ.

— არა, ერთი თვალის გამოყვანა ვიცი, — მორცხვად, მაგრამ ერთობ თავისუფლად ლაპარაკობდა უკვე გაშნაურებული თამილა, — მაგრამ ორი თვალის ერთად წაღება მერევა ხოლმე.

— მაშინ, — ასწავლიდა დედაჩემი, — მარჯვენა ჩხირის ბოლო წაღმა მხრიდან უნდა გაატარო მარცხენა ჩხირის ორ თვალში და...

— ააა, ახლა გავიგე!.. მე კი პირიქით ვაკეთებდი და... აი, ასე, არა?

— ჯი, კი.

ჯემალ მეხრიშვილი
ვინჩესტერი

თამილას ხილითა და ტკბილეულით გავუმასპინძლდით.

— არ მოგერიდოს, შვილო, — შეეხვეწა დედაჩემი წასვლისას, — ხშირად შემოგვივლიდე ხოლმე.

— დიდი მადლობა, ქალბატონო, — პასუხობდა აჭარხლებული თამილა, — ნახვამდის.

ქუჩაში თამილამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— ო, როგორ მეშინოდა!

— რა გაშინებდა?

— როგორ შემხედავს, რას იფიქრებს... არ გაჯავრდეს-მეთქი. რა ცარგი დედა გყოლია!..

სუნთქვა ამერია. ზამთრის ბურუსიანი საღამო მაჯლაჯუნასავით აწვა მდამოს. „როდის მოვა გაზაფხული!“ — ვნატრობდი გუნებაში.

●

დადგა გაზაფხული! რაღაცნაირად არასრულყოფილი, თითქო მახინჯი, მაგრამ მაინც კეკლუცი და ჯადოქალივით ცბიერი. მზის თბილი სხივი მაცდურად ეალერსებოდა ყველა სულიერს და მის გარეთ გამოტყუებას ცდილობდა. სავსე ხოხორმა ჯერ მორცხვად გაიღიმა, ერთ კვირაში კი მწვანედ გადაიპენტა. მოსწავლე გოგონებმა ყველაზე ადრე გაიძვრეს საწვიმრები და თეთრი ფორმის კაბებითა და ტყემლის ტოტებით მოედვნენ ქუჩებს. მზე მაცდურად თამაშობდა მაწვნისფერ ღრუბლებში: ხან გამოაჭყეტდა, ხან მიიმალებოდა და ამ დროს ყველაფერი რაღაც ორაზროვან, ენებიან მნიშვნელობას იძენდა. ხანკი ყველაფერს ისევე ეკარგებოდა აზრი და ადამიანების მზერასაც უმისამართო და იდიოტური, მაგრამ ძალზე მომხიბლავი ელფერი ედებოდა.

თამილი ერთ დღეს რაღაცნაირად ნაწმამები, დაღლილი და არეული მოვიდა პაემანზე.

— აღარ შემიძლია... — კუს ტბას ხილვადაკარგული თვალებით გახედა და ცოდვილივით აჩურჩულდა: — იცი, რა... დღესვე თუ წამიყვან... თუ არა და... აღარ შემიძლია...

ჟრუანტელმა შხამივით დამიარა. საფეთქლები ამეწვა.

— როდის წამიყვან, როდის? — კვლავ აჩურჩულდა და მკერდით ისე მომეხუტა მკლავზე, რომ მოსეირნე ქალებმა ზიზღით გადმოგვხედეს.

— როდის წამიყვან, როდის?

— არ ვიცი.

— დედაშენი რას ამბობს ჩემზე?

— არ ვიცი.

— იმათთან ვიცხოვრებთ თუ ცალკე?

— არ ვიცი.

— ოჰ, შენ „ვინჩესტერის“ მეტი არაფერი იცი!!!

●

ორივემ ოცდარვა ივნისს ჩავაბარეთ ბოლო გამოცდა. ის მესამე კურსზე გადავიდა, მე — მეხუთეზე. გადავწყვიტეთ ერთ კვირაში უსიკვდილოდ წავსულიყავით ზღვაზე.

მეორე დღეს უნივერმაღში წავედი. სომბრერო და ხაოიანი პირსახოცი ვიყიდე. გულმა არ გამიძლო და სამონა-- დირეო მაღაზიაშიც შევიარე.

— ვერ გადაწყვიტეთ? — ღიმილით მკითხა გრემათვალებიანმა გამყიდველმა.

— ვერა. ახალი ხომ არაფერი მიგიღიათ?

— არაფერი, — მიპასუხა და სტენდზე ჩამწკრივებულ თოფებს ისე სწრაფად გაუსვა ხელი, თითქო პიანისტი გლისანდოს ასრულებსო, — ტყუილად ყოყმანობთ — არც ამათ უჭირთ რამე!

გარეთ რომ გამოვედი, ვიღაცამ მხარში ჩამცხო და დაიბუხუნა.

— ამას ვის ვხედავ!.. იყიდე თოფი?

ჩემი ნამეზობლარი იყო, ლომერ შაბურიშვილი. ხელში ფალასკა ეჭირა.

— ვერა.

— ხეა-ხა-ხა, რანი ხართ ეს ახალგაზრდები! — ულვაშები საცეცებივით შეატოკა, ლომივით ჩამხედა თვალებში

და მოკრა, — გინდა, საიგაკებზე სანადირად წაგიყვანო?

გული ბელურასავით შემიფართხალდა.

— როდის?

— ხვალ.

— სად?

— ყაზახეთში.

უცებ გული დამებადა ის საოცარი გრძნობა, რომელიც მარტო კაცებს უჩნდებათ ხოლმე. ალბათ, ეს გრძნობა მიუძღოდა პირველყოფილი მამრების მზერას, უცნობი მიწების ასათვისებლად რომ მიიწევდნენ.

— წამოვალ! — შეკძახე აღელვებულმა, მაგრამ გონს მოვეგე და... უფულობა მოვიმიზეზე.

— თვითმფრინავის ფულიო! ხა-ხა-ხა! იქ... ჩვენ... ფული... მე...

ლომერი უცებ გაჩუმდა. ეტყობა, იფიქრა, მიკიბულ-მოკიბულით ვერაფერს გავაგებინებო და დალაგებით დაიწყო:

— ყაზახეთში სპეცსაძიებო სამუშაოზე მივდივარ სექტემბრამდე. თვით მოსკოვმა მომითხოვა!.. ჩეხი და პოლონელი გეოლოგებიც იქნებიან!.. თანაშემწედ გაგაფორმებ... რა უნდა აკეთო? მაგას იქ გაიგებ!.. თვეში ორასსამოც მანეთს გაგაკეთებინებ. საიგაკებზე ნადირობა კიდევ ხომ...

— საიგაკს ვინ მოგვაკლევინებს — ხომ დაგვეჭირეს!

ლომერის ხარხარზე გაზეთების გამყიდველმა ნამლეკა ბერიკაცმა ფარდულიდან ისე გამოიჭყიტა, როგორც ფუღუროდან ციყვმა.

— პირველად კი არ მივდივარ! — მომახალა ჩემი უმეცრებით ანთებულმა ნამეზობლარმა და ლეკტორის პოზა მიიღო.

— ამყამად ყაზახეთში ორ მილიონამდე საიგაკია. მარტო შარშანწინ სამასი ათასი საიგაკის ხორცი მიიღეს და გადამუშავეს კომბინატებმა. ბეკბაკდალში ერთი მაცივარი, იცი, რამდენ საიგაკს იტევს? ორიათას ხუთასს! წელიწადში ორჯერ ნადირობენ! ზამთრობით და ზაფხულის ბოლოს — აგვისტოში. მომქანცველი და აზარტულია მათი დევნა. თუ წავეხმარებით, მადლობასაც გვეტყვიან! მაგრამ ჩვენ... ჩვენ ერთი ოცეოდეს მივაწვენთ, ისიც რქებისთვის და შაბაშ! არ გინდა, სახლში საიგაკის უნატიფესი რქები გქონდეს... რაო? ირმისაო?! არ გადამრეო! ირემს შეშა აქვს და არა რქები!.. ჩელკარის სანადირო მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ჩემი ძმადფრახულია — კაცი სიკვდილს გადავარჩინე!.. ეჰ, გრძელი ამბავია! შენ კი იძახი, დაგვიჭერენო! ჰა, რას იტყვი?

— თანახმა ვარ... მაგრამ...

— რა — „მაგრამ?“

— ჯერ... მე... ჯერ თოფი რომ არა მაქვს?!

ლომერმა გაიღიმა. პირდაპირ ეტალრებდა თანდათან რომ მძერწავდა და მავაჟკაცებდა.

— თოფების მეტი რა მაქვს — შვიდივე შენი იყოს, — დაბეჭდ და დარდიმანდულად მიბრძანა, — ჯაჭვი!

რკინის მესერს გადავალაგეთ და კრიალა „ვოლგაში“ ჩავსხედით.

ლომერმა პასპორტი გამომატანინა და სამმართველოში წამიყვანა ხელშეკრულების გასაფორმებლად. მერე აეროფლოტის სააგენტოში ვიყურყუტეთ დაჯავშნული ბილეთების ასაღებად.

საღამოს ცხრა საათზე დავშორდით ერთმანეთს.

— არ დაგავიწყო! — გამაფრთხილა ლომერმა, — დღის თერთმეტზე მივფრინავთ!

მარტო რომ დავრჩი, უფრო ავფორიაქდი. ტაქსი დავიჭირე და თამილასთან გავქანდი. შინ არ დამიხვდა. არც დედაბერი ჩანდა, ამბავი მეკითხა. დანა პირს არ მიხსნიდა. უფრო და უფრო ვგრძნობდი, რომ ძალზე ქარაფშუტულ ნაბიჯს ვდგამდი — სად ეგება წავსულიყავი და სად მივდივარ, სად ყირიმი, სად ყაზახეთი!.. პატარა ბარათი — დილის თერთმეტ საათზე, თბილისის დროით, ხვალ ყაზახეთში მივფრინავ, აეროპორტში მოდი-მეთქი, — კარის

ღრიჭოში შეგაცურე და სახლში წავედი.

●

ტირილისგან თვალებდასიებულ თამილას მგზავრებით გაჭედილ მოსაცდელ დარბაზში გადავეყარე.

— ყაზახეთში რა გინდა?.. რატომ ადრე არ მითხარი?!. რად მომატყუე?.. ვისთან ერთად მიდიხარ?.. გეოლოგი გოგოებიც მოდიან, არა?.. უუუ!..

ყველაფერს დაწვრილებით ვუხსნიდი, მაგრამ ამაოდ — ის არც მისმენდა.

— მატყუებ!.. აღარ მჯერა შენი!.. იცოდი, როგორ არ იცოდი!.. მეც წამოვალ!.. — ქვითქვითებდა და მკლავზე კბილებით მებღაუჭებოდა.

ჩვენი რეისის რეგისტრაცია დაიწყო, ლომერი კი არსად ჩანდა.

— ლომერი ვინ არის? რატომ ადრე არაფერი გითქვამს მასზე?.. შენ რაღაცას მიმალავ! — ისეთი ხმით ტიროდა თამილა, მგზავრებმა ყურება დაგვიწყეს, — რატომ მექცევი ასე?

— „ვინჩესტერისთვის“ სამაგიეროს გიხდი! — უჭროდ წამოვაყრანტალე, თან ლომერს ვათვალიერებდი ხალხის ნაკადში.

რეგისტრაცია დამთავრდა. დიქტორმა ჩასხდომა გამოაცხადა და მგზავრები ბარიერს იქით რომ გაიყვანეს, გახვითქული ლომერი მაშინ შემოვარდა დარბაზში. ჩემოდანსა და ზურგჩანთას თვითონ მოათრევდა, ზალითიანი ორი თოფი და გიტარა მის მეუღლეს ეკავა.

შეეგებე.

— აქა ხარ?! ყოჩაღ! ესეც ბედია — ავარია!.. პასპორტი!.. ბილეთები!.. ესეო ესტ დარაგაია, ვსიო!.. აწონეთ!.. აღნიშნეთ!.. გიტათ!.. სწრაფად!.. თინა, გიტარა, თოფები!..

მე თამილას მივუტრიალდი.

— არ იდარდო... საიგაკის რქებს ჩამოგიტან!..

— არა მჭირდება, შენთვის შეინახე...

— მოგწერ. სად იქნები?

— არ ვიცი... არსად... უუუუ...

ჩავიხუტე. სიკვდილი მინდოდა, მასთან განშორება კი არა.

— წავედით! — დამეჯაჯგურა ლომერი და გიტარა და თოფები მე მომაყარა. ზურგჩანთა მოვიკიდე და ფაცაფუცხით გაკქანდით თვითმფრინავისკენ მიმავალი ჯგუფის დასაწევად.

●

კარვები დაბა შომიშლაყის სიახლოვეს, ზედ არალის პირას დავეცით. ცხელი, აბზინდითა და იალღუნით მოჩიჩოული ნახევარუდაბნო ზღვის ნაპირიდანვე იწყებოდა და სადღაც, უსასრულობაში იკარგებოდა.

ექსპედიცია, რომელიც ოცდაშვიდ წევრს ითვლიდა — თვრამეტი კაცი, ცხრა ქალი — სამ ჯგუფად გაიყო. ერთი ჯგუფი მუგოჯირის პლატოს იკვლევდა, მეორე — მანგიშლაყის უდაბნოს, მესამე კი ზღვის ჩრდილო სანაპიროს და სირდარიის დელტას. სამივე ჯგუფს ორი შვეულმფრენი ემსახურებოდა.

ჩვენი ჯგუფი, რომელსაც ლომერი ხელმძღვანელობდა, მუგოჯირზე მუშაობდა. ჩემი მოვალეობა მარტივი იყო: საძიებო სამუშაობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებზე თვალი უნდა მჭერიოდა და მუდამ წესრიგში მქონოდა. ველზე გასული გეოლოგების მიერ ვარგისად ცნობილი ნიადაგის ნიმუშებს ვიღებდი, ინსტრუქციის მიხედვით ვფუთავდი, ვნომრავდი და ვინახავდი. შემდეგ, კვირაში ერთხელ, ნიმუშები შვეულმფრენით მიმქონდა ტოგიზში და მატარებელზე ჩვენს რწმუნებულს აქტით ვაბარებდი ალმა-ათას კვლევით ინსტიტუტში წასაღებად.

უდაბნოს, უცხო კოლექტივს, წყლის მაგიერ მწვანე ჩაის სმას და თამილაზე ფიქრს ერთ კვირაში მივეჩვიე. მალე შვეულმფრენის მართვაც მასწავლეს.

ოც ივლისს ოდესის უნივერსიტეტის ბოტანიკა-ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ჩამოვიდნენ პრაქტიკაზე. ჩვენგან ხუთასიოდე ნაბიჯზე გაიშალეს კარვები. უმრავლესობა გოგოები იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე დავახლოვდით. ნავახშმევს პირდაპირ ზღვის ნაპირზე, მთვარიანში ვცეკვავდით ტანგოს. მუსიკის ჰანგს დროდადრო პელიკანების ღიმეული გადაყივლება ერთოდა ისლიანი კუნძულებიდან.

ცეკვების შემდეგ ვწყვილდებოდით და დიდხანს ვსეირნობდით იდუმალ უდაბნოში. მთვარის შუქზე კელაპტრებივით მოჩანდნენ თეთრი საქსაულები. ავშნის ბუჩქისთვის ფეხი რომ დაგდგამთ, ჰაერი მოტკბო-მომწარო სუნით გაივსებოდა. ხან ისე შორს მივდიოდით, იალღუნის ბუჩქნარიდან ფხაჭუნით გარბოდა დაფეთებული ყარსაყი.

მერე ერთი მოხუცი ყაზახი მეაქლემე გგვეცნო. ხშირად ვახშმობდა ჩვენთან და სასარგებლო რჩევა-დარიგებებს გვაძლევდა. ღამით კი, ცეკვების შემდეგ, თვითნაკეთ სამსიმინან დომბრაზე სახელგანთქმული ყაზახი აშუღი ქალის სარა ტასტანბეკოვას ბაიათებს გვიმღეროდა.

თამილასაგან არა ისმოდა რა და ესეა მაშფოთებდა. დაბანაკებისთანავე შომიშლაყიდან ტელეგრამას ტელეგრამაზე ვგზავნიდი, მაგრამ მისი პასუხი არ ჩანდა. ტელეგრამები იკარგებოდა, მებუტებოდა თუ ბარათები ვერ აღწევდნენ ჩემამდე, ვერ გამეგო.

— რას შფოთავ, — სადმე ეწყობა და მერე ერთბაშად მოგიტანენ, — მამ'ყვიდებდა ქერათმიანი ოდესელი გოგო და ყილას უაზროდ აკოკოლავებდა, — ძალიან გიყვარს?..

ბეკრი მეგობარი შევიძინე. კუმისითა და თამილაზე ფიქრისაგან შეხურებული, კეკვივით ვარიგებდი მისამართს.

— მეწვიეთ თბილისში და მე ვიცი!.. მალე ქორწილი მქონდა!..

— ჩამოვალთ!.. აუცილებლივ!.. როდის?.. სულიკოოოოო!..

— „ვინჩესტერი?“ — ბლუკუნებდა შეზარხოშებული კაზიანეი და ძმაყაცივთ მეხვეოდა, — ვიზას გამოგიგზავნი, ჩამოდი ერაკოვში და...

●

თვრამეტ აგვისტოს ლომერს ჩელკარიდან მეგობრები ეწვივნენ შვეულმფრენით — სანადიროდ ეპატიჟებოდნენ. დიდი ამბით შევუდექით სამზადისს.

— შამფურები დავთალოთ? — დაგვიკნოდნენ გოგოები.

ჩელკარში იმავე შვეულმფრენით ჩავფრინდით, იქ კი მონადირეთა ბრიგადის „კოლხოზნიკეებზე“ გადავსხედით. ღამე ღია ცის ქვეშ გავათიეთ, საღლე ტომრებში, ფილაუთინია კი მარტრუტების მიხედვით დავნაწილდით. მანქანები ერთმანეთს რაციით უკავშირდებოდნენ. შოფრებმა ხუთი თთიევით იცოდნენ სტეპი. საიგაკების ჯიგს მალე წავაწყდით. მოტორების გუგუნისაგან დამფრთხალნი საოცარი სისწრაფით გარბოდნენ ფილის ბინდბუნდში. კი არ გარბიან, თითქოს რიფრინდავენო. მოელვარედ გუგუნებდა სტეპი.

— კრრახ! კრრახ! კრრა!! კრრახ! — ჰექედა ლომერის „კრაუნ ჰანტერი“ და საიგაკიც გვერდულად უცაურ კამარას ჩაკავდა და ყირამალა ეცემოდა მიწაზე.

— ძუნგ! ძუნგ! — ბაიქუნობდა ჩემი თორმეტყალიანი იჟ-27 და ჰაერში ქვიშის სვეტებს აყენებდა.

— ცოტა ზევით დაუჭირე! — მიყვიროდა სრბოლისაგან თმაგაწეწილი ლომერი და ვაზნებს ქაჯური სისწრაფით ცვლიდა. — მე როგორ გასწავლე?! ზევით, ზევით!.. სანამ შენ სასხლეტს თითს გამოჰკრავ და იქ ტყვია მიგა, მანამ ის გარბის!.. რეკებს ზემოთ, ცარიელ ადგილს დაუმიზნე!.. ემაგრე! დაინახე? ყორაღ!.. ნელა, არ გადავარდე!..

ნადირობა ფილის თერთმეტ საათზე დამთავრდა. ოცდასამ მონადირეს ხუთასცხრა საიგაკი მოეკლა. ნანადირევი შვეულმფრენებით წაიღეს გადასამუშავებელ პუნქტებში. ჩვენ შვიდი წყვილი რჩა და ორი საიგაკი გაგვატანეს. ბანაკმა გმირებივით მიგვიღო. თითო წყვილი, ყველაზე საუკეთესო რჩა ჩვენთვის შევინახეთ, დანარჩენი ჩამოვარიგეთ.

ჩვენი ექსპედიციის წევრებმა — რუსლან პისკულინმა და ლარისა კოვაჩ-

მა — გადაწყვიტეს იმ ღამით ჯვარი დაეწერათ. ბანაკის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ერთი შვეულმფრენი აყასპეში გავგზავნეთ ლვინო-არყისათვის, მეორე სადღაც, ყიზლაყში — კუმისისა და ბრინჯის საშოვნელად. ოდესელმა გოგოებმა ორ საათში შეკერეს საქორწინო კაბა. ერთი საიგაკი მოვხარშეთ, მეორე ნაპერ-ნაპერ შეეწვით. სუფრად სტეპის ქვიშა გვეფინა. ელექტრონის მაგივრობას კაკაჩა მთვარე გვიწვედა. ნამდვილი გეოლოგების ქორწილი გამოგვივიდა!

თამადად ლომერი გვყავდა. დიდებულად გვაკეთებდა.

სიხარულისაგან გული გასკდომაზე მქონდა. ნეტა, თამილაც აქა მყავდეს-მეთქი, ენატრობდი გუნებაში და ტეპენკოკს გახელებით ვეცინავდი.

— კარგი ხარ!.. ყოჩაღ!.. — კისკისით მაქებდნენ შედვინიანებული გოგოები და ოფლიან ბეჭებზე სიყვარულით მიტყაპუნებდნენ ხელს — ისე ბაძავ, წყალი არ გაუვა!.. აბა, ახლა თქვენებური!..

თენებისას ავიშალენით. ახლად დაქორწინებულნი უდაბნოს ყვავილებით მორთულ და ლოგინდაგებულ შვეულმფრენში დავაბინავეთ. მეორე ყიჟინითა და გამამხნევებელი შეძახილებით გავაგორეთ ბანაკიდან კარგა მოშორებით, უდაბურ სტეპში და იქ დავტოვეთ...

●

ოცდაოთხ აგვისტოს ოდესელებმა დაშალეს კარვები, ნაკარვალების წინ ჩაამწკრივეს გატენილი ზურგჩანთები და გასაფრენად მოემზადნენ. და ის ქალიშვილები, რომლებსაც ზედ ველეოდი და სტეპში გათენებამდე ვასეირნებდი, შვეულმფრენში ისე ჩასხდნენ, არც კი დამშვიდობებიან. დამშვიდობებმა ვიღა ჩიოდა: ბრაზიანი მფრინავი ჩქარობდა და ისეთი გაუგებრობა და ფაცაფუცი შეიქმნა, ყასიდად ხელიც არავინ დამიქნია.

გული მტკივნეულად შემეკუმშა და უცებ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ამ ქალიშვილების სახით თვით ცხოვრებამ მექცეოდა ასე უხეშად. ველურ უდაბნოში გატარებული დღეები, ქეიფი, ცეკვა, გათენებამდე სეირნობა, ხვეულალერსი იყო სიზმარი, ბურუსი, თვალთმაქცობა, წამიერი გაელვება, ახალგაზრდული ცოლლუტობა, რომელიც უდაბნოს მდუმარებაშივე უნდა ჩამარხულიყო და დავიწყებას მისცემოდა. როგორც შარშანწინდელი თოვლი. შვეულმფრენმა წრე შემოხაზა და ტაშკენტისკენ აიღო გეზი. მობუზული გავაქქროდი ჰაერში დაკიდებულ მოლაპლაპე მანქანას, რომელიც თანდათან პატარავდებოდა და უცებ ვიგრძენ — ამქვეყნად მხოლოდ თამილა მიყვარდა დიდი, ნამდვილი სიყვარულით და სხვა ყველაფერი მოჩვენება და სიცრუე იყო!

ოცდაშვიდ აგვისტოს ჩვენც ავიყარენით და ალმა-ათაში ჩავფრინდით. ხელფასი მეორე დღესვე მივიღეთ. მე 485 მანეთი მერგო. ჯგუფის ხელმძღვანელები ხუთ სექტემბერს ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიაში უნდა გამოსულიყვნენ მოხსენებით. დანარჩენები თავისუფალნი ვიყავით — ვისაც საით სურდა, იქით წავიდოდა!

ჩეხებმა და პოლონელებმა ვოლგოგრადის თვითმფრინავზე აიღეს ბილეთები — მამის ყორღანი უნდა ვნახოთო. ლენინგრადელებმა საიანის მთებისკენ გაუტიეს. მოსკოველები ბაიკალის ტბაზე წავიდნენ დასასვენებლად.

ალმა-ათაში ოთხი დღე დავრჩი. ლომერი მოხსენებას წერდა და ქალაქი მარტოკამ დავათვალიერე. თამილას სამასოცმანეთიანი ოქროს ბეჭედი ვუყიდე და ლომერმა შამპანურის ბათქუნით გამომაცილა.

— ეს წერილი ჩვენებს გადაეცი. შვიდში მანდ ვიქნებითქო!.. რქები თვითმფრინავში არ დაგრჩეს!.. უეჭველად შემომიარე!.. აბა, ყოჩაღად!..

თვითმფრინავი როგორც კი აფრინდა, სავარძელი გადავსხენი და თავისუფლად ამოვისუნთქე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დღის ორ საათზე თბილისში ვიყავი!

რუსთაველის ძეგლთან ექსპრესიდან რომ გადმოვედი, გული ავადმყოფურად ამიკანკალდა. ზურგჩანთა წამოვიკიდე, სომბრერო გავისწორე, საიგაკის რქები მოვიმარჯვე და ფეხით დაუყევი ხალხმრავალ პროსპექტს. გამვლელები გაფაციცებით უყურებდნენ საიგაკის რქებს.

ნაცნობ აღმართს რომ შევუდექი და ჭადრები დავინახე, მუხლები მომეკვეთა. ვიგრძენ, რომ ეს დიდრონი, ტანდაკორძილი ხეები, რომელთა შრიალა ტოტებშეშ თამილას ამოვაცილებდი ხოლმე შუადამისას, უკვე ჩემი ცხოვრების განუყრელ და აუცილებელ ნაწილებად ქცეულიყვნენ.

„ნეტა, შინ დამხვდება?.. ჯერ ჩამოვიდოდა სოფლიდან?..“ — ვფიქრობდი და ზურგჩანთა თანდათან მძიმდებოდა.

ოქროს ბეჭედის კოლოფი მოვისინჯე და კიბეს შევუდექი. შუშაბანდი ღია დამხვდა. ხმაურზე ოთახის კარი გაიღო და ნაცნობმა სახემ უსიამოდ შემომაჭყიტა.

— ჯვარი აქაურობას! — დაიხავლა დედაბერმა და გაუჩინარდა, მაგრამ ისევ გამოიხედა და ზღურბლსაც გადმოსცდა, — გული გამიხეთქე!.. მეც არა ვთქვი!.. მოვდელივთ გაგიშვია წვერი!.. ვერ გაიპა...

— თამილა არ ჩამოსულა?

— ქმარმა მოსკოვში წაიყვანა სავაჭროდ, კვირას ჩამოვლენ!

უცებ ზურგჩანთა ისე დამძიმდა, სუნთქვა შემეკრა. ცხვირში გასრესილი ავშანის მწკლარტე სუნი მეცა. მზერა წამერთვა და თვალწინ საქსაულიანი უდაბნოს ბუნდი ზმანება დაბარბაცდა. ყურში კოღოსავით ამიწუილდა სარა ტასტანბეკოვას აშუღური ლექსების სევდიანი ჰანგი, ქვისსახიანი მოხუცი მეაქლემე რომ მიმღეროდა ოდესღაც მთვარიანში...

— ჩემმა ნათესავმა წაიყვანა. კარგი ოჯახიშვილია. დედა აგულაშვილის ქალი ჰყავს, მამა — ავლაბრელი სომეხი... ნეტა, რო კარგ ოჯახში ჩავარდა!.. ვითომ ინაზებოდა, მაგრამ, ღვთის წყალობა, მოვთაფლე და ჩავტეხე! ხე-ხე ხე...

დედაბრის გამხმარ თითებში საიდანღაც გასაღები გაჩნდა.

— დაიცა, შენ ის არა ხარ! — რეკოლვერივით მომიშვირა მტკავლიანი გასაღები და თვალების წკურვით ამოიხეხინა ჩემი სახელი, რომელიც უკვე ჭირივით მძულდა, — გიცანი! — საპირფარეშოსხელა ფარდულის მოშლილ კლიტეში გასაღებს წვალება დაუწყო, — რა ჭირი ეცა, ამ მუდრეგს?!. დიახ, გიცანი!.. ძალიან მეხვეწებოდა თამილა: თუ მოვიდესო... დაეანგულია კლიტე, ერთხელ ნავთი ვერ ჩავუშვი!.. ჰოდა, დაღუპე აქედან, მომაშორე... ეგე!!!

დასკინტულ ქილებს, მიღრეცილ-მოღრეცილ ჯღანებსა და მტვრიან ხარახურას შორის მარლინის ფირმის „ვინჩესტერი“ ეგდო!

კახა დევდარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოველები

მარადი ოცნების მხარე

მთავარი ქუჩის ირგვლივ, ორ მთას შორის, დიდი ხნის წინ გაჩნდა დასახლება. ხეობაში პატარა მდინარე ხმაურით მიექანება ბარისაკენ. დილლობით ნისლი წვება მდინარის თავზე. მთის შუა წელზე გამავალი გზიდან დაბურული. ხეობა დაუსახლებელ ადგილას გადის. მთის ძირას მოდგმული სახლები სახურავებით ამოზრდილან საიდუმლო სიღრმიდან. ეს ვიწრო გზა, რომელიც გაღმა მთებიდან გამოდის, შუადღეისთვის ზოგ ადგილებში ნისლი გადადის. მდინარის პირას შეგროვებული ხალხი მუდამ ერთად უცდის ცის განათებას.

სციოდათ. საქმე იმდენი არ იყო. კვირაობით მათ წინ ძველი პურის საცხობი მუშაობდა. მეპურეც აქ იდგა და მდინარის მხარეს უყურებდა. პატარა დასახლებაში ყველამ იცოდა ყოველი ქუჩის დამოლოგება.

შემოდგომობით სახლის სახურავებს ღებავდნენ, მაგრამ ფერები ვერ ახალისებდა მოწყენილ ცხოვრებას.

მდინარე ნელა ანგრევდა მთავარი ქუჩის ძირში ბრძოლისგან დახრულ კლდეს. საღამოს ისევ აბოლდებოდა საცხობი. სუფთა ცისაკენ მიდიოდნენ კვამლის რუხი ბოლქვები. საცხობთან დგებოდა პატარა მდუმარე რიგი. ახალისებდათ ნამდვილი სოფლური პურის სურნელი. საღამოს მოწყენილ ბინდში გამყიდველის მეზობლებს მიჩვეული თვალები სითბოთი და ხალისით ბრწყინავდა. მარტო საცხობი არ ჰყოფნიდა დასახლებას. სასადილო გვიან ღამემდე მუშაობდა. როგორც ყველგან, ცხოვრება აქაც არ იყო ერთსახოვანი. ბევრი ამბავი ხდებოდა, მაგრამ ყველამ ზეპირად იცოდა ამ მთებში მცხოვრებ დევებზე.

დილაობით, ყოველი სახლის ღობეში ფოსტალიონი გაზეთებს ტოვებდა. უყვარდათ ახალი ცნობების გადაკითხვა, ამინდის გაგება მომავალი კვირისთვის. ღობესა და სახლს შორის დაეთესათ ბოსტნეული.

სასადილოდან თითქმის ყველა ფერის სახურავი მოჩანდა, მარტო ლურჯი იკარგებოდა. მთის გვერდით ჩამომავალი პატარა ხეობის დასაწყისში სახლი სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა. გაზაფხულზე მარტო პატარა ბუჩქები ისხამდა ფოთოლს. აქ უფრო მეტად ციოდა. მეზობლები შორიდან ადევნებდნენ თვალს ამ ყვავილებიანი ეზოს ცხოვრებას. მკვდარ კლდეზე გაშენებული ბაღი მთელი ამ ხეობის ნაკლული სიცოცხლის ხალისის ერთ წერტილში თავმოყრა იყო.

გზაზე გამოსული ხალხი დაღამებამდე მოძრაობდა ხეობის ამაღლებულ ნაწილში. ქვევით, პურის საცხობთან, ქვემო უბნელები ისმენდნენ მდინარის ხმაურს. კარგი თევზი იცოდა ამ ხევის წყალმა. ზევით ყვავილებიან ეზომდე აღწევდა ყრუ გუგუნი. ცოტა იქით პატარა ხევის ხმაური იმარჯვებდა. მოშორებით ფხვიერი მთა იდგა წვიმებისაგან მომრგვალებული. მიწა იყო ღარიები. შეიძლებოდა შავი მიწის მოყრა. ნაყარი მიწა ხევში ჩაჰქონდა წყალს. ამ ღობის იქით ცხოვრობდნენ დედა, მამა და პატარა ბიჭი. რიგრიგობით რწყავდნენ თავთავიანთი სარწყავებით,

უმეტეს დროს ეზოში ატარებდნენ. დედა ხარშავს ღობისგადაღმა მოკრეფილ ჭინჭარს. მამას მოაქვს პური. ეზოში ქათმები დარბიან. ხის ღობიდან ძროხა იყურება — ბიჭის იმედი და სიამაყე. როგორ, უყავს, როცა წველიან. ბალახი პატარა ჭალაში ერთი ძროხის სამყოფია. სახლის წინ ვაზი ასყოა რკინის მილებზე. რა ხმელი ტოტები აქვს, უკვირს ყველას. საერთოდ, ვაზი ასეა, ამბობს მამა. ბევრსაც ვერ მოისხამს ამდენ წვიმაში. დედას აწუხებდა ხელის ტკივილი. საღამოობით ცოტა უსივდებოდა. ყველა ეს წუხილი მაშინ დაიფარებოდა სიცოცხლის სისავსით, როცა დედა ეზოში გაშლილ სუფრაზე ხილის გრილ წვენს მოიტანდა. თანაბრად ინაწილებდნენ. ბოლოს, ბიჭის ყველაზე მალე დაცლილ ჭიქაში აქეთ-იქიდან ჩავარდებოდა თითო ნაჭერი. ბიჭი თავს ჩაბრიდა ცოტა ხნით. მშობლები კი აწითლებულ მთებს გაჰყურებდნენ. დიდი წვიმების დროს გრილით მოცურავდა ფერდობებზე მიწის ტალღები: მამა ნიჩბით უკან აბრუნებდა ეზოს გაქცეულ ნაწილებს. ძროხა ღმუოდა. ადიდებული მდინარე ქუჩას უახლოვდებოდა. იყო ბავშვების დიდი გახალისება. ყველა ხიდის წაღებას უცდიდა. წაიღო ხიდი. აღდგენაზე მამამ იმუშავა. დაღლილი მოდიოდა. ბიჭს სადილი მიჰქონდა. გვერდით მოაჯირთან უცნობი კაცები ზევიდან დაჰყურებდნენ დაკლებულ წყალს. თოკებზე გასულ, ხელში ჩაქუჩმომარჯვებულ მამას არავინ უყურებდა მშვიდი ნაპირიდან. ეს იმისი ბიჭია — თქვა ვიღაცამ. მამამ მუშაობა დაამთავრა. უკან გადმოვიდა და წავიდა დასახლების ბოლოს. ბიჭიც უკან ადევნა. იქ ისადილეს. ბიჭს უკვირდა, მამას, ასეთ კარგ კაცს, მეგობრები რომ არ ჰყავდა. საღამოს სახლისაკენ აჰყვებოდნენ აღმართს. სასადილოს ღია კარებთან თამამი ხმები აწყდებოდა წინ აღმართულ უსიცოცხლო მთას. მოეროდა დილით ხიდთან მოსული ხალხი. რაღაც აიშალა ბიჭის ცხოვრებაში. პატარა რაყეა იგრძნო გარედან შემოჭრილი ძალისაგან. უფრო გაუძლიერდა დაცურებული მიწის დანახვის შეშინებული ერთი დღე მიიღია. მოვიდა მერე. მდინარის გალმა მაღალი ალვების უკან რკინიგზის სადგურია. გადავიდა ხიდზე. ბაქანზე ხალხი მატარებელს ელოდება. უმეტესად მიდიან შაბათობით. კვირის ბრუნდებიან. მატარებელი დაიძრა. სადგური დაცარიელდა. ალვის ძირში გაჩერდა. ბიჭი მამის დაბრუნებას ელოდა. მამა საღამოს მატარებლით დაბრუნდება. ბოლო ვაგონი მთას მიეფარა. გზები ბევრ მხარეს მიდის. იქითაც მთებია, საით უნდა წახვიდე ნეტა.

მამა თვეში ერთხელ გამოაღებდა ზედა უჯრას. გადმოალაგებდა გაუთოებულ ტანსაცმელს. დაგზავნიდა რკინის თეთრგადასაფარებლიან საწოლზე. გაიხდიდა სამუშაო ტანსაცმელს. იცვლიდა დიდი დაფიქრებით. გადავიდოდა რკინიგზის ხაზზე, სადაც მეტყველეთა მატარებელს უნდა ჩამოვესვლა. დაჯდებოდა სადმე კუთხეში. ირგვლივ ჰყვებოდნენ ამბებს, რომლებიც თავისი შინაარსით ვერ სცდებოდა რკინიგზის პატარა კვანძს. რაიონის სადგურში ჩამოიცლებოდა მეტყველეთა ერთი ცვლა, სანაცვლოდ მეორე გაესვლება ვაგონებს. იყვნენ ბავშვებიც. უფრო ნაკლებად ქალები მგზავრობდნენ ამ მატარებლით. ბავშვებს სოკო ჩამოჰქონდათ. კაცი თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა საკვანძო სადგურს.

მგზავრებს ეცვათ ნაცრისფერი ტანსაცმელი. კარტს თამაშობდნენ. საუბრობდნენ ლაღად და უსაგნოდ. კაცს ეს მგზავრობა, რატომღაც, აღუძრავდა ფიქრებს შორეული ზღვებსა და უსასრულობაზე. „შენ მაგ ცხოვრებისათვის არა ხარ დაბადებული“ — ჩაესმოდა რელსების ხმაურში. გადმოიარა სადგურის ხიდი. გზაზე ჩაუარეს განათებულ მაღაზიებს, რომელთა მინებზეც აირეკლა მათი ღამის გასეირნება. ბიჭმა ეზოს გარეთ, ხეობისკენ ჩაქანებულ კლდეზე დაიწყო მიწით თამაში. ფხვიერი კლდის მარცვლები წრიულად მოაბნია მუხლის სიმაღლეზე. შიგ წყალი

ჩაასხა. საცერივით ჩაიცალა მოღობილი არე. ხევში კი წყალი მიედინება. ბუნებას თავისი მუდმივი გზები გაჰყავს მარადიული ცვალებადობის შიშის გარეშე. სათავეში ჩამოშლილი მიწა თანაბრად ლაგდება მოძრაობის მთელ ხვეულებში. კიდევ ავსო პატარა წყალსაცავი. ფსკერიდან წყლის ჭავლის საწინააღმდეგოდ მოცურდნენ ქვიშის წყალში მოელვარე ფარდები. მძიმე ნაწილაკები მალე უკანვე ჩაბარუნდნენ ადრე არსებული სწორი ფსკერის შესაქმნელად. ზევით მოიწევდა ხვეული ზოლები ძაფივით წვრილი მოხაზულობით, მოძრაობის ერთიანი უწყვეტი რგოლებით. ფერებიც აირია. თიხა ყავისფრად ხლართავდა თავის უფრო რბილ ფორმებს. ბიჭი მუხლებზე დაყრდნობილი ადევნებდა თვალს პატარა სამყაროს მიმოსვლას. ჭავლებმა უკან დახევა იწყეს. როცა ბოლო მარცვლებიც დაეშვნენ ფსკერზე, ალარ მოიძებნებოდა კვალი დიდი წესიერი არეულობისა. ქვიშა ეფინა ქვევით. ზევიდან გამჭვირვალე სუფთა სარკე ხვრელებში აგრძელებდა გაქცევას პატარა ხევისაკენ. მიწა იქვე იწოვდა ათასჯერ აღმდგარ ერთსახოვნებას. როდისმე ჩააწევს ხევამდე ზუსტად ამდენი დაწშენდის მუდმივი იმედითა და შესაძლებლობით. ადამიანები გადაეჩვივნენ ამ ცვალებადობაში განუსჯელ მიმოსვლას. მხოლოდ მყარი საფუძველი გახდა ხელსაყრელი მოვლენებისაგან შორს განდგომისა. აზრით დაუფლების სურვილი მთელი ცხოვრების ძიების საგანია. ყოველივე მარადიული საშიშია. მხოლოდ ბუნებისაგან მოტაცებული, მიგნებული კანონებით იქმნება მოძრავი თეორიები უძრავ მარმარილოს დაფაზე. დაფა ადამიანთა იმედის ფორმაა, ზედ მოყრილი სილა სამყაროს გადაკეთებული მოდელის სიმართლესთან მიმსგავსების ცდა. არქივებში ჩაწოლილი მასალა უზარმაზარ ქაღალდის მასივებს ქმნის. მოგზაურობა გამოცდილების დაგროვებულ გუბეში მხოლოდ გუბის ზრდას გვაგრძნობინებს. დიდი სახალხო ენციკლოპედიაც ცალკეულ ჟორნალ ამეღლვნებენ — გაყვითლებული ფურცლები. ხეობაში ყოველი მარცვალი ქვევით მიცოცავს და წყლის ფსკერზე ილექება. ადგილი ვერ იქნება სამუდამო. მიმავალი წყლის ჭავლები რომელიღაც ღრმეულ ამოვსებენ. ქვევით მოხვედრილი მარცვლები როდისმე ზევიდან განლაგდებიან. მხოლოდ ადამიანს შეუძლია, ასცდეს მიზანს სამუდამოდ და იაროს სულ სხვა გზით. მიეჩვიოს, საერთოდ, უცხო, საშიში ცხოვრების წესს. სამყაროში შექმნას სამყარო. შედეგიდან ამტკიცოს მიზეზი, ბიჭს მივიკვლევთ ხეობის ბინდში... ჩუმი ნაბიჯებით. არ გვინდა გათენდეს. სინათლეზე ნაკლები უფლება გვექნება საგანთა ზომების აღრეკისა. რაც რეალურია, ის ახლოა. შორეულ სინათლეს კი დამნახავი უნდა, მომთმენი მაძიებელი. მოთმენას საკუთარი თავის სილის მარცვლად ქცევა, ყველრების გარეშე ქვებს შორის ხოხიალი. თამაში დაამთავრა. ეუცხოვა ირგვლივ ამოზიდული სილიანი მთები. ამას ერქვა სამშობლო. აქ მტერი ყოფილა წლობით ბანაკად გაშლილი. იმათი მეომრები იმარხებოდნენ ფერდობის სიღრმეში. არეულობის მიწა, საიდან რა მოდის ან სად მიდის, რატომ ვუვლით ყოველ დაცურებულ მასას. მამამ ნიჩბით მიწა გადაყარა. სხვა უფლება არ ჰქონდა მეზობლებმაც იგრძნეს კლდის დაცურება. აევსოთ ბოსტნები სილით. მამას არავინ არ ეხმარებოდა. მარტო მუშაობდა. სამყაროში შექმნილ სამყაროს დიდი სიყვარულით იცავდა. მაგრამ დიდმა სამყარომ მარტო მოძრაობა იცოდა და სულ არ ფიქრობდა მილიონნი წლების წინ დაწყებული ღრმეულების ამოვსების, ზევიდან ქვევით მიმავალი მოძრაობის შეწყვეტას. დრო რაყევით მოიწევდა ბიჭის თვალებში. ყოველდამე გრძნობდა, როგორ ცოცავდა სახლი.

მოვიდა შემოდგომა. მინდორი ხმელი შრიალით ჩაიფშვნა — მთელ ფერდობზე, მთებამდე. დამწიფებული ყუ-

რძენი სუსტად ეკიდა ღერგზე. მამამ დანით შეჭრა მსხვილი მტევნები. დედამ გარეცხა. სუფრის შუაში ჩამოდგა კალათით. გვერდზე გაწია პური. დაკარიელდა მიწიდან ამოსული ხმელი ღერები. გაზაფხულამდე უნდა გაეძღო პატარა ძარღვის ფეთქვით. ეზო ჰგავდა ყველა ფერს ამ ხეობაში. წყალთან ჩავიდა და ნელა აუყვა ზევით მთებისაკენ. მშრალ ქვებს შორის წყალი ვიწრო ზოლად იწვა მთელ სიგრძეზე. გადაიარა ერთი გორა. სახლი აღარ მოჩანდა. ახლა მოუნდა უკან მობრუნება მამის სახლში. გაჩერდა ველზე. ბალახი იქცა ხმელი დახვდა. ჩქარა ჩამოიარა ხევი. ეზოსთან აღმართი ამოჭრა. მიწაში ჩაფლულ სკამზე უცნობი კაცი იჯდა. დედა ქვაბიდან წყალს უსხამდა ტალახიან ხელებზე. ხელები სახეზე მოისვა. რა კარგ ადგილზე ცხოვრობთ, როგორ იძვრის მიწა ფეხქვეშ. ყველა ჩემი ოცნება თან სდევს ამ მოძრაობას. უცნობი საუბრობდა მთელი საღამო. მოიღრუბლა. მაგიდა სახლში შეიტანეს. წვიმა წამოვიდა. მიწაში ჩაფლული სკამი ლანდად მოჩანდა. უცნობი ზუზგით იჯდა. მამა, ალბათ, სადგურში უცდიდა წვიმის გადაღებას. ღამე დროზე ადრე ჩამოწვა. აღარ წვიმდა. სტუმარი წავიდა. ბიჭი ბუხრის გვერდით ტახტზე იწვა. დილით თითქოს გაზაფხული აპირებდა მობრუნებას, ვაზი გამოცოცხლებას. შუადღემდე ყველაფერი მოგონებას გავდა. თითქოს დრომ... დამთავრა ძლიერი სვლა. იდგნენ ეზოს შუაში სამივენი. მამა იხსენებდა, როგორ აბრუნებდა დაცურებულ მიწას, დედა — სამუდამოდ გამქრალ ჭინჭარს, ბიჭი უბრალოდ დარდობდა. ძროხა ღობის იქიდან ცხვირიდან ორთქლს უშვებდა. მალე დაიძრა შემთხვევით შეჩერებული ინერცია ზამთრისაკენ. თოვლიც მოვიდა. გზები ჩაიკეტა. ღირდა მოცდა გაზაფხულამდე. ბიჭი იჯდა ბუხართან. მე მესმის შენი — მხარზე ხელი დაადო მამამ. — იცი რა ჩქარა მოგაგონდება შავ-თეთრ ხილვაში დანახული ეს ყველაფერი. როდისმე ახალ მარადი ყინვების სიმაღლეზე. მე იქ ვიყავი უკვე. ჩვენ მივდივართ შორეთში სისუფთავის მარადი მხარისაკენ და იქ მისულები შიშით ვაღიარებთ, ჩუმად უკან მომავალნი, მუდამ აქ ვიყავით თურმე. სიმაღლეც ღლის კაცს.—მხრიდან ხელი კისერზე აუცურა. ცეცხლი ჩუმად იკარგებოდა.

იქნება ბევრი მძიმე წუთი, როდესაც მზე, დედამიწა მოგაბეზრებს თავს. ნელა წამოწევ დაღლილი მხრები, წელში გაიმართე, რომ ისევ დაინახო მარადი ოცნების მხარე. თუ დაგავიწყდა საიდან მოდიხარ, რომელიღაც მყუდრო ღრმულში ჩარჩები დასილული ლამაზი კენჭივით.

სანატორიუმი

(ზღვაზე)

ვინც სანატორიუმს მოაკითხა ამ ცხელი ზაფხულის მიწურულს — გვაგრძნობინა, რომ დასვენება უნდა. ზღვაც არ არღვევს სიმყუდროვეს, თითქოს გაეგოს თავისი მოვალეობა დაღლილი ხალხის წინაშე და უხმაუროდ ათევს ღამეებს.

შუადღეზე დამსვენებლები თვითანთ ოთახებს აკითხავენ. ზოგს წნევა აწუხებს, ზოგს ის, რომ ყველაფერი ნორმაში აქვს და გრძელი რომანების ფურცვლა მობეზრდა, მოკლედ, ერთმანეთს ვუყურებთ რიდით, თან დღეებს ვითვლით, ბოლოს, როცა დამშვიდდებების დრო დგება, გაბადრული ვაცილებთ ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით დასამახსოვრებელი წუთებია.

ჯერ მე არ მივდივარ, არც მეჩქარე-

ბა, დიდი ხანია გავიგე, რომ ცხოვრება ერთნაირია ყველგან.

ზღვაზე ჩავედი, საღამოვდება სიშიშვლის ნამდვილი გამოფენაა, მთელი ცხოვრება რომ შეალიო ამ ხალხის სხვა ვითარებაში გაშიშვლების საქმეს, არა მგონია ასეთ წარმატებას მიაღწიო. გახდაო ყველას ტანსაცმელი და მერე მათ ასეთ ბუნებრივ მოქმედებას ადევნო თვალი.

მეც გავიხადე, გამოფენა გავამდიდრე გრძელი, გამხდარი ტანით, ერთი სიტყვით, ისეთი ხალხი გავშიშვლდით, რომ ერთმანეთის თვალთვალი გვეზარება — ორი ფეხის და ხელის არაიდეალური პროპორციის გამო. ჩვენი გონების კი ყველას გვჯერა. მთავარიც ხომ ეს არის, ცოტა უშნო ქალები წყლიდან იმ დროს ამოდიან, როცა მამაკაცები სხვა მხარეს იყურებიან, მათი ეს მოქმედება ინსტიქტიდან მოდის.

ზღვაში ბეტონის ფილები აღმართულა. ბოლო ფილზე ლამაზი საგამოფენო სხეული გადასახტომად ემზადება. აიმღერა კაცთა საშუალო დონის საგამოფენო გალერეა, ქალებიც არ ღელავენ ნაკლებად. ამ საერთო ღელვას ორი მხარე გაიჩნია. ქალები ამ გოგოს ყოფილი კონკურენტები არიან.

ქმრები თავის მხრივ ყველაფრის ღირსად თვლიან თავს „ო, ეს ქალები“, ფიქრობენ ისინი თავიანთ ბანჯგვლიან მკლავებზე დაყრდნობილები, ლამაზიც და ულამაზოც მათი გონებისათვის მარტივ ამოცანას წარმოადგენს და რატომ იტყვიან ახლა უარს ამ ლამაზი ამოცანის ამოხსნაზე, როცა რიდი და ფანტაზია გახევდა მათ დაბერილ სხეულებში.

გოგო გამოქანდა და ლამაზი ნახტომით გადაეშვა ზღვაში. დიახ, ის ხვდება, რომ ლამაზია, არავინ არ ვმალავთ ჩვენს ლამაზ მხარეებს და ახალგაზრდა გამოფენის სხვა მონაწილეებს ნუ ეწყინებათ მისი ლაღი ნახტომი, გოგოს ჰგონია, მის ნახტომს ისეთი შეფასებელი ჰყავს, რომელსაც შეიძლება სილამაზის დაფასება. საიდან უნდა მიხვდეს მისი ახალგაზრდა ბუნება, რომ ამ ხალხის მიწაზე მხოლოდ აზროვნება ვერ წვდება სიმარტივის გულახდილობას. ისინი გახურებულ ქვიშაზე თავიანთი მუცლების ნებივრობას, ყველა მოვლენაში ღრმად წვდომის თვითდამშვიდებით განაგრძობენ. ის კიდევ ხტება და მე ვხედავი, როდისმე მობეზრდება ამ ლამაზი ნახტომების კეთება. მე ამ სიმაღლიდან არასდროს მიცდია წყალში გადმოფრენა. იმასაც ვხედავი, ჩემი საგამოფენო ღირსება ბევრად ჩამორჩება მისას.

ავედი ბეტონზე, როგორც სიკვდილმისჯილი, თან ვგრძნობ გამოფენა მეც მიმიხვდა ჩანაფიქრს, მაგრამ ამ ერთი შედეგრისათვის მთელ გამოფენას ნაგავში გადავყრი. გადავხტი ძალიან უხერხულად — ბომბივით დავასკდი წყალს. ის იცინის, მხოლოდ არ დამცინის, ამას კაცი მუდამ გაარჩევს.

მე მიხარია, შედეგრმა გამიცინა.

გადიოდა დღეები. მე ყოველდღე ვეძებდი მას, წყალში მხტომელს და ვპოულობდი. მგონი ისიც მპოულობდა, თუ არ ვცდები, ხანდახან კაცებს ჰგონიათ, ამ ერთს მარტო მე მოვეწონეო. არადა, ის ერთი ყველას უნაბავს თვალებს. ეხლა მგონი ასე არ ხდება. მე დავხვეწე ჩემი ნახტომები, სრულყოფას ვუახლოვდები.

დღეები მიდის. ამ გოგოს დედა ახლავს, შეავატყვე, დიდი ხანია გავიდა თამაშიდან. უკვე გაუგია კაცების დამოკიდებულება სილამაზესთან. ჩემს გვერდით მაგიდასთან მისი ნაცნობი საშუალო ხნის ქალები სხედან, ლამაზი ქალიც მათ მოუჯდა გვერდით, ხელში კარტის ძველი, გაცვეთილი ყუთი უჭირავს. აღელვებული საუბრისთვის ემზადება.

— იცით, გოგოებო, დაიწყო მან, რუსულად — ქალაქში აუცილებლად გამოვნახოთ დრო შეხვედრებისათვის,

ჭიქა ჩაი, ცოტა კარტს ვითამაშებთ ხან ჩემთან, ხან სხვასთან, მოდით აუცილებლად.

ამ ქალებს სიყვარულის იმედი არც ჰქონიათ და ამიტომ არც იმედის გაცრუება მიუღიათ ცხოვრებისაგან. ისინი ყველაფერში ზომიერები არიან, ალაგებენ თავიანთ ცხოვრებას. მათი დამცინავი სახეები მე მაგრძნობინებენ, რომ ისინი არასდროს არ გამართავდნენ ამ შეხვედრას მითუმეტეს, მათზე სილამაზე არ მოქმედებს, ისინიც ქალები არიან, კაცებს კი, ალბათ ბევრი ასეთი თხოვნა შეესრულებიათ ამ ლამაზი ქალისათვის.

ქალი თავის მაგიდასთან დაბრუნდა. მისი ქაღალდზე ნაწერი მისამართი მაგიდაზევე დარჩა და დამლაგებელმა სხვა ქაღალდებთან ერთად გადაყარა. იმავე საღამოს ჩემოდნებით იცდის სანატორიუმის წინ, ის მიდის.

აქ, ერთი ცოლიანი კაცი ისვენებს, როგორც ამ კაცისაგან გავიგე, ბაღში კიდევ დარჩათ დაბლა ჩამოსატანი. სანატორიუმით ავფეთი მესამე სართულზე, ლამაზი გოგო ყვავილებით ხელში თავისი ოთახის წინ დედას უცდის. სულ ერთი ხელჩანთა დარჩენიათ. ჩვენ ორნი ავედით, ერთ ხელჩანთას ორი რად უნდა. კაცმა იმარჯვა, მე უკან მივყევები, როცა კარებს მივაღწიეთ, რომლის იქითაც სანახაობის საყურებლად გამოსული ხალხი შეგროვილიყო, კაცმა ხელჩანთა მე გადმომცა. ეტყობა აშკარად თანაგრძნობას ვერ ბედავდა. ისინი წვავდნენ...

ქალები შუადღეზე ისევ თამაშობდნენ კარტს.

პლიაჟზე გავდივარ, ვეღარ გადამიწყვეტია, გადმოვხტე თუ არა ბეტონის ფილიდან, ნაპირიდან შორს გნიასებენ მეთევეზეთა ნავებს ადევნებული თოლიები.

სიცოცხლისათვის

მთიანი ნაწილი ჩამოვირბინე და სილურჯეში გამოჩნდა ჩემი სოფელი. ღრუბლების ჯარს ჩამორჩენილი ნაფლეთები ბოლოჯერ ეხებიან ხის კენწეროებს, მოვარდნილი ქარი მიერეკება თავის ფორმიან სიცოცხლეს ველმა მთებისაკენ. დილის ნისლი ფერდობებზე დაბურულ ტყეებში უჩინარდება. ბუნდოვანი მზე ხმელი ტოტების იქით ამოცურდა. ნეტა რომელ ტოტებს დაათბობს ცივი ღამის შემდეგ, რომელია უფრო ახლოს მზესთან. ჩემი ნაბიჯები ხეების გასწვრივ უხლავ კვალს ტოვებენ. აკანკალებული მზე კი ტოტიდან ტოტზე ხტება, შემოდგომის გრილი ნიავი უბერავს.

მე თბილად მაცვია, გული საათივით მუშაობს, ფეხები მექანიკურად მიმოკლებენ გზას სახლამდე. დაღმართი უკან მოვიტოვე იმ იმედით, რომ გაისად გაზაფხულზე ისევ დავბრუნდები. ზამთარში, აბოლებულ, ნესტიან ქალაქში დავითვლი დღეებს გაზაფხულამდე.

გზაზე ხარები მძიმე, კანდახეთქილ მორებს მიათრევენ. უხმო მეურმეები სიცოცხლისათვის იბრძვიან. ზამთარში ამ ადგილებში მგლები დაიწყებენ ყმუილს და სოფელს მძიმე ცხოვრების დასაწყისის ნიშნს მისცემენ, რატომ ყმუიან მგლები? — ეს მოცლილი მგზავრის კითხვაა.

ალბათ დარდობენ სივრცეში უსასრულო ქროლვას, თავიანთ გამარჯვებებს, რისთვისაც სამაგიერო არ მიუღიათ, ან იქნებ მონადირეს უხმობენ ზამთრის ამ ცივ ღამეებში მძიმე ცხოვრების დასამთავრებლად. ამ მიწაზე არავინ არ ცხოვრობს თავისი სურვილით, ყველანი მოვალეობას ვიხდით. მგლებს არ ახარებთ სიცოცხლეში გაყინული სის-

ხლის დალევა. ბუნებამ სამუდამო ადგილი მიუჩინათ ღრმა სიმარტოვეში. ყმუილი მგლებმა თვითონ ისწავლეს.

ხარები სოფელში შევიდნენ. ღობის იქიდან პატარა ძაღლი აყეფდა! მზე ისევ მოჩანს უფრო ძლიერი. დამცხა, უკან ვიხედები, ტყეში იკარგება — ჩემი გამოვლილი დაღმართი. მზემ ტყე ვერცხლისფრად აალივლივა სუფთა ზეცის ფსკერზე. გზადაგზა სოფლელები მოსავალს აბინავებენ. მწიფე ყურძნის მტევნებს მობეზრდათ მზის ამდენი შესმა. ისინი ერთმანეთში არევას, მდინარეთ ქცევას ელოდებიან. მერე ისევ ზეცაში ავარდნა მოელით ნისლებად ტყეების გადავლით, სხვა მიწებისაკენ.

გზის პირას მოხუცები საუბრობენ. ისინი დიდი ხანია აღარ აყოლიან ტყიან ბილიკებს, მგზავრებს აცილებენ თვალებით, არ იციან, რატომ მიეცათ მოძრაობის უფლება, ან რატომ ჩამოერთვათ იგი. ჩუმად ატრიალებს სიკვდილი თავის ბორბალს სიცოცხლით სავსე დღეებშიც.

ჩემი მეზობელი სოფელი ქალი — სამ ბიჭის დედაა. სულ პატარა ბიჭი ელამი თვალებით ხედავს ტყისკენ მიმავალ გზას.

ბიჭი წინა ზაფხულს შემომხვდა გზაზე, შემათვალიერა, სქელი ნესტოები მძლავრად ისუნთქავდნენ სასიცოცხლო ჰაერს, უკან დედა გამოჩნდა. ბიჭისკენ მოდის.

— რას გაშტერებულხარ, — შეუყვირა ჩემს გვერდით ჩავლილმა. შემკრთალი ბიჭი ფეხშიშველი ფეხების ტყაპუნით უკან აედევნა. დედა სკამზე ჩამომჯდარ ქალებს გამოელაპარაკა.

— მოდი შვილო, მოდი, — ბიჭი მივიდა.

— აბა ერთი ლექსი გვითხარი.

ლაპარაკი უჭირს, ეს ქალებმა კარგად იციან, ილიმებიან, ესეც მოფერებაა. ამ სოფელში ეს ერთია უდღეური. ქალების შვილები ჯანმრთელი მუხლებით ადიან სოფლის აღმართებზე. ბუნება არავის არ აძლევს ირიბად ყურების უფლებას. გზაზე აღარ დამხვედრია ელამი ბიჭი.

იმ სკამს ეხლაც გვერდით ჩავუარე, ქალები რაღაცაზე საუბრობდნენ. ყველა მათგანს საოცრად ეშინია მგლის ყმუილისა ზამთრის გრძელ ღამეებში. მგლისა, რომელიც თავის ავადმყოფ ლეკვს არ დასცინის და როცა ნანადირევ შველს ცხოვრება თავისი შვილის გამოსაკვებად დააგლეჯინებს, ის გიჟდება და იწყებს ყმუილს სამყაროს ასეთი უსამართლობით ატირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი შვილებს

თქვენ გამიჩინეთ გულში ნაღველი,
სულში წუხილი,
    თვალებში ცრემლი,
წახველით,..
    ერთხელ არ ხართ მნახველი
ჩემი სიზმრების
    და სარეცელის,
რად გახდით ასე მიუკარები,
რამ გაგიციათ გული საგულეს?
საიდან ქრიან ცივი ქარები,
ეს მწარე ხვედრი რისთვის მარგუნეთ?!
ჩვეულებრივი ენა ვერ აღწერს
რასაც განიცდის გული დედური,
მაგრამ თქვენამდე მაინც ვერ აღწევს
მშობლის წუხილი და საყვედური,
გარედ ქარია, სახლში დუმილი,
დუმილში სევდა ბუდობს ტიალი
და გულს მიწყლულებს მორყეულ კარის
და სხვენზე თქვენი აკვნის ჭრიალი.
მამა იმსხვერპლა თქვენზე ფიქრებმა.
(ახლა მის საფლავს ჰფარავს ბალახი)
მეც წავალ...
    ეს დროც მალე იქნება
და ვფიქრობ ჩემზეც ცრემლებს არ
                    დაღვრით.
ინგრევა სახლიც —
                ჩამოდის წვიმა,
ბუხარში ცეცხლი შიშინით ჭრება,
მშობლის ამაგი — ეს თბილი კერა,
ნუთუ არასდროს არ გენანებათ!
იქნებ როგორმე მოგილბოთ გული,
ამ მწუხარე ჟამს ჩემმა ცრემლებმა;
მოძებნოთ სოფლის გზა დაკარგული,
მცირე ხანს,
    თუნდაც დასასვენებლად.
წერს დედა წერილს...
    წერს და ღაწვებზე
დიან ცრემლები ნაკადულებად,
წერს
    და იმედებს იმედს აწებებს
და ელის ბედის განკარგულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ცის ნაპრალებში ფასკუნჯებივით
ბუდობენ ჩემი
ლურჯი ცისკრები
და მესმის მათი ხმები წკრიალა, —
შეზავებული,
სევდიანი ღამის მოტივთან.
და... ეს ცრემლები,
ეს ღიმილი,
და ეს იარა,
მე ჩამოვკრიფე სიყვარულის
მაღალ ტოტიდან.

●

წარსულში უცებ წინაპარმა
ხმალი იშიშვლა,
ასე მგონია როცა იელვებს...
ზღვაში თვალს ახელს სასწაული
და ფანტაზია.
ქუხილი არა,
აიეტი და ფარტაზია,
ისევ ებრძვიან პონტოს პირას
ბიზანტიელებს.

დედას

ცას მნათობები ისევ კორტნიან
და ცივ სიშორის ტოტებს არხევენ,
არყოფნის ფიქრი ჩემს იმედებს როცა
შებინდავს,
მაშინ, მე მესმის ცრემლნარევი შენი
ძახილი —
მარადიული მდუმარებიდან.

ყინწვისში

დაგვნათის სახე თამარის,
გვიფარავს ფრთე —
ანგელოზის,
მიტომაც გამოვამტვრიეთ
რვა საუკუნის
კედელი.

გვხრავს ჟამი რკინის მკვნეტელი
და ჩვენ სიცოცხლეს დავეძებთ:
წუხს ანტონ გნოლისთავისძე
და ზაზა ფანასკერტელი.

●

აღმოსავლეთით ფრთებს შლის
ცისკარი,
„ქართლის ცხოვრება“ —
წარსულს მილამპრებს.
მთვარე ჰკიდია სიშორეში, ვით
ბუმერანგი.
და კოლხურ ღამეს,
ბრძოლით დაღლილ, ვით ჩემს
წინაპარს,
ტანზე აცვია ვარსკვლავების ჯაჭვის
პერანგი.

●

ცის დარბაზებში სძინავთ
ვარსკვლავებს,
ღრუბლების ბალახს —
მთვარე არ ძოვს
ღამის ჭალაში.
ტალღებსაც სძინავთ ზღვის დიდ
მკერდზე
უხმოდ ჩაკრულებს,
შენკი არ გძინავს სიყვარულო,
და ნეტარებით,
გულის დირეზე მხოლოდ ერთხელ
დამიკაკუნე,
და განიხვება მოლოდინის ცივი კარები.

კრწანისის ველი

მტკვარი უჭირავს ორლესულივით,
მკერდზე აყრია
არაგველთა
ჯაჭვ-მუზარადი
და სიჩუმეში განისვენებს
კრწანისის
ველი, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამასი წლის წინ
რომ გამოჭრა
ღალატმა ყელი,
სწორედ ის სისხლი —
ყაყაჩოებს
ისევ ღვარად სდის...

მამულის შემოდგომა

სიმყუდროვეში მოწყენილი
დგანან ტყეები,
ხეებს სიმწვანე უცებ მოშიდათ,
ფოთლებს მგლისფერი
ისევ ედებათ
და ფოთოლცვენის ყვითელ კოშკიდან
ჩემი მამულის
შემოდგომა
კვლავ იხედება

პოეტი

„დედა-შვილობას ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმბარეო.“
აკაკი

ქართული ზეცის ლურჯი ნაჭრით
ცრემლებს იმშრალებს
და უხარია:
მიწა ერთი ხელის დადება,
ღმერთმა არგუნა უდრტვინველად
და უხმაუროდ.
და...
ნამოღვაწარს წიგნში აწყობს...
და ემზადება,
უკვდავებაში სამოგზაუროდ...

●

კოინდრის ნოხზე —
ურა ხის რაშს დავაგელვებდი,
სიმინდის ღერებს
თუ ყელ-ყელა
დღეებს ვბელავდი,
ბათურა მუდამ დამდევდა ღრენით.
ჭინჭრის ბურთით და
აკაციის რიკტაფელათი —
ქაღალდის ნავმა წაიყვანა
ბავშვობა ჩემი.

იები

ქართულ ცასავით გულგაღეღილი
ჩემი სამშობლოს ლამაზ —
განთიადს —
შორით ვკოცნი და ვეღიმილები...
პატარა ბუჩქს კი
შეუკრავს მკერდი —
ია-იების ლურჯი ღილებით.

1941-1945

ნაოჭებია თუ ფიქრების ნაკადულები,
მოხუცის შუბლზე რომ გადარბიან,
ომის ღმერთები ღრეობენ და...
ვეღარ თვრებიან.
ვისი ოცნებაც
ომმა მოკლა
და დაარბია,
იმედის ბეუტავ ნაკვერჩხალს კვლავ
მიფიცხებია.

შავი ზღვა

სანაპიროზე შავით მოსილი
ზის ბნელი ღამე
და დაცქერის —
ქაფის მიმოზებს,
ქვიშაზე დაყრილთ,
ლოდებს სული რომ შეაფრქვიეს.
ქარი —
მოცარტი,
ზღვის ვეება პიანინოზე,
თმაგაწეწილი უკრავს რექვიემს.

ნოკალაქევი

მესმის ყივილი ციხისმცველების,
ჟღრიალი შუბის,
მტკრევის ხმა ტარის,
ყოველ ნაბიჯზე,
ყოველ ქვასთან, ყველა უბანზე.
ასე მგონია:
გაიღება —
წარსულის კარი
და გამოჩნდება ხმალაწვდილი —
მეფე გუბაზი.

მზია ხეთაგური

სიცოცხლე

(პოემა)

ორი შვილი გყავთ. მეტის გაჩენა
თქვენთვის დიდი რისკია. ნუ ტირით.
ღმერთმა ის ორი შვილი გაგიზარდოთ... იქნებ
კარგიცაა, რომ აღარ გეყოლე-
ბათ, — ხომ ხედავთ, რა ამბავია ქვეყანაზე — ჰაერში საშინელი ომის სუნი
ტრიალებს და ვინ იცის...

(ექიმის ნათქვამიდან)

ორი მყავს. ჩვენი ანდაზა ამბობს:
„ვითომ შვილია, როცა ორია...“
მაშასადამე, სიბრძნის მიხედვით,
შვილი საერთოდ არა მყოლია!
ვითომ? ო, არა, მახსოვს ქალები,
(დღეს მათი რიცხვი ერთობ
მომრავლდა)
რომლებიც, ნაცვლად მშობიარობის,
თავისი ნებით კლავდნენ მომავალს.
დგებოდა რიგი განუწყვეტელი,
უერთდებოდა უხმო ნიაღვარს,
საპროცედურო მუნჯი კედელი
იმ ქალთა ცოდვებს დღემდე ინახავს.
ჰოდა, როდესაც რიგის მიხედვით,
გავიდა ქალი — ირმის თვალება,
ვისაც მესამე შვილი უღირდა
მხოლოდ ტანჯვად და მხოლოდ
წვალებად, —
კარში ჩავდექი და შევაჩერე
(დანარჩენებსაც გიყი ვედგონე)
და მისთვის ხელი რომ შემეშალა,
ერთი ზღაპარი გამოვიგონე:

„იყო და არა იყო რა, იყო თეთრი ქალი — ორი შვილის დედა. იმის მეზობლად ერთი ხორბლისფერი ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ოთხი შვილი ჰყავნდა. დაიზარდნენ ყველანი ერთ ორღობეში, — სულ ექვსნი იყვნენ. თეთრმა ქალმა ერთი შვილი გაათხოვა, ერთი კი — დააქორწილა. დაქორწილებულმა ბიჭმა სხვაგან გაიწია და იქ დასახლდა. დარჩა თეთრი ქალი თავის კაცთან მარტო. ხორბლისფერმა ქალმა ორი შვილი გაათხოვა, ერთი დააქორწილა, დაქორწინებული ვაჟი შინ დარჩა. ნაბოლარა ბიჭიც კიდევ სახლში ჰყავნდა. გადმოვა თეთრი ქალი ხორბლისფერთანა და ტირის — მე და ჩემი კაცი გამოვყრუდებითო. ხედავს, რომ ხორბლისფერს ერთი შვილი თავისი ცოლ-შვილით შინა ჰყავს და ნაბოლარა ბიჭიც ჯარასავით ტრიალებს. ივაგლახა შავ დღეში დარჩენილმა თეთრმა ქალმა. შეიცოდა ხორბლისფერმა და უთხრა: წაიყვანე ჩემი უმცროსი ბიჭი, შენ დააქორწილე და ეგებ არსად წავიდეს, შენთან დარჩესო. სიხარულით წამოიყვანა ამანაც იმისი ბიჭი და როცა დააქორწილა, შეეხვეწა — ჩემთან დარჩიო. ბიჭიც დარჩა. ცხოვრობდა ორივე ქალი ბედნიერად — ერთსაც ჰყავდა სახლში შვილი და შვილიშვილები და — მეორესაც. გავლენ ქალები წყაროზედ, ავსებენ კოკებსა და ერთმანეთს შესცინიან. ეტყვის ხორბლისფერი — მეც რომ შენსავით ორი შვილი გამეჩინა ოთხის ნაცვლად, ახლა ხომ შენც მარტო იქნებოდი და მეცაო. თეთრი კი: გაიხაროს შენმა გამ-

ჩენმა, ჩემო დობილო! წამო, სოფელ-სოფელ ვიაროთ და ვისაც ორ შვილზე მეტი არა ჰყვანდეს, ჩვენნი თავგადასავალი ვუამბოთო. მას შემდეგ დადიან მთელ საქართველოში ეს ქალები და უამბობენ სხვა ქალებს თავის ამბავსა. მეც ის ერთი ქალი ვარ, ოდონდ თეთრი, თუ ხორბლისფერი, აღარ მახსოვს...“

— გამიშვი, მითხრა ირმის თვალებამ, — მელოდებიან... ექიმი მიცდის. თქვენ მართალი ხართ, მაგრამ რა მექნა, ჩემი სიმართლე თქვენ ხომ არ იცით.
— ვიცი, — ჯიუტად გავიმეორე — შენი ტყუილიც, შენი მართალიც, მაგრამ თუ ბევრი შვილი გეყოლა, ქვეყნად რა არის მისი ბადალი! არსად გავუშვი, სიტყვით გავართე, კიდევ ვუამბე ბევრი ზღაპარი, ბევრი ჩავაქრე, ბევრი ავანთე ეჭვებისა, თუ განსჯის ლამპარი... და იცით?! უცემ შედგა დღეობა, ნამდვილი მითი, დღესასწაული: მე შევაჩერე
ხუთი
მკვლე-ლო-ბა,
ხუთი უსაზღვრო დანაშაული! ჩემს სახელზეა ერთი თამარი, (ვისთვისაც ღამეც გამითევია) დავითი, ლაშა, სოფო, ყამარი... მზია კი... არვის დაურქმევია. რა უჭირს! გავიც, რაც რამ მებადა და ჩემი დიდი, ცხარე წადილით მთლად საქართველოს შემოემატა ხუთი სიცოცხლე, ხუთი ყვავილი. და ახლა იმ ხუთს თუ დავამატებთ შვილებო, თქვენს თავს, — შვიდნი ხართ ყველა, წვიმების შემდეგ სამშობლოს ცაზე აღიმართებით ჭრელ ცისარტყელად! როგორც შევძელი, ისე ვიბრძოლე, დღესაც მას ვცდილობ, რაც შემიძლია და მწამს — ჩემს მიწას თუ შეემატა, ის სხვისი შვილიც ჩემი შვილია. მახსოვს, სტიროდა უცნობი ქალი, გარეთ მაისის ჰყვაოდა ღილა, ფრთხილად შევაღე პალატის კარი, მიზეზი ვეკითხე და გამიმხილა: „შვილები მინდა, ჩემს არსებობას რაღა ფასი აქვს, ერთი მითხარი, ღმერთმა შვილები თუ არ მაღირსა, როგორ ვიცოცხლო და გავიხარო?

მრავალ ექიმთან დავხეტიალობ აგერ, მეათე წელიწადია. იმედს მაძლევენ, მაგრამ უშვილო ვყოფილვარ, თურმე, ცხადზე, ცხადია“.
თქვა და ისეთი ამოიოხრა, ამოაყოლა სიცოცხლეც, თითქმის... ო, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია და სიტყვით მანც ისე ვერ ითქმის. და ამ დროს, იმავ პალატის მკვიდრი — „საყასბოსაკენ“ დაიძრა — ქალი! მას დამცინავი ჰქონდა ღიმილი, თითქოს სძულდაო თავიც და ქმარიც. მე რა თქმა უნდა, წინ დავუდექი, სწრაფად ვუამბე ძველი ზღაპარი და ქალმა უცემ ისტერიულად თავს დამატეხა... ცივი ხარხარი: „თქვენ რა, გაზეთებს არა კითხულობთ? ან ტელევიზორს უყურებთ რისთვის? ერთი შვილი მყავს, მაგრამ, ო, ღმერთო, არა მყოლოდა, ნეტავი, ისიც! „ბედნიერი ხარ!“ — უთხრა უშვილოს — ცაში სიკვდილის მთრახი წივის, ომის სუნს ვერ გრძნობ, ჩემი კეთილო?!
ბედნიერი ხარ და არც კი იცი! ამ პალატიან, საწოლებიან, ექიმებიან, ცრემლებიანა, სამშობიარო მაგიდებიან, ტკივილებიან, ბალღებიანა — ბუჰ! და ჰაერში ავფრიალდებით, იმ ცეცხლის ვადი ექვსი წუთია! ფაფუ შვილები! სულ ერთი არის ორია, სამი, რვა, თუ ხუთია! გესმის? ხომ გესმის? — ბედ-ნი-ერი
ხარ!
წინათ მომავლის მართლაც მჯეროდა, მაგრამ დღეს ვფიქრობ ნეტავ
შენსავით
შვილი საერთოდ არ გამჩენოდა, ანდა, თავადაც არ ვშობილიყავ, თუკი ასეთი ბედი მელოდა!“

ქალი დადუმდა. მერე ერთბაშად
შემოგვანთა სველი თვალები
და ჩუმად, ჩუმად ჩაიჩურჩულა:
„ჩვენ ვართ იმ ხანძრის...
ნედლი საკვები.
ჰოდა, იმ ხანძრის გამოსაკვებად
შვილი ვაჩინო და გამოვკვებო?
მე ჩემი ბედი არ მეხარბება,
არც თქვენი, ჩემო საწყალო დებო...“
ქალებს ღიმილი ვერ გაებედათ,
ჩუმად ეჭვობდნენ: ნუთუ გავჭრებით?
და შეშფოთებით იმეორებდნენ:
ჩვენ ვართ ... საკვები,
ჩვენ ვართ... საკვ

ები?!
ფუტკარს სჭირდება ყვავილთა წვენი
ადამიანთა გამოსაკვებად,
სახეს მკვებავი სჭირდება, როცა
ქალი ოცდაათ წელს გადასცდება.
სინანულს კვებავთ წმინდა
ცრემლებით,
გაზაფხულებს კი — ლორთქო
ბალახით,
ქრისტიანს კვებავს ქრისტეს მცნებები,
მაჰმადიანს კი — მხოლოდ ალაჰის.
კეთილ სისხლს კვებავს კეთილი
ფიქრი,
ავ ზრახვებს — მხოლოდ შხამი და
ჭორი.
სასახლის კედლებს — რწმენის
ქვიტკირი,
სიყვარულს — გზები — მოკლე ან
შორი.
დედის მუცელში პატარა ნაყოფს
დედის ზრუნვა და ალერსი კვებავს,
როცა სიცოცხლე მშვიდად ფათურობს,
როცა სიცოცხლე ქცეულა კერპად.
შენ, ჩემო თავო, შენ, მეგობარო,
შენ, მეზობელო, მოყვარეკ, მტერო,
ადამიანო, ადამიანო,
ზოგჯერ სუსტო და ზოგჯერ ძლიერო, —
მეტი სინათლე, მეტი ნუგეში,
მეტი ცრემლი და მეტი ღიმილი!
თავგანწირულად ჩავდგეთ უღელში,
ბავშვებო,
მეტი ყივილ-ხივილი!
კუნძზე მორჩილად თავდადებული
საზარელია სამყარო მთელი!
მზადყოფნაშია აღზევებული
დაუნდობელი ყასაბის ხელი...
ქალალდო, ჩემო თეთრო იმედო,
ლექსების მახეე, უძილო ფიქრო,
ხარ, ვისაც ბევრჯერ გაგინაწყენდი
და ზოგმა, ვისაც, სტრიქონიც გიქო, —
მითხარი, ნუთუ ადამიანი
არის საწვავი, ნავთი და ფიჩხი,
და ახლა მხოლოდ მისთვის ხმიანებს
თავაწყვეტილი დინების სისხლი,
რომ ზეიმობდეს და გიზგიზებდეს
უფრორე დიდხანს ურცხვი ხანძარი?
ჩვენს თავს, ვით შეშას შეუკეთებენ,
რათა დაიწვას წმინდა ტაძარი?!
სიცოცხლე — ხანძრის ჩამქრობი
წყალი!
სიცოცხლე — ომთან ნამდვილი
ბრძოლა!
და თუ არ გასცემს სიცოცხლეს ქალი,
იქ დასრულდება სიცოცხლის
სრბოლაც...
არა მოდრეკა, არა გოდება,
და არა ძებნა მყუდრო კუთხისა,
ანდა შვილებზე გადაფოფრება
მსგავსად ვეფხვის ან მსგავსად კრუხისა!
არა განდგომა, არა უარი
შვილებს —
სიცოცხლის გამოვლინებას, —
კვლავ საქორწინო თეთრ რიტუალებს
მდინარისა და ზღვების დინება!
ვუშველოთ მიწას,
არ დაველოდოთ,
არ დაველოდოთ მოსაწვევ ბარათს,
მე მინდა თქვენი ფიქრი გადარჩეს,
მე მინდა ვიყოთ მარად და მარად,
მინდა შვილები, შვილიშვილები,
მერე იმათი შვილთაშვილები
იმეორებდნენ ჩვენს გვარს და სახელს,
იყვნენ ლაღები, ფრთაგაშლილები,
და ყველა წესით, ყველა კანონით,
სულის საკვებად დარჩეთ ბორცვები —
ჩვენი პატარა სასაფლაონი,
ჩვენი სუნთქვა და ჩვენი ლოცვები,
ამოწვერილი ლორთქო ბალახი,
დედა-ენა და მიწა მშობელი,
უსაყვარლესი დედაქალაქი,
უნატიფესი ციცქნა სოფელი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვუშველოთ მიწას! ასე მერყევი
ქვეყნად სიცოცხლე ჯერ არ ყოფილა,
არც მონოლოგი „ყოფნა არ ყოფნის“,
და არც ასეთი ეჭვი შობილა!
შევებათ ორი ნახევარსფერო
საერთო მიზნის დიად უღელში,
ჩვენ შევაჩეროთ, ჩვენ შევაჩეროთ
ტლანქი სული და ხელი უხეში!
რა ხდება ქვეყნად, შენც დაინახე,
შენც გაახილე თვალი, ბრმა ტყვიავ!
შენი სიბრმავით მოყენებული
ჭრილობა მიწას ჯერაც ატყვია!
შენც, ყრუ კედელო, ისეთი დროა,
შეუძლებელიც უნდა იღონო, —
ძახილს კი არა, თავად ჩურჩულსაც
ყური მიუგდო და გაიგონო.
ისეთი დროა, ვერც მოასწრებენ
ჩვენს დაობლებას, იქნებ დედები...
ისეთი დროა, იქნებ ქორწილებს
ვერც გადავიხდით, ვერც დავბერდებით...
სიცოცხლე! — ხანძრის ჩამქრობი
წყალი!
შვილები! — ომთან ნამდვილი
ბრძოლა!
და თუ არ გასცემს სიცოცხლეს
ქალი, —
იქ დასრულდება სიცოცხლის
სრბოლაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკუთხა ბარათები

(ნაწყვეტი პოემიდან)

თუ სიტყვა შენი არა გავს ტყვიას...

მირზა გელოვანი

ცეცხლის დღეები დღესაც ანათებს
გაფრენილ სივრცის — დროის გრძელ
მანძილს.
რწმენა მოქონდათ ფრთოსან
ბარათებს, —
ვით სიბნელეში სინათლეს ტაძრის.
ფრონტული სიტყვა სიყვარულს
ითხოვს,
სისხლის ავდარზე გადმოფრენილი
და მე რომ მითხრან და მე რომ
მკითხონ —
ისტორიაა ერთი წერილი!

ბარათს მიანდო მან გულის ფეთქვა,
რაც დარჩა ბოლო სიცოცხლის დღენი,
მისი თვალების სითბო და ხედვა —
„მისი სულელი და მისი ბრძენი...“
მირზა არ წერდა ნაწყვეტებს აზრის, —
იყო ნათელი, მარად გულწრფელი,
მის ყოველ სიტყვას არწივი აზის,
გვამცნობს ფრონტული ფერის
ფურცელი.
მისი ცხოვრება არ იყო წყნარი,
როგორც მებრძოლი მისი ტოლების,
ყოველი ასო, ყოველი ბწკარი
იყო ომი და იყო ბრძოლები!
პოეტი არის სიტყვის პრომეთე,
ვინც უფრო არჩევს მტყუანს და
მართალს,—
ამ სიტყვებს გკადრებთ ფრონტელ
პოეტებს, —
ძვირფას სახელებს ასსა და ათასს!

ქუხდა ფოლადის ვაშა და მარში,
იცავდით მიწას სისხლით დაწრეტილს,
სიკვდილის თვალი ენთო სანგარში
მაგრამ უსაქმურ ლექსებს არ წერდით.

მანდ ჩვენი სისხლიც იბრძოდა მაშინ —
ერთი გულის და ერთი ოჯახის
და გიმაგრებდით ზურგიდან კავშირს
ჩვენი გუთნით და ჩვენი ნაჯახით.
ფონს ხომ ვერ გახვალ, თუ არ გაქვს
ზურგი,

იყავი ელვა და რისხვა მეხთა,
ქვეყნისთვის არვინ არ იყო ურგი, —
ვეტერანი ვართ სუყველა ერთად.

მამულს მეც ვუავდი მაშინ დარაჯად,
როს ბიძაჩემის ვისმენდი ამბებს,
მეც ჯარისკაცის მეცვა ფარაჯა,
ნოემბრისა თუ დეკემბრის დამდეგს.
გაზეთს მოჰქონდა ჩვენწი განგაში,
ჭურვის ხმა იყო ჩვენი „მგზავრული“,
რისი მშვიდობა ანდა რის ბავშვი —
ჩვენც ომი გვქონდა პარტიზანული!
კარგი ამბავი მოჰქონდა წერილს? —
ოჯახში იჯდა თითქოს მზის ბარტყი —
უბრუნდებოდა ყველაფერს ფერი,
ცაზე რეკავდა ცისკრის ნისკარტი.
ღობეზე ჩიტი შემოჯდებოდა? —
„კარგი ამბავი, ოქროს ნისკარტი!“
დარდის ქარები ქროდა ერდოდან,
ენთო ზამთარი მთელი სიმკაცრით!
იყო წამება, იყო გოლგოთა,
წალმა-უკუღმა ტყვიის ხროტინი,
პატარა ბარათს მაინც მოჰქონდა
დიდი იმედი შრომის ფრონტისთვის!

თქვენ რწმენით წერდით პოემას
სისხლის,
წარღვნის მდინარე სადაც კიდებს
კბილს
და მიდიოდნენ წუთები წინსვლის
დარში, ავდარში და დიდ იმედში!

ამას არ უნდა დავა და კითხვა
და ჩასვენება ტკინში ნისლისა —
პირველი გმირი ეს იყო სიტყვა
და მოწოდება მტერზე მისვლისა!
სიტყვა მარტივი და ბრძნულად
თქმული —
სიტყვა პლატონის, სიტყვა დანტესი...
სუყველა სიტყვას სიტყვად რომ აზის —
სიტყვა რუსთველის, თუ სოკრატესი.
ზოგს ოქროდ ეღირს, ზოგს ეღირს
ჩალად, —
ზოგი კვამლს ანთებს და ზოგი —
კოცონს,
სიტყვა ამარცხებს ყოველგვარ ჯალათს
და ბრძენთაბრძენიც სიტყვაში
ცოცხლობს.

ცა სავსე იყო ტყვიის ეკლებით,
თქვენ მიდიოდით მთაში და ბარად,
თქვენი სიტყვები, როგორც ძეგლები
შემორჩენია სამკუთხა ბარათს.
ვისთვის ოქროა და ვისთვის
ვერცხლი —

ჩვენ ვართ პატრონი ჩვენივე სიტყვის,
მზე — მარადიული სიცოცხლის
ცეცხლი —
მამულის ცეცხლის ფესვებად იწვის.
ისევ ჩავაქერი გაცრეცილ წერილს
სადაც ბრძოლები ძნელზე ძნელია,
ჰაუ, რამდენი გასულა წლები,
სახლები შვილებს მაინც ელიან.
...წითლად ღებავდით ზამთრის თვერ
წისქვილს,
(არავითარი ვაი და ვიში!)
როცა პირისპირ ხვდებოდით სიკვდილს,
გავიწყდებოდათ, რა იყო შიში!
მამულის მადლი დღეს ვზას
გვიკვალავს —
წარსულმა აწყმოს გატანა იცის, —
ახალგაზრდობა დგება გრიგალად,
რომ საქმედ იქცეს წინაპრის ფიცი!
...შეგვახმიანებს თქვენი ხსენება,
თუ სახვალიო კითხვა დაისმის,
ვერ ნახეს ჩვენი გადაშენება,
გვენთო პრომეთეს ცეცხლის ხალისი!

●

და თუ ჩაუქრა სინათლეს ძარღვი,
ვედარ დაითვლის ზეცა იარებს,
სად დედამიწას, ბრძოლებით დაღლილს,
ერთი ატომიც ააყირავებს!
სულ სხვანაირი დღის ზიარება
ეზიარება დღეებს დაფერფლილს,
გადიგრიალოს მკვდარმა ქარებმა:
არც გამარჯვება, არც დაფდაფები!
გვიან იქნება ვაი და ვიში,
როს მტერ-მოყვარეს გაარჩევს ვერვინ.
ამქვეყნად ნუთუ იმისთვის ვიშვით,
რომ გადაშენდეს სიცოცხლის ნერგი!
არ გაირჩევა დიდი და ბავშვი —
სიკვდილისთვის ერთია ყველა —

ეს ყოველივე მოხდება მაშინ,
დღეის დღეს ახლა სჭირდება შველა!
ყური დავუგდოთ მზის გულისტკივილს,
როცა ლაზერი ზეცას გასერავს:
ცარიელი ცა დაიწყებს ხივილს,
რადარის სხივი ღამეს დაზვერავს!
„ღამენებისა“! — ისე ვერ ვწვებით,
ძილი კი არა, — მხოლოდ კოშმარი.
იწამლებიან უწყალოდ წყლები,
ის შორეული რა ახლოს არი.
ისტორიულად ეს ხომ ძველია:
ბევრჯერ მშვიდობა ომად იქცევა,
როცა „ბუნება მბრძანებელია“ —
ყური დავუგდოთ მის მაჯისცემას!!!

ლევან სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ათონელი

რომანი

და კვლავაც გამოხდა ღამი, თვინიერ ნებისა ადამიანისა.

და არ დაისვენეს ქართველთა მომტერეებმა.

ისევ ეახლნენ პატრიარქ თევდოსი სამეუფოფოლს მის წინაშე ქართველებზე გესლის საქცევად და აფუყეს, ვითარმედ:

— რა ფულენი ხდება, მეუფეო, ეგზომი კაბნიერება ქართველებისა, რომ მათი ეკლესიანი და მღვდელმომძღვარნი არც ერთი პატრიარქის ხელმწიფისას არ ექვემდებარებიან, ყოველ საეკლესიო წესებს თვითონ განაგებენ და განსრულებენ, ქათალიკოსსაც და ეპისკოპოსებსაც თვითონ დაისვამენ. და როგორ ბედავენ ეგზომ თვითნებურ ყოფას, როცა მათი ჭეშენის მიწაზე ფები არ დაუდგამს არც ერთ ათორმეტ მოციქულთაგანს. ამიტომ ჯერ არს ქართველები ემორჩილებოდნენ ანტიოქიას,, ამა ღმერთის ქალაქს, და ამა მოციქულთა საყდარს. რამეთუ ერი ქართველთა არის უმეცარი, სამწყსო მათი მცირე და არიან ჩვენსა მახლობლად. ჯერ არს იმწყემსებოდნენ ისინი პატრიარქ ანტიოქელისაგან, მისგანვე იკურთხებოდეს და ხელდასხმოდეს ქათალიკოსი ქართველთა და ვიეუნეენ ახე ჩვენც და ისინიც — ერთი სამწყსო, ერთი მწყემსის ქვეშ.

მოისმინა ქართველთა საუნებელი ეს ნაბუზღარიც თევდოსი სამეუფოფოლმა. მოისმინა, ჩაუფიქრდა და ბოლოს ნაბუზღარადაც ალარ მოეჩვენა. ნაბუზღარი კი არა, უფრო სამართლიანობადაც კი მიიჩნია, ქართველთა სამწყსო ანტიოქიის სამწყსოს შეერთებოდა, უკეთუ მართლა ქრისტეს ათორმეტ მოციქულთაგან ქართველეში არც ერთი არ ყოფილა, და უკეთუ...

და იხმო გიორგი ათონელი თვდოსიმ.

კვლავ ტკბილად მოიკითხა, კვლავ უწოდა ეპეილი ღიმილით „დედაფიწის შუბლიდან მოვლენილი". და რაცა დარწმუნდა, რომ „ეს უცნაური ქართველი" თავისდა სასიკეთო საუბრად განაწყო, უთხრა, ვითარმედ:

— ჰოი შენ, ნეტარო ბაბაო, თუმცა ნათესავით ქართველ ხარ, ხოლო სწავლულობითა და მეცნიერებით ჩვენივე, ბერძენთა სწორი ბრძანდები...

ისევ გაკვრა გიორგის გულს გრძნობამ უკმურმა, მაგრამ ისევ დათმინა და ალარ შეაწუვეტინა სიტყვა პატრიარქს, რომელიც განაგრძობდა:

ამ „ულიმლამო“ სრულყოფილების საპირისპირად მიუთითებენ ნიშნებზე, რომლებიც თანამედროვე პოეტს თავისებურებად მიიჩნიან; მისი უფრო რთული, გაორებული ბუნების მაჩვენებლად — ეს არის ნაწარმოების წინააღმდეგობრიობა და წუვილ-ლილა-დაუმთავრებლობა. ცხადია, შეიძლება ვილაპარაკოთ ამ ნიშნთა გარკვეულ ტალღურ თუ ფორმიზირებულ გამძაფრებაზე, ამ ნიშნთა მეტ-ნაკლებ ხარისხზე; თორემ ისე, ყველა დროის ჭეშმარიტი ნაწარმობნი მოიცავს თავისთავში ორივე ამ მახასიათებელს. ეს მახასიათებლები და სრულყოფა ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, ერთმანეთს გულისხმობენ:

1. მით უფრო სრულქმნილია ნაწარმოები, რაც უფრო მეტ წინააღმდეგობათა, მძაფრად დაპირისპირებულთა მოხელთებას შესძენს, მათი არც გათანაბრება-გადაშლითია და არც ერთერთის უპირატესობით, არამედ მოხელთებას მათი შეჩვენის „ბოდენტიხა“. მოყრილგებელ წინააღმდეგობათა ერთ მთელად, „სრულად“ მოწოდება არის სწორედ ჭეშმარიტი ნაწარმოების; წარმოშობის პირობა. სხვანაირად, თუ წინააღმდეგობრობა ვერ მოგვეწოდა ერთ მთელად, რაც წარმოადგენს სწორედ შემოქმედების სირთულეს, მაშინ იგი ცხოვრებისეული ფაქტია და არა ხელოვნების ნაწარმოები. ლორკა იტყოდა: «Duende»-ს უყვარს საგანთა კიდე-ეპრალნა, და იგი იქ ბუდობს, სადაც ფორმები ერთმანეთის ედუღებენან ერთ ვნებიან ლტოლვად შენივთულნი, და როდესაც ეს ლტოლვა უფრო მეტია, ვიდრე მისი ხილული. გამოვლენა“.

2. რაც შეეხება ყუვეტილობა-დაუმთავრებლობას (რომელიც ცხადია არ უნდა გავიგოთ, პირდაპირი მნიშვნელობით დაუმთავრებლობად ან მოუგვარებლობა-ფრაგმენტულობად) — ყველა დროის ჭეშმარიტი ნაწარმოების-თვისაა ნშნეული ეს უსრულებლობა, წესვადობა, მაგრამ ნაწარმოებში ეს შინაგანი გამოწესვადობა, უსრულებლობა კონკრეტულ სიმღლიანად გაფორმებულად უნდა იკოთვიბოდეს აუცილებლად. ამ ბეწვის ხიდზე გავლას სწორედ სრულქმნის წესალობით ახერხებს ნაწარმოები. უსრულებლობამ შეიძლება ტალღურ გარეგნულ ნიშნებშიც, როგორც ხერხმა, გამოფოსნის (მატისის მაგალითი ფერწერაში); მაგრამ მაშინაც კი ჭეშმარიტი ნაწარმოების „ალნაგობის“ კანონზომიერება მას კონკრეტულ სახლეობაში მოკცეულ ერთ მთელად წარმოაჩენს; ერთ მთელად, რომელიც არის დაწყება თავისთავში სასრულ-შედეგის მინაშნების მომცველი, მაგრამ ამ სასრულ-შედეგის დაუფდგარობით, მისკენ გამოფენებული ლტოლვით მომაწუარებელი და მოუბეზრებელი.

როგორც ვთქვეთ, ჩვენთვის საინტერესო წერილებში დასკვნა არასრულყოფილების შესახებ ქათინურად აღიქმება. შეუძლებლად არის მიჩნეული ამ „ფისბარმონიულ“ არასრულყოფილ სინამდვილეში სრულყოფილ ანუ სრულფასოვან ნაწარმოების შექმნა. კი, ბატონებო, ის, რომ ადამიანი-პოეტი მძაფრად განიცდის ცხოვრების სიმძიმეს, ამაოებას, სტრეხულ სიტუაციებს, რაც უფრო ღრმად ბარონებს, მით უფრო ხედავს წინააღმდეგობრივ უფსკრულებს; ამას ემატება კონკრეტულ-ხაზოგადოებრივ-ყოფით-ადამიანური, სოციალურ-სახელმწიფოებრივი თუ სხვა უკმაყოფილებათა ჯაჭვი, არ ითვისებულებს მას (პოეტს) იმისაგან რომ თავისი საქმიანობა და ქმედება სრულქმნილად წარმართოს, სხვანირად მას პოეტი ალარ ეოქმის. თუ სიკეთის, გათიშულობის, გმირობის, ვერაგობის, თავდადგენ-ულების, ანატიის, სიხარულის „ზედიმარეობაში“ ვარდ უბრალოდ და ვეკრინ-ამაზე, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის უფლებას მწერლებად ვიწოდებოდეთ. რაც უნდა იყოს შემოქმედების ბიძგი, სიყვარული თუ უარყოფა, ნაწარმოებმა ფორმა უნდა შეიძინოს, ეს მა ფასი, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს. ანა აქვს. არასრულყოფილი ნაწარმოები შემოქმედებით სისუსტეს ნიშნავს; თანამედროვე მწერლობაში სხვადასხვა მიმართულების იმ ნაწარმოებთა არსებობის ფაქტი, რომელთაც უკაფშირდება ცნებები — უარყოფა, ანსოფი. ანსტრაქცია, ეგზისტენციალიზმი და მისთანანი; აგრეთვე, ერთ-ერთის ამ მიმდინარეობათაგან თვალსაჩინო წარმომადგენლის ბეკეტის სიტყვები: ხელოვნება თავის მოკატენვნით დაიკანცალა, არ გამოგვადგება არასრულყოფილების გასამართლებლად: რადგანაც — ყველანაირი მიმართულების ნაწარმოები თავისი მახასიათებლების ხაზგასმებში უნდა იყოს სრულყოფილი.

ყველი დარგს თავისი ენა გააჩნია. არ არსებობს შინაარსის ენა, შინაარსი ერთია — ეროფიერება. არსებობს დარგის ენა, გზა, საშუალება და შემოქმედი თავისი დარგის ენაზე სრულყოფილად უნდა გვეუბნებოდეს ხათქმელს. მაიაკოვსკის სიტყვით რომ ვთქვათ, მაშინ რა ანარი «в твоем коровьем имени, если нет у тебя ли молока ни вымени». მაგრამ რა არის ეს „ხაკვიბი“ რასაც პოეზია უნდა გვაძლევდეს; ცა მნიშვნელო — ჩვენ რომ ასე ნაფვიდად ვდ ამბეოთ ზმრიად გაუცნობიერებლად მოვიისენთ, რას გვეუბნება?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფროიდის ფსიქო-ანალიტიკური „სტრიატენის“ შემდეგ, კოსმოსთან, ასტრონომია-ფიზიკასთან ასეთი გაშლილის შემდეგ; მას შემდეგ, რაც ადამიანმა ამ პოეზოლოგულ მიიღო ცოდნა-ინფორმაცია უსასრულობის უსასრულობაზე, მეტაგალაქტიკების წიალში შეეცადა დაენახა თავი, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გაზრდილა ამაოებისა და ამქვეყნიური, მიწიერი ქმედების სიმცირის, უსასრულო დროში ჩაკარგვის შეგრძნება. მაგრამ მაინც ყველაფერი ისევ,

გაუცხოებასაც და ბელის ჩაკვლასაც, ვნებებითა და შეხლა-შემოხლით მიედინება. და მაინც ხელოვნება, ხელოვნების ნაწარმოება, მიუხედავად ათასნაირი „რაკეისა“, მიუხედავად მასზე შექმნილი ათასნაირი შეხედულებისა თუ მოთხოვნისა, არ იცვლის არსს, რჩება თავის თავად (ვანა მზე, მისი არსი შეიცვლება იმით, ვინ ან რას იფიქრებს მასზე, აინშტაინი თუ ჩვეულებრივი მოკვდავი). იგი ჯიუტად ინარჩუნებს თვისებას ეშმაკურად ხელში ალორძინებულ და განაგრძოს სიცოცხლე, რაც უნდა დიდი ინტერესალეთი და თვითათვე ხდებოდეს ეს.

გაერთებულად ყოფნის, სიმთლიანის გემოს ხსოვნა ადამიანის არსშია. ერთისაკენ, მთელისაკენ შინაგანი, თუნდაც გაუაზრებელი ლტოლვა, წყურვილი ადამიანური არსებითა განსაზღვრებულები. ადამიანურ სიცოცხლეში ამ წყურვილის დაპრეხის მნიშვნელოვანი საშუალება, მთელის გემოს შეგრძნებებიანს, მიუღწეველობით (ხშირად ადამიანისათვის რაციონალურად დაუდგენელ) დაუკმაყოფილებლობის დაპრეხის საშუალება ხელოვნების ნაწარმოები. — რაც უფრო სრულყოფილია ნაწარმოები, მით მეტად უახლოვდება წინააღმდეგობათა, დაპირისპირებულთა — იდეანი, საწყისში ნაგულისხმები მთელად გაერთიანების „გემის“. — „ოფელიასთან შეხებისას ჩვენ ერთდროულად ვიქცევით იმად, რაც ვართ, და იმად, რაც ვიყავით. ინტელექტი და ეროტიკა, გული და გონება აღიდგენს ადრე დაკარგულ მთელიანობას... ჭრიშნობა-ერონების ასეთი ერთობა არათუ აგნებდა, პირიქით დიდად ხასიათგებელი და საამური იქნებოდა ჩვენი არსებისათვის, რომლისთვისაც გათიშულობა ჩვეული და საჭირო მდგომარეობაა“[1].

ჩვენთვის სანატერესო წერილებში გამოთქმულია აზრი, რომ სრულყოფილი ნაწარმოება ილუზიურად სძლევს სინამდვილის არასრულყოფილებას. რა თქმა უნდა, არ არის სწორი საკითხის ასე დაყენება — ნაწარმოების სრულყოფილება-არასრულყოფილება და სინამდვილის ეგრეთწოდებული „არასრულყოფილება“ ერთმანეთთან „დასაპირისპირებელი“ არ არის. არასრულყოფილებაზეც სრულყოფილად უნდა იწერებოდეს, ეს მწერლური ვალია და არა კაპრიზი. — „ცხოვრების სირთულე და პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება. გონიერ და სერიოზულ ადამიანს კვლავაც ამალებული აზრები უტარიალეს თავში და ამიტომაც, მართალია, პოეზია მას აძლევს საშუალებას, სხვათა განცდების სიხავსის მიღებით ნაწილობრივ მაინც ჰპოოს ის, რასაც ეძიებდა, იგი — ადამიანი, — ვერ დაკმაყოფილდება, თუ მისთვის გადაცემული განცდათა მთლიანობა ჩამოუყალიბება ან განცდებს, რომელთა ფლობის უნარიც თვით ამ ადამიანს გააჩნია. მაგრამ რას ეიზამენ, მაინც კაცნი ვართ და ... პოეზიისაგან მოგითხოვეთ არა მარტო წმინდა აზრები, არამედ ამალულები აზრებსაც. პოეტიც, რომელიც ისეთივე ვნებებითაა შეპყრობილი, როგორითაც ჩვენ, ამასვე მოითხოვს თავისი თავისაგან. ხანდახან ამალულები აზროვნება მას არ ეშინაკვება და ჩვენ ვგრძნობთ, რომ მასზე უკეთ ვაზროვნებთ, ამიგომაც ჩვენს თვალში ის დიდი პოეტი არ არის“. — ხოლო ის, რომ პოეტი ჩვენზე „უკეთ აზროვნებს“ და სწვდება სილრმეებს, მის მიერ „ხალმეულის“ გამოხატვის ძალაზი, გამოხატვის გარკვეული ფორმის სრულყოფილებაში მეფდგნდეა. მაშინ ის ჩვენთვის ეშმაკრიტი პოეტია. პოეტი, რომელის პოეზია ადამიანს „აძლევს საშუალებას სხვათა განცდების სიხავსის მიღებით ნაწილობრივ მაინც ჰპოოს ის, რასაც ეძიებდა“.

ისე რომ, სრულყმნილი ნაწარმოება ილუზიურად კი არ სძლევს „არასრულყოფილებას“, არამედ გვაძლევნებენს ამ სამყაროში; რაციონალურად კი არ გვიყვება ადამიანებს — მეც დაკარგე და თქვენც დაკარგეთო, არამედ დაკარგულის გემოს ჰყოფს ჩვენთვის საცნაურს. ნაწარმოების სრულმნილების „ეიმ“ უშეალოდ გვიმხელს დაკარგულის გემოსაც, ალმოგვიჩენს მის არსებობას, უშუალოდ შემოგვაყენებს ჩვენში და რაციონალური დაფეიქრების გარეშე გაგვხდის მის მოზიარედ. ამით გვიმიძეგებს სწორედ ლტოლვისა და ძიებისაკენ; რადგანაც სანამ ეი იცი, რომ რაღაც იყო და დაიკარგა, არც ეძებ; ხოლო დაკარგულზე გარედან მსჯელობით (ეს ხდება როდესაც ნაწარმოები თავისი დარგის ენით სრულყოფილად ვერ გადმოგვცე�ს სათქმელს), მასზე მოყოლით „დაკარგულის“ ცოდნას ადამიანში ვერ შეიტან, მის თანამზზარედ ვერ ვახდი, რის გამო ადამიანი ეიგე დაუწყებს მას ძებნას. სრულყოფილი წყალობით კი ნამდვილ ნაწარმოებში არის „ხელის ძახილი და ამალებული აზრების მიერ გულის დატკვეევება, ოღონდ არა ძალით, არამედ ისე, რომ გული თვითონ სიხარულით ნებდება ამ ამალებულ აზრებს“.

ასე განსაზღვრავს ხელოვნების ნაწარმოებს სრულმნილება. ხოლო სრულმნილი ნაწარმოების შექმნა თავისთავად მთელია, გაორებულ მე-ს მთელად მომხმეთებელ შემოქმედს შეუძლია. ეშმაკრიტად, ხელოვნების ყოფნა-არყოფნის საკითხი და მთელიანი პიროვნების საკითხი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. პიროვნების, შემოქმედის მთლიანობა-არამთლიანობა, „ფიადის დანახვის უნარი“ სრულიადაც არ არის დამოკიდებული და არც ნიშნავს იმას, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს პოეტის, მთელი მისი ფიზიკური და სულიერი ძალების ერთ ფოკუსში კონცენტრირებაა; გამოსახატა-

1. იქ და ყველგან ქვემოთ ჯ. მიდლტონ მიური „წმინდა პოეზია“, „საუნჯე“ 5, 1983 წ.

ვისაკენ მთელი მისი არსების მიმართვაა, რაც ვერ ზორციელდება პრობლემი სინამდვილის, პრაქტიკულობისა და სხვ. ადამიანურ-ყოფიერ „დაბრკოლებების" გამო. მოლიანი პიროვნება იმიტომ ითვლება ასეთად (ეს ძველი ეკუმენიკებია), რომ მას ვერ ცალის ეერაფერი; იმ შინაგან ფრეკვ რწმენანი ფ უცვალოლობასთან ფულფერია ბარემი. — „ყველა დიდ პოეტს უნდა ჰქონდეს რწმენა, — რადგან ამალლებული პოეზია და დიდი რწმენა იმით ემსგავსება ერთმანეთს, რომ ორივე მოითხოვს აზრის არა მხოლოდ გაჯარებას, არამედ შეგრძნებას, ორივე მოგვიწოდებს, რომ ჩვენ ყველაზე ამაღლებულ აზრებს ჩავაქსოვთ ვრძნობა, გოლნება და სული" — ფრეკვ რწმენასთან ფულერია ბარემი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთელიანი პიროვნება თავის ადამიანურ „ტკივრზე" დარტყმთა სიმწვავეს ვერ ვრძნობდეს. პირიქით, რაც ფულრო ეასულიერებულულ-ბოგაქენებულულ-ეამოელებულია ადამიანი, მით ფულრო მეარძნობიარეა „ტკივილისადმი", მით ფულრო ხედავს ადამიანური ეანაპრალების სილრმეს და მაინც თავის შინაგან ბუნება-ფულველობას ვერასაზრით „ერეკვა". ეკუმენიკი ბოთიშეთ, თუ დაკუკვირდებით, თავის არსში ეამორიცხავს ადამიანური ქმედების, ქმნის, შემოქმედების საწყისს, ნდობას; მოიუმეტეს დაბეჭდვას, დადგმას, ეამოეეანას, ეამოკვეფნებას. — როდესაც ბეკეტი დასძენს, რომ ხელოვნება „ამავე დროს ვრძნობს, რომ ვალდებულია ეამოხატოს" — ეს „ვალდებულია ეამოხატოს" თავის თავშიეე ეამორიცხავს ნამდვილ ფულიოოეას. „ვალდებულია ეამოხატოს" ქმნის ხელოვნების ნაწარმოებებს; ხოლო ხელოოეანები, შემოქმედები ეარის „ეამბილებელი" იმისა, რომ ჩვენ კიდეკ „თამაშის" ხასიათზე ვარო; (ყველა თამაშს კი თავისი წეს-ხერხები აქვს და თუ არ დაემორჩილე, „თამაშვარი" აღმოჩნდები). არის ეამბილებელი იმისა, რომ ჩვენ არ დაგვიკარგეს სურვილი ყველაფერი, რაც განგვიცდია, ტანჯვა, სიხარული თუ ეეკეი, ჩვენში არ დავიკოვოთ, სხვასაც დავაჯახოთ. ე. ი. თავისთავად ქმედება-გამოქვეყნება, გამოფენა, დადგმა ადამიანებთან ურთიერთობას, მათთან ერნაკავების გაუწყვეტლობას ნიშნავს — (სულერთია რა მიზეზს მოვიდეეთ, რომ ვთქვათ, მათ (ადამიანებს) გვინდა დავაჯახოთ, რაც ხდება, რაც ფლეში არიან, რაც გაუცხოება ჩამოშდგარა). — ეს სურვილი დანაბეკნებია, ეს „ვალდებულება" თავისთავად ღალდეს საკმის არსზე. სწორედ ამის მიზეზია, რომ ხელოვნება ფლეშდე ანსებიას და ან, ამ წუთს მასზე ვმსჯელობთ. თორემ კარგანანა „ეადაეეგებდა". ხერხოოფლად ხომ არ ვვეონა, ფლეს გახდა საბეკარო წინააღმდეგობრივი? შეიძლება კულმინაციას მიაღწიოს, შეიძლება გარკვეულ პერიოდებში სულიერობისა თუ აშლილობა-გაუსჯელობის მეტ-ნაკლებობა მონაცვლეობდეს, — მაგრამ მიუხედავად ეაოეარი კრიზისული მდგომარეობისა, მიუხედავად შეუბეკნებლობისა თუ ძნელებერობისა, მიუხედავად ეეე

ლის ჩვენი გრძნობები, არამედ სიმშვიდეც მოკვეკვაროს... პოეზიის უპირველესი და არსებითი სიკეთე გაღლავთ ის, რომ ყოველ სწორად მიმართული მგრძნობელობაში მისი მეშვეობით ბედანმა წარმოიშობა გარკვეული გონებრივი ჭეტის ორგანული მთლიანობა, რასაც ადამიანი ჩვეულებრივ პირობებში მოკლებულია. ამით პოეზია მოწყალებას ემსგავსება". ამიტომ ეწინააღმდეგება შემოქმედებით ლოგიკას ადამიანური, ცხოვრებისეული გათიშულობისადმი, სიმძიმისადმი ხელოვნის მოაჩვარული, სრული დამორჩილება.

ასეთ წერილებში შეხვდებით ინ აზრსაც, რომ თითქოს ახლანდელი პოეტი განიცდის მარტოობის სიმშვავეს, თორემ გარკვეული ეპოქებში პოეტს მარტოობა „ეამაეებოდა" კიდეც. თუ მართლაც ასე იყო, როგორც გვეუბნებიან, მაშინ ეს იმავე კატეგორიის ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, როგორც დღეს ჩვენში გათიშულობა-გაორება „ეამაეებათ"; თორემ ჭეშმარიტათვის მარტოობა და ცხოვრების „მსახვრალი ხელი" ყველა დროში პოზიორობა კი არა, ჭეშმარიტი ტკივილი და განცდა იყო; ჭეშმარიტად, როგორც სიკვდილი. მხოლოდ მათი გადასატანი, მათი მძიმე წუთები და ამაში ვერავინ შეცვლიდა მათ. მაგრამ სწორედ ამგვარმა ფასეული მათი სრულყოფილი შემოქმედების მიზანსწრაფულობა. ჭეშმარიტი პოეტი, პიროვნება, ხელოვანი არასოდეს ყოფილა „დალხინებული". მარტოობა, გაუგებრობა (არ უგებდნენ), შეუფუფლობა, შეუთავსებლობა თან სდევდა მას. რაც უფრო „ცრისტალდება" პოეტი თავის მრწამსში და მიეტკვის ადამიანებს, მით მეტ წინააღმდეგობას, მით მეტ „მოეღებლობას" ხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში; მაგრამ მისი „სიყვარული" არ კლებულობს (შეიძლება აღშფოთება გამოხატოს, უკმაყოფილება, რისხვაც კი და ხარჩული მაინც სიყვარული იქნება). პოეტის საქმის ხარისხი, დაჩგის ენა სრულიქმნება და „იწრთობა" ასეთ გამუდმებულთ ჭიდილში. პოეტის ჭეშმარიტი ტალანტი ორგანულად, გაუუოფლად გულისხმობს დანიშნულებრივ გამძლეობას.

ამიტომ არ არის საჭირო შემფასებლისა — მეცნიერ თვითმიზნური კრიკეტი, გაგებულ-წაკითხული კონცეპციებისათვის პოეტის „ნაზრევის" მისადაგება; ხოლო ფორმისმიერი, გამოხატვისმიერი თავისებურებებისათვის შესაფერისი საანალიზო „მანიპულაციები" უნდა ჩავატაროთ, შესაფერისი „ტერმინოლოგია" მოვიშველიოთ. რაც უნდა უკიდურესობამდე მივიდეს ხელოვნება, რაც უნდა ხახე იცვალოს (და არა არსი), რაც უნდა ყირაზე დაადგენოს „თამაშის ხერხები", — სრულქმნა-სრულყოფა რჩება აუცილებელ პირობად იმისა, რომ ამ გარკვეულ მიმართულებაში, ამ გარკვეულ ასპარეზზე იშვეს ახალი სიცოცხლე-ნაწარმოები. განა შეიძლება მიმართულებათა, ფორმათა სხვათა და სრულქმნა ერთმანეთს „დაეკარბოთ"? (სწორი იქნება, მაგალითად, რომ ვთქვათ — ლეონარდო და ვინჩის ნაწარმოები თავისი „სრულყოფილებისაგან იტანჯება", ხოლო მაგალისა არ არის სრულყოფილია? ეს უბრალოდ ჯზასაცდენილი მსჯელობა). ამგვარი მსჯელობა, ამგვარი წერილები წინააღმდეგობრივია არასახარბიელო გაგებით. ისინი ხასიათდებიან არსშივე ურთიერთგამომრიცხავი დებულებების ისე მოწოდებით, რომ ერთი შეხედვით მსჯელობა ლოგიკურად ასხმული ჩანს.

დასასრულ, ჩვენი პოეტები მინდა გაგახსენოთ — რომელი იყო დალხინებული — გუთამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ტერენტი გრანელი თუ გალაკტიონს არ ჭმნოდა სადარდებელი? მაგრამ მათ თავიანთი ტალანტით, ე. ი. თავისი დანიშნულებრივი მოვალეობის შეგრძნებით მართეს თავიანთი პოეტური „საქმიანობა", თავიანთი ცხოვრება და ამიტომ დარჩნენ ისინი ქართველ პოეტებად, ერის პოეტებად და არა უბრალოდ ცხოვრების „ცსახვრალი ხელით" მოშთობილ ადამიანებად. გადაარჩინონს სული, გადაარჩინოს პირველადი არსი თავისი ერისა, მშობლიურ სიტყვაში გაუგრძელოს სიცოცხლე და დაამტკიცოს მისი კვლავ არსებობა — რაც უნდა უქირდეს — ჭეშმარიტი, „დანიშნულებრივი" პოეტი ამ გრძნობის ორგანულად მატარებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ამილახვარის „ქართლის აღწერილობა“

ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი დაიბადა 1750 წ. 20 მარტს ძლიერი ქართველი ფეოდალის დიმიტრი ამილახვარის ოჯახში. მისი დედა მარიამი ორბელიანის ქალი იყო.

ალექსანდრე მეორე შვილი იყო თავის თხუთმეტ და-ძმას შორის. საკუთარ ოჯახში მან იმ დროისათვის შესაფერისი, ტრადიციული ქართული განათლება მიიღო.

15 წ. ახაკში ალექსანდრე ამილახვარმა მამასთან დიმიტრი ამილახვართან ერთად მონაწილეობა მიიღო ეაატა ბატონიშვილის ხელმძღვანელობით (მარკოზაშვილის დარბაზელები) თავადების 1765 წლის შეთქმულებაში ერეკლე II-ის წინააღმდეგ. შეთქმულების მიზანი იყო სამეფო ოჯახის ამოწყვეტა და ქართლში კვლავ ქართველი ბაგრატიონების გამეფება. შეთქმულების ყველა მონაწილე და, მათ შორის, სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე, მეფე ერეკლემ მკაცრად დასაჯა. ალექსანდრე ამილახვარს მოაკრეს ცხვირი და გადიუტრეს ფეხის ძარღვი; მან 5 წელიწადი შინაურ პატიმრობაში გაატარა. 1771 წ. თბილისში ჭირიანობის დროს იგი თავის ძმასთან ერთად დიდი გაჭირვებით გაიპარა სამშობლოდან და რუსეთში გადაიხვეწა. 1779 წ. პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოსცა მეფე ერეკლეს, როგორც ქართლის სამეფო ტახტის „მიმტაცეველის“, წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური პამფლეტი: „ეიორგიოსული ისტორია ეპაუე თავად ამილახვარზე, რომელსაც ამ ჭვეშის მოკლე ისტორიის დართვით თავის ამბანაგებს უამბობს ანატოლიელი ბაკური უსიმი“. ეს ნაწარმოები სტამბიდან გამოსულისთანავე აკრძალა ეკატერინე მეორის მთავრობამ, რომელიც იმხანად ერეკლე მეფესთან სამეგობრო ხელშეკრულების დადებისათვის ემზადებოდა, რაც შემდგომ ეიორგიეესკის ტრაქტატი ანსახა. ალექსანდრე ამილახვარი დაუკავშირდა ალექსანდრე ბაკარის ძეს, რომელმაც აკტიური მოკმედება დაიწყო ქართლის ტახტის დასაბრუნებლად. 1780 წელს ალექსანდრე ამილახვარმა დატოვა რუსეთი და ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად იმერეთში წავიდა, სადაც ისინი ერთიანი ძალით ამოკმენდდნენ ერეკლეს წინააღმდეგ. იმერეთიდან ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, რადგანაც ადგილობრივი ხანების დიდი იმედი ჰქონდათ. მაგრამ გეორგიეესკის ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლემ რუსეთის მთავრობას მიმართა თხოვნით, გადამწყვეტი ზომები მიეღო ალექსანდრე ბატონიშვილისა და ალექსანდრე ამილახვარის მტრული მოკმედების ასალგამავად. ამის შემდეგ ორივე ალექსანდრე შეიპყრეს: ამილახვარმა ვიბორგის ციხეში, ბმიმე პორობებში, თითქმის თვრამეტი წელიწადი გაატარა, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი სმოლენსკში გადაასახლეს. მიუხედავად არაერთგზისი თხოვნისა შეწყნარების შესახებ, ამილახვარი 1801 წლამდეი ციხეში იმყოფებოდა და განთავისუფდა მხოლოდ ალექსანდრე I-ის მანიფესტთან დაკავშირებით გამოსული ამნისტიის საფუძველზე. განთავისუფლებისთანავე იგი საქართველოში გაემგზავრა, მაგრამ ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, 1802 წელს გზაში, ქ. ასტრახანში, გარდაიცვალა.

რუსეთში ცხოვრების პერიოდში ალექსანდრე ამილახვარმა დაწერა და 1779 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ზემოხსენებული ნაშრომი „ეიორგიანული ისტორიის“ სახელწოდებით. ეს ნაშრომი შემოკლებული სახით ქართულ ენაზე თარგმნა და ეურნალ „მნათობში“ მეცირე წინანიტეკაობის დართვით გამოაქვეყნა გ. ქიქოძემ (1939 წ. № 8). მასში ავტორი აღწერს XVIII ს II ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას. მიუხედავად ამ ნაშრომის ნაკლისა, რაც მის უადრესად ტენდენციურ ხასიათში გამოიხატება, მასში მოხმობილი ფაქტობრივი მასალა საინტერესო ისტორიული წყაროა აღნშნული პერიოდის ქართლ-კახეთის ისტორიის შესასწავლად.

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის მეტად საინტერესოა ა. ამილახვარის პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (პირველად ეს ნაშრომი დაიბეჭდა 1902 წ. ეურნალ „ცოცხალსა“ მე-2 ნომერში, ტექსტი მცირე წინანიტეკაობის თანდართვით გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა) მიძღვნილი იმერეთის მეფის სოლომონ პირველისადმი. ნაშრომი ავტორს ქართულ ენაზე დაუწერია. მასში იგი აყალიბებს სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის თავისებურ სისტემას. ქართველ მეცნიერთა დიდი უმრავლესობის (ე. თაყაიშვილი,

ლ. ასათიანი, გ. ქიქოძე, ლ. ბარამია, ნ. ტარასიძე) აზრით, ეს ნაწარმოები მან ფრანგი განმანათლებლების იდეების გავლენით დაწერა, რისთვისაც ქართველ ეოლტერიანელსაც უწოდებენ ხოლმე. ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება მკვლევარი გ. ავკოფოველი. იგი ამტკიცებს, რომ ალექსანდრე ამილახვარს „არ შეიძლება ვოლტერიანელი ვუწოდოთ“ და რომ „მისი მსოფლმხედველობისათვის სრულიად უცხოა ფრანგი განმანათლებლების იდეები, რომლებსაც იგი უდაოდ იცნობდა. ამ თეორიებმა მის პოლიტიკურ თეორიაზე მხოლოდ ზედაპირული კვალი დაჰნიეს. ალექსანდრე ამილახვარი თავდაური იდეოლოგიის გამომხატველია ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში“.

1778 წ. ალექსანდრე ამილახვარმა რუსულიდან უმაწვილებისათვის გადმოთარგმნა ლილმარ კოფოსის შემოლებული „უნივერსალური ისტორია“ კითხვა-პასუხის სახით, რომელის ხელნაწერი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ ხელნაწერის სათაური გვამცნობს ნაშრომის შინაარსს: „შემოლებულად საოვალთაო მოთხრობა, რომელსა უპერიე ყოველი ღირსად სახსოვარი ქვეყნისა შინა დროთა შეკმნითგან ქვეყნისა ვიდრე აჰამიდეე ეაბისა მრავალთა გამოძიებითა ახლად თარგმნილი შეერთებითი მოკლისა რუსეთისა ამბავთაგან კითხვა მიგებითი, საოგოთ მოსწავლეთათა ყრმათა. მეორითა მეეგდითა დაბეჭდილი თვით პეტერბურღსა შინა სახელმწიფოსა ზედა აკადემიისასა სასწავლელსა წელსა 1762“.

ალექსანდრე ამილახვარს ეკუთვნის პიესა „მოკმედება ასტრახანში“, რომელიც დაწერილია დაახლოებით 1798-1802 წწ., რუსულ ენაზე. პიესელად იგი გამოსცა ალექსანდრე ბახანაშვილმა, ხოლო შემდეგ პ. �ლიეშვილმა. პიესა წმინდა ისტორიული ხასიათისაა და ერეკლე II-ის პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული.

ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ზემოხსენებული ნაშრომთა განხილვა. ისინი სხვადასხვა დროს გააანალიზეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა. ამ მხრივ განსაკუთრებით სიინტერესოა ალ. ტუხარელის „რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს. მე-II ნახევარი“ თხ., 1983 წ. ჩვენი მიზანია, ქართველ მეთხზველს გავაცნო ალექსანდრე ამილახვარის ერეკლე უცნობი, დაუშვიგრეული და უსაოფრო, ზემოალნშნულ ნაშრომთაგან განსხვავებული ხასიათის ნაწარმოები. იგი ჩვენ ქართულ ენაზე ეთარგმნეთ და პირობითად „ქართლის აღწერილობა“ ეუწოდეთ. აღნიშნული ხელნაწერის დედანი რუსეთის საგარეო საქმეთა არქივში ინახება (АВП Р. Ф. Сношения России с Грузией 1782 г. д. № 10),

ხელნაწერი მე-18 ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიოეფ-გეოგრაფიულ და სტატისტიკურ აღწერილობას წარმოადგენს, დაწერილია ქარგი რუსულით. ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ წერა 1791 წლის 17 ივნისს დაიწყო. საარქივო საქმეში ხელნაწერის ორი პირია. პირველი პირის პირველი ორი გვერდი ავტოგრაფია. მათი ქსეროსლენი ჩვენს ხელთა. დანარჩენ გვერდებზე ავტორისეული ხელნაწერი, როგორც ჩანს ადრეეე გაფურმერთალებული, შეკმნილა მისი სრული დაკარგვის საშიშროება, ამიტომ ვიღაც უცნობ პირს საკმაოდ ლამაზი კალიგრაფიით ავტორისეულ ხელნაწერზე ზემოდან დაუწერია მისივე ტექსტი. იმავე ხელით არის გაკეთებული პირველი პირის ზუსტი ასლი.

„ქართლის აღწერილობის“ შემქმნელ ავტორმა ჩვენი ვარაუდით, გადაწყვიტა მან შემდეგ, რაც შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა ეფრპელი მოგზაურის ვაეეერის“ ქართლისა და იმერეთის მოკლე ისტორიას“, რომელიც ქართულ ენაზე არ გამოქვეყნებული და თავის მხრივ ბანაგრტეხო ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. ვაეეერის ნაშრომი ზუსტად არ არის დათარიღებული. ტექსტიდან ირკვევა, რომ მე-18 საუკუნის II ნახევარს ეხება (ერთგან იგი წერს: ...აწ ჩფლობს ქართლს მეფე ირაკლი, რომელსა სპარსთაოს შახნადირ მისცეს სხვანიკა ორნი არა დიდნი სამფლობელნნი, ბორჩალო და ყაზახი.“ (აღნიშნული ხელნაწერი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში Н ფონდში № 609 გვ. 131. იგი ქართულად უთარგმნია თუ გადაუწერია კარანტინის ინსპექტორის ამხანაგს დავით ეენაგის ძე თუმანოვს 1816 წ. 16 ნოემბერს შემდეგი სათაურით: „მოკლე ისტორია ქართლისა და იმერეთისა, აღწერილი ვაეეერის ერთის რომლის ფრანცუზისაგან.“ ვ. ბ.).

აღშფოთებული ალექსანდრე ამილახვარი გორის სახელწოდების განმარტებასთან დაკავშირებით წერს:

«...сей назвала она Гори (холм). Сея история о строении и звании города сего опровергающая с презрением враль всемирного Путешественника, который говорит будто по вкусным свиням там рождающимся, которыя де так же называются горы, имеет свое название сей город, при том первое, что там никаких свиней нет как и других скотов, кроме пригонных, второе, что не одною литерою свинья и холм пишется (горы) ибо она имеет две литеры, как разного вида, так и разного произношения, например как g.ъаъ по крепче. ღ—Гхван, по мягче. Первым пишется холм ъгори — горы, вторым сви-

ньа — ღორი. **Но оставим его при частых его ошибках и будем говорить далее».**

ამილახვარი მოგზაურის სახელს არ ასახელებს, მაგრამ ეტვ�, რომ იგი ვეიერის გულისხმობს. დასამტკიცებლად მოგვყავს ვეიერისეული გორის ეტიმოლოგიის განმარტება: „...გორი ქალაქი მდებარე ორმოცთა ვერსთა ზედა ტფილისისაგან, ორგზის უმეტეს არს სურამისა, გარნა ყოველთაგზა მთა არს მცირე ყარიბი, სახლნი მას შინა და ბაზარნი არიან მიწერნი. აკა შესაძლო არს მოპოიბად იაფფასად ყოველი საჭირო ცხოვრებისათვის, გარნა ყოველისა უუხვეს და უმეტეს არის ღორის ხორცი. იტყვიან რომ სოფელს�sა გორი წარმოებს ლექსისაგან ღორისა...“

ალექსანდრე ამილახვარის აღნიშნული ხელნაწერის ორივე პირი ერთსა და იმავე ადგილზე წყდება. რამ შეუშალა ხელი მას ამ ნაწრომის დასრულებაში, ჩვენთვის უცნობია.

ალექსანდრე ამილახვარი ამ ნაწრომში ამღაფაგებს სამშობლო ქვეყნის ზედმიწევნით ცოდნას. ეს მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 15 წლის ასაკში მიღებულ ზმიგ სასჯელის შემდეგ მან 5 წელიწადი საპყრობილეში გაატარა, რომელსაც ის ვაი-ვაგლახით დაღწია თავი და სამშობლოდან დევნილმა მოელი თავისი სიცოცხლე რუსეთში გაატარა. აღნიშნულ ნაშრომში ისეთი ფაქტები მოთხრობილი და ახსნილი, რასაც ჩვენ ვერ შეეხვდებით ვერც ერთ ქართულ ისტორიულ წყაროში. იგი სანინტერესოა როგორც ისტორიოგრაფის, გეოგრაფიის, ბიოლოგ ეზტიოლოგებისა და ქართული ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, ასევე ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულით დაინტერესებული ყველა ქართველისათვის.

ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი „ქართლის ალდაერილობა“

რუსულოდან თარგმნილი მარინე ნიკოლოზის ასულ ბულეიშვილის მიერ.

(ავტორს ნაშრომის წერა დაუწყია 1791 წ. 17 ივნისს)

ქართველთა სამეფოს სხვადასხვა დროს უცხოელი მწერლები უცოდინარობით სხვადასხვა სახელს უწოდებენენ. ამ სამეფოს ზმრიდან მასში შემავალი პროვინციის სახელს აერქმევენენ და ზედსართვა სახელს საკუთარ სახელად მიიჩნევენენ. მაგ., ივერია, გეორგია, აღბანია, კოლხიდია. ყველა ესენი არ არის საკუთარი სახელები, არამედ ან ზედსართავი სახელებია, ანდა დამამხნერებული პროვინციული სახელები. აღნიშნული მიწის ირგვლივ მცხოვრები ხალხები ქართველებს თავისი გრძნობებიდან გამომდინარე სახელებს არქმევენენ. მაგალითად, სპარსელებმა, რომლებმაც უძველესი დროიდან გამოსცადეს მათი გულადობა და უძლეველობა, მათ გურჯები უწოდეს (გურჯი — სპარსულად — ნიშნავს ძალას, ამას დამამტკიცებს ... წა — სტან და გურჯისტანი უწოდეს). ბერძნებმა, ვითარცა ბრძენმა და მიწათმოქმედების მოყვარულმა ხალხმა, ქართველებს პატივისცემით გეორგები შეარქვეს, რადგან ამ ხალხს უძველესი დროიდან ახასიათებდა ზემოთ აღნიშნული ორი სიკეთეები თვისება, რაც ბარადად მათი დამახასიათებელი იყო...

ახლა უშუალოდ საქართველოსა და ქართველებს შეეეხოთ, ეტიმოდ, ქართველთების წარმოშობას (ტექსტის ერთი გვერდი დაკარგულია).

ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში ერთი შემთხვევის შემდეგ ამ ქვეყნის სახელგანოქმედებელმა მეფემ ვახტანგ გორგასალამ სატახტო ქალაქი ტიბილისში გადმოიტანა. ამ უდიდესი ქალაქის (ლაპარაკია მცხეთაზე) ნაგებობათაგან მნიშვნელოვანი არაფერი შემოგვრჩა ორი ეკლესიის გარდა, რომლებიც მნიშვნელოვანნი არიან როგორც თავისი სიძველით, ასევე ნაგებობათა ღირსებით და, ამდენად, აღწერის ღირსნი არიან.

პირველი მათგანი, სახელად სამთავრო (საარქიეპისკოპოსო — ავტ.). იგი აგებულია დიდი კონსტანტინეს თანამედროვე მეფე მირიანის მიერ ჩვენი წ. აღ-ის 312 წ. ამავე ტაძარში მიიღო მირიანმა კრიტანობა. სამთავრო როგორც ქალაქის, ასევე მთელი სამეფოს უმთავრეს ტაძრად ითვლებოდა ზემოხსენებულ ვახტანგის (გურგასლანის — ავტ.) მეფობამდე, რომლის მეფეტო ღირსებას არქეიპისკოპოსმა შეეტაცყოფა მიაყენა. მეფემ პირადად არ ინდომა მისი გასამართლება, მაგრამ ეს ამბავი შეატყობინა მსოფლიო პატრიარქებს, რომლებმაც ამ არქიეპისკოპოსის დამცირების შედეგად მოსაგონრად გამოიტანეს მსჯავრი, რომლის თანახმად პირველი ტაძრის მახლობლად უნდა აშენებულიყო მეორე უფრო დიდშვენიერი ტაძარი, რომელშიდაც (ქართველებს — მ. ბ.) უნდა დაეყენებინათ პატრიარქი (ტიტულარებული — ავტ.) ეს ტაძარი ღვთისმშობლის საფარველის სახელობაზეა აგებული — სახელად მცხეთა. ამ ტაძარში სრულდება მეფედ კურთხევის წესი. აქვე არის პატრიარქის ადგილსამყოფელი.

ჩვენ შეძლებისდაგვარად ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ პროვინციას.

ეს მიწა უძველესი ხანიდან დაყოფილი იყო სხვადასხვა პროვინციებად, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს თავისი პირველნდელი საზღვრები, თუ არ ჩავთვლით სხვა ხალხებს, რომლებიც ამავე მიწას მიეკუთვნებიან. საკუთრივ ქართველები, რომლებიც დღესაც კი ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობენ, 8 უდიდეს პროვინციად დაყოფილ მიწაზე ცხოვრობენ, რომელთაგან თითოეული წინად სამეფოდ ითვლებოდა. ეს არ იყო საფუძველს მოკლებული, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან თუ უძველეს არქივებს დაუჯერებთ, რომლებიც ამჟამადაც არსებობენ, არც ერთ მათგანში ეკლესიად რეა მოლოიწნე ნაკლები მოსახლე არ იყო. აღნიშნული პროვინციები შემდეგი სახელებით არის ცნობილი: 1. საკუთრივ ქართველების პროვინცია, რომელსაც ჩვეულებრივ შემოკლებულად ქართულ უწოდებენ, 2. კახეთი, 3. გარდაბანი, 4. ორბეთი, 5. დფუნდა, 6. ოძრახისი, 7. მარგვისი, 8. ეგრესი, ხოლო მე-9, ყველასთან შედარებით უფრო მცირე პროვინციას, ბუერი ეწოდება.

პირველი პროვინცია ქართლია, რომელიც უძველესი დროიდან დღემდე ყველა დანარჩენზე უფრო მნიშვნელოვანია როგორც თვისი ადგილმდებარეობით ასევე მასში შემავალი უმნიშვნელოვანესი ქალაქებით და დისტრიქტებით. რადგან მასში მდებარეობს ორივე სატახტო ქალაქი როგორიც ძველი ასევე ახალი. აქვეა სასტრიჟარქო და საარქიეპისკოპოსო ტაძრები. ექვსი საეპისკოპოსო. ოცდათხუთა უფრაჩინებულესი სათავადო და მრავალი სხვა. რაც შეეხება მაცხოვრებლებს, თუ კაკვასიონის ჩრდილო ნაწილის მოსახლეობას არ ჩავთვლით, კერძოდ, ოსების სახელწოდებით ცნობილ მოსახლეობას, რომლებიც ამჟამადაც ამ პროვინციას მიეკუთვნებიან, საკუთრივ ქართველები ითვლებოდა 60 000-მდე ფუძე. მგონი ფუძე შეადგენს 10 კომლს, ხოლო კომლში 10-12 და ზმირად 30 მამაკაცი ითვლება. ყოველი კომლის საკუთრებაში უნდა იყოს 120 დესეტინა მიწა, როგორც სახნავად, ასევე ბაღ-ბოსტნების გასაშენებლად. ამაშივე შედის საძოვრები და ტყეები, ხოლო ყოველი დესეტინა, რასაც ისინი ერთდღიურს უწოდებენ, შეადგენს მიწის იმ რაოდენობას, რასაც ერთი წყვილი ხარი მოჰნავს ერთი დღის განმავლობაში. იგი სიგრძით 60 საჟენი, ხოლო სიგანით — 12.

აღნიშნული პროვინციის უმნიშვნელოვანესი ადგილებია: სატახტო ქალაქი ტფილისი, აშენებული მე-4 საუკუნეში ზემოხსენებული მეფის ვახტანგ გურგასლანად წოდებულის მიერ. მას უცხოელები ტბილიზს უწოდებენ იქ არსებული თბილი წყლების გამო, რომელნიც მეფემ შემთხვევით აღმოაჩინა ნადირობის დროს.

ეს ადგილი მიანშნა ფრინველმა, რომელიც ქორებს გაეკვა და კლდეთა ნაპრალებში შეფრინდა, სადაც მდეკარმა მონადირეებმა იპოვეს ცხელი წყალი, რომელიც კლდიდან მრავალ ადგილას გადმოდიოდა. ამ შემთხვევამ მეფეს ამ ადგილზე სატახტო ქალაქის გადმოტანა გადააწყვეტინა; იგი ძველი სატახტო ქალაქიდან -20 ვერსით არის დაშორებული. სწორედ ამ თბილი წყლებმა მისცეს ქალაქს სახელწოდება ტფილისი (აქ ავტორი ხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას:

«ибо тбили на грузинском языке значит теплого» — წერს იგი)...

ეს ქალაქი ყოველი მხრიდან მთებით არის შემოზღუდული, რომელთაგან სამ უახლესი მთაგრეხილი აგებულია ციტადელები, რომელნიც ასევე სამხრეთიდან იცავენ. ქალაქის ირგვლივ აშენებული ქვის კედელი, რომელსაც უკლის ღრმა თხრილი, მეოთხე — აღმოსავლეთ მხარეს იგი დაცულია მდინარე კერათი, რომელსაც ისინი მდინარე მტკვარს უწოდებენ.

ქალაქის შიგნით უძველეს და ღირშესანიშნავ ნაგებობთაგანია მძინარების სახელობის ტაძარი, ცნობილი სიონის სახელწოდებით; აქ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე ინახებოდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, დახატული იყო იმ საწოლის ფიცარზე, რომელზედაც ქრისტე დაიბადა. იგი ტაძართან ერთად დაწვეს ლეკებმა, რომელთაც სათავეში ედგათ კახეთის ბატონი კოსტანტინე, მაგრამ ტაძარი გადარჩა. მხოლოდ კედლის მხატვრობა ბოლოსაგან გაშავებულია და ეს უძეირფასესი ხატი დაიკარგა. აღნიშნული ტაძარი აგებულია ტფილისის დამაარსებლის მიერ. იგი მოპირკეთებული თეთრი თლილი ქვით, ხოლო გადახურულია კი შავით, რაც მეტად ლამაზად გამოიყურება. თავისი სიმაგრით, ორნამენტითა და არქიტექტურული გემოვნებით იგი გვიჩვენებს უძველესი მხატვრების სრულყოფილ ხელოვნებას. ეს ტაძარი არის თბილელი მიტროპოლიტის ადგილსამყოფელი.

2. ხელოვნქმნილი ხატის ტაძარი სახელგანთქმულია არა იმდენად თავისი ნაგებობით, რამდენადაც აქ დაცული ხატით. ამტკიცებენ, რომ იგი სწორედ ის ხატია, რომელიც ქრისტემ გამოსახა მანდილიონზე და გამოუგზავნა ედესის მეფე ავგაროზს, რომლის განადგურების შემდეგ გადმოტანილ იქნა ამ ქალაქში. ამ ვიწრო და გრძელი ხატის გამოსახულება და ამასთანავე მისი ქართული სახელწოდება „ანრნის ხატი“ (აქვე ოთკუთხა ფრჩხილებში ავტორი იძლევა ტაძრის აღნიშნულ სახელწოდების რუსულ თარგმანს „Назнаменен образ“) მოწმობს ზემოხსენებულის ჭეშმარიტებას. აღნიშნული ტაძარი პატრიარქის ადგილსამყოფელია. ნიშანდობლივია, რომ ტაძარში დაცული ხატის ირგვლივ ავტორის თანამედროვე მოგზაური ვეეფერიც თავის თხზულებაში წერს „...საეპისკოპოსო სახლი მიკოულ ალის სობოროსადმი. იგიცა და სხვაცა აღშენებული არიან კიდესა ზედა მდინარისასა, თანასწორ მეორე ეკლესიაცა წოდებული კათალიკოსისად, შეერთებულ არს სახელთანა მწყემსმთავრისასა მას შინა ბოლოდ შეპსწრიავს ესე მოადგილე პატრიარქისა. ქართველნი იტყვიან რომელ ხელთქმნელი ხატი მიეტყდეო, წარმოიკითხამენრ ავგაროზისა მიერ (განიხილე სვინაქსარი 16 დღესა აგვისტოს თვისასა), თვით იესო ქრისტესაგან, გრლად დაიცვოდა ამას ეკლესიასა შინა.“

ამგვარად, ვეეფერიც მოწმობს, რომ აღნიშ-

ნული ხატის თავდაპირველი ადგილსამყოფელი სწორედ თბილისის აწინახანის ტაძარი იყო და არა აწინის ეკლესია სათაბაგოში, რომელიც ამჟამად ამ ხატის ადრინდელი ადგილსამყოფელად მიიჩნევა დომენტი კათალიკოსის მიერ ხატის მოვლიდლობაზე 1715 წლით დათარიღებული წარწერის მიხედვით. П. Иоселиани «Описаниѣ древностей города Тифлиса» Т. 1866 г. стр. 28-29 ვ. ბ.

საერო ნაგებობათაგან აღნიშვნის ღირსია: 1. ამანინები, რომელნიც ქალაქის გარეთ სამხრეთ ფორშტატზე მდებარეობს და 2. ქალაქის შიგნით მდებარე ქარვასლა.

ამანინები შედგება შვიდი პალატისაგან, რომლებიც სხვადასხვა სამკურნალო თბილ წყლებზეა მოწყობილი, მათგან ორი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ერთ-ერთი მათგანი კურნავს ულუქს, ხოლო მეორე — ბღენს.

მეორე შენობა არის ქარვასლა, რომელიც თავისი აგებულობით ძალზე მოხერხებულია. ჯვარედინად განლაგებული იგი თითქმის ერთ ვერსზეა გადაჭიმული. არც ზაფხლის სიცხე და არც ავდარი ამ ეაჭრობას ხელს არ უშლის. (ეს იყო შარდნისიეული გრძელი ბაზარი, რომელსაც ქართული სპბეთები როსტაბაზარს უწოდებდნენ. როსტაბაზარი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ერთ მწკრივში განლაგებულ საეკონომო რიგს. 1800 წლის გეგმა ამ გზას „Большой базар"-ს უწოდებს. მამისა ჰერძნიშვილი. „თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში". თბ. 1965 წ. გვ. 15.

თბილისის ამ ნაგებობათა შესახებ ვიეეერი შემდეგს მოგვითხრობს: „... მეორე შენობა ეგრეთვე მშვენივრად აღშენებული არს. ქარვასლა, (ქარუასლას ქართული ლექსიკონით უწოდებენ ფუნდუკი. ავტ.). ანუ სასტუმრო სახლი იგინი აქა მსახურობენ, ეითარ ტერიასაცა შინა საცხოვრებლად მოსრულთა და იპყრობიან: 1) ანგარიშად ხელმწიფეთა. არიან აქა ამანინეცა. გარნა მცირესა რიცხუსა შინა, მთდამი უმჯობეს შეირიცხვიან თბილნი წყალნი, უკანასკნელნი ყოველნი ესენი არიან ქვისანი კამარათა თანა, და აღშენებულ უმეტეს ასთა წელსა. ნათელი მათ შორის მიიღების ზეითვან. აუწნი, რ'ლთა შ'ა შთასწვეებინ კაცნი, ქმნილნი არიან გთოლოოს ქვისაგან. ერთსა შ'ა მათგანსა ესრეთ ტფილ არს წყალი რ'ლ ძალ-შესაძლო არს მათმენად ხ' სხუთთა შ'ა. უგრილეს და ჰურჩის გოგირდითა. მცხოვრებთა უუყარნ მას შ'ა ბანაგად და ჰკრნებენ რ'ლ დედაკაცნი სოთერესა. თვისსა მიიღებენ ამ ტფილითა წყალთაგან, ხ' რ'ლ ამანონი მართალ არიან იგი მე თავით ჩემით გამოვპსცადე". (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H—609 — მ. ბ.). თუ ამ ქალაქის შემადგენლობაში ფორშტატებსაც ჩავთვლით, მაშინ ეს ქალაქი საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული, რადგან მხოლოდ ვაჭართა თორმეტ ათასამდე სახლს თვლიდნენ, ამას გარდა სამეფოს ყველა თავადსა და ეპისკოპოსს აქ ჰქონდათ ეზოები, სი სახლი, რომელთაგან უმეტესობა ამჟამადაც არსებობს.

აღვწერეთ რა, როგორც ამ პროვინციის, ასევე მთელი სამეფოს სატახტო ქალაქი, გავაკეთეთ მდინარე კვირის ზემო წელს, რომელიც თავისი დინებით სანახევროდ, ჰყოფს როგორც აღნიშნულ პროვინციას, ასევე მთელ სამეფოს.

ეტიგო ამ იქნება, თუ ვკვიხსნენთ ზოგიერთ ცნობას, რომელიც ეხება როგორც აღნიშნული მდინარის დინებას, ასევე მის სახელწოდებასაც. იგი ეეფრატთან, ტიგრისთან, ბისონთან და ვეონთან ერთად სათავეს იღებს ფანავორის მთებში. შემდეგ კი თავის დინებას ჩრდილოეთით განაგრძობს ქართლიდან დასავლეთით მდებარე ორ პროვინციას, წუნდასა და ოძრახეს, შორის. შეტრიალდება რა ამ პროვინციების საზღვართან. სადაც კუთხით უახლოვდება იმერეთს და ორ ზემომოხსენებულ პროვინციასაც, აღმოსავლეთისკენ განაგრძობს თავის დინებას სამხრეთ-აღმოსავლეთით და გაივლის შემდეგ პროვინციებს ქართლს, გარდაბანს, ბაგრას, ყარაბაღს და შაქს. შირვანისა და აზერბაიჯანის საზღვართან, სახელდობრ, სახელოვან ქალაქ ჯაველთასთან, რომელიც მის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, იერთებს მდინარე გეონს, ანუ არეზს, იხრება რა უფრო სამხრეთით, იგი შირვანსა და მუღანს შორის მოედინება და აღწევს ხაღიანს. აქ იყოფა ორ დიდ ნაკადად და სალიანდან სამოცდაათი ვერსის დაშორებით, ხუთ დიდ ნაკადად დაყოფილი უერთდება კასპიის ზღვას. აღნიშნული მდინარე სანაოსნოდ ნაწილობრივად არის გამოსადეგი. მხოლოდ ერთ ადგილზე, ტფილისის ქვემოთ, გარდაბნის პროვინციაში, ერთი მაღალი ქვა თითქოს გაგვიმ მდინარის გარდიგარეშო მდებარეობს და ხელს უშლის როგორც ნოსნოსას, ასევე ძმიმე ვრძელტვირთა თევზებს, მაგალითად, ზუთხისნარებს, მდინარის გადალახვაში. სხვადასხვა სახეობის ამგვარი თევზები აქ იმღენია, ძნელი წარმოსადგენია, რომ სხვა მდინარეებშიც იყვნენ ისინი ასეთი დიდი რაოდენობით. თევზის ამგვარი სიმრავლის მიზეზი, ალბათ, არის წყლის სიწმინდე, რომელიც სათავიდან შესართავამდე ქვებსა და ქვიშაზე მოედინება. სწორედ ამ მდინარეშ, აღნიშნული დიდი ქვის გადალახვის გამო, პროვინციასაც გარდაბანის სახელი მისცა (აქ ავტორს რუსულად ფარჩხილებში ჩასმული აქვს ამ პროვინციის სახელწოდების რუსული თარგმანიც (перемоя) — მ. ბ.).

რაც შეეხება ამ მდინარის სახელწოდებას, უნდა ითქვას, რომ სპარსელები უძველესი ხანიდან დღემდე მას კურას უწოდებენ, ხოლო ქართველები, ქრისტიანობის შემოღებამდე მას ასევე კვირას უწოდებდნენ. მხოლოდ შემდეგ ხანებ-

ში კვირა დღისა და ანდა ერთი კვირის სახელწოდებისაგან განსასხვავებლად, რომელიც მათთან ასევე კვირად იწოდება, მდინარეს მტკვარი (ე. ი. კვირის კუთვნილება — ავტ.) უწოდეს. ცნობას იმის შესახებ, რომ მათ მიერ ეს მდინარე უძველეს ხანებში კვირად იწოდებოდა, გვიმოწმებენ მის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე მთები, რომელნიც ვაღაშვილთა ძალიან შორ მანძილზე და დღესაც კვირნაყად (ე. ი. კვირის სიმაღლედ ანდა მტაცებად — ავტ.) იწოდება. ამბობენ, რომ ეს მთაგრეხილები, გასდევენ რა მდინარის სანაპიროს, ერთგან მას კიდეც გადალახავენ და სპარსეთშიც შეიჭრან, ხოლო აქედან უწყვეტად თვით ინდოეთამდეც აღწევენ. ბევრი იქაური თავადები, რომლებიც სახელოვან შახნადირთან ერთად ინდოეთში იყვნენ ალაშქრად, ამ ეშმარიტებას გვიმოწმებენ. ხოლო რაც შეეხება კუროს ან კვირას სახელწოდების შინაარსს, იგი მზეს ნიშნავს, ისევე როგორც არეზია). მრავალ წვრილ და საშუალო მდინარესთან ერთად ამ მდინარეს ორი დიდი მდინარე უერთდება, მარჯვნივ, როგორც ზემით აღვნიშნეთ, — არეზი ქალაქ ჯეგანთასთან, ხოლო მარცხნივ — ალაზანი, ქალაქ განჯის რამდენადმე ქვემოთ. თბილისის ზემით მდებარეობს ზემოხსენებული უძველესი ქალაქი მცხეთა, რომელთანაც მტკვარს უერთდება მდინარე ვარაგეი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ქართლისა და კახეთის საზღვარს წარმოადგენს. ამ მდინარეზე უძნიშნელოვანესი ადგილებია: 1. წიღლანი, ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი, თავად მუხრანსკის კუთვნილება, რომლის რეზიდენციაც აქედან მცირე მანძილით არის დაშორებული; 2. დეფშეთი, 3. ანანური, 4. ლომისი და 5. სახიოოვანი ამის ციხე, არაგვის ერისთავის კუთვნილება. არაგვის შესართავის ზემით მდინარე მტკვარს უერთდება მდინარე ქსანი, რომელზედაც შემდეგი მნიშვნელოვანი ადგილებია: 1. მუხრანის ციხე, რომელიც ამ მდინარის შესართავში მდებარეობს. 2. მუხრანი — თავად მუხრანსკის რეზიდენცია, რომელიც ამ მდინარედან ახლო მანძილზე მდებარეობს. 3. ახალგორი — ქსნის თავადის რეზონნენცია, რომელიც საკუთარივ მდ. ქსნის ნაპირზე მდებარეობს. ამავე მდინარის ზემით მოეცინება მდ. რეხული, რომლის სანაპიროებზე სახელოვანი ადგილებია: 1. ქალაქი კასპი, რომელიც უძველესი დროიდან არის სახელგანთქმული და ამჟამადაც სახელოვანია მთელ სახელმწიფოში თავისი შესანიშნაავი ღვინოებით. ამაზე უფრო მაღლა მდებარეობს სახელგანთქმული მონასტერი სამთავისი, რომელიც ეპისკოპოსის ადგილსამყოფელია. იგი აგებულია ტფილისის დამაარსებლის მიერ; მისი უძველესი ნაგებობიდან მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი, რომლის გარეთა ორნამენტფული შემკულობა ყველს აკვირვებს და თავისკენ იზიდავს. აქ გამოსახული ჯვრის შესახებ გადმოგვეცემენ, რომ შაჰ-აბას [illegible] მოხიბლულმა მისი შესანიშნავი ნაკეთობით, თავის ქვესმოლილებს უბრძანა ამოეჭრათ იგი და წამოეღოთ თან, მაგრამ, ზნეობრივი ეიტანლით შეშინებულმა უარი თქვა თავის ამ წამოწყებაზე. 3. ჭალა — თ. ამილახვრის რეზიდენციის წარმოდგენს. აქვე მდებარეობს ცხვიოოსა, ამფითეატრის მსგავსად განლაგებული ორმაგი ციხე სიმაგრე, რომელთაგან უკანასკნელი ისეთ მაღლობზე დგას, რომ თითქმის მთელ სამეფოში მოჩანს. ეს ციხე სახელგანთქმულია როგორც თავისი სიძველით, ასევე უძლეველობით.

უფრო ზემოთ მოეცინება ორი მდინარე — დიდი და პატარა ლიახვი, რომელთაგან პატარა დიდს უერთდება. მათ შორის მდებარე სანტტერესო ადგილებია: ქალაქი გორი რომელიც მემატიანეთა ცნობით 600 წლის წინათ სახელგანთქმული თამარ მეფის სურვილით შემდეგი შემოხვევის შედეგად გაშენდა: გადმოცემის თანახმად ამ ადგილზე უფრო ტბა ყოფილა, რომლის შეაგულში მდებარეობდა ბორცვი, რომელსაც ქართულად გორი ეწოდება. ნაღირობისას დედოფალი უეცრად ამ ტბას მიადგა. სწორედ ამ დროს მონადირეებს გაეფრინდათ მისი საყვარელი ქორი და ბორცვზე შემოჯდა, მხლებლებმა ვერაკეითარი ხერხით იგი იქიდან ვერ გამოიტყუეს. მაშინ დედოფალმა თქვა, რომ ყოველგვარ სურვილს შეურაულებდა იმას, ვინც ქორს იმ ბორცვიდან გადმოიყვანდა. ერთმა დიდგაროვანმა ახალგაზრდა კაცმა დედოფლის ამალიდან, სახელად ოსიფმან, რომელიც დიდიხნის განმავლობაში მოხიბლული იყო დედოფლის მშვენიერებით, იცოდა რა დედოფლის სიტყვის სიმტკიცე, უყოყმანოდ შესთავაზა მას თავისი სამსახური. დედოფალი თავდაპირველად მოზანს ვერ მიეხედა და უფლება მისცა, წასულიყო ქორის დასაჭერად. ოსიფმან გასცეტა და ადგილად დაიჭირა ქორი. უკან დაბრუნებისას დედოფალს გაახსენდა, რომ ამ ახალგაზრდას იგი უყვარდა. იმის შიშით, რომ ოსიფმან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მისთვის ცოლად არ ეთხოვა (რადგან იგი იმ დროს ჯერ კიდევ ქალწული იყო და ყველა სახელგანთქმული ახალგაზრდა კაცი მოუთმენლად ელოდა, თუ რომელ მათგანს აირჩევდა იგი საქმროდ), როგორც გადმოგვეცემენ, დაიწყო ლოცვა. იგი ღმერთს შესთხოვდა, რომ ამ ახალგაზრდა კაცს არა აქვს მიზნად ცოლობა სთხოოს, ასეთ შემთხვევაში გადაარჩინოს იგი და მშვიდობით გამოიყვანოს ნაპირზე, ხოლო თუ საწინააღმდეგო მიზანი აქვს, მაშინ არ მისცეს ნაპირზე მშვიდობიანად გამოსვლის საშუალება. დედოფლის ამ სიტყვებისთანავე ახალგაზრდამ წყალში ჩაძირვა დაიწყო, ხოლო ხუმრობის მოყვარული ქართველი ახალგაზრდე-

ბი, რომელთაც შურდათ მისი ბედნიერება, უყვიროდნენ, ბატონს ქორი არ დაუკარგოო. აშგვარად, ეს უბედური წყალში დაიხრჩო.

ამ შემთხვევის უკეთესასაოფად მიფემ ბრძანა ტბის ამოშრობა, ბორკეტზე ციხის აგება, ხოლო მის იქგვლივ ქალაქის გაშენება. მომავალ ქალაქს მან გორი (ბორკეი) უწოდა.

ქალაქის აგების ზემოთდწერილი ისტორია უარყოფს ერთი მსოფლიო მოგზაურის მიერ ამ ქალაქის სახელწოდების ირგვლივ შეთხზულ მონაჯორს, რომელიც ამტკიცებს, თითქოს იქ მოშენებული გემრიელი ღორების გამო, როგორ ქართულად ასევე გორი ეწოდება, მიეცა ამ ქალაქს ეს სახელწოდება. მისი შეცდომა ნათელი ხდება იმ გარემოების გამო, რომ იქ 1. არავითარი ღორები და ან სხვა საქონელი მოშენებული არ არის, გარდა საძოვარზე გასაყვანი საქონლისა. ამასთან, 2. ამ გარემოებას კიდეც ისიც ემატება, რომ ღორი და გორი ერთნაირი ლიტერით არ იწერება, მათ ორი სხვადასხვა ფორმისა და გამოთქმის მქონე ლიტერით აღნიშნავენ. მაგალითად: გ-გან უფრო მაგრად გამოითქმის, ხოლო ღ — უფრო რბილად. პირველი მთგანთან იწერება გორი, ხოლო მეორეთთან — ღორი.

მაგრამ დავტოვოთ ეს მოგზაური მის ხშირ შეცდომებთან ერთად და განვაგრძოთ ჩვენი თხრობა.

ამ ბორკეტისა თუ გორის ძირში, ჩრდილოეთის მხრივ, ერთმანეთს სამი მდინარე უერთდება, კერძოდ, ორივე ლიახვი და ფშანი, ხოლო ქალაქიდან დასავლეთით, ერთი ვერსის დაშორებით, ისინი უერთდებიან მდ. კვირას. აქ შესართავის მოპირდაპირე ნაპირზე, ბორკეტზე დგას სასწაულმქმედი ჯვრით სახელგანქმული გორისჯვრის მონასტერი. აღნიშნული ჯვარი ერთი საჟენის სიმაღლეზე მოლიანად ვერცხლით არის დაფარული. მასში ინახება გიორგი დიდმოწამის ხერხგმლისა თუ ბეჭის ძელის ნაწილები. თავისი სიდიდით და წმინდა ნაწილების მნიშვნელობით მისი მსგავსია მხოლოდ ცხვილოს სამთავრო ეკლესიის ჯვარი, რომელიც ჯვარპატიოსნის სახელობისაა. ქალაქი გორი ამ ეპამად ამილახორის რეზიდენციას წარმოადგენს. ამასთან ერთად, იგი არქიეპისკოპოსის ადგილსამყოფელიცაა.

მდინარე ლიახვის ზემო წელზე, კავკასიონის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ქალაქი ცხინვალი, რომელიც მთიელებთან ალებ-მიცემობის შედეგად აყვავებულია. ამ ქალაქის მოპირდაპირე მხარეს, მდინარის გადაღმა, სწორ ადგილზე, არის ერთი დიდი ქვა, რომელიც ალაზანს მსგავსად აღმართულია. შიგნიდან იგი გამოკვეთილია და ნამდვილი კოშკის თუ ციხესიმაგრის მნიშვნელობა აქვს. მასში ყოველთვის ყარაულები ცხოვრობენ. მაგრამ ეს ქვა იმით არის უფრო მნიშვნელოვანი, რომ იგი თავისი ბუნებრივი თვისებებისათვის უჩვეულო მოქმედებით ხასიათდება. კერძოდ, რაც უფრო დიდი სიცხეა ზაფხულში, მასში მით უფრო მეტი ყინულის ლოლუები ჩნდება. მაგრამ ვინაიდან მე ნატურალისტი არ გახლავართ, ამიტომ ამ თავსატეხს ბატონ ფიზიკოსებს ვეტოვებ. მათ აკვიხსნან, რა მიზეზით წარმოიქმნება ყოველივე ზემოთქმული, თუმცა ეშვი არ მეპარება, რომ ამის უპირველეს საფუძველს გვარჯილა წარმოადგენს.

აღნიშნული ქალაქიდან ახლოს ნიკოზია მდებარეობს, რომელიც საარქიეპისკოპოსოა ადგილსამყოფელია. აქ ხელშეუხებლად შენორჩა ის სამსხვერპლო, რომელშიაც უძველეს დროს ცეცხლთაყვანისმცემლები მსხვერპლს სწირავდნენ ღვთაებრივ ცეცხლს და რომელზედაც ამჟამად არქიეპისკოპოსის სახლი დგას. ეს სამსხვერპლო ისეა გამობრძმედილი ცეცხლისა და კვამლისაგან, რომ რკინისას უფრო წაადგეს, ვიდრე ქვისას.

მდინარე კვირას აყოლებაზე შემდეგი მნიშვნელოვანი ადგილები მდებარეობს. ესენია: სურამი, ალი, ახალდაბა. ამთგან პირველი უძველესი დროიდან სახელგანთქმულია თავისი ციხის უძლეველობით. რომელმაც ჩვენს საუკუნეშიც (ნაღირ შაჰის დროს) განიცადა სამწლიანი ალყა სპარსელებისა და ჩვენნაგებისა, რომლებიც ახლანდელი მმართველის წაკეზებით ამირახორის წინააღმდეგ გამოვიდნენ, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდნენ და იძულებულნი იყვნენ შერიგებოდნენ მას. ამ ციხის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს თქმულება, თითქოს მისი უძლეველობის მიზეზი იმაშია, რომ მის კედლებში ცოცხლად არის ჩაკერული დედისერთა ეფაი, რომლის შესახებ დღესაც მღერიან ხალხში გულისგამგმირავ ლექსებს.

ამას გარდა, ღირსშესანიშნაია შემდეგი ადგილები: რუისი და ურბნისი, რომლებშიც საეპისკოპოსოები არსებობენ. შემდეგ: ქეხი, ანაბეთი, დირბი, ძალინა, ულუმბა, ვანანი, რომელნიც სხვადასხვა მფლობელებს ეკუთვნიან.

მდინარე კვირას დასავლეთი სანაპიროს გასწვრივ ამავე პროვინციის შემდეგი უმნიშვნელოვანესი ადგილებია...

ამ ადგილზე თხრობა წყდება. (მ. ბ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჩარკვიანი

„ვისთვის რას იტყვი“

ნაწილი მესამე

მაშასადამე...

ესე იგი...

ესე იგი — ზევით, ანუ მაღლა მთვარეა; ქვევით, ანუ ძირს, მტკვარია ხოლო, გვერდით, ანუ მკლეთმარჯვნივ, ქალი. ამ შესანიშნავი კრების თუ ღამის თავმჯდომარედ შენ ხარ არჩეული თუ დანიშნული. გეღირსა, როგორც იქნა...

ზევით მთვარე, ქვევით მტკვარი, გვერდზე ქალი, მეტი რა გინდა. ტუტუცი თუ არა ხარ, მეტი რა ჭირი უნდა გინდოდეს.

ვეხუთე სართულის აივანი, სადაც ბრეზენტიან სკამ-ლოგინზე ნოდარს მოეკალათა, სანაპიროს გადმოსცქეროდა. ივნისის გვიანი ღამე უფრო ხალისიანი იყო, ვიდრე მელანქოლიური. ხანდახან ჯიღრების ფოთლები ოდნავ გაესვიროდა შრიალებდნენ.

რა ურცხვი იქნები, კიდევ რომ რამე ინატრო. ეს თავაწყვეტილ უმადურობას, პირდაპირ კატასტროფულ დაუნახობას გიუტოლდება. მართლაც, რა შეიძლება ისაკლისო, შე დღეკეთილო, შე, სვებედნიერო, ფლავი რომ გიდგას ხონჩით, ჭერის ორმაში რომ ნებიერობ, დოკრანში რომ ხარ ნავარდნელი... შენისთანა კაცზეა ზედგამოჭრილი ეს ჩინებული ნათქვამი — ქვაცა აქვს და კაკალიცა, თავზე შემოსაკრავიცა... რას შვები, ბბჭო, გამოსულიდან? ნაბარნე ფილმი ბაგ ქვასანაყი. შემოკერა შემოხვევას ნიშნავს ამ შემოხვევაში... იმიტომ კი არ გავიხსენეთ ხალხური სიბრძნე, რომ მაგხელა ლოდისთვის დაგეკლო ხელი და კეფაში გეჯახეშა. ასეთი ხუმრობა ვინ გასწავლა... არ გეხუმრება? რატომ მერე, შე მადლიანო, რის გამო, შე სათაყვანო, რა მიზეზით, ორთავე თვალთა სინათლეევ? ეს ერთი ბეწო სპამბი რა მოსატანია, ისეთი პაწაწკინტელაა, პირის ქარად არ ეყოფა ადამიანს... მთვარე — მტკვარი — ქალი... შენ ამბობ, ეს სამეული, ასე ვთქვათ, ტრიეზერიტი ბოლო ელემენტმა დატოვაო... ეგ უმნიშვნელო დეტალია, მაგის გულისთვის თავში ქვის ცემა სად გაგონილა. არავინ შეიტყოს, თორემ ქვეყანა სასაცილოდ გგიგდებს. ერთია კარგი — ოცდაერთი წელი არ შეგსრულებია. სამი თვე გაქვს · დარჩენილი. ამ დროის განმავლობაში სპირტიან სასმელს არავინ მოგაყიდის, ესე იგი ვერ ილოთებ. სამ თვეში კიდევ მაგ გომბოიოს არა, ჯულეტას დაიიწყებს კაცი პირწმინდად, თუკი რომეოსავით გოგოში ბზე არ უყურია... გასაგებია, გასაგებია. მაშასადამე, შენ სხვანაირი ვინმე ხარ, რომანტიკული ჭვალი გაწყობებს და უკეთესით უკეთესისადე ვერ შეურიგდები ცხელი მიჯნურის ღალატს. კეთილი და პატიოსანი...

მთვარე — მტკვარი.

ხომ დიდებული რითმაა?

ახლა, შენ რომ გიყვარს, ის ქალი კონკრეტულად ვიყოლითო მხედველობაში. ნახე რა გამოდის: მთვარე — ქალი; მტკვარი — ქალი. ასეთი ყურით ,,ორორეული თანახმიანობით სტროფის პირველ და მესამე სტრიქონების გაწყობასაც კი მოვიიდებ ყველა მეცნიერხარი-სხოვანი პოეტი. თუკი ნამუსის ნატამალი გაგაჩნია. ნატამალი-თქო, თორემ სპეტაკი პიროვნება ლუქსების თხზვას ხელს როგორ მიიყოფს.

რა შუაშია რითმა, როცა სიყვარულზე ელაპარაკობთ? ვინ იცის, მაგრამ, ცხადია, შუაშია. რა ეთანაჯღერება ცნებას სიყვარული? ცნება — სიხარული, ხომ კი? ამაში უთუოდ არის რაღაც ტრანსცენდენტური აზრი. კიდევ რა ეთანაბგერება? სინანული. რასაკვირველია, აქ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე. აბა, სხვა კეთილთვისებიანი რითმები გავიხსენოთ. გული, სული, ქალწული... კარგი, კარგი, გავაგრძელოთ... დადაგული, ცრემლთა ლული, მომე ფული, ხელთ მაქეს ცული, იყოს კრული შენი ოჯუ-ლი... ეუჰ, სად შეეტოპეთ. პირდაპირ ოჯახურ სცენებში, ასე რომ ამრავალფეროვნებენ, შნოსა და ლაზათს მატებენ თაფლივით ტკბილ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას...

ზევით მთვარეა და ქვევით მტკვარი, რომლის მოქი ზედაპირი ლამპიონებს რეკლავს. ნოდარი თითქოს ხედავს იმ ახალგაზრდა შეყვარებულ პოეტს, ვინც ოცდახუთი წლის წინ ამ აივანზე იჯდა და, როგორც გლობალურ კატასტროფას, განიცდიდა თითქმის სანდომიანი ახის მჭრნე გოგოსთან ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტას. პირველი შემთხვევა იყო, რომ იგი გოგომ თვითონ მიატოვა და მერე ყოველგვარ შერიგე-

ბაზე უარი თქვა. შელახული თავმოყვარეობა შემოქმედს ბრაზით ახრჩობდა. ხოლო მის უფრო მეტად გასახელებლად მაღალი ძაბვის ბრაზის ტრანსფორმაცია ხდებოდა გადაჭარბებულად მაღალი ძაბვის სიყვარულში... ხელოვანი მოლად დარტყმული პიროვნება არ გახლდათ. გონებით იცოდა თავისი სატრფიალო თავგადასავალის ეშმაკური მასშტაბი და მნიშვნელობა. გულით უნდოდა, თუ ვერ გაამასხრებდა, ირონიულად მაინც მოკიდებოდა ყველაფერ ამას... მაგრამ... მაგრამ იუმორის გრძნობა ღალატობდა. ამ ვერაგეულ ზურგზეტეცევს ყველი მგოსანი არ ეპუებოდა, წელებზე ფეხს იდგამდა, ამაოდ ცდილობდა თავისი გაეტანა...

ნოდარის და იმ პოეტის გარდა, რომელსაც ასევე ნოდარი ერქვა, აივანზე კიდევ ვიღაც მესამე კაცი იყო... და არა იყო-რა. ყოველ შემთხვევაში იგი სხვას არ აცლიდა ლაპარაკს. მის საუბარს იქნებ ერთგვარი დიდაქტიკური ელფერი დაკრავდა. ეგებ რეზონიორული იერი ახლდა, მაგრამ ჭკუის დამრიგებლური ტონი მთავარი რამ არ ყოფილა... ეს კაცი ალბათ მესამე ნოდარი გახლდათ. ეგ აშკამდა ის ასრულებდა ამ ივნისის ღამის თავმჯდომარის მოვალეობას. ასრულებდა სამ ხმაში. პოლიფონიურად.

თაფლი გიყვარს და იმიტომ პპირებ დასახლკარებას? არა? თაფლი საიდან მოვიტანე? ბიჭო, არ დამიმალო, ვაქკაცურად მითხარი, სულ მოლად ჭაჯი ხარ? მხატვრულ სახეზე წარმოდგენა არა გაქვს? ქარაგმებულად ლაპარაკი რა არის, არ გაგიგონია? ირონია? ალეგორია?

დამიგდე მაშინ ყური. იგავ-არაკი გახსოვს ჭრიჭინასა და ჭიანჭველაზე? ზეპირად იცი. ეშმშარიტად ჭკუის კოლიფი ხარ, სიბრძნის სალარო და, აფსუს, რა უღვთოდ ფლანგავ ცით მომადლებულ ნიჭს, ესე იგი, ერის სიმდიდრეს... ხოდა, ლაფარტენის იმ შედევრში, ეპოქად რომ იქცა მსოფლიო პოეზიის ისტორიაში, მართალ სახიზარი მწერები, მურტალი ჭია-ღუა და გულისამრეკი ჭია-ჭუა კი არ ფიგურლისმგბიანან, არამედ ბუნების მეუფეები — კაცნი. მაგალითად, ჭრიჭინბელი განასახიერებს მუქთახორას, რომელსაც, სამწუხაროდ, ოზვიათ შემთხვევაში ჯერ კიდევ ეხვდებით. საზოგადოების ეს ხორცმეტები მიიღებინ ბხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში. რამდენიმე წამით შეუძლიათ დაბეჩავებული არსებობა დაბუნენ კამერის შიგნით ხელოვნურად შექმნილ ბინძურ ატმოსფეროში... საერთოდ, ცხოველის ამგვარი სახეობის გამოყვანა მეცნიერული გმირობაა. ეს ისე, სასხვათაშორისოდ...

ხოლო ჭიანჭველა საყოველთაოდ გავრცელებული ტიპია, კაცური კაცი, თავდაუზოგავი შრომით რომ შოულობს ლუკმას და სანსლავს მას, ალალ ყოსს! აქ ჩვენ ერთადერთი ნამეცეი შენიშვნა შეიძლება გვქონდეს. არ ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ლტტონ-ტურისმეოდნის სპეტაკი სინდისის მოთხოვნანი წინ ვერაფერი გადაეღობება. იგავ-არაკის ფერადოვანი ავტორი, როგორც სტეიერი რეალისტი, უგულგმელყოფს დადებითი ვმრის წრიპა სიესსტეს, რასაც ნაკლი, ცხადია, არ ეთქმის. საკარაუდოა, რომ უკეთესი იქნებოდა ჭიანჭველას ჭრიჭინობელა გარეთ კი არ გაეგანლერებინა ანტარქტიდეულ ყინვაში, არამედ მურაბიან ჩაიზე შემოეპატიჟებინა, აღმზრდელობითი სამუშაო ჩაეტარებინა, გარეშერის სწრო გზაზე დაყენებინა ცდილიყო. და მხოლოდ ამ, რასაკვირველია, უშედეგო ლამბის მერმე, საკუთარი პედაგოგიური უძლურების და ჭრიჭინასადმი მძაფრი თანაგრძნობის გამო აქვითინებულს თავისი ექვსი ფეხიდან ერთ-ერთთან ამოკაკუ დაუპატიჟებელი სტუმრისთვის, ვისაც შემდგომ სამართლიანად და დამსახურებულად ჩაამაღლებდა პოლარული სუსხი. უზიარებედად, უკეთრახეველად, უოლსარებოდ...

ხო, ქარაგმული სატყვაზე, ალეგორიაზე და თაფლზე მოგახსენებდი.

ყველა თაფლი ტკბილი კი არ არის. შენ ღმერთმა გაშოროს, თამბაქოს ყვავილის თაფლს თუ შეეგამს კაცი, დაიბანაგება. კი ბეკრანანად გაადგენს. ჰოდა, იმ კონკერტულად ალებულ ქალს, ვისი ტრფიალი ვითომ გაგიეგმა, იქნებ კიდევ უფრო შეეშალე ჭკუაზე. დასაშვებია, რომ თამბაქოს თაფლი სანატრელი გაგხდომოდა... რა იცი, ეგ უკუღმა მიდან ბოვარი ეგვე თვითონ კი არა, აიღებდა და შენ შეგაკმეფდა დარიშხანას... ნუ აღშფოფდი, გეთაყვა, რა თქმა უნდა, ხატოვნად ვამბობ, მეტაფორულად, ასე ეთქვათ, ფიგურალურად. აბა, თანამედროვე ჰუმანისტი მანდილოსანი, ფილოლოგი და პედაგოგი, ქმრის მოწამვლას თავში როგორ გაიკლებს. მაგას ნურასდროს ნუ დაიჯერებ. მოულოდნელი და ტრაგიკული სიკვდილის შემდეგაც კი... იმას ვამბობდი, ფიგურალურად გაუმეგს. ერთ თვეს, მეორეს, მესამეს... მერე მოგზეზდება ეს მხატვრული ოროპბრძოლა. კისერში ამოუვა... კაცთმოყვარეული მისწრაფებენი სრულ გამარჯვებას იზეიმებენ... დადგება მშვენიერი დღე და ბორშიან ქვაში ერთი ჩაის ჭიქა დარიშხანა შემთხვევით ჩაეყრება. გაუგებრობის ნიადაგზე ერთ ეშალერებულ ეეღრო ციანის კალეუმს მიაყოლებს... თუ ძმა ხარ, ნაჩქარევად ნუ გაგნკითხავ, ვინაიდან მისი სპეციალი ჰუმანური წადილიდან გამომდინარეობდა. იგი უეცრად მიხვდა, ჯინეს ნათელმა მოიცვა... მიხვდა, რომ მის მიერ შექმნილ კუსტარულ ჯოჯოხეთში ყოფნას შენთვის ჯობს თვით ღმერთის ხელით ნაშენებ საჩვენებელ-სანინიშნო ჯანდაბაში უდარდეთ სუფევა სამარადისოდ უზრუნველყოფილი მეფმეიი ჩაწერით იქაურ საბინაო წიგნში... მხოლოდ ამ მოსაწონი მიზნის განსაზორციელებად გაგაგზავნის შაბზე.

 კოეზი ბორშში რომ ჩაგივარდება და კაცთა ვნებებისადმი ფილოსოფიური გულგრილობა დაგეუფლება, პედაგოგი მანდილოსნის ცხიერებას, ხომ გითხარი, ნერც მაშინ ნუ დაიჯერებ. გასპეტკადი, მოუსალეთის პროკურატურაში წერილობითი სარჩენი არ შეიტანო, რთა იქაურმა კუდიანმა გამომძიებლებმა გაარკვიონ — ჰუმანურ იდეალებს ერთგულობდა თუ ბორიტმა განზრახვებმა ჩაითრიეს შენი ყოფილი სატრფო, როცა საწამლავი შეგახვრეტინა. პირველ შემთხვევაში საქმე დაიხურება. მეორე შემთხვევაში შავეთის სასამართლო დამნაშავეს სიმუდამო გაუთხოვრობას მიუსჯის, ნარჩენი სილამაზის სრული კონფისკაციით.

მდუმარე ეუჩუბი. მთელმარე ხეები. მნინარე სახლები. პირდაპირ და მაღლა — მთაწმინდა. მის მკერდზე გაყვანილი დაკლაკნილ საცალფეხო გზას და ფუნიკულორის სწორ ლინდდგან გაყოლებული მოციმეცმე ნათურები ალმასებიანი ყელსაბამის შთაბეჭდილებას ქმნიან.

ეს შედარება, რასაკვირველია, პოეტ ნოდარს მოუვიდა თავში ჯეელობისა გამო. მის წარმოდგენაში კარდინალ რიშელიეს გულის გასახეთქად ლონდონიდან დ'არტანიანის მიერ ჩამოტანილი ალმასის საკიდრებით ანა ავსტრიელს დაანლოებთან ასე ქონდა დამშვენებული ხავერდის კაბა ბრწყინვალე მეკლისზე.

ფერადი ტელევიზორისა არ იყოს, ქალი გამოდგომაზეა. ჯობს ლუიკ-ფოთელ-მწვანედ შეღებილი ქალი და ფერადი ტელევიზორი სახლში არ გაკეჰპანო. ამით დამატებით უსიამოვნებებს თავიდან აიცილებ. ფერადი ტელევიზორი თითონ მოიშვება, ფერადიანი ქალი შენ მოგშლის, თავმეფეს გაწყვეელნებს... ჩვეულებრივი გოგო მოიყვანე, ნაღდად გამოგადგება, შავ-თეთრი ტელევიზორისა არ იყოს. გახსოვს ქაცვია-მწყემსს რა უთხრა მამამისმა: „შენ გეყოლება შავი დედალი, შენ საქთამოში კვერცხის მდებალი; ამას იტყვის ქურდი: „შაკია და ცუდი, რაი მოვიპარო?"

ე, ბიჭო, ნუ აყვირდი, ნუ ხარ სულწასული, მაცალე, დავასრულო სათქმელი. სწორი ხარ, მეხლებზე უნდა დაეცეე და ქედი მოიდრიკო სატრფოს წინაშე. ჩვენ თუ არა, სხვა ვინ ვიცოდეს, რამ ათქმევინა ორლობაში მიმავალ პოეტს დანახულ ქალზე: „ბისმან ეშხამან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი..." მითუმეტეს, რომ თითქოს დღესაც ვეტკივა შუბლი იმის გამო, რომ ბზეთენახავმა — „აიღო და დამიშინა თავში დიდი კეტი."

ისე კაცმა რომ თქვას, ადრეა შენი დაოჯახება. „შენ ხარ ოცი წლისა, ვერ გიზამ ქორწილსა მე შენ უდროოდ". ნამდვილად ადრეა, შენი შემოქმედებაა ცოდვა. პოეტებს ვინც შეუყვარდებოდათ, ისინი რომ შეერთოთო, ღალატს სიმწარე არ განეცადათ, ხომ დაიღუპებოდა ასოდ-ლეო ლორიკა. პეტრარკა რომ გიბრიყვებულიყო და ლაურასთან ხელი მოეწერა, იმ დროინდელ სონეტებს ვიღა დაწერდა.

ახლა წარმოიდგინე, რომ რომეო მონტეკის და ჯულეტა კაპულეტის გვირგვინი ეფსკვნათ. მოსალოდნელია მოქმედების შემდგომი განვითარების სამი თანასწორფფლებიანი ვარიანტი. პირველი — მიჯნურები მეშჩანური ცხოვრების ტალაღში ჩაეფლობიან. მეორე — რომეო ოტელოდ იქცევა, ყელში სწვდება სატრფოს და რითი დამთავრდება ეს ეკეთილშობილი გაბოროტება, ყველასათვის ნათელია. ანდა მესამე — რომეო მაკბეტი გახდება, ჯულიეტა — ლედი მაკბეტი... დიდუ, რა ჭიისა და ვაკლახში გახვევდნენ ქვეყანას...

მაშ უკეთესია, თავი რომ მოიკლეს?

პირდაპირ მთაწმინდა იყო, რაზედაც ჯერ კიდევ ქველი, სიმეტრიული და წაუწვეტავი ტელეანძა ალმართულიყო. ლითონის კონსტრუქციის სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული წითელი გამაფრთხილებელი შუქნიშნები მკეთრად გამოიყოფოდნენ რძესავით მოცისფრო ფონზე, რომელსაც ანძის ფერხთით მდებარე და მისკენ მოქცეული პროექტორების სხივები ქმნიდნენ. თითქოს შავ ცის კრიალა სატეკარი ესობოდა და ზედ მეწამული სისხლის წვეთები ღვივოდნენ.

ესეც ახალგაზრდა პოეტის შედარებაა, რასაკვირველია.

გაგიგონია ალმათ, რომ მელეკსეს საჭიროა „ერთი უნნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს". გაგიგონია რომელია. ეგ სიტყვები ტრფიალისგან ლამის ნაინფარქტალ გულზე ოქროს ასოებით გაქვს ამოტეიფრული. ზედმეწევნით იცი, რომ გასაიცქია, როცა პატიოსან მიჯნურს ზემოთ მოხსენებული ზნეობრივი პრინციპი ძალისა და რბილში არა აქვს გამჯდარი. არ შეიძლება პოეტს „დღეს ერთი უნდეს, ხვალ ესა სხვა". სწორედ ამიტომ, შენ რომ შეყვარებულს სიტყვა მიეცი ერთგულების თაობაზე, ის სიტყვა ლეგირებული ფოლადია, რვალია. ახლა ვიღაცა ზუოგს უკან რაღაცას თუ ლაყბობს, წესიერი კაცი არც დაუგდებს ყურს. ნიჭიერ მწერალს მტერს და მოშურნეს რა გამოულეს... იძახიან, თითქოს ვიღაც მარტოხელა ქალაშვილთან დადიხარ სტუმრად... რას არ მოჰქახავს ბორტი ენა! სეკატორით, დიახაც სეკატორით უნდა მოიჭრას ჭორიკანა სამეტყველო აპარატის ეს ბოავირი ორგანო. სხვა მაკრატლით არაფერი მოხერხდება ისეა იგი დაკუნთული ბუდგიე ლაყბობა-ეარკიშის წყალობით... საწყალი გოგოო... ამ ცილისწამების აეტორი ციხეშია ამოსაკლობი. დაჩაგრულთა ქომაგები გამომიჩნდნენ! რა პირფერობაა, რა ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისაკენაა! ნამდვილად მოწამლული ეკაკუთმით აქვთ გატეხილი თავები ზზამიანი გამონაგონის დამყოლებს. ის გოგო საწყალი მაშინ იქნებოდა, მარტოობა რომ აწუხებდეს. მაგრამ შენ ხომ ცხადდები ხოლმე მასთან, რათა მხოლოობით რიცხვში დარჩნილმა არ მოიწყინოს. ეისი რა საქმეა როგორ ართობ. მთავარია, რომ არც ერთი წუთით არ გინელდება სპეტაკი სიყვარული ნამდვილ და განუმეორებელ სატრფოსადმი, ვინც საცოლედ შეიერებული ბიჭი მტრების ინტრიგების გამოისობით ასე უღვთოდ მიგატოვა... რა ჯალათური გულქვობაა!

სულმთლად მოგეშვერი, ბიჭო თავი? მაგას რას შვები? ვაქაცეს ცრემლები ღაპაღუპით ჩაგოგდის? ვაი სირცხვილო!

- რას ქვთქვითებ, შე დედალმაზო? აბა, რას ყოყოჩობდი — დარდინანდი ვარო, ძველი ბიჭი, ლოთი-ფოთი-ზეოთი, დონ-ჟუანები და მემრეშე, თავზეხელაღებული ჰუსარი, სამოკიტნოში ბოშა ქალებში გარეული მომწესსხველ ბარიტონს რომ აყოლებს ალვარახსნელ, ჯადო სიმღერას — შავი თვალები, მწველი თვალები... ოჭრონაწერი შამპანერით ვედროებს რომ ავსებს და ლეგნა და შავრა ცხენებს ალევინებს? ეეკ, შავი თვალები, მწველი თვალები... ეა, თავგამეტებული ბრტყლორი ალარა ხარ, მეშორნენების და მემეკრეების ყოველ ოდნავ უზრდელ სიტყვას სილის გაწვნით რომ უპასუხებს და მზადაა ყველა მანდილოსნის და საკუთარი თავის, ჯერ მანდილოსნის და მერე საკუთარი თავის ღირსება დამბაჩით და ზშაგით დაიცვას? ზშაგით იმიტომ, რომ ჰუსარი

...ამბიდექსტრი. ეს უცხოურად ყურის მომჭრელი სიტყვა იმ ადამიანებს აღნიშნავს, ვისი ორივე ხელი ერთნაირად მარჯვეა.

სილამაზეს, რასაკვირველია, მხოლოდ აშკარად გამოხატული სიმეტრიულობა არ ქმნის. ყოველგვარ ასიმეტრიულობაში შეიძლება მეტ-ნაკლებად დადგარული სიმეტრიულობის აღმოჩენა. ხელოვნებაში თვალსაჩინო თანაზომიერებით გაპირობებულ ჰარმონიულობისაკენ სწრაფვაზე უფრო უფლებამოსილია ლტოლვა არათანაზომიერ, რთული და შინაგანი პროპორციულობით წარმოქმნილ სილამაზისაკენ.

სიმეტრიულობა ზეოსის პირამიდა. ასიმეტრიულ-სიმეტრიულია აფროდიტე მილოსელი. ორივე უმაღლესი ხელოვნების ნიმუშია.

ეგვიპტურ პირამიდას, როგორც დესპოტური მონარქიული რეჟიმის ნაყოფს, ამასთან — აკლდამას, წესით უნდა ეუცხოვებოდეს ყოველგვარი მოძრაობა. მოძრაობას ცალსახებები მოსდევს ხოლმე, რაც ერთპიროვნულ მმართველობას ძირს უთხრის. მიუხედავად ამისა პირამიდაში თითქოს დაგუბებულია მოძრაობა, პოტენციური ენერგია. სადაცაა ჩაირთვება ძრავები და ეს ეკვა, წაწყვეტებული თავის მჭიდრო რაკეტა მიწას მოწყდება. ოღნავ დააყოვნებს და ზევით წავა. დიდმა ხელოვნებამ არ შეიძლება კონიუნქტურული მოთხოვნების გამო არ არეკლოს სინამდვილეში არსებული მდგომარეობა და ძირითადი წინააღმდეგობები...

გამომჩნნდა ხელოვნებისმცოდნე. პირამიდა გაჭირვებით ალბათ შეიძლება რაკეტის ზემო ნაწილს შეადარო, რომლის მთავარი ნაწილი, ასე ვთქვათ, წელი და კუდი მიწაში არიან დაფლული, მაგრამ ამგვარ მსგავსებას მეოცე საუკუნის ზოგიერთი მკვიდრი თუ დაინახავს... რა მნიშვნელობა აქვს, რას მიაშვავნებ. მთავარია, რომ პირამიდაში ნამდვილად იგრძნობა დაგუბებული პოტენციური ენერგია.

აფროდიტე, ანუ მდაბიურად ვენერა მილოსელზე, რა ბრძანეთ აზრებს მოგვაწოდებ, კაზმულ ხელოვნებათა პროფესორო? მიდი, ჯერ ვუღაბარულ სოციოლოგიას გადაუხადე ხარკი, აღნიშნე, ძველბერძნული დემოკრატია მონათმფლობელობას რომ ეყრდნობოდა. ახლა ესთეტიკური კრიტერიუმი მოიმარჯვე... ოღონდ იმის გარკვევა არ დაიწყო, რომელი ხელოვნება უფრო მაღლა დგას — ძველეგვიპტური თუ ელინური.

ელინებმა მოძრაობა გაბატონეს, აშკარად გამოაჩინეს ქანდაკებაში. მას შემდეგ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებები მოძრაობას და მის განუყრელ თანამყოლს — ასიმეტრიულობას ვერ უგულებელყოფს.

მოძრაობა, ასიმეტრიულობა სტანდარტულობას, ტრაფარეტულობას ნიადაგს აცლიან, მკითხველ-მაყურებელს დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ უბიძგებენ. ეს იწვევს სუფთა კრიტიკულად მიუდგე ალიარებულ ესთეტიკურ ფასეულობებს.

სინამდვილე ერთდროულად ქაოტურიც არის და ორგანიზებულიც. ერთი არსის ორივე მხარე დასანახია და ასასახი. აქ კიდევ აუცილებლობაზე და შემთხვევითობაზე შეიძლება ილაყაფო, მაგრამ ღირს კი ცნობილი ჭეშმარიტებების გამეორება?

სრულ სიმეტრიულობას ვერაფერი დაიკვეხნის. დედამიწა ბურთი კი არაა, არამედ განუწყვეტელი ტრიალისგან პოლუსებზე შეჭყლეტილი, ეკვატორზე ამოზნექილი, თანაბარ რადიუსს მოკლებული არასწორი სფეროიდული სხეული. ამ განსაზღვრის ჩამოყალიბებისას სიმეცირის გამო შეიძლება უგულებელყო რაღაც ათეულმეტრიანი ეკვერესტი, კიდევ უფრო დალეული კილომანჯარო და მთლად კოკოჭინა კავკასიონის მწვერვალები.

მეცნიერების მიერ აღმოჩენილი არც ერთი სახელგანთქმული კანონი ზუსტად, გადაზრების გარეშე არსად და არასდროს არ ხორციელდება. ეს სამყაროს ასიმეტრიულობის გამო ხდება. თუმცა არა მარტო ამ მიზეზით. რეალობა ვერ ეტევა იმ სქემებში და მოდელებში, რომლებიც მისი შესწავლის და შეუთავაონი გონებრივი შრომის შედეგად წარმოიშვებიან. მეცნიერების განვითარება ამ სქემების და მოდელების უარყოფა-გაფართოვებაა.

ოკეანეში მოძრავი ორი კონტინენტი უაზლოდ ებმოდა ერთმანეთს. ბოლოს შეეხენ ტეხილი მოსაზულობის მჭიდე ნაპირები. მოძრაობა შეწყდა, რადგან უკან დახეული კონტინენტები არ კადრულობდნენ. მაგრამ დაწოლის ძალა არ დამცხრალა. სამი თუ შვიდი ათასი წელიწადი გავიდა — ეს არავინ იცის, მაგრამ შეეფთების ადგილას მიწის ქერქს ნაკეცი გაუჩნდა. უსწორმასწორო, დაღარული, მრავალთავიანი, ეს თავები ღრუბლებს ზევიდან დასაკენრდნენ...

კავკასიონის ქედის წარმოქმნის ამგვარი ჰიპოტეზაც არის გამოთქმული.

მთაწმინდა კავკასიონის ქედს არ ეკუთვნის. პირველად როდის დაინახე მთაწმინდა ისევე არ გახსოვს, როგორც არ გახსოვს, პირველად როდის გაიგენე რუსთაველის სახელი.

ისე გეჩვენება, თითქოს მუდამ ასე იყო. ყოველთვის იცნობდი რუსთაველს და მთაწმინდას.

ყველაზე უწინ ლექსში თუ რომელმა პოეტმა ახსენა მთაწმინდა, ეს გვიან შეიტყე. ადრე ამაზე არც დაფიქრებულხარ. ქვეცნობიერი

რწმენა გქონდა, ვითომ მთაწმინდის გარეშე ქართული პოეზიის არ ფარსებია.

ახლაც არ გინდა დიჯერო, რომ ორასი წლის უკან მთაწმინდა ისეთივე ჩვეულებრივი, ქალაქგარეთ მდებარე გამაშვლებული მთა იყო, როგორც, ვთქვათ, მახათა.

მთაწმინდაზე მრავალი ლექსია დაწერილი. ბევრი სუსტი და საშუალო, ცოტა — კარგი. საოცარი — თითვზე ჩამოთვლება. იმიტომ რომ ასეთ ლექსებს დიდი პოეტებიც ათასში ერთხელ წერენ.

აკაკის „განთიადი“ ჯერ კიდევ ბავშვმა გაიზეპირე. გაგონილი გქონდა მჯობინა მჯობინაო... ამასთან გაკვირვებას ყრუსნტელს გგვრიდა ცის ფირუზთან და ხმელეთის ზურმუხტთან შედარება.

გაიზეპირე და გაამაყდი.

ეი სტუმრები მაგიდას უსხედან და შემოგცქერიან. შენ ლექსს ამბობ, ალტაცებაში მოგყავს ხალხი. იმით, რომ სალაწირაკო ამბავს კი არ მოყვები ბრაკონიერ სესენზე, ვინც სიცოცხლე გაუშწარა კაცობრიობის ფრთოსან მეგობრებს, არამედ ზეპირად და არტისტულად თქვი დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის „განთიადი...“ შემდეგ მთლად გადარეკ მოწვეულ სახოგადოებას, როდესაც ინგლისურად ჩაუკაკლავ ვინმე ლონგფელოს მიერ შეთხზული ისტორიის გატყორცნილი ისრისა და დაკარგული სიმღერის შესახებ. იმაზე, თუ მრავალი წლის შერე ატრიმმა როგორ იპოვნა ოდესღაც ნასროლი ისარი — იგი ჯერაც გაუტეხელი ხვნი იყო გარჭობილი. ხოლო ოდესღაც ნამღერი და გამქრალი სიმღერა მთლიანად შენახული მეგობრის გულში აღმოჩინა.

სტუმრების სამოლოოდ გასაგიჟებლად, სამწუხაროდ, ფრანგულად ვერ იტყოდი ასოციალური ხელოვნების თახსირი პაიროსტარის, რომანტიკული სკოლის უნამეცო მოდალტის, საზიზღარი ესთეტიკით გაჟღენთილი წოვნის „ემალები და კამეების“ ავტორის ტეოფილ გოტიეს ჩინებული ლექსს „გელის ალმასი“. ოქ იმაზეა ლაპარაკი, რომ ყველა ინახავს სიყვარულის საწინდარს. ვინ — შავი თუ ქერა თმის კულულებს, ვინ — ქალის ხელთათმანს, ვინ — საშვილ წოდებულ მცირე სურნელოვან ბალიშში ჩაკერებულ პარმის იებს; სხვა — სატინფოს პატარა ფეხსაცმელს ან მის ნიღაბს... ხოლო ლირიკული გმირი ლუარჯი თვალებიდან დაცემული ცრემლის ნაკვალევს ქაღალდზე. ეს ცრემლი ავტორმა თავისი ლექსის კითხვით გამოიწვია... ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

სინამდვილეში ასე მოხდა.

თავის გამოსახენად სტუმრების წინაშე მართალ დაიწყე „განთიადის“ კითხვა. გაიფიქრე — ხომ შეიძლება დამავიწყდეს ტექსტი? და უსიამოო შეგრძნების მოსასპობად უეცრად შეწყვეტე დეკლამაცია. მეორნი ალარ მახსოვსო, თქვი. გულწრფელი და ხმამაღალი ხარ-ხარ-ხარ ხანს გაგრძელდა. მეწყნარდებოდა და ახალი ძალით იფეთქებდა. მეორნი ალარ მახსოვსო, ხა-ხა-ხა. ამდენ სიხარულს ალბათ სხვა ვერაფერი მოიტანდა.

მაინც კითხვის უცება შეწყვეტა გერჩივნა. სავალალოა, ხმა რომ ჩაგიბარდება და სიტყვებს ეძებ. ყველანი ცდილობენ წამოგეშველონ, მაგრამ როგორ, როცა თვითონ არ იციან ლექსი... თანაგიგრძნობენ — არა უშავს, მერე ისწავლეო...

არა, სჯობს სიცილი დაგაყარონ, ვიდრე პირფერულად შეგეცოდონ.

...მაშინ ნასწავლი „განთიადი“ ეხლაც ზეპირად იცი. იქნებ ორ-სამ ადგილას ოდნავ წაბორძიკო.

აკაკის „განთიადი“. ჩვეულებრივი ლექსიკის გამოყენებით, მორფოლოგიის და სინტაქსის ზღვარამდე დასულ უბრალოებაზე დაყრდნობით პოეზიის რა თავბრუდამხვევ სიმაღლეს იპყრობს მგოსანი.

ცაში ეზიდული მწვერვალის დასანახავად საჭიროა კეფა ზურგს მიაკრა და ისე აიხედო ზევით...

პატრიოტული გრძნობის გამოსახატად არაერთხელ გამოთქმულია სამშობლოში დაბრუნის სურვილი. ვინმეს ამით იქნებ უკეკლუცა კიდეც...

მაგრამ განსაკეთდებული და გამოგნებულია:

„დედაშვილობამ, ბეგრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო, ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო...“

ერთმანეთს ერწყმის სიცოცხლის მშვენიერების და ამოვების შეგრძნებები, სამშობლოს უებრო სიყვარული, როგორიც მხოლოდ იმას შეიძლება გაარნდეს, ვისაც იგი ადამიანის არსებობის მთავარ გამართლებად მიაჩნია... ეს თხოვნა — ასე მორიდებული („ბეგრს არ გთხოვ“) და ამასთან თითქმის კადნერი („შენს მიწას მიმბარეო“). თითქმის კადნერი იმიტომ, რომ ამაზე მეტს სამშობლო ვერაფერს გაგიკეთებს.

„მთაწმინდიდან ქარს მოქონდა ნუშის ნაფერთალი, ცას ვარსკვლავი ანათებდა, ვით კამეჩის თვალი...“

პირველი წაკითხვისას ეს ლექსი ოდნავ უცნაურად ეღერდა. ამას მიმზიდველი ბუნდოვანება იწვევდა. ლექსი საკალმახე წყალივით წყრიალებდა. თანდათან ბუნდოვანება გაიფანტა, მხოლოდ ერთგვარ ოდუმლებას მოეცვა კონკრეტული და ზუსტი მხატვრული სახეები.

„ვით კამეჩის თვალი“. ეს შედარება მეორ-

დეა. რომელიღაც გამოკვლევაში კამეჩი მარტო ზევითაა დატოვებული, ქვევით ალმასითაა შეცვლილი. „ჩაჭრა ყველა ვარსკვლავები, ვით ალმასის თვალი“. ზეტფფორამ დაკარგა ლაზათი. ალმასად კი არა, ჩალად აღარ ღირს, რადგან ბუტაფფორიელი იერი მიიღო. ეს უცხო სხეულია. გიორგი ლეონიძის პოეზიას ვერ შეეთავსება. ამ სამყაროს ღვიძილი შეიღია პირველდელი, იქნებ ოდნავ ზედმეტად მოულოდნელი მოუმზადებელი მკითხველისათვის, თამამი შედარება. ჯერ ღამეული ცა — კამეჩის შავი პროფილი, ზედ სხეიეზი ცისკრის ვარსკვლავი, ასპირიზი. ვენერა. მერე: ჩაქრნენ ყველა ვარსკვლავები. კამეჩმა თავი მოატრიალა და შემდეგ თვალები დახუჭა. განმარტებები ნებისმიერია და, რასაკვირველია, სუბიექტური.

ამ ლექსის რუსული თარგმანი უფუოდ კარგადაა შესრულებული. იქნებ ძალიან კარგადაც, რაც საკმაოდ იშვიათი რამაა.

დედანში წაკითხული ლექსის თარგმანს ძვირად თუ მოუტანია შენთვის ესთეტიკური სიხარული. დედას უფარდებდი და თარგმანი ყოველთვის წაგებული რჩებოდა. ძლიერი ნაწარმოებია ნაგულისხმეი. ბჭკარედის გამოყენება თავისთავად დადებით ამბად ვერ შეფასდება, გარდა ამისა მთარგმნელმა აუცილებელი ღრმად, შესაძლოა ზედმიწევნით იცოდეს ავტორის შშობლიური ლიტერატურა, მისი ქვეყნის ისტორია...

ვინ მოთვლის რამდენჯერ მოუყვანიხარ აღტაცებაში ლერმონტოვის მიერ რუსულად გადმოტანილი ბაირონის „ეგრაუულ მელოდიის“, გოეთეს მინიატურას „მთების მწვერვალებზე“, ჰაინეს ჩრდილოეთ ფიჭეს და სამხრეთულ პალმას...

დიდი პოეტის შემოქმედების სრულყოფილ თარგმნას ალბათ მხოლოდ დიდი პოეტი შესძლებს. ეს ჩინეველ ოსტატსაც კი უქრია. ვალერი ბრიუსოვის პროფესიული ოსტატობა საყოველთაოდ აღიარებულია... მაგრამ მის თარგმანებს ხშირ შემთხვევაში თითქოს რაღაც აკლიან. იქნებ გაუმართავი სტრიქონები, ხორკლიანი სახეები, ეფფონიური არაკეთილხმოვნება... ის ხარვეზები, რაც ღირსებებს უფრო გამოაჩენს. გააკოცხლებს გაყინულ მზერის მეჭრე სუფატურას. ცოცხალ ორგანიზმს ყოველთვის გააჩენია ფიზიკური ნაკლოვანებები. მათი სრული აღმოფხვრის მცდელობა სასიკეთოდ ალწერავს ფერის.

იმბობენ, ბოდლერმა განსაკეიფრებლად თარგმნა ედგარ პო.

საერთოდ დიდი პოეტები მთარგმნელობით მოღვაწეობას ბევრ დროს არ უთმობენ. ამ საკმარისობისას, როგორც წესი, ერიდებიან მხატვრული ძალების მაქსიმალურ დაძაბვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა
NATIONAL LIBRARY

გაამტყუნებდ? განა საკუთარი ცოტა აქვთ დასაწერი, რომ მთარგმნელობა პროფესიონალიცოინ? სიუჟეთა თავისი შემოქმედების ‘ენინგე სხვისას მიეცეს უპირატესობა. სწორიცაა. არსებულის სხვანაირად აყოფერნას ახლის გაჩენა სჯობს, მას ვინ უწყის რა ღირსებები დაყვავა.

ისე კი... თუკი შესაბამისი მონაცემები აქვს, მარილა დიდმა ქართველმა პოეტმა არ უნდა აარიდოს თავი მთარგმნელობას. იმიტომ რომ დღეისდღეობით მსოფლიო პოეზიის კლასიკოსების რამდენი ნაწარმოებია ქართულად მაღალ ღონეზე გადმოტანილი? იტყვი თუ ვერ გაბედავ?

ფილიდან თავში გიტრიალებს კარგი ფრანგი მეულქესის ორი ქკვიანური სეედით შეფფერილი სტრიქონი: „შენ გგონია ოცდარვა წლის ასაკში სასიხარულოა გრძნობდე, რომ პოეტი ხარ?“

ხოლო ორმოცდარვა წლის ასაკში ვითომ სასიხარულოა?

გვიანი შემოდგომით ასეთი ღღეები იშვიათად იცის.

ადრიანი ფილით ვერის უბანი შინაურულად გამოიყურებოდა.

მზე ჯერ არ ჩანდა. აქა-იქ გაფანტული ღრუბლების თეთრი ქულები ოდნავ შეწითლებულიყვნენ. თითქოს გადმოპირქვავებულ მოლურჯო ლამბაქზე ალაგ-ალაგ დნებოდნენ ვარდისფერი ნაყინის ნარჩენები.

აღმრთიან ქუჩაზე მანქანა გაჩერდა, სახურავზე ტელეფონის ანტენა ქონდა გაკეთებული. გადამკვეთ ქუჩიდან შავტუხა, ტანსავსე გოგომ გამოიჩქარა. კარი ხმაურით დაიხურა და მანქანა სწრაფად გაყვა მორიდებულ მაგისტრალს, რაც შარავანდედით მოსილი მეფის დიდებას ვერ შეიშვენებდა. მარჯვნივ — მთის კალთებზე უპირატესად წიწვიანი ნარგავები, მარცხნივ — ღია ფერის ეკლესია სამრეკლოთი, შეუხედავი დაბალი სახლები. ზევით — საბაგირო გზის გაკიმეული მუქი ვეარლები.

მხნედ მიბპიჯებდი. მალე მიადექი მთაწმინდის ქუჩას და აღმრთში წახვედი. აღმოსავლეთ მხარეს შემოდგომაზე გაზრდილი მზის ბურთი იწვეტრებოდა. ტელევანძის გვერდით მთის თავზე მოთეორო მთვარე ხეებს ეხებოდა — თითით გაკსულტელი რძის წვეთი ლურჯ მუშამბაზე. მეუშამბის ფერს რძის სითეთრეში ოდნავ გამოეეთნა, ცოტათი გაეშუქებინა.

მეოთხე მკვეთრ მოსახვევში ამ მთვარისფერი ავტომობილი იდგა. სახურავზე ტელეფონის ანტენა ქონდა. მოსახვევი მოუკრა, მანქანის სიახლოვეს რომ არ გაგვეკო. გაკერით დაინახე — სახურგის წაქცევით საწოლად ქცეული დასაჯდომიდან წამომდგარმა გოგომ მზერა გესროო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლის გინება არ გაგიგონია... მცირე ხანში ძრაგი გაბრაზებით აბმაყრდა და მანქანა თავდაღმართში დაიშვა, რათა უფრო უკაცრიელი სადგომი მოენახა. დროებით შეუშალე ხელი სამსახურებრივი ლიმუზინის შეუსაბამო მოხმარების მცდელობას, მძღოლის მიერ უფროსის ნდობის ბოროტად გამოყენებას... თუმცა ვინ იცის. იქნებ ავტომობილის ბუდუარად გადაქცეულ სალონში სძირაკული ეყრებოდა რკინა-ბეტონის სიყვარულზე დფუფნებულ ფესვებაგარ ოჯახს, რომელსაც სასაცილოდ არ ეყოფა:

1. ჭერის თავზე დამჭე

შეგეგრეს, მაგრამ ალაევრდა არავისთან გადახვიდეს... შექმენი, მიდი, ვერაგ სატრფოზე მამხილებელი, ირონიული ნაწარმოებები. უკვე დაყვავი საკუთარი და მისი სახელები. ბოდიში ქალამბერისთვის, სატირალი საქმე სატირად აქცევ, სოლოლაყელ ოვეველო, ვერცელი ლეკიანეკვ. ეყო იმ მზაკვარს, რაც აქამდე ესაოუთეკ...

სამმა ბიუმა და ერთმა გოგომ იენისის ღამე გაათენეთ მთაწმიდის პანთეონში. მაშინ იქ შესასვლელი კარები საერთოდ არ იყო. ოთახამ ადგილს, როგორც ბაღში, სკამები იდგა. მზის ამოსვლამ გაგახალისთ ძილგაფხიზლები. მას არა იმდენად ესთეტიკური, არამედ პრაგმატული თვალსაზრისით შეხედეთ: მთელი ღამე ლექსების კითხვაში აქ გაატარეთ, ეხლა მშვიდად შეიძლებოდა სახლში წასვლა დასაძინებლად. რაღაც სიამაყის გრძნობა გაგიჩნდა, კიდევ ერთხელ დარწმუნდი შენს ჭეშმარიტ პოეტობაში. ვალდებულად თვლიდი თავს ამ ღამეზე ლექსი დაგეწერა. ამ სოციალური დაკვეთის შესრულებას ოთხი თუ ხუთი წელი დაჭირდა. ნამალდვეი ლექსი ასე იწყებოდა — მთაწმიდის მზეზე ლექსების წერა ძნელია ისე, ვერ წარმოიდგენ. ჯერ იყო ღამე, ქარები ქერა როცა გვესტუმრნენ, როცა მოვიდნენ:...

პირველი სტრიქონი გამოცდილებით იყო ნაკარნახევი და აბსოლუტურ სიმართლეს წარმოადგენდა.

ფუნიკულერის ზედა სადგურის შენობის წინ, ღილის ხუთ საათზე, ზაფხულის დროით, მთელი სერიოზულობით ვარჯიშობდი და ქვევით გაშლილ ქალაქს მზერას ესროდი ხოლმე. რესტორნის და ანძის დარაჯები ალბათ ძილში დეტექტიურ ტელესერიალს უცქერდნენ.

ადრეული გათენების გაუბედავი სინათლე ედებოდა არე-მარეს. ცისკრის ვარსკვლავს ბრწყინვა დაეკარგა, მარტოდ დარჩენილი სატყვის მარცვალს გავდა, რომელიც დნება.

ხელებით წინ მდებარე მოაკირის დაეყრდენი. მოხარე და გამართე მკლავები. ერთი-ორი-სამი-ოთხი... ზუსტად შენს ქვევით ფუნიკულერის ციცაბო ლიანდაგია. ერთი-ორი... მაგრამ ბევრად უფრო ახლოსაა ქვის ფართო მოაკირი. იდაყვებმოღუნული სახეს ლამის ზედ ადებ. მოაკირი ჯერჯერობით ისტორიული ძეგლი არ არის. მიუხედავად ამისა დანით ამოჭრილი წარწერები ბლომადაა. დამთვალიერებლების სახელები... რა ქალაქიდან ჩამოსულან... ერთი-ორი-სამი-ოთხი... ოო, ეს უკვე საკრფიალო ინტიგის ანარეკლია: ნაპო+გალია+ხო. მთაწმინდა ბოჯრის და სიყვარულის მთაა. სარნტერესოა, როგორი „ხოთი“ დამთავრდა ეს რომანტიკული ისტორია. დასტურმა ქორწინების სახლში მიიყვანა მიჯნურები... თუ მილიციის განყოფილებაში... გაუპატიურების მცდელობის საათის... იქნებ გაასახლეს ნაპო უფროსობა ელენეს კუნძულზე... ერთი-ორი-სამი-ოთხი... მოვრჩეთ, გავეყოფა.

იქვე ლურსმნით ვიღაცას წაუწერია — ხარდა. ნუთუ შოთამ დატოვა ავტოგრაფი? არა, მეტსახელი მაინდამაინც არ ეპატნევებოდა. თუმცა ვინ იცის... შენს კლასში სწავლობდა თბილისელი ბიჭი, ერთ მერხზე იჯექით. შოთა თურმე გეომეტრიის პასუხობდა, დაფაზე რაღაც-რაღაცეებს ხაზავდა და ნიკოლაი; ფილიპოვიჩის კითხვაზე მიუგია — აქ ხარდა უნდა გაკეკლოთის. მახვილი სწორად არ დაუსვამს, ხარდა ხარდად ქცეულა... კლასს გულიანად უხარხარია. მასწავლებელს არ გაუცინია. როგორც ყოველთვის. უკმაყოფილოდ გაუხედე-გამოუხედია და თავისი საყვარელი ნიშანი — სამიანი ორი მინუსით დაუწერია. შოთას სახელი ხარდა მჭიდროდ მიეწება. ეს შემთხვევა კი მოსაყოლ ამბად იქცა. ყოველ ახალ მოწაფეს უყვებოდნენ. შენც გამეცინა, როცა ამ სკოლაში გადმოხვედი. ამან კიდევ უფრო ფრთხილი გიგახადა. თუ დარწმუნებული არ იყავი, როგორ გამოთიქმის სიტყვა, არაფრის დიდებით არ წარმოსთქვამდი. ყალბად გაგებულმა თავმოყვარეობამ ერთხელ ორიანი მიგაღებინა.

დაფაზე მაგალითი ეწერა. უკომენტაროდ ვინდოდა გამოგეკეთა. ვინ გაცალა. თქვით, რა უნდა გაკეთდეს... ეს ოხერი, ორი დღის მოსული იყავი ამ სკოლაში და ზუსტად არ იცოდი, როგორ უნდა თქვა — შეეჯაჭმოთ... რად უნდა ლაპარაკი, ისე გავაკეთებ... თუ იცით, რის გაკეთებას ამირეთ, რატომ არ ამბობთ... ჯერ გაკეკთებ, მერე ვიტყვი... ეგება პასუხი შემთხვევით გამოვიდეს სწორი, ალალბედად... სულ ერთი არ არის... არ იცით, ძალიან ცუდი. ორიანი.. დაბრძანდით.

ნიკოლაი ფილიპოვიჩს არც მაშინ გაუცინია, არც მერე. მთელი მრავალწლიანი ნაცნობობის მანძილზე მის სახეს ღიმილის შორეული ლანდი არ გაკარებია. მართლა.

შემდეგ მიხვი, რომ ენაზე მოსული იმ საუკეთო სიტყვის თქმა შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, არავინ დაგცინებდა. პირველ ხანებში იყავი ასე წინდახედული და ფრთხილი. თანდათან იმდენად აიმენი თავი, რომ ლამის სხვებს ასწავლიდი სწორად ლაპარაკს... მაგრამ ერთი რამ შეიგნე — მშობლიურ ენაზე მეტყველებასას დაშვებული შეცდომა, ისე ეთქვათ, შინაურული, ორგანული, რაც ენის ქსოვილისთვის უცხო სხეულად ვერ გადაიქცევა და ამიტომ მხოლოდ ღიმილიანი დაცინვის გამოწვევა შეუძლია. ხოლო არამშობლიურ მეტყველებაში მისი ბუნების საწინააღმდეგო მცირე ხარვეზიც, რომელიც ენის სპეციფიფუას არღვევს და უჩვეულოდ ყოვის, მძლავრ იუმორისტულ ეფექტს ქმნის.

შოთა და შენ ძირითადად ქართულად ლაპარაკობდით. გესმით, რას ეუბნებიან ერთმანეთს თუ ჩვენ გვაშაყირებთო, — გკითხთ ერთხელ შუბლიაკოცა. როგორ, ეჰეი გეპარება? აბა, ხარდა ყურში უთხარი რამე, ის თარგმნის და მეტყვის, მე პირიქით ვთარგმნი და თქვენ გეტყვით. ესე იგი გითქვია: ჩვენ კლასში სამი ფრიადოსანი სწავლობს. სწორია, გაუბარდა ვალოდია შუბლიაკოს. მასზე არანაკლებ ვიიხარეს კოსტოევა, სამოდელკინმა, კუზნეცოვმა.

ერთხელ მოგეჩვენა, რომ შოთა ცდილობს გაგაამპარტყლოს. გაბრაზდი, მითუმეტეს რომ უშნოდ გამოსდიოდა ეს. შეეშვი მაგას, — უთხარი ერთი-ორჯერ. არ დაიშალა. მაშასადამე, თავზე დაჯდომას გიპირებდა. ღილით გაიფრთხილე — გაკეთილების შემდეგ ეზოში დადგილდები, მდინარეზე ჩავიდეთ და დავარტყაო. ის შენზე ბევრად დაბალი იყო. დამტაფმელი არც ერთი არ ყოფილხართ.

მე ძალიან მიეცარის ჩხუბი, — მთელი დღე იძახდა შოთა. — მე სულაც არ მეშინია.

ჩხუბი როგორ უყვარდა და შეეძლო, ეს ნანაბი გქონდა. ოღონდ კუზნეცოვმა და მაგან — მანამდეც და მერეც ლამის ცდილ-ცდილზე გადაბმულმა დოსტებმა — მდინარის ნაპირზე გამართეს ბრძოლა, რაც თხუთმეტ წამზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. დროის ამ მონაკვეთში ჰაერში ატრიალეს ხელები და შემდეგ ერთმანეთს გადაეხვიენენენ. აკოცეს. სეირის საყურებლად მოსულ ხალხს პირში ჩალა გამოავლეს. ყური არ უგდეს არც შეგდლანებას, არც დაჭინებულ თხოვნებს ბრძოლის გაგრძელების თაობაზე. შენ მათთან ერთად დატეტე შერკინების ველი. მოწინააღმდეგეებები აღგზნებულად უმტკიცებდნენ ერთმანეთს — არა, მე გცემე, არა, მეო... ორივეს ხმაში სიამაყე გამოსჭვიეოდა. ურთიერთ პატივისცემის შესახებ ძნელი სათქმელია...

...ფაწკარი მათხოვე, — ეუბნება შენს მერხზე მჯდარი შოთა. — ხომ არა გგონია, მეშინია? ერთი წუთით არ იფიქრო.

მერე ცვლაში სწავლობდით. ადრე ღამდებოდა. ბოლო გაკეთილს შოთა არ დასწრებია. საღამოს ეზოში მისი ჯაჭანება არ იყო.

ღილით სკოლაში — ვითომ არაფერი. ოღონდ უშნოდ გაპამპულების ცდა ადარ გამეორებულა.

კრეზეზე ერთ ფრიადოსანს ათქმევინეს:

— ეგენი უკანა მერხზე სხედან, გამუდმებით ლაყბობენ. მასწავლებლებს ყურს არ უგდებენ, ორიანებს მიიღებენ, აბა, რა იქნება.

„ეგენი“ ამ შემთხვევაში შენ და შოთა იყავით.

— იქნება სხვადასხვა მერხებზე გადასმა აჯობებს?

— სავსებით სწორია, — დაადასტურა დამრიგებელმა ნიკალი ფილიპოვიჩმა და ჩვენკენ ჩაეკიცხა ტონით დაამატა,— კლასის პროსტიტუტებ სულ არ ფიქრობენ.

შოთა პირველ მერხზე დასვეს ფსეგდოფრიადოსან კრასკინთან. ვერც შოთა, ვერც შენ ოქროს მედლის მიღების კანდიდატები მაინც ვერ გახდით.

შოთას მგონი ყველაზე დიდი მიღწევა სწავლაში — მერეე კლასში წერით გამოცდაზე მიღებული ხუთიანი იყო. მერეე იმდენად გაბარებული კაცი შესაძლოა არ გინახავს. ვერ ოჯერებდა თავზე დამტყდარი ბედნიერების რეალობას. თემა — „ჩაკკის სახე გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ მიხედვით“ — შაარგალოდან გადაწერა. შენ შაარგალის გარეშე მიიღე ოთხიანი. ეს ლამის გმირობად მიიჩნიე. წლიურ მაჩვენებლებში ორიანის გამოყოლის საფრთხეს მოესწო საფუძველი. მისი ადგილი მტკიცე სამიანმა დაიკავა. დასაშვებია ზეიმს ერთი ნამეცი უკმაყოფილება ახლდა იმის გამო, რომ შოთამ გაჯობა. მარტო ერთი ნამეცი, ვინაიდან ამგვარი შეჯიბრება თავგადასადებ საქმედ არასდროს მიგაჩნდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა ნიშანსა დაუწერენ. მთავარია ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი იყო. იმ პერიოდში ზზარად გიჩნდებოდა რწმენა, რომ ხარ კიდევაც.

დაახლოვებით წელიწადნახევარში ნიკალი ფილიპოვიჩი მიხედა, რომ ძალიან ადვილად ითვისებ მათემატიკას. ესე იგი ლოგიკური აზროვნება გაქვს და სხვა საგნების შესწავლაც არ გაგიჭირდება, თუ მონდომებ. კაკეთილების შემდეგ დაგტოვა. სამოსანის პირში ქება არაპედაგოგიურ მეთოდად მიიჩნია, მაგრამ რამდენჯერმე გაგიმეორა: კლასი (თავისთავს გულისხმობდა) ელის, როდის გახდებით ფრიადოსანი. თქვენ შეგიძლიათ ეს. გესიამოვნა, დაიმორცხე.

სისტემატურ მეცადინეობას მაინც ვერ დაეჩვე. ვერ უდალატე დევიზს — „სამიანი და ჯანმრთელობა.“

ცისკრის ვარსკვლავი. სეტყვის ეული მარცვალი ბოლომდე დაადეს მზის ძალამატებულმა სხივებმა. ივნისის მზე სწრაფად ავიდა მაღლა. უზარმაზარი ციცხვიდან გავარვარებული, ელვარე და თხეკად ლითონი გადაასხეს თავზე ახლად გამოღვიძებულ ქალაქს. ალმერიან ჰაერს ავტომობილების გამონაბოლქვი გაზი კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა. მაშინ ახალი დაწყებული გმნნდა მთაწმინდის პლატოზე ფეხით ყოველდღიური ასვლა, ხან ბილიკებით, ხან ფუნიკულიორის ლიანდაგს გაყოლებული კიბით, მიზეზი — ჯანმრთელობაზე ზრუნვა, წონის სტაბილიზაცია. ადრიანი დილით მთის

კალთებზე იშვიათად გხვდებოდა ვინმე. დღისით აქაურობა ტურისტების განკარგულებაშია.

ოცდახუთი წლის უკან მოხვდა შენ ხელში ნინო ჭაკვაძის მიმოწერა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებთან, სასულიერო პირებთან. მის ყმაწვილეულნებას ვერ მოაბი თავი, მაგრამ მასალები გულდასმით წაიკითხე. მზერა გაადევნე ნინოს ქმრის სიფლავის ძეგლის დადგმის ისტორიას. გიგივ, რა ფინანსიური და მიეროკრატიული სიძნელეები გადალახა ქვრივმა. საქართველოს პირიმფეარა ასულმა.

მეზსიერებაში ცოცხლდებიან მისადმი მიძღვნილი ლტრარნები. მამამისის, გიორგი ერისთავის, გრიგორ ორბელიანის, გიორგი ლეონიძის...

„ჩემს შუბლს ეშუხენილს ვინ ნახავს, სულ მიცინის კაცები...“

„ნახეთ ნინას, როს სპეტაკ გულს, ვით დაეცა თოფელი ტყლად:

მას ეგორა სითეფრითა ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულ ლაგა...“

„საამო არს სახილველად, ოდეს ეარდი ნინას ეპყრას...“

„შენ მოგგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდა...“

სახელგანთქმული ქალის ბიოგრაფიის სქემაა მოხაზული ამ ნაწყვეტებში. თანამედროვის ცნობით, მას ქონდა მიბნეული სილამაზე და ანგელოსური ხასიათი, იგი დაეძლეველი ძალით იზიდავდა სულს. მაგრამ აღიარებული მზეთუნახავის ცხოვრებაშიც სიხარული და მწუხარება ენაცვლებიან ერთმანეთს და არავინ იცის პოეტ ალექსანდრე ჭაკვაძის პირიმშომ რა ნახა მეტი. ვინაიდან არა მარტო გრიგორ მოგლენებზე, არამედ ინდივიდის ფსიქიკურ წყობაზეა ბევრი დამოკიდებული.

ყმაწვილქალობაში წონანდლის მფლობელის შვილები მხიარული ზნით გამოირჩეოდნენ. კაბეფში ბილიარდი ედგათ, როიალი...

„როცა მე და კატინა ეთამაშობდით ბილიარდს, მაშინვე ფუტკა მოგვგარდება... დროს საკმაოდ სასიამოვნოდ ვატარებთ, კითხეა, ხელსაქმე, ზშირად ცხენით ვსეირნობთ“ (ნინოს ბარათიდან). „გენაცვალე, წიგნი მოგაქვრა ზშირად. სასაეროები ძალიან გვიამეა... გახსომს, საწყალი ფარტოსეი, როგორ გაგიეძახეთ იყო ნინასთვის, ეოლი შაირთო... და უწინდელს დღეობას და შაქეცეებს სიზმარივით იგონებს... ნეტა როდის იქნება, რო შენც მოსულიყავ საქართველოში და ჩვეულებრივ გაგვეტარებინოს ერთად სიამოვნით დრო“ (ეკატერინე ჭაკვაძეთან ბარათიდან). ორივე ბარათი და მათი დედის — სალომეს წერილი ერთ მოლიან ფურცელზეა. თარიღი — 1835 წელი. ადრესატი — გრიგორ ორბელიანი, რომელიც იმხანად რიგაში მსახურობდა.

გრიგორ ორბელიანის მიერ დაწერილ სულ სამოციოდე ლექსიდან ექვსის ნინოსადმი მიძღვნა მისი სახელის ან სათაურში ან ტექსტში ხსენებით დასტურდება. „ბიკვინის ესლეს სიყვარულსა ვითარ იპყრობს გული ერთი“. ეს გული პოეტს ეკუთვნოდა და ამიტომ სხვა გატაცებებსაც იტეედა. უპირველესად გრძნობას ოფიციალური საცოლის სოფლის მიმართ, თუმცა მასთან გაწბრობით ჩაგონებულ „გამოსალმებას“ რიტორიკული განსჯის ელფერი დაკრავს. იტეედა ინკოგნიტო მ...ს (ორი ლექსია მოშმე). იტეედა ფლორტებს ქალაქ ელეეის პოლიციმეისტერის ცოლთან და ფრაფინია ოპერმანთან, გიფმაკოს ბეერ სხვა ბანოვანთან. („ჭალნი... თამამნი ფოფაქეცეანი და ირშიყობის მოყვარენი... დაეირეზი ზშირად მათთან და დროცა მიდის მხიარულდა...“ „ხომ იცი პოლშის ქალები, რა რომანისტცები არიან... ერთი ქალი საკურნელად გავს ელენას, მარყუელნა ლოყაზედაც ხალი აკუს... მე პარველად შემოვიტანე ამათში ხალის ქეშა, რომელსაც დაეარეკი პრტოლოდ ლეტეი. მაგრამ ისეთი ბაიყუნა ქმარი ჰყავს, რომ რაღა გითხრა...“). კიდევ გაეიხსენოთ? რა საჭიროა. იქნება ყოველი პოეტის ცხოვრებაში ზუსტად იმდენი ქალი შემოდის, რამდენნიც აუეიკუნია. საქმე ისაა, ვინ რა კვალს ტოვებს, რა გაულენას ახდენს შემოქმედებაზე. შთამომაელები ამით ინტერესდებიან, ვინაიდან მწერლის დანატოვარიდან მთავარია არა დონეეფანური სია, არამედ ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც სიცოცხლეს განაგრძობს. იგი განაპირობებს გამქრალი ადამის ბიოგრაფიის, ხასიათის, ჩვეულებების, მატერიალური მდგომარეობის, სატრფიალო ურთიერთობების, სამსახეურებრივი კარიერის და სხვა ათასი რამის შესწავლას მეცნიერთა მიერ. ამ მხრივ ორბელიანოლოგიებს კიდევ ძალზე ბევრნაგი ეგაეთება მოეწეეთ. (ვანა შემთხვეევითია, რომ ნიტყვა ორბელიანოლოგი ისევე, როგორც გურამიშვილოლოგი, ბარათაშვილოლოგი, წერეთელოლოგი, უჩვეულოდ ძლიან?). საფეერალია, ლიტერატურისმცოდნეები ამ სამეზაოს არსებული არქივების სრული კომპიუტერიზაციის შემდეგ უფრო ინტენსიურად მოკიდებენ ხელს.

ალარ დაადგა სამეელი არქივების კომპიუტერიზაციას. რამდენი ხანია მოეთმენლად ველი ამ ამბავს და ვერაფერს ვერ ეგაეთებ. მოლოდინი მაწერვიელებს და იმიტომ. ქენით რამე, კაცო, ვეღარ მოაბით თავი ამ ბატარა საკმეს. გვაღირსეთ სეესეიანი დღე.

მაშინ ნებისმიერი საბეთის მონაგეას წამის მეათასედი დაჭირდება. ეეშმარიტად ბედი კარზე მომადგება ჰუმანიტარული აზროვნების გამანეითარებელ ბიბლიო... მიდი, აღმოაჩინე საბეთები და იგივე მანქანის დახმარებით წიგნად

გამოეცი ერთ დღეში. მე შენ გეტყვი, შეცდომები გაიპარება ანდა დანტეს ჯოჯოხეთის ორი წრის — გამომცემლობის და სტამბის — გაგლა დაგბერიდება... მოხერხებული მეცნიერი სამუშაო საათებში ხუთი-ექვსი ნაშრომის გამოშვებას შესძლებს... დილით, საუზმის დროს, კანდიდატი გახდება, სადილობისას ფოტოტელეგრაფით დოქტორის დიპლომს მიიღებ... ვახშმობისთვის იქნებ აკადემიოსადაც აარჩევინო თავი... თუ ნაღდი რომანტიკოსი ხარ, ამგვარ რამეზე უნდა ოცნებობ. ამასთან სად მოვა ერთი ჩვენი წინაპრის უნიადაგო საწადელი. მოიცა, რა სურდა? „ნეტავი ნატერა მანატრა, ეს ნატერა ამიხდინო, მუხრან ბატონ ყმად მომქცა, ჯახის ბატონს — ბინაო; მომქცა ყაინის უღელი, ხონთკართან გამადინო და ღვინო ჭავჭავაძისა მილით შინ მამიდინო“. ასეთი ვითომ რა ღვინო მოუყადა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომ ამ ლექსის ლეგ ავტორს საოცარ დისერტაციას ერჩევნა? რასაკვირველია, გაუნათლებლობის ბრალია. განათლება რომ ღირსებოდა, უეჭველად აგრე დაამთავრებდა შაირს: „დოზტერის დისერტაცია ფულის რუდ მამიდინო“.

გრიგოლ ორბელიანს ისევე, როგორც თავის დროზე პუტრე ბაგრატოსს, ინფანტერის გენერლის ჩინი ეზოდა. ამაზე მეტი ფელდმარშლის წოდება იყო. იმპერიის უმაღლესი ჯილდო — ანდრია პირველწოდებული ორდენი სახელგანთქმულ მეომარს პირადად ხელშეწყმენ — ალექსანდრე მეორემ გადასცა. გრიგოლ ორბელიანს წლების მანძილზე დიდი თანამდებობები ეკავა, კარგა ხანს მეფის საცავლის მოგალეობას ასრულებდა. ამისთანა კაცზე აარჩევენი არ შეიძლება ზღვა მასალა არ ინახებოდეს.

ჰაი გიდი, რა ვეფთხარი კომპიუტერიზაციას. ვერ დაიჭერებს თავისთავის დამკვიდრებას. თორემ ვისა აქვს იმის „ოფისი“, რომ პირისპირ შეეჭიდოს სიგელ-გუჯრებს, ამ ცხრათავიან მდევებს ხელრჩობაზე ბრძოლა გაუმართოს. მაგას პოეტი თუ გაბედავს. ვიორგი ლეონიძე... ოსეფ გრიშაშვილი... ანდა მეცნიერი-პოეტი. ბავლე ინგოროყვა... აკაკი გაწერელია... მე კი სჯობს სამუთების მოუშველიელებლად ინტუიციაზე, ალღოზე დაყრდნობით გამოვთქვამ სიგიდეგნე გამედელ, ურთიერთი გამომრიცხველ პიპოტეზებს (თუ ჰიპოტეზებს?) ბოლოსდაბოლოს, სწავლულ კაცს ხომ აქვს სულ რაღაც ოთხმოცდაცხრამეტი გამოუსწორებელი და აღმაფოთებელი შეცდომის დაშვების უფლება. მითუმეტეს იმისთანა მეცნიერს, ვინც ყვითელ ქაღალდზე გადმოეცემენ კლასიკოსის თხზულებების კრებულს ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი ნახევარგვერდიანი წინასიტყვაობა წაუმძღვარა და მეტისმეტად მნიშვნელოვანი ერთსტრიქონიანი ეპიგრაფი დაურთო. სისხარტე ტყუილა კი არ თქმულა ნიჭის დობილად. სვეტების ფერადი ჩუქურთმების არ იყოს, დღეისდღეობით ალეტიტერურ ზედმეტობადაა მიჩნეული. ეროვნულ ენაში ყოველგვარი სახელთა მაძიებელი. ავტორის ბიოგრაფიის ქრონოლოგიური სარჩული, ტექსტის ხელნაწერ დედანთან შეფარდება, ლექსიკონი და სხვა ამგვარი რამ. მაგათი შედგენა ნაცარქეცია ხალხის გამოგონილია. სადა მაქვს დრო საჩხირკედელად მწიგნობარ მოღაწეს, ვინც ისეთ გოლიათურ ღონისძიებას შევეჭიდე, როგორიც საკუთარი ბინის რემონტია, და გაოჩნებული „ბერსეგდისსთვის“ დეფიციტურ ნაწილების ძებნაში მთელი პატიოსანი სპეკულანტები ავაწოიკე, თავბედი ვაწყვეტინე...

არა, სხვა გზა არ მაქვს, სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ. უნდა დავეღლოდო არკივებს, რაცხა ქვია, კომპიუტერიზაციას. ამას ორმოცდაათ წელზე მეტი ხანი ნადდად არ დაეხარება. ისტორიისთვის ეს ერთი წამიც არაა... მაშინ ნახე რა არხეინი ცხოვრება დაიწყება. მიჩქანები ჩემს წიგნებს თვითონ დაწერენ და პანტაპუნტით გამოსცემენ. ჩიტის რძის ყველი ყელამდე მექნება... ოღონდ არაკენ იფიქროს, ავტორს თითს განძრევეა არ დასჭირდებათ. სპეციორარო უწყისში მაშ ვინ მოაწერს ხელს. ეს მხოლოდ თავქარიან ხალხს შეიძლება მოეჩვენოს საადვილო საქმედ. პირველ ხანებში ვინ იცის რა სინდისის ქეჯნა შემაზანზარებს, ფეხშიშველი ბოთლის ნამსხვრევებით მოფენილ რა წამების გზით გავიელი, სანამ საკუთარი გვარის შემადგენელ ასოებს ცაცახით დავაბატავ ქაღალდს თანხის მაჩვენებელი ჩვიდმეტციფრიან რიცხვის გვერდით. მაგრამ მთავარი ტანჯვა სწორედ მაშინ დაიწყება... ბნელ ქუჩაში რომ ვინმე დამჩხვდეს და ეს ოფლით ნაშოვნი ფული წამართვას, ხომ ცხადი და უეჭველია თავს მოვიკლავ ან რევოლვერით, როგორც ოდესღაც უყვარდათ ოფიცრებს, ან სფერულ ელვას გულის დაცარიელებულ ჯიბეზე მივიხუტებ... მერედა ცოდვა არა ვარ?

სიჭაბუკეში ბევრს მოსწონს გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფიის დრამატიზირება. ხაზგასმა იმისა, რომ სახელგანთქმულ პიროვნებას ძმიმე ცხოვრება ქონდა, მას უფრო რომანტიკულ და საინტერესო კაცად აქცევს ხოლმე. გარდა ამისა, რატომღაც თვითონ მოქმედს თუ დამწერს სიამაყის გრძნობა უჩნდება... არ არის ეს მარნდადაინაც ძნელი საქმე: პირველ პლანზე წამოწევ და გააზვიადებ ყოველგვარ უიღბლობას და მარცხს, ხოლო უკანა პლანზე მოაქცევ, მიაფუჩეჩებ და მიჩქმალავ ეგენ წარმატებაგამარჯვებას. ეგ არის და ეგ. მზადაა ბედუკუღმართობით გამრეფდნენ ცხოვრების სანიმეშო მოდელი. ტრაგიკულობის გარეშე არც ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ჩაივლის, ასე რომ ამნაირი ფაქტების ძებნა არ გაჭირდება. მაგრამ

ისეც და ისეკ... ისეკ და ისეკ ანგარიში უნდა გაეწიოს კაცის ფსიქიკურ წყობას, იმას, პირადად იგი როგორ აღიქვამდა თავის ბედს სასიცოცხლოდ მოცემული დროის სხვადასხვა მონაკვეთში... რაიმე ნებისმიერი ფაქტის ერთმხრივი და ერთნაირნაირ შეფასების უფლება არც მეცნიერს აქვს და არც მითუმეტეს მწერალს. რაღა ითქმის მრავალნაირი ფაქტების ერთთლიობაზე, რასაც შემოქმედის ბიოგრაფია წარმოადგენს.

თავადიშვილს უყვარდა დროსტარება, გართობა, ხუმრობა, ღღინი. ეხაროდა, რომ მისი საზოგადოება სასიამოვნოდ მიაჩნდათ ლამაზ ქალებს. „არა მიყვარს ღღინი უეშბ-უსატრფოდ... დიპლიპტო დაპკარ-დაარაკუნეთ!“ მთელი გულით მოწყდენებული იყო ძალაუფლების მწვრვალებს დაპატრონებიდა და ბეკრს არც დაესიზმრებოდა მის მიერ გაკეთებული კარიერა. ყოველი აღმასვლითი ნაბიჯი სამსახურებრივ კიბეზე სიტკბოებას ანიჭებდა. გრანობდა, რომ პოეტობა იყო მისი მთავარი მოწოდება? ძნელი საეჭველია. ესეი ცხადი — ლერსის წერა მარტო თავშესაქცევ ამბად არ მიაჩნდა. ისიც ცხადია, პროფესიონალი ლიტერატორის ცხოვრება არ იზიდავდა, იქნებ არისტოკრატისთვის სათაკილოდ თვლიდა, როგორც, მაგალითად, ვაჭრობას... ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ მწერლური პატივმოყვარეობა გაჩნდა და იგიც არ დარჩენია ულუქმაპუროდ. მაშინდელ საზოგადოებრივ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, მის შემოქმედებას აღიარება არ დაკლებია....

და-ძმა ადრე გამოეცალა. ზაქარია და ილია ლაშქრობებში, ეფემის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია... დედის — ხორეშანის გასეენება გრიგოლ ორბელიანმა აეღაბინის ყაზარმის ჰაუკეახტში მჭადრმა სარკმლიდან დაინახა...

სხვა პოეტების მსგავსად გრიგოლ ორბელიანსაც ყველაზე მეტად ის ქალი უყვარდა, ვინც ვერ შეირთო. იქნებ უმეტესწილად სწორედ იმიტომ უყვარდა, რომ ვერ შეირთო.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, გაფლენას ახდენს სულიერ ცხოვრებაზე.

მაგრამ თუ გინდა პასუხი გასცე კითხვას — უპირატესად მუქი თუ ნათელი ფერითაა ნფერი პოეტის ბიოგრაფია, გმართებს მის სულიერ სამყაროში ჩაიხედო, გაარკვიო, რას თფლდა იგი ცხოვრების მიზნად, არსებობის გამართლებად; ამის დადგენის შემდეგ შეეცადო გიგო, მიიჩნეედა თუ არა, რომ ეს მიზანი განხორციელდა ანდა ხორციელდება, კმაყოფილი იყო თავისი მოღვაწეობით?.. მთავარია პიროვნების არსში ჩაწვდომა.

ადამიანის სულიერ სამყაროს იმდენი განზომილება, იმდენი კოორდინატი გააჩნია, რომ [illegible] ეს ყოველმხრივი შეცნობა ვერც მეცნიერულად და ვერც მხატვრულად ვერ ხერხდება... წადი, დაადგინე, რას ფლრის იქნი, როცა წლები „ხან სიამით მავსებენ, ხან ცრემლი მაფრქვევინებენ: ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგ-მყოფენ და ხან უცებრ მალხენენ!“

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეეცხლმოდებელ მოჯუნის ცხოვრებისეული ფათერაკის გამო სატოფოს დაშორებულს, ასე მიემართა მისთვის — როცა შენ მოტრფიენი გარს გეხვევიან, „მაშინ გონებით თუ დამივიწყებ, არ შეეინანებ ოღონდ კი შენს ბეკრს, ზოგჯერ ვახსოვდე ჩემდამი ერთგულს!“ გრიგოლ ორბელიანი სოფიოს საკმრიდ ოფლებოდა, ხოლო საკმრის მეპატრონის გრძნობა ეუფლება და ეუვეინობა ჭკუას უბნელებს. ჭეშმარიტი შეყვარებულისათვის უპრიანია სხვა სტრიქონები, ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი: „ან გული რად ვერ გავიწყებს ჩემი სიცოცხლის შვენებას? რომ უგრძნობლობით ქვაქმნილი ვერ სცნობდეს თვისსა ობლობას?“ ორივე ლექსი 1835 წელს რიგაშია დაწერილი.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების ბრწყინვალება გრძნობით რომ შეიტყო და არა მარტო გონებით, საჭიროა გარეგნული არქაული ეერი გადალახო, გაშინაურდე ამ პოეტურ სამეფოში. მაშინ ტკივილი, ტანჯვა, სხვა განცდები მოჩვენებით დეკლარაციულობისაგან განთავისუფლდებიან და ეჭვმიუტანელი რეალობით გაივსებიან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს:

„ენიაზი ჭაეჭავაძე თავისს ენენათი. მარტყოობს იყენენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვენენ სავარსამძიის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუზრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხეოს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთ ბანს ბალ მაგ მთებში გამომძვრალიყავ მეზრავანში, იმის ოთახში, შეალამისას დაბადებულიყავ.“ (21 აგვისტო 1843 წელი)

„...ახალი ამბავი ანუ ჯორი ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალ-ნა ოდესაში მიდის 9 ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი!“ (23 მაისი 1844 წელი)

ენიაზი და ენენინა ნინოს მშობლები გახლავან, ბეზაკის ცოლი — სოფიო, გრიგოლ ორბელიანის ყოფილი საცოლე; ნ. ალ. — ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე.

ეს ფრაგმენტებიც კი სწორად ასახავენ ერთგვარად ფუქსიატურ დამოკიდებულებას, რასაც ალბათ გრიგოლი სოფიოსადმი იჩენდა, და ბეერად, შეუდარებლად უფრო სერიოზულს ნინოსადმი.

კიდევ რამდენიმე ნაწყვეტი სხვადასხვა მაჩარეებიდან.

გრიგოლი — თავის ძმას ზაქარიას:

„სად არის ნინა... და ან როცა ნახე და ან როგორ იყო თქვენი შეყრა, დაწვრილებით მომწერე... შე ბიჭო! რათ მიგდის სიცოცხლე — მე თვით ვიცი, რომ ნ... არის ჭკვიანი, უმტეს ლამაზი და უფრო კეთილი; მარამა მერწმუნე, მე გამოცდილებით გეუბნები, რომ არცა ერთი დედაკაცი მრთელს ჭკვიანობე არცა ღირს, რომ ნახვევ ნეკი მოგრის მისთვის და შენკი სიცოცხეე მიგდის. რა სუსტი ყოფილხარ! თუმეცა გისურვებდი მაგნაირი ცოლის ყოლას. ძალიან, ძალიან სამწუხაროა, რომ შენთვის არ შეიძლება მაგის შერთვა. — და სხვანიგათ ვერას გაგიგებ.“ (20 ივლისი 1834 წ.)

ზაქარია — გრიგოლს:

„ვეტყვი სწორედ, რომ ნ...მ დაამწარა ჩემი სიცოცხლე. — ბიჭო! არა გრცხვენიან? რათ მატყუებდი. შენ ჩემზე მეტად გეფარებია და ჩემ წინ მალაყებს რათ თამაშობდი, ახლა შენ დაგრჩა ბუთი და მოიდანი!“ (12 მარტი 1835 წ. ზაქარიას უკვე შერთული ყოფდა ქეთევან მესხიშვილი).

გრიგოლი:

„ბიჭო! ვინ გითხრა, რომ მე ვკვდებოდი ნ-თვის? შენნაგაზდან სიცრუეა.“ (4 ივნისი 1835 წ.)

გრიგოლი — სალომე ჭავჭავაძეს:

„დიდხანს დაკუიტე პაკეთსა (და ვფიქრობდი ახ! ღმერთო, ვისგან უნდა იყოს...) ეაი შემს გამოსულ�sლება, რომ ნინოს ხელი აღრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას. მაშინვე სიხარულით დავაძახებინე პესენნიკებს (ანუ მომლოდინეთ სალდათებს) და საღამომდის ვიღრიალე.“ (10 ივნისი 1835 წ.)

ნინო — გრიგოლს:

„ახ, რა უგემრათ ვატარეფთ დროს. აღარ არის სიცოცხლე... რამდენჯერ მოვიგონებთ ხოლმე. ჩვენ... წასვლას, დაბრუნებას, შენს ძახილს მოვდიოვარ! შენ კი არვიცი გახსოვარ თუ არა... გთხოვ შენის ლამაზის ლაპარაკით ხშირად გვასიამოვნო ხოლმე, რომელიც ყველას სასიამოვნოთ გვაქვს შენის წოგნის მოსვლა, მაგრამ ის უმჯობესი იქნება, რომ პირისპირ მალე გვეფირსოს შენი ნახვა.“ ამ ბარათზეა ზაქარიას მინაწერი: „ეხლა მომიყვია ეს წიგნი შტაბში შენთან გამოსაგზავნად, შე კეტკავ, მაგ რა არის თუ არ უყვარხარ და ან გიყვარს?“ (29 ივლისი 1835 წ.)

ცხრა წლის შემდეგ, 1844 წლის 4 დეკემბერს გრიგოლი — ზაქარიას:

„ეატრნი მინგრეელიდან და ნინო ოდესიდამ მოსულან. — დადიან საწყლები აქეთ იქით... როგორ მოხდენია ნინოს ოდესსა, რატომ არა ჩკითხავ?“

რაიმე გრძნობა რომ უფრო ადვილად დათრგუნოს („ან გული რად ვერ გავიწყებს ჩემ სიცოცხლის შეწყნას?“), კაცი ცდილობს [illegible] დასკვნის, დაამდაბლოს და ამით მის [illegible] ლებრივებას შეუწყოს ხელი. ამ წერილში სწორედ ამიტომაა უმჭაწური სიტყვა მოგვლიებული... მაგრამ ამ სიყვარულისგან გრიგოლი შვიდი წლის მერეც ვერ განაკურნა. მაშინ წინანდალში ჩასულმა დაწერა ლექსი „მოგონება“: „აწ არც-კი მიცნობ, — გული იცვალე... ამ მოგონებამ არ შეგაწუხოს: შენ განსვენებით ოღონდ იცოცხლე და მე, თუ გინა საფლავმა მფაროს“.

საფლავმა გრიგოლზე ბევრად ადრე ნინო დაფარა.

მოხუცებული გრიგოლ ორბელიანი წერდა ეკატერინე ჭავჭავაძეს: „თავი მომაჩნია ბედნერად, რომ მეც თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიკვანეთ მე კაცად, პოეტად.“ პირველ რიგში ალბათ აქ ნინოა ნაგულისხმევი.

როგორც 1845 წლის 9 თებერვალს წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი მიაკო ორბელიანს ნახევრებანი ვიღაც მუსლიმანი ქალის — გონჩა-ბეგიმის და მისი ქმრის გართულებული ურთიერთობების შესახებ: „ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რამანია“.

მრავალმა შემოქმედმა იცის ნინოს და გრიგოლის სიყვარულის შესახებ, ოღონდ რომანი არავის დაუწერია.

არც ხერიანი მოთხრობა.

არადა ეს ურთიერთობა მხატვრული ნაწარმოებისთვის უთუოდ კარგ საფუძველს წარმოადგენს. კონფლიქტები, რაც გადამკვეთ სიუჟეტურ ხაზებზე აღმოაცენდება: გრიგოლ-ნინო-ზაქარია-ქეთევან; გრიგოლ-ნინო-სოფიო-მეზაკე; გრიგოლ-ნინო-მ...; გრიგოლ-ნინო-გრაფინია ოპერმანი — „პოლმის ქალები...“ მთავარი გმირის გადასახლება. მისი სამსახურებრივი წარმატებები. ომი. ქალწარეთის მოულოდნელი სიკვდილი ქოლერისაგან. დიდებული ლექსების შექმნის ისტორია...

ჯერჯერობით ამ თემაზე არც კინომფილმის გადადება გადაუწყვეტია ვინმეს. ი რას ამბობს ამის შესახებ ერთი ორმოცი- წლის დამწყები რეჟისორი, ვისაც დღეისათვის მართალია არც ერთი სურათი არ შეუქმნია, მაგრამ სამაგიეროდ განათვალა ფერადი ტელევიზორით აქვს მიღებული. გარდა ამისა ბაპმანის სახელგანთქმული კინოხელოვანი გახლდათ დაბა კორკიმელიანის მიდამოებში. მაშ სიტყვა იმედის მომცემ ახალგაზრდას, რომელიც იმის იმედს იძლევა, რომ რაიმე ფილმის გადადებას არასდროს ანდობენ:

„ადრეა ამ თემის დამუშავება. ამეამად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვცალია. კარგი გოგებით არ გვცალია. ჯერ, ჩვენსა სამარცხვინოდ, ტრისტანის და იზოლდას ამბავივე არ გაგვიოცხლებია ფირზე. პაოლოს და ფრანჩესკას ტრაგედია რახანია ელის ჩემი თვითმყოფადი ობიექტივის ყურადღებას. იგივე თქმის მანონ ლესკოს და კავალერ დე გრიეს თავგადასავალზე. ამას ზეჩერი რო შეეჭქეცო, განა თავის მოკრა არ იქნება... თუ მაინცდამაინც პოეტის სამიჯნურო ისტორია დამჭირდა, კატულის და ლესბიას ტრფიალზე უკეთესს რას მოიგონებს ხელოვანი კაცი. თან ძველი რომის ფირზე აღბეჭდავ მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე რომშო შეიძლება... თქვენ კი ამ დროს, პირდაპირ ვიტყვი, თავხედურად ცდილობთ შეიპრათ კინემატოგრაფისტის სათუთ და ნაზ სულიერ სამყაროში და ალერ-ფალერით იქ ყველაფერი... ხო, მართლა, გრიგოლ ორბელიანმა რა დაწერა? ახ, ის სტრიქონი მაგისია — თერგი ხტის, თერგი ბდღვრიალებს, მთები ბანს ეუბნებიანო?... არ არის აქ სადღაც რაღაცაში კინემატოგრაფიული ხედვა... ვინ იყო გრიგოლ ორბელიანი? ხო, ხო, ვიცი, ვიცი... თქვენ ამბობთ, თერგი კი არ ბდღვრიალებს, არამედ ღრიალებსო? რბისო და არა ხტისო? მითუმეტეს უარესი ავტორისთვის. ეს მოჩვენებითი დინამიკაა. რბის-ღრიალებს-ეუბნებიან... თითქოს თვითმოქმედებით მომღერალთა სახე იკვეთება — ბანს ეუბნებიანო, მაგრამ ამისთანა მცირე რამ დიდ შეღავათს არ იძლევა. პლასტიკურობა, მეტსაც გეტყვიან, სკულპტულურობა არ იგრძნობა... ამას წინათ ეგვიპტური ფილმი ვნახე ვიდეოზე, ფარაონების ეპოქაში იყო შექმნილი ქრისტეს დაბადებამდე. ახლანდელ თხრების დროს სამარხში ეპოვნათ. ფერადნინონი იყო რეფისორი და ხმის ოპერატორი. ფირი სამარეში დგებისას დამუნჯებულიყო, ვინაიდან ბგერითი ბალიკი დაეზიანებინა ნილოსის გამოსაყოფ წყალს. მაგრამ დიადი ხელოვნებისთვის ყოველგვარი ზარალიც კი სასარგებლოა, ეენერა მილოსელის მოტეხილი ხელებისა არ იყოს... ფილმში უხმოდ და ამის გამო გაცილებით შემაძრწუნებლად იგრძნობოდა მოკლული მონების შემაძრწუნებელი ყვირილი, მდღიარე კეპრში ჩაგდებული ფარაონის ცოლების მიმზიდველი სექსუალური ძახილი... აქ კი — თერგი ღრიალებს — მაინც თვითმოქმედებით მომღერლის კრინს მაგონებს... გაურანდავს და მითუმეტეს გაუშალაშინებელს... არა, ჯერ არ ღირს ამაზე ფილმის გადადება. არა მაქვს საქმე ისე აწყობილი, რომ შემთხვევით თემებს მოვკიდო ხელი. ვეძკაცურად, რა არის გადასაღები თქვენ მიერ შემოთავაზებულ თემაზე? უყვარდათ ერთმანეთი, დაქორწინდნენ. ესაა და ეს. გეკითხებით, სადაა კინემატოგრაფიული მოძრაობა? რაო, რაო? არ დაქორწინებულან? ხუმრობთ? მაშინ მითუმეტეს რა გვაქვს სალაპარაკო! ამხანაგო, ძვირფას შემოქმედებით დროს ტყუილად ნუ მაკარგვინებთ. თქვენსავით უქნარა და ჩიტტრეკია ხომ არ გგონივართ?! სადა მცალია. ტელეფილმისთვის ვაგროვებ მასალებს. ერნესტ ჰემინგუეის პირად ცხოვრებას მივდევნებ. ოთხი ცოლი ყოფილა და ამიტომ ოთხ სერიას გადავიღებ. დამატებითი მეხუთე და მეექვსე სერიები საყვარლების თემას ასახავენ.“

გაგრძელება იქნება

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007. დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-20-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრიზის — 72-26-80, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 7. 07. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 09. 86 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. საალრ.საგ. ოფსეტი 15,85. შეკვ. 1646. უე 14612. ტირაჟი 60.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუდვიგ დურიანი

ძმობის სიმღერა

როგორც ძმათა ლხინში
გამარჯვების ჭერქვეშ,
როგორც დილის სხივი
ეფინება ქედებს,
როგორც ორი ჭიქით
სადღეგრძელო ერთი
„ცავად ტანე“ ისე
„გენაცვალეს“ ერთვის.

როგორც ორ ძმამ ერთი
გააშენა ბაღი,
ორთა გულზე დადგა
ცისარტყელის თაღი,
„გენაცვალეს“ ასე,
„ცავად ტანეც“ ასე,
გადაშლილა შუქად
ორი ქვეყნის ცაზე.

როგორც ორი ლტოლვა
ხვდება ერთ დიდ მიზანს
და ორ სახნისს, როგორც
უხნავს ერთი მიწა,
თქვენი „გენაცვალე“,
ჩვენი „ცავად ტანე“
ორი მუხის ფესვებს
ისე ჩავატანეთ.

ლხინი იყო ერთად
გავიყავით ლხინი,
გავიყავით ასე
ერთმანეთის ჭირიც.

სიყვარულის ჯამში
ფიც-ვერცხლივით ვთალეთ
ჩვენი „ცავად ტანე“,
თქვენი „გენაცვალე“.

შიგნითა თუ გარეთ
ვარსკვლავივით ენთო,
მუდამ ედგა ფხიზლად
ჩვენი სახლის ერდოს.
შევაგებეთ რისხვად,
გულში მტერს ვახალეთ
ჩვენი „ცავად ტანე“,
თქვენი „გენაცვალე“.

როგორც არარატი
და ყაზბეგი მარად,
იდგებიან ასე
გულის გასახარად.
არ ავუმღვრევთ წყაროს,
ცუდს არ გავაკარებთ
მაგ თქვენს „გენაცვალეს“,
ამ ჩვენს „ცავად ტანეს“.

როგორც ძმათა ლხინში
გამარჯვების ჭერქვეშ,
როგორც დილის სხივი
ეფინება ქედებს,
როგორც ორი ჭიქით
სადღეგრძელო ერთი
„გენაცვალეს ისე
„ცავად ტანე“ ერთვის.

თარგმნა **ვახტანგ გოგრაველმა**

6 10/63

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76986

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ